

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

8 ივნისი 2007 №12 (38)



ზოია ფირზადის ბინა
სერგო წურწუმias ნოველა
მაია მირიანაშვილის პორტრეტი
კურტ ვონეგუტის უსამშობლობა
ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე
ჰამსუნისა და სტაინბეკის საქართველო

შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	ვით ავითანოთ უსამშობლოა (გამოთხოვება კურტ ვონეგუტთან)
ქმსარს-ინტერვიუ	4	ჰარუკი მურაკამი მინდა ჩემი რომანი დავწერო (პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე)
პროზა	6	სერგო ნურნუშია იყო ასეთი დრო...
პოეზია	11	ნინო სადღობელაშვილი შუაღამის იავენანა და სხვა ლექსები
ესეისტიკა	15	პიტირიმ სოროკინი თანამედროვე კრიზისი დასავლურ ნატივ სელოვნებაში
ფილოზოფია	18	რა იპოვეს ჰამსუნგა და სტინდბეკმა საქართველოში? (ლელა ოჩიაურს ესაუბრება ოლიგო ფლენტი)
წუთები და წლები	22	ნინო ყიფიანის გარათი იაკოვ გოგებაშვილისადმი
დატეხილი	25	ბრენდონ ფლემინგი მახე
რეპორტაჟი	30	ეკა ბუჯიაშვილი ფესვებზე იჯდა შავი ყორანი (განხილვა წიგნისა „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“)
ისტორიის თეთრი ლაქები	34	გივი გამრეკელი გენერალი ტოტლაბანი ყველას დაღატოვდა
სად წაიყვან სადარსა	39	ნინო ყულაშვილი ჩვენებური მწერლის „სასაზღვრო ფიქრები“ (საუბარი ფარნა ჭილაძესთან)
ფიქრები	42	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
კრიტიკა	47	მაია ჯალიაშვილი ბასეირნება (გერმანულენოვანი ლიტერატურის ახალი თარგმანები)
გამოხმაურება	51	საბა სულხანიშვილი გარღვევა დროსთან დასაბრუნებლად
უსწორი ნოველა	52	ზოია ფირზადი ბინა
მოუხილა	63	იყო ვედრება

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 77) 48-12-24
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეგი“
საბეჭდო, თბილისი, სარაქიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოსაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ვაცუსიკა ხოკუსაი, „კუზინი ხიდი“

ნინო სადღობელაშვილი, ირაკლი ბლუიშვილის ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 22 ივნისს

პით აპიტანოტ უსამშობლოა

*

გამოთხოვება კურტ ვონეგუტთან

კურტ ვონეგუტსაც ეხვეწებოდნენ ახალგაზრდა მწერლები: რაიმე გვირგვინი, გზაზე დაგვაცენო.

დიდაქტიკოსობა არასოდეს დაუჩემებია და ტვინს იფხეკდა, ნეტა მართლა მარჩვეინა რამე, იქნებ მომეშვანო. და რალაც-რალაცებს რომ გამოჩხრეკდა, ყველაზე საუკეთესო რჩევად ეს მოეჩვენებოდა:

– თუ სერიოზულ ნაწარმოებს მოკიდებთ ხელს და მეძებარს დაემსგავსებით, გამოაცხადეთ, რომ დღეში თორმეტ საათს მუშაობთ თქვენს ქმნილებაზე. გაფრთხილებთ: თუკი ღიმილი დაგავიწყდათ, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი წყალს გაატანეთ.

მთავარი ესაა: ღიმილი არ დაგავიწყდეთო.

ეს ის ფრაზაა, რომელიც მოუცილებლად უნდა დაერთოს ვონეგუტის ყველა რჩევას და ჰუმორითაც გაასხივოსნოს. და მარკ ტვენის აჩრდილისკენაც გაახედო გუნებაში: ასეთი რჩევის გაღებას შენც ხომ არ იუკადრისებდიო.

მარკ ტვენი მისთვის თავისებური სიმბოლო გახლდათ მწერლისაც და იუმორისტული აზროვნებისაც და სულაც არ მიაჩნდა გადაჭარბებულად, როდესაც „ტომ სოიერის თავგადასავლის“ ავტორის ერთ-ერთ გამონათქვამს სახარების ცხრა ნეტარების გამოძახილად შეაფასებდა, და კიდევ იესო ქრისტეს მიერ მრავალგზის გაცხადებული აზრის განმეორებად: ნუ მიატოვებთ ადამიანებს სიცოცხლის შუაგზაზე უსიყვარულოდო.

მისთვის ამასვე გულისხმობდა მარკ ტვენის თვალსაზრისი: როდესაც კარგად გამოძერწილ პერსონაჟს ნავანყდები მხატვრულ ლიტერატურასა თუ ბიოგრაფიაში, პიროვნულად მხოლოდ მაშინ ვინტერესდები, თუკი ვიცი, რომ მანამდე სადღაც მინახავს – მდინარეზე შევხვედრივართო.

აქედან სამ სიტყვას გამოარჩევს: ისინი ანიჭებენ ამ ციტატას იუმორისტულ ხასიათსო, – მაგრამ ასეთი დეტალიზება ამ ჩანაწერში ზედმეტია, უფრო იმ პასაჟს დაუფიქრებდეთ მარკ ტვენის ხსოვნისადმი მიძღვნილ ესეიში, ვონეგუტი რომ არ იზიარებს მოარულ გამონათქვამს: ტვენმა იწინასწარმეტყველა პირველი მსოფლიო ომიც და ყველა სხვა ომიცო.

კი არ იწინასწარმეტყველაო, – ასე შემოატრიალებს დამკვიდრებულ თვალსაზრისს, – სულაც განსაზღვრა ეს ქარტეხილები მისმა უმანკო ხუმრობებმაო.

და თუ ვინმეს ვონეგუტის ნოველის – „ჰარისონ ბერჯერონი“ – ნაკითხვისას ასეთი შთაბეჭდილება დარჩება: მწერალი იწინასწარმეტყველებს ამერიკული ლიბერალური დემოკრატიის გარდუვალ კრახსო, – გაითვალისწინოს, რომ ავტორი აუცილებლად შეუსწორებდა: კი არა ვინასწარმეტყველებ, სულაც განვსაზღვრავ ჩემი უმანკო ხუმრობითო.

ნობელის პრემიების კომიტეტში სულ უფრო მომძღაგრებულ პოლიტიკურ კონიუნქტურასაც არა კერძო მოვლენად, არამედ მსოფლიო რყევათა ბუნებრივ ანარეკლად

მიიჩნევდა, სულიერი კრიზისის, ლიბერალურ დემოკრატიზმს ამოფარებული იაკობინიზმის თვალსაჩინო ნიშნად და დასტურად და ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც დასრულდებოდა პოლიტიკანიზმი ლიტერატურულ ქმნილებათა შეფასებისას და ნობელის პრემიის ლაურეატები მართლაც დიდი მწერლები გახდებოდნენ, აღიარებულ წინამორბედებს შეტოლებულნი.

მაშინ ხომ მეც მომიწევსო, – ეჭვიც არ ეპარებოდა და ის ოცნების დღე რაც შეიძლება აქეთ გადმოჰქონდა აფორიაქებული ფიქრებისას, გადმოჰქონდა და... ფრთხილად მიმოიხედავდა გარშემო, ვაითუ ვინმე შემეცვილოს და ლაურეატის მანტია თვალწინ ამაცალოსო.

ეს განცდები მძაფრად ტრიალებს მის უკანასკნელ წიგნში „უსამშობლო კაცი“, რომელიც სწორედაც ფიქრების სტრუქტურაზეა აგებული და კოლაჟური მანერაც ამიტომ მისადაგებია. ეს მხატვრული მეთოდი სიახლე არ არის მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, ადრეც გამოუყენებია საკმაო წარმატებით და „ბზობა“ სწორედ მის თარგზე ამოუშენებია.

ეს რა შესანიშნავი ახალი ფორმააო, – ჯერ კიდევ მაშინ ვერ ვარავდა მოწონებას ამ არჩევანით, – ის აერთიანებს რომანის სიძლიერესა და ჟურნალისტიკის სულისშემძვრელ პრობლემატიკას, რაც შესაძლოა ამჟამად არც არის მოდაში, მაგრამ მას ვურთავ მუსიკალური თეატრის ენთუზიაზმს, მოთხრობის გულწარმტაც ინერციას, კერძო წერილთა წყებას, ამერიკის ისტორიის ვაისა და სიტყვაკაზმული სტილის ვუისო.

ისე როგორ იქნებოდა, მოწონების სტრიქონები სიცილით არ დაებოლოვებინა!..

რაკილა კოლაჟური მანერა აერჩია, მამ ნაფლეთები-სათვის უნდა მოეყარა თავი „ბზობაში“, და ასეც ირწმუნება: ფრაგმენტები ავასხი ერთმანეთზეო.

თუმც იქ ამის მტკიცება პირობითობაა და სხვა არაფერი, რადგანაც ფრაგმენტებზე მეტად ის მცირე კრებული ესეების ციკლი უფროა. არადა, ეს შეფასება „უსამშობლო კაცს“ შეეფერება თუ შეეფერება, მართლაც ფრაგმენტებად დაშლილ-დაღავებულს, კომპოზიციური ღერძი მკრთალდაც რომ ველარ გიპოვნია მათ შორის. აღარც იუმორი ყოფნის და გამოცდილების ხარჯზე ლამობს ირონიის, სარკაზმის, სატირული ხედვის ანაზღაურებას, თუმც ალაგ-ალაგ ისეთი სილაღითა და სიმძაფრით გაკვესავს მისი იუმორისტული ტალანტი, მარკ ტვენსაც რომ მოხიბლავდა.

უკანასკნელი წიგნის ეს სახელწოდება – „უსამშობლო კაცი“ – თავისი მოულოდნელობით უსათუოდ გააოცებდა ვონეგუტის ერთგულ მკითხველებს, რადგანაც უსამშობლობის მოტივი შესამჩნევი თითქოს არასოდეს ყოფილა მის მოთხრობებას თუ რომანებში.

არც ის უსამშობლობა, მსოფლიო მოქალაქის კვარცხლბეკიდან რომ ჩამოჰყურებენ თავიანთ ქვეყანას და,

ფესვებმონყვეტილთ, საერთო ვერაფერი უპოვნიათ მასთან.

და არც ის – სამშობლოს ყველაზე ღრმა, ყველაზე ინტიმური შეგრძნება უკიდურესი სიმძაფრით რომ განგაცდევინებს მის შინაგან ტკივილებსა თუ კრიზისისა და აპათიის ნიშნებს და საკუთარ თავს ემიგრანტად წარმოგადგენინებს შენს მინა-წყალზე, ემიგრანტად, ვინც დაურიდებლად გმობს და სულაც ამასხრებს სამშობლოს ყველა ნაკლსა და ზადს, მაგრამ ყველაზე დიდ ოცნებად ამ მტანჯველი ყოფისაგან თავის დაღწევა შემორჩენია, რათა ძე შეცდომილივით ადრე თუ გვიან კვლავ მოადგეს მშობლიური მინა-წყლის საზღვარს.

მთავარია, სამშობლოს ნაცნობ გზებით ისევ მიაგნოს და ისიც დარწმუნებით იცოდეს, ჰქონდა იგი თუ მოაგონდა...

სწორედ ეს უსამშობლობა მსჭვალავს ვონეგუტის უკანასკნელ სუნთქვას ამოყოლილ წიგნს, შეგრძნება, რომელიც – თუკი მკითხველი ჩაუკვირდებოდა – „ჰარისონ ბერჯერონში“ უკვე ისეთი სიმძაფრით გაცხადებულიყო, ვონეგუტის წრფელი ბუნებისათვის რომ არის ნიშანდობლივი.

თუ რაიმეს თქმას აპირებ, გულში წვეთიც არ უნდა ჩაიტოვო.

და თუ სულიერ გვემას განიცდი, ოდნავადაც არ უნდა შეეცადო მის მოპირკეთებასა თუ გაუფხვრებას.

თავისი რელიგიური რწმენის უკმარობას რომ აღიარებდა, დიდად არ განიცდიდა: რას იზამ, ასეთი ალვიზარდუო. და ამ უნაღვლელობას იმით ამართლებდა: ჩემს სკეპტიციზმში მარკ ტვენმაც დამარწმუნა, როდესაც პიროვნებად ვყალიბდებოდიო.

შვილებს ანდერძად რას უტოვებდა?

რწმენის უკმარობასა და ლიტერატურის სიყვარულს.

სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ორი განცდა ერთმანეთს უპირისპირდებოდეს და გამორიცხავდეს, მაგრამ ვონეგუტის მხატვრულ კონცეფციაში ერთად ვერ თავსდებოდნენ და, თუკი ერთ-ერთი უნდა დაეთმო, ისევ რელიგიურ რწმენას შეელოდა, თუმცა ჩინებულად მოეხსენებოდა და არც მკითხველს დაუშალავდა: რელიგიური სკეპტიკოსები ბოლოს ხშირად მწარდებიან და მარკ ტვენსაც ასე დამართაო.

ნუთუ ასერიგად ძვირფასი მწერლის გამოცდილება და ხვედრი არ უნდა გაეთვალისწინებინა?

საკუთარი ბუნება ვერ გადაელახა, ან ის, რაც საკუთარი ბუნება ეგონა, და აღარც ენინააღმდეგებოდა შინაგან ხმას, მაინც ვერ გადავლახავო. და „შეკლებერი ფინის თავგადასავლის“ შემოქმედის სკეპტიციზმის გახსენება ცინიკურ გუნებაზეც დააყენებდა:

– დადგება დრო, როცა მივხვდები, რომ ყოველთვის მართალი ვიყავი, რომ არ მჯეროდა ღმერთის არსებობის, არც ზეციური სასუფევლისა და არც სამსჯავრო დღის დადგომის, მაგრამ ამას ვერ ვამტკიცებდი.

მე მხოლოდ ეს გამამწარებსო, ექილიკებოდა მკითხველსაც და მარკ ტვენის აჩრდილსაც, და კიდევ ერნსტ ჰემინგუეის აჩრდილს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ისედაც ეჯავახებოდა და პიესაში – „დაბადების დღეს გილოცავთ, ვანდა ჯუნ!“ – სულაც კომიკურ საბურველში გააჭვევდა.

რელიგიური სკეპტიციზმი არც იმას ჰკლებია და იქნებ ისიც მარკ ტვენის მაგალითით იმხნევებდა თავს (რაკილა უშუალო ლიტერატურულ წინაპრად აღიარებდა!), მაგრამ სიცოცხლის მიმწუხრზე მაინც იპოვინდა ღმერთს და იესო ქრისტეს სასოებით გაეცლებოდა ნუთისოფელს. ახდილად არ გაამყლავებდა უფლის პოვნას, მაგრამ უილიამ ფოლკნერი ისე თვალნათლივ ამოიკითხავდა მწერლის ამ სულიერ სწრაფვასა და მიგნებას „ბერიკაცსა და ზღვაში“, გაუკვირდებოდა კიდეც: სხვებს რამ აუხვია თვალეები ისე, ეს ხელშესახები ნიშანი ვერ ამოუცვნიათო.

აცდენოდა ვონეგუტი ამ გზას.

თუმც რაღაცისათვის მაინც მიეკვლია, თითქოს ეგრძნო იმ სავალის არსებობა, უშუალოდ მისთვის რომ იყო ნაგულისხმევი, მაგრამ ვეღარ... ვეღარ გაჰყოლოდა.

საიდან მივხვედრილვარ, თუ რა უტრიალებდა ყველაზე ფარულ ფიქრებში, გულისჭიდილის ყველაზე უღრმეს სენელში მწერალს?

ჯონათან სვიფტის შეუცნობელ მხატვრულ სამყაროს რომ უკვირდებოდა, მის უმწვავესი სტილისტიკის თავისებურებას იმით ახსნიდა: ზიზღი აშენებინებს და ამოქმედებინებს ცივილიზებულ ადამიანებს სიკვდილის ბანაკებს, აბომბინებს დაუცველ ქალაქებს, აწამებინებს ტყვეებს, აცემინებს საკუთარ ცოლ-შვილს, ანთხევიანებს ტვინს, და „გულივერის მოგზაურობა“ ჩვენში ზიზღის ზედმეტი დოზით შეყვანისა და ამით ყველაზე სახიფათო დაავადებისაგან განკურნების საუკეთესო მცდელობააო.

ეს ამ წიგნის მხატვრული, ფსიქოლოგიური, სოციალური ზეგავლენის განმარტებაა, და საკმაოდ დამაჯერებელიც, მაგრამ ვონეგუტი უფრო შორსაც გააღწევს და „გულივერის მოგზაურობას“ მოიხსენიებს... ქადაგებათა კრებულად.

ამ განსაზღვრებას თვითონ ასე განმარტავს: ქრისტიანულ ურთიერთობათა კრიზის ყამსო, – და კრიზისის მისებურად, ვონეგუტისებურად ათამაშებს და, როგორ მოითმენს, სარკასტული ჩაცინებაც არ გამოურიოს, მაგრამ განსაზღვრება ისეთი მოულოდნელი და ეფექტური, სარკაზმს აღარც აქცევ ყურადღებას და მხოლოდ ამ სიტყვათშეთანხმებას უკვირდები, მის წიაღში შეღწევას ლამაზო.

დაუჯერებელი მოჩანს, არა? თითქოს რა საერთო აქვს სვიფტის ამ რომანს ქადაგებათა ციკლთან?

ჩვენი ამ შინაგან საერთოს ვერც ვერასოდეს მივაკვლევდით, მაგრამ ვონეგუტის გონებაში უეცრად გაკვე-



სავდა ის ნაპერწკალი, რაც სპონტანურად ამოათქმევინებდა ამ უცნაურსა და... ზუსტ განსაზღვრებას.

და „გულივერის მოგზაურობის“ აღქმა ქადაგებათა კრებულად ძალდაუტანებლად მიგვანიშნებს იმ ბილიკის დასაწყისზე, რომლის ბოლოშიც იესო ქრისტეს სახება აღმართულიყო... მაგრამ ბუჩქნარსა და შამბნარში ჩაეკარგებოდა ეს ბილიკი ვონეგუტს და შეუცნობელი დარჩებოდა ის განცდა, რაც ჰემინგუეიმაც მთელი არსებით განიცადა.

ბერნარდ შოსავით ედავებოდა და ექილიკებოდა სიკვდილის სარეცელზე კურტ ვონეგუტი მიქელ-გაბრიელსაც და ლმერთსაც, ფიქრების ფრაგმენტებს უყრიდა თავს და ველარც უყრიდა, და ველარც ის გაერკვია ვერაფრისდიდებით, რატომ ებლაუჭებოდა განწირული სულისკვეთებით ამ უსამშობლოდ დარჩენილი კაცის სამშობლო ლიბერალურ დემოკრატიზმს, გამეტებულს დასამარცხებლად, როგორც იაკობინიზმის ნაშეიერისა.

ექსპრეს-ინტერვიუ

ჰარუკი მურაკამი იაპონიის ძველ დედაქალაქ კიოტოში დაიბადა 1949 წლის 12 იანვარს, კლასიკური ფილოლოგიის პედაგოგთა ოჯახში. 1968 წელს ჩაირიცხა ვასედის უნივერსიტეტის თეატრალური ინსტიტუტის ფაკულტეტზე. სამი წლის შემდეგ იქორწინა გოგონაზე, რომლის მხოლოდ სახელია ცნობილი – იოკო. ვასედას უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა და თანამედროვე დრამატურგიაში ხარისხი მიიღო. 1974 წელს ტოკიოში გახსნა ჯაზის ბარი „ეტერ ჩატ“, რომელსაც შვიდ წელიწადს განაგებდა.

იაპონიიდან დასავლეთს რომ გაემგზავრა, პირველმა იაპონური ლიტერატურის ისტორიაში, სამშობლოს ევროპელის თვალთ შეხედა: „შტატებში 5 წლით გავემგზავრე და უეცრად, იქ ყოფნისას, სრულიად მოულოდნელად მომინდა იაპონიასა და იაპონელებზე წერა... ადვილია შენს ქვეყანაზე წერა, როცა შორსა ხარ...“

29 წლიდან დაიწყო წერა და მას შემდეგ წელიწადში თითო რომანს აქვეყნებს. იღვიძებს დილის ექვს საათზე და იძინებს საღამოს ათზე. 33 წლისამ მოწვევას თავი დაანება და დაიწყო ვარჯიში, ყოველდღე დარბოდა და ცურავდა. ძლიერ უყვარს მუსიკა. გავრცელებულ ხმებს თუ დაუფერებთ, მისი ჩანაწერების კოლექცია 40000-ზე მეტ ჩანაწერს ითვლის.

ჰარუკი მურაკამი

მინდა ჩემი რომანი დავწერო

*

კასუსები
აკითხველთა შეკითხვებზე

– თუ არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში ნიგნები, რომლებიც, თქვენი აზრით, არ უნდა გამოქვეყნებულიყო?

– ძალზე საინტერესო კითხვაა. ასეთი შეკითხვა პირველად გაჩნდა. უნდა დავუფიქრდე.

ჩემს მიერ ნაკითხულთაგან არცერთი არ მახსენდება, რომელზეც ვიტყვოდი, არ უნდა გამოცემულიყო-მეთქი.

ცხადია, ბევრი ნიგნია, რომელზედაც ფიქრობ, უსარგებლოა, უმნიშვნელო, არავითარი ღირებულება არ გააჩნიაო, მაგრამ ასეთები დროის კვალობაზე გავიწყდება.

გამბედაობა არ მეყოფა გაფიქრებისაც კი, არ გამოიცეს-მეთქი. ერთიანად რომ გაქრეს ყველა უმნიშვნელო კინი ნიგნი, მსოფლიო ველარაფრით ისუნთქებს. სამყარო არსებობს და ახასიათებს შეცოდებანიც, უსარგებლო ნივთებიც და შეცდომებიც.

– არსებობს თემები, რომელთა შესახებაც კვლავაც ღირს წერა XX საუკუნის დიდი ლიტერატურის შემდეგ?

– მას შემდეგ, რაც გამოჩნდნენ ბახი, მოცარტი, ბეთხოვენი, აქვს კი აზრი მუსიკის შექმნას?

იყო კი მას შემდეგ მუსიკა, რომელიც მათ მიერ შექმნილს აღემატებოდა?

შესაძლოა პასუხი მრავალნაირია.

ოღონდ, ნება მომეცით ვთქვა, რომ მუსიკის შექმნა და რომანების წერა – შესანიშნავი უფლებაა, ბოძებული ადამიანთათვის, და, ამასთან, უდიდესი მოვალეობა.

რაც ყოფილა წარსულში, და რაც იქნება მომავალში, ამაზე აუცილებლად უნდა წერონ ადამიანებმა, რომლებიც ანმყოში ცხოვრობენ. მსოფლიოს თხზვის მეშვეობით უნდა მივმართოთ.

ეს არ გახლავთ: „აქვს აზრი – გავაკეთებ“ ან „არ აქვს აზრი – არ გავაკეთებ“. კაცობრიობას არჩევანი არ გააჩნია, ჩვენ უთუოდ უნდა გავაკეთოთ.

არის აზრი ჩემს რომანებში, XX საუკუნის მიწურულსა და XXI-ის მიჯნაზე რომ დავწერე, იქნებ არც არის, შემდგომი თაობები დააფასებენ? უნდა მოვიცადოთ, რომ დრო გავიდეს.

– თქვენი ნიგნები კომერციული და ინტელექტუალური ლიტერატურის ზღვარზეა განონასწორებული. ბევრი ირწმუნება, კომერციული წარმატების შეწყობა სერიოზულ სამუშაოსთან შეუძლებელიაო. რას უპასუხებდით?

– ახალგაზრდობიდან ყველანაირ ნიგნს ვკითხულობდი: მარჯვედ ამოხვეული მისტერიებიდან თუ სამეცნიერო ფანტასტიკიდან ეგრეთწოდებულ წმინდა ლიტერატურამდე. ვკითხულობდი განურჩევლად.

სხვადასხვა ყაიდის რომანებისგან მრავალი მნიშვნელოვანი რამ ვისწავლე – ასე მცენარეები იკვებებიან ფესვებიდან.

ჩემი რომანები ბუნებრივად ისხამდა ხორცს სხვადასხვა ჟანრის რომანის მნიშვნელოვან ელემენტთა მიღწევის გზით.



საბოლოო მიზანი, რომელსაც რომანში ვაღწევ, დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებში“ იმალება. უბრალოდ ის რომანის დამახასიათებელი მრავალი მნიშვნელოვანი ელემენტი დატვირთული. ყველა ეს ელემენტი ერთ მთლიანობად მშვენიერ სამყაროდ გარდაიქმნება.

ვფიქრობ, მეც ასეთი ფორმა ავიღო ქარგად და ჩავუჯდე „საყოველთაო რომანს“. ალბათ ეს საკმაოდ ძნელია.

ამ თვალსაზრისით, ის, რისკენაც ნებისმიერ ფასად მივისწრაფი, „წმინდა ლიტერატურას“ უახლოვდება.

მიყვარს მარჯვედ ამოხვეული მისტიკები და სამეცნიერო ფანტასტიკა, მაგრამ რის დანერასაც მიველტვი, ამ სახის რომანი არ გახლავთ. მინდა ჩემი რომანი დაწერო, რომელსაც მე დავწერ. ვინმესი კი არა, ჩემი იქნება.

– ზებუნებრივი მოვლენები, რომლებზეც თქვენს ნიგნებში წერთ, ისე უნდა აღვიქვათ, როგორც მეტაფორები, რეალური ცხოვრების მოვლენათა გზავნილები?

– ზებუნებრივი, აუხსნელი მოვლენები, ჩემს რომანებში თუ რატომ ჩნდება, ამას წინა შეკითხვისას გავეცი პასუხი – ბოლომდე მეტაფორაა. რეალურად ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა.

მაგრამ როგორც კი ამის შესახებ წერას ვიწყებ, მეტაფორა რეალურ ფორმას იძენს.

ჩემს თვალწინ – შინაგანად – ეს მართლაც ხდება. ამას ტანით ვგრძნობ. და როგორც თვითმზილველი, ისე ვწერ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომანის ავტორთან ერთად გამოვლიძებულ ადამიანებს შეუძლიათ სიზმარი იხილონ. ვფიქრობ, სწორედ ესაა ავტორის ნიჭიერება, სწორედ ასე ვლინდება მისი განსაკუთრებული უნარი.

– თქვენს ნაწარმოებთა სიუჟეტები თქვენივე პირად გამოცდილებას ეყრდნობა თუ ეს ყოველივე თქვენი წარმოსახვის ნაყოფია?

– 100-დან 90 შემთხვევაში ეს ისაა, რაც ნამდვილად არასოდეს გამომიცვლია. ჩემი საკუთარი ცხოვრება საკმაოდ მოსაწყენი და მშვიდია.

თუმცა, ვფიქრობ, მწერლის სამუშაო წვრილმანი ყოველდღიური ცხოვრებიდან დიდი, ღრმა დრამის ამოკრებაა. ყოველდღიური, წვრილმანი რამეებიდან ამოიღო არსი და გადაადგილო რაიმე განსაკუთრებულში, სიკაჰკაჰეში. ყოველივე ეს ილუზიაა.

შემდეგ მთელი გატაცებით ვუგდებ ყურს სხვა ადამიანთა მონათხრობს. მიყვარს ჩემს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე თვალყურის დევნება. მწერალთა ერთ-ერთი ამოცანაა, არა მარტო დააკვირდე ადამიანებს, არამედ საკუთარი შეფასებებისგანაც შეიკავო თავი.

მათ სხვადასხვა, მთავარ ელემენტთა კომბინირებით საკუთარი ამბები უნდა შეთხზან.

– ოდესმე თუ მოგისინჯავთ ისეთი რამეები, რაც ლოგიკურ გააზრებას არ ემორჩილება?

– ლოგიკურ ანალიზს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. უფრო ისეთი რამეები მიყვარს, რაც შეუძლებელია ახსნა და გაანალიზო.

თუმცა არც ზებუნებრივისა ან ოკულტურის მოყვარული ვარ.

სრულებით არ მაინტერესებს მკითხაობა, წინასწარმეტყველური სიზმრები, მოჩვენებანი, ანომალური მოვ-

ლენები, ამოუცნობი მფრინავი ობიექტები და რელიგიური სასწაულები. შესაძლოა, ეს ყველაფერი მართლაც არსებობს, მაგრამ პირადად მე ამისადმი არავითარი ინტერესი არ გამაჩნია.

რაც მაინტერესებს, არის ადამიანში სიბნელის ერთგვარი ცოცხალი თემა. აქ სხვადასხვაგვარი პროცესები მიმდინარეობს. ყოველმხრივ ვიკვლევ და ვყვები, როგორც სინამდვილეშია. ყოველგვარი ანალიზისა და ახსნა-განმარტებათა გარეშე.

– ფულის გულისათვის მუშაობთ? თუ საკმარისი სახსარი მოგეპოვებათ, თავს უფლება რომ მისცეთ უბრალოდ სიამოვნებისათვის იმუშაოთ. რატომ წერთ?

– ჩემი ყველაზე დიდი ნაღილია, შევქმნა ნაწარმოები – უფრო დიდი და უფრო უკეთესი.

დრო და თავისუფლება – ბევრად სჯობს იმ ყველაფერს, რაც შეიძლება ფულით იყიდო.

უკვე კარგა ხანია, ეს ჩემი უცვლელი მრწამსია. თუ გაქვს დრო და თავისუფლება, დანარჩენი ხელს ვეღარ შეგიშლის, შეგიძლია ძალები მოიკრიბო და შემდეგ რომანს შეუდგე.

გარკვეული დოზით თავისუფლება და დრო შეიძლება შეიძინო, ფული რომ არც გაგაჩნდეს.

მგონია, ყველაზე მთავარი ის კი არ არის, მაქვს ფული თუ არა, მთავარია, როდემდე შეძლებ სული ამომშობილ. ასეა თუ ისე, თვითონ ფულის შოვნა არ მაინტერესებს.

პირადად ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, ყოველდღიურად სპორტით რომ ვარ დაკავებული, ასევე ძველი ჯაზური ფირფიტების კოლექციონერობა. ყოველი შემთხვევისათვის, ამას არცთუ ბევრი ფული სჭირდება.

გავიმეორებ – ჩემი უპირველესი მიზანი ადვილად გასაგები რომანის დაწერაა.

– მე დამწყები მწერალი ვარ და ძალიან მიყვარს თქვენი ნიგნები. ყველაზე ძალიან ის მალეღვებს, რომ საკუთარი თავისა და ნიჭის რწმენა არ გამაჩნია. თქვენც ნაწყდომიხართ ამ პრობლემას? თუ ასეა, როგორ გაართვით თავი?

– 29 წლამდე რომანი არ დამინერია. XX საუკუნის დიდი ნაწილი ფიზიკურ გარჯაში გავატარე.

და ერთხელაც, მოულოდნელად გადავწყვიტე, დამენერა მოთხრობა, დავინყე წერა და მას მერე ვწერ.

ჩემს ლიტერატურულ უნარში ეჭვი არასდროს შემპარვია. მაგრამ არც იმის მტკიცებულება გამაჩნდა, რომ წერა შემიძლია.

წერა ისევე ბუნებრივად დავინყე, როგორც სუნთქვა.

მხოლოდ ვფიქრობდი: „ამბავთა წერის ნიჭი შესანიშნავი რამაა-მეთქი“. ეს ისევეა, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტზე კარგად დაკვრა, ან ფრენის ცოდნა (სინამდვილეში მფრინავი ადამიანები თითქმის არც არსებობენ), ან სრუტის გადაცურვა, ან ულამაზეს ქალად დაბადება.

დაახლოებით ასეთივე არაჩვეულებრივი მადლია.

თუკი თქვენ შეძლებთ დაწეროთ რომანი, იმის მიუხედავად, გაქვთ საკუთარ ძალთა რწმენა თუ არა, უპირველესად სიხარული უნდა მოგანიჭოთ იმან, რომ წერა შეგიძლიათ.

ყველაფრის ნულიდან დაწყება არცთუ ყველას ხვედრია.

დაიბადა 1962 წელს, წალენჯიხაში. 1985 წელს დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა სოხუმის რაიონის მაღალმთიანი სოფლის სკოლაში პედაგოგად, რაიგაზეთში კორესპონდენტად. გაზეთებში „ოქროს სანძისი“ და „კოლხური დიადემა“, ჟურნალებში „რინა“ – პასუხისმგებელ მდივნად. იყო გაზეთ „ცხუმის“ მთავარი რედაქტორი.

აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ, 1993 წლიდან ცხოვრობს ქუთაისში. მუშაობდა ჟურნალ „ბაგრატიის ტაძრის“ პასუხისმგებელ მდივნად, არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტის“ პრესმდივნად. ამჟამად მუშაობს გაზეთ „ჩემი ქუთაისის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები „გარეგანი ფრინველი“ (1996) და „მზის ოთხი წელიწადი“ (2006). აგრეთვე მოთხრობების კრებული „დამსხვრეული ცის ბინადარი“ (2006).

რუსულ ენაზე თარგმნილი მისი მოთხრობა შესულია სახალხო დიპლომატიის ეგიდით გამოსულ სამხრეთ კავკასიის მწერალთა ერთობლივ კრებულში „Ключи от сердца“. აფხაზეთის ახალგაზრდა მწერალთა კრებულში შესული ლექსებისათვის 1993 წელს მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია.

სერგო წურწუმია

იყო ასეთი დრო...

ირაკლის

– იცი რა დრო იყო?!. გსმენია და იცი, რასაკვირველია! საყოველთაო უძრაობის გამო ნიაიცი რომ ვერ გარყეულიყო. ცეცხლი ეკიდა ქვეყნიერებას. სულ რუზრუზით ასდიოდა გახურებულ მიწას არმური. არაფერს გვშველოდა მდინარეც. ჩახვალ – კარგია, გსიამოვნებს, მაგრამ ამოხვალ – უარესი დასიცხული რჩები, ცხიმგაცლილი კანიც გიტკიცინდება ტამბამზე გადაჭიმული ტყავივით და ესეც ზედ ემატება ხუთრით გამოწვეულ ტანჯვას. სადღაც-სადღაც ვახერხებთ თავის შეფარებას. საღამომდე ხომ საერთოდ არ გამოვდივართ ოთახებიდან, გამოსულები ქალაქის ბაღს თუ შევეფარებით, ასწლოვანი ხეების ქვეშ დაფენილი ჩრდილების იმედადლა ვართ დარჩენილები, მაგრამ ეგეც დიდი ნუგეში რომ ვერ არის? ჩვენ – მე და ბადრის კიდევ სხვა სიცხე გვეთაკარება, ინსტიტუტში ჩასაბარებლად ვემზადებით და გაუთავებელ კითხვაში ვართ, ხან ისტორიაში ვიჩიჩენებით, ხან ქართულს ვუტრიალებთ, ხანაც გერმანულს ვუსინჯავთ მისადგომებს. მთელი დღე, გვინდა არ გვინდა, წიგნთან ვყავართ ამინდს მიმწყვდეული, შინაც ჭირს სუნთქვა, მაგრამ გარეთ ხომ მთლად გაუსადღისია!..

გამოვალთ საღამოსპირზე, მზე რომ გადაინწევს ჩასასვლელად, გავიხანტებით ცენტრში დროის მოსაკლავად, ამდენი სწავლის მერე ხომ უნდა მოვისვენოთო, ვუყვავებთ ერთმანეთს, სიგარეტის გემოზე მოწევა მაინც ვერ დავიმსახურეთ, კაცოო?!

გამოხეტიალდება ერთი-ორიც ჩვენსავით მოცლილი და დროის მოკვლის მოსურნე, უფრო საინსტიტუტოდ გამზადებულები ან კიდევ ჯარს ათასგვარი მანქანით თავგარიდებულები, კიდევ ერთი წლით რომ გადაივადეს სამხედრო ფარაჯის ჩაცმა და ამისთვის, რას გაიგებ, რა ვირემშაკობა დასჭირდათ მის მშობლებს.

ჩამოვსხდებით ვინ იცის როდის გაღებულ, ახლა უკვე ჩაუბამებულ ძელსკამზე, ზედაპირი რომ გადაპრიალებული აქვს ამდენი უსაქმურის მასპინძლობით. დააძრობს რომელიმე სიგარეტის კოლოფს, ძირითადად სოხუმის „კოს-

მოს“ ვეტანებით, „აკოს-მოს“ რომ აწერია აფხაზურად. იძახიან მაგის თამბაქო „ფილიპ მორისს“ გააქვს „მაღბოროსთეისო“, მართალი გითხრა, არც კი ვიცი „მაღბოროს“ მაგ ფირმა ამზადებს თუ არა, არც თავგადაკლული მწვეელი ვარ, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ხომ იცი, როგორც ხდება, ერთმანეთის წამხედურობა ჰქვია თუ რაღაც ჯანდაბა... ჰოდა, ამოვიღებთ თითო ღერს გამეტებული კოლოფიდან, ვუკიდებთ ერთმანეთს და ვაფუტებთ სიგარეტს დაგემოვნებით, ხამუშ-ხამუშ ვუშვებთ ბოლს, ჰაერში პირის აღრეცით. ზოგჯერ ხდება, რომელიმე ანგალი შემოგვემატება, „ზდაროვას“ გადმოგვძახებს ან „ობში პრივეტს“ გადმოგვადებს და ჩაემატება ძელსკამის საჯდომით მხეხავებს, ადგილი თუ ვერ დაითრია, ჩაცუცქდება წინ და ამოგვცქერის ისიც სიგარეტის ფულით. ისეც ხდება, იტყვის რომელიმე ახალმოსული, ბიჭებო, მომანევინეთ თქვენი სიგარეტიო, და უარი თუ მიიღო, აბა, ჩვენი მოვნიოთო, ჯინსის უკანა ჯიბისკენ მიაქვს ხელი და აძრობს იქიდან საუკეთესო „ფირმენი სიგარეტის“ ღერს, ცბიერად ჭუტავს თვალებს და საერთო რეაგირებას ელოდება. არც ეს აგვიანებს, იწყება ერთი ხორხოცი და ყაყანი, ლანძღვა და კილვა აფერისტისა, ყოველთვის სხვის ხარჯზე თავის გამტანად რომ ცდილობს წარმოჩენას. მერე ცხრება ეს ალტყინებაც, მოსულიც ეწერება საერთო განწყობაში და ერთიანი სურათის ნაწილი ხდება.

სასაუბროც და სამსჯელოც ერთი და იგივე გვაქვს, შორს არ მიდის ჩვენი სანიერი და სურვილებითაც ერთი და იმავეს ვსურვილობთ, „ეხლა, სიმონ, ერთი მერსედესი, ასიანებით გატენილი ბაგაჟნიკი, შიგ ერთიც კაი ნაშა და სადმე სოჩასთან საგულაოდ“ ... იტყვის რომელიმე და იწყება ისევე გამოცოცხლებული ულაყების ჭიხინი და ხორხოცი. სოჩას ვერ ვცდებით, ის დროა, სოჩა გვაქვს სანატრელი, ბოდრუმს და დუბაის ვინ მოგვაქვავებს, განაგონიც კი არ გვაქვს ჯერ. გაგანია სოციალიზმია ქვეყანაში და ჩვენც კომუნისტების მომავალ მშენებლებად ვეგულებით მშობლიურ პარტიას, რომლის რაიკომიც აგერ, ჩვენს ცხვირწინ არის ახლა, შეიძლება რომელიმე მდივნის ფანჯარაშიც კი ვჩანვართ, ასე უსაქმურად შეყრილები და მოზრიალენი,



მაგრამ ამის გამო უკვე აღარ მოსდევენ და ზღუდავენ ადამიანს, იგრძნობა რალაცნაირი საყოველთაო გაგულგრილება საზოგადოების ყველა ფენაში. ხელმძღვანელებიც აღარ არიან ძველებურად პრინციპულები და მკაცრები, თორემ ჩვენი მამების თაობის ბიჭებს ვინ დაანებებდა რაიკომის წინ ბირჟაობას, „ფეხეოში“ გაგზავნა და მონური შრომითი ბეგარის მოხდა ყველაზე მცირე სასჯელი იქნებოდა და ამის მადლიერებიც უნდა დარჩენილიყვნენ.

როგორღაც შეშვებულია ქვეყანა, მოფოლხვებული, არავინ კითხულობს ხალხის საქმეს, ხალხიც ასევე არაფერს კითხულობს ხელისუფლებისას. ვერც ვგრძნობთ, თუ არსებობს, მით უფრო ჩვენ, რა საქმე გვაქვს მაგათთან? ხომ იცი, ეს პოლიტიკური აგიტაციის დრო-ჟამისგან გახუნებული პლაკატივითაა, სავალდებულოა რომ ეკიდოს, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს, არც ალიქვამენ შინაარსს, რა ახატია, რა ანერია... ერთფეროვნად ქცეული ყოველდღიურობის რეკვიზიტია და მორჩა!

ჩვენს „ვრემიებით“ გამოიზღუდებულ საღამოებს რადიოსადგურ „მონტე-კარლოს“ მუსიკა ალამაზებს, დასავლური ცხოვრების ხელმისაწვდომი ნიმუში. სხვა რამეები ჯერ ნაადრევია, არც „ეფემ“ რადიო არსებობს ჯერჯერობით, ვიდუო ჩვენისთანა პროვინციული „დირკისტვის“ კი არა, დიდი ცენტრებისათვისაც კი იშვიათობაა ჯერ, ცხვირზე „შპილკა“ ნაჭერილი თარჯიმანის საგანგებოდ მოგუდული ხმით დაფონილი უხარისხო გამოსახულებებიანი ვიდუოფილმების ნახვას ერთ-ორ წელში მოვახერხებთ. ჰოდა, მანამდე, როგორც გითხარი, „მონტე-კარლოს“ მუსიკა ჩვენი დილკოთეკაც და „ტანცკლამადაკაც“. „ბიტლზის“ სახელიც მოლწუნულია ჩვენამდე და თმის ბიტელსებით დაყენებაც არის შემოსული მოდაში, ბუტილკა შარვლები და მაკასინები გამოვიარეთ და ახლა ტრაპეცია რანგლერების, ლევისების, მონტანების და სუპერების ეპოქა გვიდგას. სადღაც კუსტარულად რენტგენის სურათზე ჩანერილ უცხოური ჯგუფის ფირფიტას ვიშოვით, არის ტრიალი და ხელიდან ხელში გადაცემა. ვითომ აკრძალულია „ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“, „ბიბისი“ და ამგვარი რამეები, ჩვენც ვითომ არ ვუსმენთ, მაგრამ ვუსმენთ მაინც, ვუსმენთ უფრო ჩვენამდე რალაცნაირად უცნაურად მოსული სახალხო ტრადიციის გამო, რომელსაც მუდამ აქვს მიდრეკილება ჩაიღინოს ისეთი რამე, რასაც ხელისუფლება კრძალავს, ჰქონდეს რაიმე დაფარული, რასაც არავის გაენდობა და მთავრობასთან დაპირისპირების შეგრძნებას გაუმძაფრებს. ორიდან ერთი იყო, რომ ვუკვირდები ახლა: ან ხელი-სუფლება იყო იმდენად დეგრადირებული, რომ ვერ გრძნობდა იმ ჩახშობების და აკრძალვების სრულ აღარსაჭიროებას, ან ხალხი ჰყავდათ ისე გამოთავყანებული, რადიოს მალულად სმენა რომ მიაჩნდა უდიდეს კრამოლად და ამაზე მეტის გაბედვას, ხელისუფლების წინააღმდეგ, ყველაზე საშინელ კომმარშიც ვერ გაბედავდა...

ეე, რითი დავიწყე და საით გავუტიე! მაგრამ სული მინდა გაიგო ეპოქის, შენთვის ბევრი რამ უკვე გაუგებარია და მიუღებელიც, რასაკვირველია, მაგრამ ასეთები ვიყავით და რაც იყო მაგას გიყვებო.

„სიმონ, ერთი რომელმა წაიკითხეთ გაზეთში ნერებულა, ლაბანოვსკი უფრო დიდი ტრენერია, ვიდრე ახალკაციო. იმანო არაფრისგან შექმნა დიდი გუნდი და ამას ამდე-

ნი გენიოსი ჰყავს და გუნდი რომ შეექმნა, რა გასაკვირი-აო!“ – შემოაგდებდა ვინმე და დაინყებოდა ერთი ვაიუშველებელი, თბილისის „დინამოს“ მოვაგებინებდით მსოფლიოს ყველა ჩემპიონატს და საუკეთესო თასს, მაშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები არ ჰყავდა, „დინამო“ იყო ჩვენი ფაქტობრივი ნაკრები და იმის გამარჯვებებს შევხაროდით, ისინი გვეიმედებოდნენ. ჯერ კიდევ არ გვქონდა განულებული ორიოდე წლის წინათ ჩვენს ქალაქში მათი ჩამოსვლის სიხარული. შენგელიას, გუცაევის, დარასელიას, მაჩაიძის და ჩივაძის გვარები გვეკერა პირზე. გაბელია ხომ აქაურობის განსაკუთრებული სიამაყის მიზეზი იყო.

ვიყაყანებდით ახლა ამაზე კაი ხანს, არ დავეტოვებდით ნაკითხულ თუ ყურმოკრულ რამდენადმე საინტერესო ინფორმაციას, გავანათლებდით ერთმანეთს საფეხბურთო მეცნიერებაშიც და მივცხრებოდით ბოლოსდაბოლოს.

ახლა თენგიზა მოგვიბრუნდებოდა, ბიჭ-ბუჭობის ავტორიტეტი, „სვოი ბიჭი“, ქურდი რომ ვერ გახდა, მაგრამ ბევრი არ დაკლებია, ციხეც მოვლილი ჰქონდა და ბევრი ჩვენგანის თვალში ეს უკვე რალაცას ნიშნავდა მაშინ. დინჯი საუბარი ჰქონდა, სხვებისგან გამორჩეული ინტონაცია, კბილებში გამოცრილი წინადადების ერთ ნახევარს რომ გაიგებდი, მეორეს თავად უნდა მიმხვდარიყავი. თითქოს ჭკვიანურად დაგვმოძღვრავდა, – სწავლას თუ ვინმე აპირებს, კარგია, სიმონ, მიხედეთ საქმესო, – გვეტყოდა, მერე შეგვეკითხებოდა – შენ სად აბარებ, რაზე მიდიხარო. ვასიკო იურიდიულზეო – ეტყოდა, – შენო, – თენგო საექიმოზე ეპირებოდა, – შენ საითო – ახლა გოგის ჰკითხავდა, – მე ავტოსანიჟინროზეო – ესეც ეტყოდა, – გაიჩნიკობა გინდა, ბიჭოო, – კბილებში მორის გამოცრიდა ისეც და მე მიბრუნდებოდა, მეც ჩემსას – ვეტყოდი, ფილოლოგიურზე მივდივარ-მეთქი, ამას ვერაფრით გებულობდა, რა მინდოდა ფილოლოგიურზე, ბიჭს რა უნდა მეკეთებინა „აჩკარიკების“ უმაღლესში, ან ვინ უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ არ შეიძინევა მცირეოდენ დაბნეულობას, შებრუნდებოდა სათითაოდ ყველასკენ და იტყოდა, – კარგია, სიმონ, სწავლას რომ აპირებთ, უნდა დაამთავროთ, აბა რა, სიმონ, რომ ჩამოხვალთ იქიდან, შენ მილიციის ნაჩაღნიკად დაგნიშნავ (ამას რომელს გვეუბნებოდა აღარ მახსოვს), შენ – პროკურორად (მეტად აღარ უნდოდა ციხეში წასვლა), შენ – რაიკომის მდივნად (რაიონის ყველა ბერკეტის მოგდება სურდა ხელთ), შენ – მთავარ ექიმად (ნარკოტიკების შეუზღუდავი რაოდენობა ენატრებოდა, ამბობდნენ ერთი ბარობა სწავლობდა და მშობლებმა რომ ჩააკითხეს, ნარკოტიკით გაბრუნებულს მამამისისთვის უკითხავს, დედა და მამა ხომ კარგად არიანო...), შენ... – ჩემკენ მობრუნებული შეყყყმანდებოდა, რა თანამდებობა ეთქვა, ისიც ვერ გაერკვია, რა ხელობა უნდა გამომყოლოდა იმ დაჩემებული ფილოლოგიურიდან, შენ – სკოლის დირექტორადო, – მეტყოდა ბოლოსდაბოლოს, ფიქრობდა, ალბათ, ამისთვის მაინც როგორ არ ივარგებს, რაც უნდა იყოს, უმაღლესი ექნება დამთავრებულიო. ჰოდა, სიმონ, ყველა თანამდებობა რომ ჩვენი გახდება (უკვე მისიანებშიც გავყავდით, რაკი ერთად ვისხედით და ვლაცობდით), ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ შენი კომუნისტები, მაფია მეტი კი არაფერია, სიმონ, მერე ნახე ჩვენი აგულავება! ამბობდა ამას დიდი ნატვრით, რალაცნაირი ნეტარებით. ჩვენ ანგარიშს ვერ

ვადლევდით, რომ შავი სამყაროს ყველაზე საკრალური ოცნება გვემხილებოდა მისი პირით. რას წარმოვიდგენდით, რომ კაცი სქემას გვიხსნიდა, რითაც მაფია აპირებდა ქვეყნიერების ხელში ჩაგდებას...

ახლა ქურდული სამყაროს ამბებს წამოიწყებდა რომელიმე, მოსდევდა ერთმანეთს ათასი და მეტი ენის გამოვლით ჩვენამდე მოსული გარომანტიკულებული თავგადასავლები ჩვენი ნაცნობი, ციხეებში მსხდომი ბიჭებისა, ზოგისაც გარეთ რომ იყო და პარვით და „კაი ბიჭობით“ აპირებდა ცხოვრების გზაზე სიარულს. გაგიკვირდება შენ, ახლა ქურდს და მპარავს რომ ებრძვიან და არ აჭაჭანებენ, ასე კი არ იყო, ქურდები პროკურორებთან აწყობდნენ საქმეებს, ჩემო კარგო, და რა გასაკვირია, ჩვენტოლა ბიჭებში გასასვლის ჰქონოდა კაიბიჭურ გაგებას და ნითლებთან მებრძოლი რაინდების გვირგვინით შემკული პერსონების იდეალიზებას. შეიძლება იმ სამყაროს არ კუთვნივოდი სულისკვეთებით, მაგრამ თავისებურ ზეგავლენას ასე თუ ისე მაინც განიცდიდი. სკოლის ეზოდან რომ თითქმის ყოველდღე იმას შეხედავ, როგორ უკრავს თავს მინამდე ყოვლისშემძლე ქურდის ჩამოვლილ მანქანას მილიციის ორმეტრიანი ოფიცერი, მოტოციკლეტით რომ „მშრომელი მასების“ გასაყველფად არის გამოსული, რაღაც სიმპათია უეჭველად გაგიჩნდება, კია მართალი, ყველაფერს ვერ აცნობიერებ ჯერ ბოლომდე და არ გაქვს მზად პასუხი უამრავ შეკითხვაზე, ცხოვრება რომ გისვამს და მისაგებს არ გასწავლის, მაგრამ ამიტომ არის, ზუსტად ის რომ გესიშპათიურება, რისკენ გახედვაც შემდგომში არასოდეს მოგიჩნდება. და ეს არნდომა მწარე გაკვეთილის მიღებით კი არ იქნება გამოწვეული, არამედ გაანალიზებითა და ჩახვედრით იმ დანიშნულებისა, რასაც ადამიანს ანიჭებს განგება.

მაგრამ ეს მერე იქნება, ჯერჯერობით კი სხვა ილუზიებით შეპყრობილ კომპანიამი ხარ გარეული და მათი აზრი გეძალბება და გეხვევა თავს...

ამ დროს თუ პატარა ქალაქის რომელიმე ლამაზმანი ჩავვიარდა, თავისი უზაკველი კოკეტობით რომ სურდა ჩვენი გულების მონადირება, უფრო სწორად, კი არ სურდა, ქალური ინსტინქტი უბიძგებდა ასე მოქცევას, მაშინ გენახა ამათი თვალების ნაბჯა და ხაზგასმულად ხმამაღალი ოხვრა, გოგოს ყურადღების მისაქცევად. ისიც ღირსების გრძნობით გოროზად შეყრილი წარბებით ჩაუვლიდა ბიჭების ჯგროს ისე, თითქოს არ სიამოვნებოდეს მათ მიერ გამოხატული აღტაცება...

მერე ვილაცა ვილაცას შეეხვეწება, მიდი, მიდი, ის ამბავი მოყევი, საავადმყოფოში რომ დაგანვინესო. ეს ვილაცაც პირველად როდი ჰყვება და ჩვენც ამბავი ვიცით თითქმის ზეპირად, ყოველი წვრილმანი დეტალის გამეორება შეგვიძლია, მაგრამ მოსმენაზე უარს მაინც არავინ ამბობს, ჯერ ერთი, აქ სრული დემოკრატიაა და ვისაც რაც და რამდენჯერაც უნდა, იმას და იმდენჯერ მოჰყვება, მეორეც, გასართობი ამბავია, ქალის შესახებ და რატომ უნდა მოვიკლოთ სიამოვნება?!

ინყებს ის ვილაცაც. ხომ იცითო, – ამბობს მთელი იდუმალების ჩაქსოვებით, – შარშან ზაფხულის მინურულს რაღაც ავადმყოფობა შემეყარაო (ვინც ვიცით ამბავი, გულისგულში ვნატრობთ – ნეტა კი ჩვენც შეგვყროდა იმგვარი

რი ავადმყოფობაო!), დამანვინეს რაიონულ საავადმყოფოში, ინფექციურში, ინფექცია იყო რაღაც, არაფერი საშიშარიო, – ნიკო ექიმმა, – მაგრამ მაინც აჯობებს საავადმყოფოში ინვესო, თქვენც დამშვიდებულები იქნებით და მეც – დაზღვეულიო. დამანვინეს, დამანვინეს. საჭიროა, სად წაუხვალ, უნდა ხეხო მთავრობის ლოგინი ამისთანა პაპანაქება სიცხეში, ნელს როა, არც შარშან იყო ნაკლები. ექიმის დუხი არ მინახავს სამი-ოთხი დღის განმავლობაში. ჩააბარა მედლებს ჩემი თავი, აბა, შენ იციო, დამიბარა და გადაიკარგა. ესენი ხომ სმენობით არიან, მედლები, დაწვევის მეორე დილას შემოვიდა, გოგოა, უკეთესს რას ნახავს კაცის თვალი, მაგარი ნაშაა, დახატული, ძმაო, მაგრამ გარდა იმისა, რომ თვალს მჭრის თავისი სილამაზით, რაში მარგია, ჯერ ქმრიანი რომაა, ბეჭდებზე ეტყობა, თითებზე რომა აქვს აცმული, და მერე კიდევ სიკვდილს ვიფიქრებ და აქ თუ რამე პონტი ავარდება, როგორ წარმოვიდგენ. ვნევიარ ჩემთვის გაყურსული, ან ნემსიდან ნემსამდე ვდგები და გარეთ გამოვდივარ. პაციენტები არ არიან მრავლად და სიხალვათე გაიძულებს ვინმე გამოძებნო, დროის გატარებაში რომ დაგეხმარება. რასაკვირველია, მსუბუქები ვინც არიან, პალატაში რა გააჩერებთ, და არიან გარეთ გამოლასლასებული, ვინ დერეფანში, ვინ კიდევ საავადმყოფოს ბაღში. საავადმყოფო ამ მხრივ ვაგონივითაა, გარემოება გაიძულებს ადვილად გაიშინაურო უცხო ადამიანი და სწრაფად გაუხსნა შენთან მოსასვლელი კარი, თუ არ გინდა მოძულეული და გარიყული დარჩე.

მე აქ ვერავინ ვნახე ამგვარი, ჩემი პალატა ერთი ბენო იყო ისედაც, სულ ორსაწლიანი, მაგრამ იმაზეც არავინ იწვა და მეზობელი პალატაც ცარიელი აღმოჩნდა. ამგვარად ვრჩებოდი სრულიად მარტო, თუ არ ჩავთვლით იმ ხალხს, ვისაც ეზოში დავადგებოდი თავს, ძელსკამზე ჭადრაკის ან შაშის თამაშისას.

არ ვიცი, როგორ გრძნობს კაცი, რომ ქალი შენით დაინტერესდა, ამას ხშირ შემთხვევაში რაიმე აშკარა ქმედება არ გამოხატავს, მაგრამ გუმანი ავტომატურად მუშაობს და ქალის სულში ატეხილი ქარიშხლის თითოეულ აღბეჭდვას ააშკარავებს მისი სახის ყოველი კუნთის გატოკებაში. ქალის მოძრაობა, ქცევის ოდნავი შეცვლაც კი უზუსტესად ფიქსირდება მამაკაცის სენსიტივურობის უსათუთეს დაფაზე, ყოველშემთხვევაში, ასე იყო იმ ქალთან (სახელს არ ვამბობ, რადგან ოჯახის მოიქცევა და არ მინდა პრობლემები შეექმნას, ე, ბიჭო, ნუ მკითხავთ, მაინც არ ვიტყვი!), რომ ვიგუმანე, რაღაც ნამდვილად უნდა ამას ჩემგან-მეთქი, გავთამამდი და სამორიგოდ მესამე მოსვლისას უკვე ლოგინში მენვინა და გახელებით ვუკოცნიდი უმშვენიერეს ბაგეებს (ამისთვის ვნატრობდით ავად გახდომას ჩვენც!), თავადაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მპასუხობდა, მონყურებულივით დამენაფა და, რომ მეგონა, მე ვნეტარებ მისი ალერსით-მეთქი, გამოვიდა, რომ თავად მიილო უდიდესი ნეტარება ჩემთან ურთიერთობით. არ მახსოვს ზღვარი როდის გადავლახე, ერთი საქმეა გუმანობდე ქალის სურვილს და მეორე – გზა მისცე საკუთარ ნდომას და პირველად გაბედო მიალერსება, როცა ბოლომდე არ იცი, რა შეიძლება მოჰყვეს შენი გუმანის შემონმების მცდელობას. მოკლედ, მაჩუქა ულამაზესი წუთები და იგივე წაიღო ჩემგანაც. მერე ეს წუთები საათე-

ბად, დღეებად იქცა და იმ რვა-ათი დღის მანძილზე, საავადმყოფოში რომ გავატარე, უზარმაზარი ნეტარება მერგო. იმდენად დავახლოვდით, გვეგონა, მთელი საუკუნეა ერთმანეთს ვეკუთვნივო. ასე მეუბნებოდა, შენს გამო ქმარი შემიზიზღდა, მაგასთან დანოლა აღარ შემიძლია, მეზიზღება მთელი არსებით და, როცა ცოლ-ქმრული მოვალეობის აღსრულებას მაძალეებს, მხოლოდ შენ მიდგახარ თვალწინ, შენზელა ვფიქრობ, მისი დანახვაც აღარ მინდაო. კიდევ კარგი, რომ რუსეთში უწევს ხშირად სიარული, თითქმის არ არის შინ, თორემ ნამდვილად გავგიჟდებოდი, არ ვიცი, რა მეშველება, შენი გადამკიდე მაგის ამტანი მე არა ვარ, ოჯახის დანგრევა კიდევ არ მინდოდა, მაგრამ ასე, თვალთმაქცობით ცხოვრებასაც რომ ვერ შევძლებ, ამა-საც კარგად ვხედავო. მოკლედ, დიდი თავსატეხი გაუჩნდა საწყალ გოგოს. ის, რომ ჩემზე სერიოზული გეგმების აგება არ ღირდა, თავიდანვე იცოდა, ექსპიშვიდი წლით მაინც ვარ უმცროსი და მერე, ჩემი ოჯახის ამბავიც იცის, მე რომ ქმარგაცილებულ ქალს შინ არ შევიყვან და არც შემაყვანილებენ, მისთვის ცხადი იყო იმთავითვე, თუმცა საკითხი ასე არც დამდგარა, მხოლოდ იმას განიცდიდა, რა მეშველება, ოჯახის დანგრევა თუ მომიწია... არაფერი ოჯახიც არ დაანგრიაო, – ამბობდა, – მოგვწყინდა ერთმანეთი თუ რა იყო, შეიძლება აჯობა საკუთარ თავს და ჩემთან ურთიერთობა ისევე მოულოდნელად განწყვიტა, როგორც წამოინწყო. ჩანს ქმარსა და ჩემს შორის არჩევანი მაინც ოჯახის თუ კეთილდღეობის სასარგებლოდ გააკეთა. ასე რომ, ხდება ამგვარადაც, ყველა წყვილის ამბავი რომანტიკული გაგრძელებით როდია, ნუთიერი გატაცებებიც იკავებენ ჩვენი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს და ბიოგრაფიის განუყრელ დეტალებად გვიხდებიანო.

ახლა კიდევ სხვა მოჰყვებოდა სხვას. ისიც სიყვარულის ამბავი იქნებოდა. ვილაცას ქალი არ ეყოლებოდა „განასინჯი“, ვილაცას სადღაც უკვე მოესწრო ამ გამოცდილების შექენა და ახლა სურდა ამით თავი მოეწონებინა და საკუთარი ინიციატივით იწყებდა ამბის მოყოლას.

მერე ვილაც იტყოდა, „ბოში“ რომ რაჯია (იყო ასეთი ინდური ფილმი, მთელი სამი წელი რომ ტრიალებდა ჩვენს კინოთეატრში და მაყურებელი მაინც არ აკლდებოდა), იმნაირი ლამაზი რომ ვიყო, ვერცერთი ქალი უარს ვერ მეტყოდაო. ვილაც სამძიმრის სერიოზულობით ეტყოდა, მერე-

და, მაგას რა უნდა, ყოველ დღით პირი უნდა დაიბანო, თანაც საპნით, და რამდენიმე თვეში რაჯიზე ლამაზი იქნებო. ახლა ამაზე ატყდებოდა ერთი ვაიუშველებელი. როდის როდის ჩაცხრებოდა უმიზეზო აღტყინების ეს ტალღაც.

მერე ახალშემომატებულითაგან გაუთავებლად აკლდებოდა და ემატებოდა ახალი ხალხი კრებულს, უკვე კინოს ხათრით შინიდან გამოსულებიც შემოგვივლიდნენ, ცოტახნით შეგვრჩებოდნენ, მერე ვილაცას გაიყოლებდნენ, ვილაცა დარჩებოდა, სხვა დაგვემატებოდა. ჯერ იყო და ვილაცა გაბედავდა გამოეჩინა საიდანღაც მოხელთებული მო-

სანევი. ყველასთვის თვალსაჩინოდ დაეყარა ხელისგულზე და ტარიანი პაპიროსის შეკეთება დაეწყო ხაზგასმული თავგასულობით. მერე ასევე თამამად აეხრჩოლებინა სპეციფიკური სუნის მქონე ბოლი და რამდენიმე კაცის მოუსვენარი ცმუკვა და ხვეწნა-მუღარა გამოეწვია, თითო ნაფაზი და გვარტყმევიყო. უარს (გაუბედავს, – გვეწინოდა გომობაში არ ჩაგვთვლოდა) ვინც ვიტყოდით, – რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცესო, ან სად არის თქვენი მოსანევიო! – თითქოს დიდსულოვნებას იჩენდნენ, ან იქნებ გვიფრთხილდებოდნენ კიდევ?! ვინ იცის, ყოველშემთხვევაში, დაძალადეს მოსულა!.. ახლა ამით გათამამებული, დაძაბრობდა უკვე შებინდებულზე რომელიმე იარაღს, უფრო ნაგანი იქნებოდა, დაიწყებოდა სინჯვა, საქმის ვითომ ცოდნით მსჯელობა რევოლვერებისა და პისტოლეტების ღირსებებზე. რომელი რომელს სჯობს, რომელს რამდენზე მიაქვს, ვნატრობდით ჩვენც როდის გვექნებოდა ასეთი კოხტა, შავად მოკრიალე ნაგანი, ნაგანი ყოფილიყო, ყაბულს ვიქნებოდით. მერე ვილაც იმ ნაგანს დოლურას გადაუხსნიდა, ამოიღებდა შიგ თუ ტყვიები ეწყო, ჩატოვებდა ერთ ცალს, დაკეტავდა ისევ, ხელის ჩამოქნევით დაატრიალებდა დოლურას, მიიშვერდა საფეთქლისკენ ლულას და გამოჰკრავდა სასხლეტს. ჩვენ სუნთქვაშეკრულები შეცქეროდით ამ სისხლისგამყინავ გართობას და შინაგანი განგაშით ატანილები ველოდით მის ფინალს. არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ ერთხელაც შეიძლებოდა ეს გიჟური თამაში ფატალურად დასრულებულიყო. ამას ცოტანი თუ ბედავდნენ და მათთან გაპაექრების უფლებას არაფრით მოგცემდნენ. არ მოგცემდნენ ბევრი სხვა რამის უფლებასაც... მაგალითად, ისეც ხდებოდა, ვილაც იტყოდა, – მუშაობისას „სტენკა“ რომ მყავდეს, მაგარ მაყუთს



მხატვარი ნინო დვალი

ბოდნენ კიდევ?! ვინ იცის, ყოველშემთხვევაში, დაძალადეს მოსულა!.. ახლა ამით გათამამებული, დაძაბრობდა უკვე შებინდებულზე რომელიმე იარაღს, უფრო ნაგანი იქნებოდა, დაიწყებოდა სინჯვა, საქმის ვითომ ცოდნით მსჯელობა რევოლვერებისა და პისტოლეტების ღირსებებზე. რომელი რომელს სჯობს, რომელს რამდენზე მიაქვს, ვნატრობდით ჩვენც როდის გვექნებოდა ასეთი კოხტა, შავად მოკრიალე ნაგანი, ნაგანი ყოფილიყო, ყაბულს ვიქნებოდით. მერე ვილაც იმ ნაგანს დოლურას გადაუხსნიდა, ამოიღებდა შიგ თუ ტყვიები ეწყო, ჩატოვებდა ერთ ცალს, დაკეტავდა ისევ, ხელის ჩამოქნევით დაატრიალებდა დოლურას, მიიშვერდა საფეთქლისკენ ლულას და გამოჰკრავდა სასხლეტს. ჩვენ სუნთქვაშეკრულები შეცქეროდით ამ სისხლისგამყინავ გართობას და შინაგანი განგაშით ატანილები ველოდით მის ფინალს. არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ ერთხელაც შეიძლებოდა ეს გიჟური თამაში ფატალურად დასრულებულიყო. ამას ცოტანი თუ ბედავდნენ და მათთან გაპაექრების უფლებას არაფრით მოგცემდნენ. არ მოგცემდნენ ბევრი სხვა რამის უფლებასაც... მაგალითად, ისეც ხდებოდა, ვილაც იტყოდა, – მუშაობისას „სტენკა“ რომ მყავდეს, მაგარ მაყუთს

მოვტყვავდიო. ვინმეს არიფთაგან, ცრუყოყოჩობით შეპყრობილს, წამოფროშა, მე წამოვალო (მომხდარა ასეც!), არავითარ შემთხვევაში არ წაიყვანდნენ, თუკი ამგვარი რამის ჩამდენი არ იყო, შენ შენი გზა გაქვს, ჩვენ – ჩვენი, ცხოვრება რატომ უნდა გაიფუჭო, ეს ხომ შენი საქმე არ არისო, – იტყოდნენ რალაცნაირი დაჯერებულობით, თავმოყვარეობასთან ერთად მოფრთხილების ელემენტიც რომ გამოსჭვიოდა. იყვნენ ასეთები და რა ვქნა, რომ არ ვთქვა, როგორი სიმართლე გამომივა?!. არც ჩათრევა იცოდნენ ძალად რამე სარისკო საქმეში, არც შარში გაგხვევდნენ, თუ ხედავდნენ, რომ მათი გზა უცხო იყო შენთვის და მხოლოდ შემთხვევას მოენყო მათ კომპანიაში შენი აღმოჩენა...

გაიხსენებოდა ვინ იცის მერამდენე კოლოფი სიგარეტი. მოიწეოდა კიდე ერთი ჩამორიგება თამბაქო. ნელა ვიგრძნობდით, დაშლისა და შინ შებუდების დრო რომ მოახლოებულიყო. გაუტყვედა ვინ საით, ვისაც ოჯახი უხმობდა – ოჯახისკენ, ვისაც ღამის ცხოვრების ყოველგვარი ნაირსახეობები – გაუტყვედნენ თავ-თავიანთ არეულ-დარეულ გზებზე და არავინ იცოდა, ხვალინდელი დილის გათენებას ყველა მათგანი ცოცხალი იხილავდა თუ არა.

... მე და ბადრი იმ ზაფხულს სტუდენტები გავხდით. და კიდეც დავშორდით ჩვენს მშობლიურ გარემოს, სულ სხვა ქარტეხილმა გაგვიტაცა და გაგვაქროლა ცხოვრების მარადამოუცნობ სავალზე. მას შემდეგ თითქმის აღარ მქონია იმ ხალხთან ურთიერთობის საშუალება. მით უფრო საზოგადოებრივ ბაღში მათთან ჩაჯდომისა და „ბირჟაობისა“. ნღები ისე მიქროდნენ, მშობლიურ ქალაქში ათასში ერთხელ ვახერხებდი ჩასვლას და ჩემი თაობის ბიჭების ამბებსაც ყურმოკვრით თუ გავიგებდი.

არც მე დავბრუნებულვარ ჩემი ბავშვობისა და სიყმანვილის პატარა ქალაქში სკოლის დირექტორად, არც ბადრი რაიკომის მდივნად... სხვებისა კიდე არაფერი ვიცი, იქნებ ვინმე მართლა გახდა მილიციის უფროსი, პროკურორი თუ საავადმყოფოს მთავარი ექიმი. თუმცა მეექვსევა თენგიზას აქედან რაიმე ხეირი ენახოს, რადგან ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებას საბოლოოდ მოელო მისთვის ბოლო და ერთხელაც წამლით გაგუდული, კაიფში გაპარულიყო უდრტინველად და უხმაუროდ... მაფიას რაც შეეხება, აქ შე-

დარებით რთულად იქნებოდა საქმე, რადგან მისი გზები და ქსელები უფრო დახლართული და ამოუცნობია, ვიდრე თვით ეშმაკის სავალ-საქნარი... მე და შენ რას გავუგებთ, ვინ, როდის და რაგვარად მიეყიდა მას და შეერთო სულწაწყმედილთა ხროვას, ლეგეონი რომ ჰქვია სახელად...

იმ ბიჭების ერთ ნაწილს ცხოვრების გარიჟრაჟზევე შემოალამდა, ნაწილი სადღაც, თეთრი ზღვების და თეთრი ქალების ცივ ქვეყანაში გადაიკარგა უკანმოუხედავად, თითო-ოროლადა შემორჩა მშობელ მინას, ცოლ-შვილ და იმათი შვილებდახვეულებიც ებრძვიან ყოველდღიურობის ნაცრისფერ რუტინას და, ჟამიდან-ჟამამდე რომ შევეყრები, სრულიად შემთხვევით, ორიოდ სიტყვის გადალაპარაკების მეტიც რომ ვერ მოვახერხოთ, საიდანღაც, ბოლომდე შეუცნობელი სანყისიდან გაღვივებულ სითბოს მიტოვებენ გულის საცეცხლურში და მაშინ უფრო ხელშესახებად ვგუჟანობ, რომ მთელი გამოვლილი გზის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, სიბრძნედ რომ ხმობენ ზოგნი და ზოგნი, სიამე თუ ტკივილი, რაც კი მინახავს და განმიცდია, არაფერია სიყმანვილისდროინდელ იმ გულუბრყვილო განზრახვების სისპეტაკესთან, ოდესღაც რომ იზადებოდა ჩემი სულის წიაღში და ცხოვრების დიდ გზაზე საგზლად გაყოლას მეფიცებოდა...

იმ ოცნებათაგან ერთი, მცირე ნაწილი თუ დამრჩა ასრულებული, უმეტესობა უმონყალოდ განადგურდა ყოველდღიურობის მსუსხავ ცეცხლთან ეფემერასავით მიფარვატებული...

მადლობელი ვარ იმ განზრახვების...

მადლობელი ვარ იმ ოცნებების...

მადლობელი ვარ იმ ადამიანების...

იმ შეცდომების და ტკივილების, იმ ტანჯვისა თუ სიხარულების, იმ სიძულვილების, იმ სიყვარულების, იმ მარადიული არყოფნის შეცნობით დაბადებული ძრწოლების...

რომ არა ისინი, მე არ ვიქნებოდი ის, ვინც ახლა ვარ, როგორც ჩამოვისხი სამყაროს სასახმილეში გამომდნარი მადნისაგან... და სხვად ყოფნას ისეც იმად ყოფნას ვარჩევ, რადაც მათი წყალობით შევიქენი...

ხოლო ღირდა თუ არა ამად ყოფნა, ჩემი – მტვრადმი-საქცევი სანყალობელი არსების განსაგები სულაც არ არის...

პარასკევს, 8 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
დოდონა კიზირიას
საჯარო ლექცია

„გლობალიზმის საფრთხეები“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

სამშაბათს, 12 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში
თემურ ნადარეიშვილი
და პაატა ჩხეიძე
ისაუბრებენ

შექსპირის „ჰამლეტი“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

მუზეუმების საერთაშორისო დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი, გამომცემლობა „ინტელექტთან“ ერთად, ახალგაზრდა მწერლის ნინო სადღობელაშვილის შემოქმედებით საღამოს მასპინძლობდა. საღამოზე ავტორმა თავისი პირველი წიგნი: „ბამბაზის სამოთხე“ წარუდგინა შეკრებილებს და თავისი ლექსები და მოთხრობები წაიკითხა.

„ვუძღვნი მეგობრებს – რომლებიც იყვნენ, რომლებიც იქნებიან. ანმყო მარადისობა“, – წაუწერია ავტორს თავისი პირველი კრებული სათავის, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ მოამზადა. მისი სტრიქონები „კალთაში წინილებივით ჩაწყობილი მოგონებებია“ – ავტორის სულის წიაღში დაპურებული, სიკეთითა და სიყვარულით ნასაზრდოები, მხატვრული სიტყვის ნაკადულთან დარწყულებული, პოეზიის გუმბათებისაკენ ასაფრენად დაფრთიანებული...

ხან ტკივილიანი...

ხან ღიმილიანი...

უცნაური სევდით გაჯერებული...

საცნაური ფიქრით აკინძული...

ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაზე საუბრობდნენ შეკრებილები. მის პირველ კრებულს აფასებდნენ ლევან ბრეგაძე, ემზარ კვიციანიშვილი, დავით გოგიბედაშვილი...

ფლეიტაზე უკრავდა მე-20 სამუსიკო სკოლის მოსწავლე ანა სულიაური.

უსმენდნენ ახალგაზრდა მწერლის უკვე ასე ახლობელ სტრიქონებს შეკრებილები –

ხან ტკივილიანი...

ხან ღიმილჩამდგარნი...

„ადამიანად ყოფნის სევდას“ და სიხარულს ნაზიარებნი...

ამ გრძნობას განემსჭვალა თითქოს ყოველივე ირგვლივ, აი, ის ათასფრად აფერადებული ნახატებიც კედლებზე – ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი იმ დღეს რვა წლის დავით ფანქველაშვილის ნახატების პირველ გამოფენასაც მასპინძლობდა.



ნინო სადღობელაშვილი

და თოთო ხელებს ჩვენს ზღაპარში

ტკბილად ანობენ...

გვიხდება თოვლი

და იები თხელი ჩრდილის ქვეშ,

ვერავინ ამჩნევს – განთიადზე გვეწვის ლანგები,

სიცოცხლემისჯილ სიყვარულის ბინადრები ვართ,

დატოვებ სევდა, შეგინახავთ,

ჩვენ ვართ ნაძვები.

შუალამის იაჰანანა

ხეებს და ნისლებს და ტყეებს რომ გავივლი,

მტვერი რომ აუფა ნაბიჯებს.

და ჩემგან გახდილი ცა რომ ემგვანება

თეთრსა და უწყინარ საგიჟეთს!..

რტოებს რომ დავიქნევ-შვინდისფერ მარაოს,

ტყემლების გამცვივა ჟრიალი.

და ფეხს ავუჩქარებ და შევკრავ კამარას

და გადმოვეშვები რიალით!..

არ გეძინა შეგამჩნიე

დაუფალო მზეო.

შავკაბით ჩამოგიჯექი

წითელ ლოგინზეო...

მინდვრები. მინდვრები ქარებს რომ მიანდე,

როგორც საკრავები – მომღერალს...

ნეტა ამაღამაც არ დამაგვიანდეს,

ბგერების ღვარცოფი მოვხელო!

წამოვწვე მაგ შენი ზურმუხტის ბოლოზე,

თავქვე ამოვიდო მდინარე

და ვინვე... დავინვე მზეების კორომზე,

პროფილი მიგავდეს მინარეთს...

მეგობრებს

ჩვენ ვართ ნაძვები

მწვანე სისხლით გვიპყრია გული.

ჩვენ ერთმანეთი დიდხანს გაეძელებით

და უნატიფეს გაზაფხულშიც,

მყინვარ ზამთარშიც,

ვიარეთ დამდგარ გზების გასწვრივ

დაუქანცველად

ჩვენ ვართ ნაძვები.

და რალაცით ერთმანეთს ვგავართ.

ხანდახან მწვანე აკვარელით უშნოდ გვბაძავენ

გარშემო მთელი სამეზობლო ათასჯერ გახმა,

ჩვენ მაინც ვცოცხლობთ.

გარდაცვლილთა ხსოვნის საცავი.

ჩვენ ვართ ნაძვები.

დიდი ვნებით ვუყვარვართ ბავშვებს,

თოჯინებით ოცნებების ჩვარში გვანვენენ,

გვიკობტავებენ მწვანე ჭალარას,

ფუტკრებით გვეტანებიან

შუბლზე ცვარი მოგინმინდე
 გული მოგანდო,
 გეძინა თუ არ გეძინა
 მზე შემოგანთო...

**შავკახიან მკლავებზე
 დარღებს გაათევო?..**

ბალახით სარეცელს ლამაზად მოვირთავ,
 დავგეშავ ნაზამთრალ ბელურებს
 და მოვალ მარჯვნიდან და შვილებს მოვიყვან
 და ქარვის სიმშვიდეს შევყმუვლებ!..
 როგორ გაგვითოვდა სიშორე მე და შენ,
 რა მყუდროდ, რა ძლიერ თოვდა!
 ვერხვების, ჭადრების, ცაცხვების კიდეში
 ვაი მარტოდმარტო მდგომთა!..
 მე შენი ფესვების სამშობლო მახარებს,
 მოვალ და დავიწყოთ თავიდან.
 და კვლავ გაგიფიქრებ და მოვალ ახლავე
 და ციდან სამარხებს გაუვტან!..

გულზე ყური მოგაპყარი
 ჩუმად გისმინეო
 ნეტა ჩემო უძინარო
 მღერი ვისთვიმეო?..
 იას ნანა, ვარდებს ნანა,
 სიზმრის ჭირიმეო...

პოეტი პოეტს

სადა ხარ ახლა... გამოტკბილდა ჩაიში თოვლი,
 თეთრი ნემსები გამოისხეს ქოთნის იებმა.
 სავარცხლით მაჯებს გადაიხსნის ხვალ შენი ცოლი
 და ღრუბლის ცხენებს საიქიოს კარზე მიაბამს.

გვინდოდა ყოფნა... სასწაული გამონაგონი,
 ცის ნამცეცხვებით ვაპურებდით ციცქნა ბელურებს.
 მხრებზე მოვისხი ძველი სევდა – დედის ნაქონი
 და შვილებს თავზე ვერხვის ჭერად გადავხურე.

ასე გირჩიეს მოლაპლაპე შენმა სიზმრებმა?..
 შემოგაპარეს მარტოსული თავისი თავი.
 მერე ლექსები დამიშინე ელდის ისრებად,
 ქვეყანას მოსდე დასაწყევლი ჩვენი ამბავი...

სადა ხარ ახლა... ბილიკები რომლები მოვლე?!
 და ცალი ცრემლით შეგიფარეს ვისმა ღანვებმა?
 სავარცხლით მაჯებს გადაიხსნის ხვალ შენი ცოლი
 და მოელვარე სამელნეში შევებით ჩანვება.

* * *

ნაკადულში ტივტივებს ფოთოლი.
 გარშემო მხოლოდ ღრუბლებია და
 თხელყდიან მინდორს
 ცალად მოუდის ნაკადული,
 ფოთოლი საიდან გაჩნდა?..
 რომელ ნიავს გადმოყვა, ან
 გულში რა უდევს,
 სადაურ სევდას უსველებს ტალღა?..
 გარშემო ერთი ხელისმოსმა
 სიკამკამეა და აუმღვრეველი,
 ნათელი ჭავლი,
 ფოთოლი იქნებ ზედმეტიც იყო...
 ვითომ უცაბედად ნიავს გადმოყვა,
 მიწის სუნი და ხის ჰაერი გადმოიყოლა,
 აუტანელი სიმსუბუქით
 ნაკადულის ჩქერში ჩანვა და
 ატივტივდა.
 მაინც რას უნდა ნიშნავდეს
 არსაიდან მოსული ფოთოლი,
 ოკეანისკენ თავდავინწყებით რომ
 მიჰყვება ნაკადულს?!..

* * *

მუნჯი შვილი მეყოლება...
 ფართოდ გაახელს თვალებს და პირსაც დამიფჩენს.
 პირველად როცა დამენახვება,
 მაგრამ ჩემი სულის წყალი
 ექნება ნაყლაპი
 და პანანინა, გაფშეკილი თითებით
 მანიშნებს მხოლოდ, რომ: მადლიერია...
 ბალახზე გავზრდი.
 პირველი ბგერები რძის წვეთებივით
 ტუჩზე რომ მოადგება,
 შუადლის მუსიკას ხმამაღლა ჩავურთავ
 და ჩემს მკლავებში გამოვაყრუებ.
 (დიდი თვალები დასჩემდება ჩემს შვილს,
 წარმოუთქმელის უნებურად გამომხატველი...)
 რამდენ ბალახს მოიცვლის
 და გოცების ყრუანტიელს
 თრთვილად დაუფენს პატარა ტანით.
 რამდენჯერ კალმის წვერზეც წამომედება,
 უშველებელ თვალებს შემომახელს
 და სიტყვას გამიჩუმებს,
 ძლივს დაძრულს შორიდან
 ქართან გავაძიძავებ,
 იისფერად ამოსტვენას ასწავლის ქარი
 და ლელვისაგან ხშირ-ხშირად დაღლის.
 (ეს კი კარგია...)
 კალთაზე არ გამოვიბამ.
 აკეთოს, რაც უნდა. ნავიდეს, სადაც უნდა.

დაიმეგობროს ჩიტბატონები
და თამაშისგან ფერშემთბარმა
იმათებრი ხმები გამოსცეს,
მომენატრება და სიჩუმეში მოვიკითხავ.
ერთი ბავშვი მდუმარება –
ერთი ოთახი.
მოდით და სავარძლებზე ჩამოუსხედით,
მოიტანეთ ფუნჯები, საჭრეთლები,
კალმები (დანები თუნდაც)...
ვილაპარაკოთ, ავაფსოთ ეს ოთახი
სიტყვებით და ემოციებით,
გამოვთალოთ ენადაუდგმელი
შთაბეჭდილებები,
ფერებად ჩამოვქნათ
ვერასდროს ნათქვამი: „გაზაფხული
დედიკო, თოვლი...“
ავახმაუროთ, ავამეტყველოთ
უბგერო ჟრჟოლვა
და გავიტანოთ ბავშვის ოთახიდან სიჩუმე.
ოლონდ გავიტანოთ დიდთვალეა სიჩუმე.
რომ მერე, ათას გზაზე ნანანალებმა
მთვარეჩარგულ მიწას
სიმწრით არ ჩავლმუკლო:
„რისი თქმა გინდოდა და
ვერ თქვი!..
შენი სულის წყალი შვილმა ჩაიგუბა“.
წყალობად მიიღეთ შვილები.

* * *

გამოგვეგონა ათასგვარი კერძი და ნუგბარი
და უსაშველოდ გემრიელ ოხშივარში ჩაგვეხრჩო
ნამოტიკებული უგუნებობა.
როგორ არ ვიფიქრეთ:
როგორები ვიქნებოდით შვილიშვილებში,
მხრებმოფუთნული ფილოსოფოსები თუ
დაღლილთვალეა ჯამბაზები...
როგორ ამაყად შემოვისხამდით
ბავშვებს მუხლებზე
და უკიდევანო წარსულიდან
მომავლისკენ გაეკანებდით.
როგორ ძალიან დაგვამსგავსებდნენ ქუჩის ბელურებს,
ასაფრენად ყოველთვის რომ მზადა აქვთ ფრთები.
სიკვდილთან ახლოს, მთლად მის ფერხთით –
როგორ მტკიცედ მივიდოდით მე და შენ
და, რას გეტყოდა მაშინ ჩემი გული,
ბალღივით შენს გულს ამომაცქერალი –
– ახლა საითო, ბატონო... (?)...

ერთად სიბერეზე ფიქრი დაგვაინყდა.
დრო სიყვარულში შემოგვეხარჯა.

* * *

ერთად სიბერეზე უნდა გვეფიქრა...
სულები ამ ფიქრში
ცხვრებივით შეგვედენა და
გავყურსულიყავით...
უნდა გვეოცნება,
როგორ ერთად გავიდოდა წლები,
როგორ ნაზად ჩამოგიბერტყავდი ხოლმე
საყელოზე დაცვენის ჭაღარას
და, შენც ჩემს ტყუპ ნაოჭში
მზის სხივებს ჩაანყობდი,
ჟრუანტელის წამოსანთებად...
უნდა გვეფიქრა,
როგორები ვიქნებოდით ოცი ან უფრო მეტი
წლის შემდეგ
მე – შენი ლექსის დიასახლისი,
შენ – მოელვარე ჩემი ბატონი.
უფლებები დიდი ხნის წინ
ქართან ღამეში რომ დავინაწილეთ
და მშობლების ნაცვლად
გახუნებული ფრესკებისგან ავიღეთ კურთხევა...
ოთახებზეც უნდა გვეფიქრა –
როგორ დააცვდებოდათ კედლებზე ფერი
და რა იქნებოდა ის მუსიკა,
ცხელი უთოს ქვეშ რომ აამლერებდა
ხანდახან მონატრების ცრემლით დანამული
ჩვენი ტანისამოსი...
სალათებზეც უნდა გვეოცნება –
ერთადყოფნის ფერად დღესასწაულზე,

* * *

წარმოიდგინე, რომ წევხარ
მისი სუნთქვით სავსე ოთახში
და არ გეძინება.
წარმოიდგინე, რომ ის გვერდით გინევს,
შაბიამნისფერ აბრეშუმში ნიავეით შეყუჟული
და ბავშვივით ფშვინავს.
შენ ცდილობ, მის გულს მიაყურადო
და ჰაერში სიგარეტის კვამლით გადმონერო
მისი ნატიფი კარდიოგრამა.
წარმოიდგინე?..
და, არ დაგავინყდეს,
თავქვეშ მკლავი შეუცვალო
და გაგალიმოს ამ უწყინარმა, ხორბლისფერმა ტვირთმა.
მერე ირიდებ მის თავსაც, ზურგით
კედლისკენ ტრიალდები,
სადაც შუალამის ჩრდილები ცეკვავენ
და შენც, შენც – უძინარო, ღამეც ცეკვაზე გეპატიჟებიან.
გახსენდება ძველი, შეშლილი ღამეები,
მაისის გველივით – შენივე კანიდან გამოძრომა,
შენივე გულის ნაკვერჩხალზე შიშველი წოლა

და აღტაცების მსხვილი ხორკლი.
 სხეულზე ბატონებივით გამოფოთლილი,
 მარტო შენი განსაცდელი, გად-მო-სა-ნე-რი!..
 ახლა კი წევხარ და შუალამის ჩრდილებს
 მზერით ჭამ.
 სად გაქრა ძალა, რომ წამოდგე?
 სად, რომელ სკამზე მიაფინეთ
 შენ და იმან „გასამზეურებლად“?
 სად, რომელ წუთში ჩაგეკარგათ.
 მძივის თვალივით
 და მთელი თქვენი ერთადყოფნაც
 მისი ძებნაა მხოლოდ...
 მუხლებით ხოხავთ იატაკზე
 და მას დაეძებთ,
 ჭუჭრუტანებში იჭყიტებით,
 ხალიჩების ქვეშ... სად აღარ ძვრებით...
 და ხანდახან, ძებნაში გართულები
 ერთმანეთს მსუბუქად რომ შეენარცხებით!..
 ღრუბელი ღრუბელს წამოედოო.
 პოეტები მაინც იტყოდნენ...
 მას ახლა სძინავს და თავის სიმშვიდით
 გიდასტურებს, რომ ხვალ იპოვით.
 შენ გჯერა მისი, აბრეშუმის სული აცვია.
 წარმოიდგინე, რომ გჯერა მისი.
 და უცებ... (ესეც წარმოიდგინე!)
 ის მძიმე ამოოხვრით ირწევა უცებ.
 თავს იმძინარებ.
 (რა ნაცნობია ეს მოძრაობა! – სიზმრით არა,
 უფრო ხილვით, ან ზმანებით დაფეთებულის).
 ის ჩუმად ტრიალდება შენკენ,
 წამით დაგხედავს.
 შენ გრძნობ მის თვალებს, აწრიალებულთ.
 (ასეთი თვალებით მიდიან ხოლმე ცოლები საღალატოდ!)
 თავს იმძინარებ.
 ის შაბიამისფერ ნიავს ხელისკვრით იხდის
 და შენ გიტოვებს.
 (ესეც – მაისის გველი!)
 მთვარის შუქზე, შუალამის ჩრდილებისკენ მიემართება.
 (... ახლა რას იზამს?.. ვაითუ!..)
 თავს იმძინარებ.

* * *

ფარდებიც კი, რაღაც უცნობი სინათლით ეგებებიან.
 ჯდება მაგიდასთან. უფრაში კალამი აქვს.
 ჯდება ზურგით – შენი სანოლისგან
 და შენ გრძნობ თვალებს, რომლებითაც
 ის ფურცლებზე დაიარება.
 გღალატობენ ცოლის თვალები!..
 და შენ არ იცი, თავს რით უშველო,
 როცა მეორე დილით, მაგიდაზე ლექსი დაგხვდება –
 წუხანდელი ღალატის შვილი...
 წარმოიდგინე, რომ წევხარ
 მხოლოდ შენი სუნთქვით სულმეხუთული
 ოთახში მარტო
 და თავს იმძინარებ.

წარმოიდგინე?..
 და, არ დაგავიწყდეს,
 გათენებულზე შეუქო ლექსი
 და სიახლეებს შენც დაპირდე.
 მაინც სიზმარია და მაინც.

ბავშვობის პური

ფანჯრიდან ვხედავ:
 ასკინკილით მორბის ჩემი ბავშვობა
 და უშველებელ რიგში მონაპოვარ
 ცხელ პურს მოათრევს.
 კართან დავხვდები დედასავით,
 პურს გამოვართმევ,
 სირბილში გაშლილ სულის ნაწნავს
 კობტად ჩავუნწავ
 და დაეშვება თავქვე ღიღინით.
 დატრიალდება ჩემს ოთახში
 თავთავის სუნი,
 ცხელი მზე ფეხით გადმოირბენს პურის ყუაზე,
 მოესევიან ბელურები კანგაცლილ ფანჯრებს
 და ამ დილასაც... ამ დილასაც გვექნება პური:
 დაორთქლილ გულში სევდიანად ტყვიაგაჩრილი.
 რა ლამაზია ანგელოზო: პურში ქიშმიში!..

ორჰან ფამუქმა ახალი რომანი დაასრულა

თურქმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა
 ორჰან ფამუქმა ახალი რომანი დაასრულა.

გერმანულ ჟურნალ „შპიგელისათვის“ მიცემულ
 ინტერვიუში ავტორმა თავის პირმოს „ამბიციური
 ნიგნი“ უწოდა, რომელზე მუშაობასაც 10 წელი
 დასჭირდა. „უბინოების მუზეუმის მოქმედება
 სტამბოლში ვითარდება 1975 წელსა და დღევანდელ
 დღეს შორის. ნიგნში საუბარია „აკვიატებულ ვნებასა“
 და პასუხის ძიებაზე „რა არის სიყვარული“. რომანის
 არავითარი დეტალები არ ხმაურდება.



პიტირიმ სოროკინი

თანამედროვე კრიზისი დასავლურ ნაცივ სელოვნებაში

კრიზისის ბუნება მდგომარეობს გრძნობადი ფორმის რღვევაში, რომელიც გაბატონებული იყო უკანასკნელი ხუთასი წლის განმავლობაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში გრძნობადმა ხელოვნებამ მიაღწია სიმწიფის სტადიას და ამ დროიდან თანდათანობით ხდება უნაყოფო და შინაგანად წინააღმდეგობრივი. ამგვარი მზარდი უშინაარსობა ხდის ხელოვნებას სულ უფრო და უფრო სტერილურს და გვაშორებს მისგან. მისი მზარდი შინაგანი წინააღმდეგობა აძლიერებს მისთვის დამახასიათებელ დუალიზმს და ანგრევს მის ერთიანობას, ე.ი. მის ბუნებას.

ჩვენი გრძნობადი ხელოვნების მიღწევები წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით უფრო სრულყოფილია, ვიდრე სხვა საუკუნეებისა და კულტურის გრძნობადი ხელოვნება.

რაოდენობრივად ჩვენმა კულტურამ შექმნა ხელოვნების ნაწარმოებები უმაგალითო, – როგორც მოცულობით, ასევე ზომით. ჩვენი ხელოვნება აქამდე არნახული გაქანებით აღწერს მასების ცხოვრებას. იგი აღწევს სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში და გავლენას ახდენს ცივილიზაციის ყველა ნაყოფზე. თუკი ადრე მუსიკა, ნახატები, ქანდაკებები, პოემები და დრამები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ რჩეული უმცირესობისათვის, რომელსაც ბედმა გაუღიმა აღმოჩენილიყო იმ ოთახში, სადაც ასრულებდნენ მუსიკას, გამოფენდნენ ნახატებს ან ქანდაკებებს, ამჟამად თითქმის ყველას შეუძლია დატკეპს საუკეთესო ორკესტრთა მიერ შესრულებული სიმფონიითა და საუკეთესო მსახიობთა მიერ შესრულებული დრამებით, ენერჯის ერთიბენო ხარჯვით ყველას შეუძლია პირისპირ აღმოჩნდეს ხელოვნების საგანთან. ეს ხელოვნება შემოვიდა თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სილამაზე და ხელოვნება გახდა მთელი დასავლური კულტურის რუტინული კუთვნილება, რომელმაც გავლენა მოახდინა მთელ ჩვენს სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე.

ჩვენი ხელოვნების სხვა მნიშვნელოვან ღირსებას წარმოადგენს მისი უსასრულო მრავალფეროვნება – ყველა გრძნობადი ხელოვნების ტიპური ნიშანი. ის არაა შეზღუდული ერთი რომელიმე სტილით ან სფეროთი, როგორც წარსული ეპოქების ხელოვნება. ისე მდიდარია თავისი მრავალფეროვნებით, რომ ყოველგვარ გემოვნებას შეუძლია იპოვოს სათავისო შეთავაზება. ჩვენს ხე-

ლოვნებაში ყველა სტილი თანასწორია. ის მოგვავიწყებს ენციკლოპედიას ან გიგანტურ უნივერსალს, სადაც თითოეულს შეუძლია მოიძიოს ყველაფერი, რასაც ეძებს. ასეთი მრავალფეროვნება და ამასთან ამგვარი ფართო არჩევანი, არ იცის არც ერთმა წარსულის გრძნობადმა ხელოვნებამ.

ჩვენი გრძნობადი ხელოვნება თავის თავში შეიცავს რღვევისა და დაშლის ვირუსებს. ეს პათოლოგიური ვირუსები თანდაყოლილია.

პირველი: ტკობისა და სიამოვნების მინიჭების ფუნქციას გრძნობადი ხელოვნება მიჰყავს რღვევამდე იმის გამო, რომ მისი ერთ-ერთი საბაზისო სოციალურ-კულტურული ღირებულება ჩამოჰყავს გრძნობადი სიამოვნების მარტივ დონემდე – „ღვინო-დუდუკი-ქალები“.

მეორე: მცდელობა, სინამდვილე გამოხატოს ისეთი, როგორც იგი გადაიშლება ჩვენი გრძნობათა ორგანოების წინაშე. ხელოვნება თანდათან სულ უფრო და უფრო ილუზორული ხდება, რომელიც არ ასახავს გრძნობადი მოვლენების არსს, ე.ი. ნილად ხვდა გახდეს ზედაპირული, უშინაარსო, არასრულყოფილი და მაცდუნებელი.

მესამე: დიდი წარმატების მქონე გრძნობადი და სენსაციური მასალის ძიებაში, როგორც აუცილებელი პირობა გრძნობადი ტკობისა და სტიმულაციის გამონვევის, ხელოვნება გადაიხრება პოზიტიური მოვლენებიდან ნეგატიურისაკენ, ჩვეულებრივი ტიპებისა და მოვლენებიდან პათოლოგიურისაკენ, ნორმალური სოციალურ-კულტურული სინამდვილის სუფთა ჰაერიდან სოციალური ლექისკენ და საზოგადოდ ხდება გრძნობადი რეალობის პათოლოგიურ და ნეგატიურ ფენომენტთა მუზეუმი.

მეოთხე: მისი მომხიბლავი მრავალფეროვნება აგულიანებს უფრო მეტი მრავალგვარობის ძიებისაკენ, რაც იწვევს ჰარმონიის, მთლიანობის, წონასწორობის რღვევას და ხელოვნებას აქცევს ქაოსისა და არათანმიმდევრულობის ოკეანედ.

მეხუთე: ეს მრავალფეროვნება სწრაფვასთან ერთად, ადამიანებს მიანიჭოს მეტი ტკობა, იწვევს სულ უფრო მზარდი ტექნიკური საშუალებების გართულებას, რაც თავის მხრივ იწვევს მათ ლოგიკურ დასასრულს, ეს კი არის – ზიანი, მიყენებული სახვით ხელოვნებათა შინაგანი ღირებულებებისა და ღირსებებისადმი.

მექვსე: გრძნობადი ხელოვნება – ესაა პროფესიონალთა მიერ შექმნილი ხელოვნება ხალხისათვის. ასეთი სპეციალიზაცია გრძნობადი ფორმების განვითარების უკანასკნელ სტადიაზე, იწვევს ხელოვნების დაშორებას მისი რეპრეზენტაციური ერთიანობიდან.

ბერძნული ხელოვნება ძვ. წ. III საუკუნემდე და შუა საუკუნეთა ხელოვნება არასოდეს დაცემულა გართობისა და მომხმარებლობის დონემდე. ის იყო დიადი, მშვიდი, მქადაგებლური და გამაკეთილშობილებელი, რელიგიური და იდეალისტური, ინტელექტუალურად, მორა-



ლურად და სოციალურად შთამბეჭობელი. ის სავსებით უარყოფდა ნეგატიურ სანქციას, რომელიც გარს აკრავს ადამიანსა და სამყაროს; უხეში, უხამსი, ადამიანური ღირსების მომსპობი ან პათოლოგიური მასში ადგილს ვერ პოულობდა. ხელოვანის შემოქმედება თვით მისთვის იყო, როგორც ღმერთისა და კაცობრიობისათვის სამსახური, მისი რელიგიური, სოციალური და მხატვრული მოვალეობის შესრულება.

თანამედროვე ხელოვნება თანდათანობით ხდება საქონელი, უპირველეს ყოვლისა გასაყიდად წარმოებული რელაქციისათვის, მოხმარებისათვის, გართობისა და სიამოვნებისათვის, გადაღლილი ნერვების სტიმულაციისა და სექსუალური ალგზნებისათვის. ემსახურება ბაზარს და ამიტომაც არ შეუძლია მისი მოთხოვნების იგნორირება. ხელოვნებას თვითონ არ შეუძლია თავიდან აიცილოს ვულგარიზაცია. ნაცვლად იმისა, რომ ალამალოს მასები საკუთარ დონემდე, პირიქით, ეშვება მასებამდე. იძულებულია ფაქტობრივად უგულვებლყოფს ყოველგვარი რელიგიური და მორალური ღირებულებანი, ვინაიდან ისინი იშვიათადაა „გასართობი“ და „სასიერო“. ამის გამო სულ უფრო და უფრო სცილდება კულტურულ და მორალურ ღირებულებებს და თანდათანობით გარდაიქმნება უმინარსო ხელოვნებად, ეფემისტურად წოდებულ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. იგი ამორალური, დესაკრალიზებული, ასოციალური და უფრო ხშირად, უზნეო, ანტირელიგიური და ანტი-სოციალურია.

ხელოვნებას, როგორც კომერციულ საქონელს გართობისათვის, სულ უფრო ხშირად ზედამხედველობენ საქმოსნები, კომერციული ინტერესებითა და მოდის მონაბერი. მაგრამ ყოველგვარი საქონელი ბაზარზე შედარებით ხანმოკლეა და, თუკი თანამედროვე ხელოვნას არ სურს შიმშილი, არ უნდა შექმნას დროის ახირებისა და კაპრიზებისაგან დამოუკიდებელი, მარადიული ღირებულებანი. სწორედ ამის გამო იგი აუცილებლად იქცევა საბაზრო ურთიერთობათა მონად, რომელიც თავის „საქონელს“ „ანარმოებს“ მოთხოვნათა საამებლად. ასეთ ატმოსფეროს მივყავართ მასობრივი პროდუქციის გარდამავალ „პიტებსა“ და დღემოკლე „ბესტსელერებთან“. ამგვარი ვითარება კომერციულ საქმოსანთაგან ქმნის მშვენიერების უმაღლეს შემფასებლებს, აიძულებს ხელოვნების ოსტატებს დაემორჩილონ მათ და მასთან ერთად რეკლამისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით თავს მოხვეულ მოთხოვნებს. ეს საქმოსნები, რომლებიც აძალებენ თავის გემოვნებას ხალხს, ამით გავლენას ახდენენ თვით ხელოვნების განვითარებაზე.

თანამედროვე ხელოვნება, როგორც გართობის წმინდა საშუალება, ბუნებრივია, გადადის სხვა სტატუსში. აბსოლუტურ ღირებულებათა სამეფოდან ეშვება სასაქონლო ღირებულებათა წარმოების დონემდე. ხელოვნება იქცევა მხოლოდ დანართად ყავის, წამლის, ბენზინის, საღებავი რეზინისა და ყოველივე მსგავსის რეკლამისათვის.

ხელოვნების ღვთაებრივი ღირებულებები კვდება ხალხის წარმოდგენაშიც. საზღვარი ჭეშმარიტ ხელოვნე-

ბასა და პირწმინდა გართობას შორის წაიშალა: ჭეშმარიტი ხელოვნების სტანდარტები ქრება და თანდათან ხდება მათი შეცვლა ფსევდოხელოვნების ყალბი საზომებით. ასეთია პირველი ნიშნები ხელოვნების, ხელოვანისა და თვით ადამიანის რღვევისა, რომელსაც შეიცავს გრძობადი ხელოვნების განვითარება.

გრძობადი ხელოვნების მეორე სენი მჟღავნდება მის ტენდენციაში – გახდეს სულ უფრო და უფრო ზედაპირული თვით გრძობადი სამყაროს ასახვასა და აღდგენაში.

გრძობადი ხელოვნების ძირითადი მიზნებია – გაართოს, სიამოვნება მიანიჭოს, ალაგზნოს ან მოაღუნოს ადამიანები. ძირითადი გრძობადი ღირებულებები, მრავალჯერადი გამეორების გამო, კარგავს თავის მომხიბლაობასა და სიახლეს, ხდება მოსაბეზრებელი და ბანალური, სიახლის გარეშე ხელოვნება კარგავს გასართობ დანიშნულებას. მიმზიდველობის შენარჩუნებისათვის ხელოვნება იძულებულია ამგვარ პირობებში გაზრდილი სიჩქარით გადავიდეს ერთი ობიექტიდან, მოვლენიდან, სტილიდან და მოდელიდან მეორეზე. აქედან მომდინარეობს გრძობადი ხელოვნების სულ უფრო მზარდი ზედაპირულობა რღვევის გვიანდელ საფეხურებზე. იმისათვის, რომ წარმატებით „გაიყიდოს“ ბაზარზე, გრძობად ხელოვნებას უნევს იყოს სენსაციური. ხელოვნება იწყებს ეგზოტიკურის, არაჩვეულებრივისა და სენსაციურის ძიებას. ყოველივე ამას, ბაზრის მუდმივად ცვალებად კაპრიზებთან ერთად, განვითარების გვიანდელ საფეხურებზე, მივყავართ თემებისა და პერსონაჟთა ხელოვნური შერჩევისაკენ. ტიპური და არსებული თემების ნაცვლად ირჩევენ იმგვარ ანომალურ და უსარგებლო თემებს, როგორიცაა დანაშაულებრივი სამყარო, შეშლილები, გლახაკები, „გამოქვაბულების ადამიანები“ ან „ბრწყინვალე ქალები“.

ზემოთ აღწერილ სენს თავის მხრივ მივყავართ მესამესთან: პათოლოგიური ტიპის ადამიანებსა და მოვლენებზე გრძობადი ხელოვნების ავადმყოფური კონცენტრაციისაკენ. ბერძნული და შუა საუკუნეთა ხელოვნება თუკი ოდესმე იხსენებდა ურჩხულებს, ეშმაკებს, უზნეო პიროვნებებს ან ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს, ისიც მხოლოდ იმისათვის, რათა უფრო ძლიერად წარმოეჩინათ პოზიტიური ღირებულებები. ხელოვნება უკვდავებს ანიჭებდა მიცვალებულთ, თავს არიდებდა ყოველგვარ პროზაულსა და უფერულს; აგრეთვე ყოველგვარ ნეგატიურსა და პათოლოგიურს. ეს ხელოვნება ადამიანს შეახსენებს მის ღვთაებრივ ბუნებასა და დედამიწაზე მისი მისიის მნიშვნელობას.

თანამედროვე ხელოვნება უკვდავებს მოკვდავებად ხდის და ათავისუფლებს ყოველგვარი ღვთაებრივისა და კეთილშობილურისაგან. უფრო მეტიც, თითქმის უგულვებლყოფს თვით ადამიანში, მის სოციალურ ცხოვრებაში, კულტურაში, ყოველგვარ ამალგებულსა და კეთილშობილურს, და სადისტურად ამახვილებს ყურადღებას ყოველნაირ უფერულსა და განსაკუთრებით ნეგატიურზე, პათოლოგიურ, ანტისოციალურსა და ნახევრად ადამიანურზე. „გმირები“ შეირჩევიან პროზაული, პათოლოგიური ან ნეგატიური ტიპაჟიდან.

თანამედროვე ხელოვნების ყველა დარგი ამჟღავნებს გადაჭარბებულ მიდრეკილებას სატირისა და კარიკატურისაკენ. ყველა და ყველაფერი გამასხარავებელი და დამცირებელია. ჩვენ გულწრფელად ვტკბებით ამგვარი დამცირებით. ჩვენი ხელოვნება სექსუალურად გაუნონასწორებელი და შერყვნილია, ზოგჯერ სადისტურიც კი.

თანამედროვე ხელოვნება უპირატესად სოციალური და კულტურული პათოლოგიის მუზეუმი. ის კონცენტრირებულია პოლიციის მორგებში, დამნაშავეთა თავშესაფრებში, სასქესო ორგანოებზე; უმთავრესად სოციალური ფსკერის დონეზე მოქმედებს. მეოთხე სენი: გრძობადი ხელოვნების მრავალფეროვნებას ის თანდათანობით მიჰყავს სულ უფრო მზარდი არათანმიმდევრულობისა და დეზინტეგრაციისაკენ. სერიოზულია ხელოვნების შინაგანი ანუ სულიერი აბნეულობა. ხელოვანს, რომელიც თავის განკარგულებაში ფლობს ტექნიკურ საშუალებათა მდიდარ არჩევანს, არ ძალუძს მისი სწორად გამოყენება, ვინაიდან ეს საშუალებები ლოდად აწევს მას.

(იზრდება) იმიტაციის ტალღა, სტილთა იმიტაცია. განსაკუთრებით ვბაძავთ ზანგთა ხელოვნებას, ყველა ქვეყნის გლეხობას, შუა საუკუნეების თავადაზნაურთა ჰერალდიკურ ხელოვნებას, ძველი ეგვიპტის იერატიულ ხელოვნებას, საბერძნეთის კლასიკურსა და აღორძინების ხელოვნებას. გაფაქიზებულ იმიტაციურ სტილთა ამგვარი ნაკადი თანამედროვე ხელოვნებას აქცევს კოსმოპოლიტურ მუზეუმად, რომელიც რეპრეზენტაციას უწევს სტილთა და მიმართულებათა უსაზღვრო მრავალფეროვნებას.

რღვევა ვლინდება ხარისხის რაოდენობაზე, შინაგანი არსისა და გენიის სულ უფრო მზარდი დაქვემდებარებით ტექნიკურ საშუალებებსა და ხერხებზე. როდესაც არ შეუძლია დაეყრდნოს თავის ხარისხობრივ უპირატესობას, ის ყურადღებას აქცევს რაოდენობრიობას.

აქედან მომდინარეობს კოლოსალურობის დაავადება. განდიდების რაოდენობრივი მანია ზიანს აყენებს ხარისხს. კოლოსალურობას უსათუოდ მივყავართ ხარისხის გაუარესებისაკენ. რღვევა გამონვეულია ჩვენი კულტურის მისწრაფებიდან – მიზნები შეცვალოს საშუალებებით, ხოლო ავტორის გენიალობა – ტექნიკით. დეკა-

დენტობის ხანაში აღინიშნება მიზნების შეცვლის საშუალებებით ტალანტისა – ოსტატობაში სოციალური ვარჯიშით. შესრულების ტექნიკა იქცევა ხელოვნების ალფა და ომეგად. მზარდი სიმწირე მხატვრული, მეცნიერული, რელიგიური და ფილოსოფიური მიღწევებისა – ტექნიკურ საშუალებათა გადმერთების სანაცვლოდ. ჩვენი ტექნიკური ოსტატობა უკუპროპორციულია გენიალური და დღეგრძელი შედეგების შექმნის უნართან.

გრძობადი ხელოვნების პროფესიული ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულ პირობებში კარგია, რღვევის სტადიაზე ნამდვილ სენად გვიბრუნდება. როდესაც ხელოვნება ხდება პროფესიული, ხელოვანი შორდება ხალხს და იძენს სრულ თავისუფლებას ნაქადაგებ ღირებულებათა ზემოქმედებისაგან, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ვითარება კრიზისულია. ხელოვანი, რომელიც პომპეზურად აცხადებს თავის მოჩვენებით დამოუკიდებლობას, ფაქტობრივად ხდება კომერციული ბიზნესისა ან ბოსის ღვიძლი შვილი და როგორი ვულგარულიც უნდა იყოს, მოუწევს პასუხი გასცეს მათ მოთხოვნებს.

პროფესიონალიზმს ხელოვნებაში მივყავართ უნიფიკაციასთან. ასეთი უნიფიკაცია ემთხვევა გრძობადი კულტურის რღვევის ეპოქას. საბოლოოდ ეს იწვევს ხელოვანთა და მათ შემოქმედებით მოღვაწეობაზე უმეცარ პოლიტიკანთა მხრიდან ხელოვნურ ზემოქმედებას, მხატვრული ღირებულებების, როგორც ასეთის, დაუფასებლობას, ყოველივე იმის ჩახშობას, რაც ეწინააღმდეგება ბოსების ძლიერ მიდრეკილებებს.

დასკვნა: თანამედროვე ხელოვნება ერთ-ერთი გადასასვლელია დეზინტეგრირებადი გრძობადი ხელოვნებიდან იდეაციონალური ან იდეალისტური ფორმისაკენ.

გრძობადმა ხელოვნებამ უკვე შეასრულა თავისი მისია. ამჟამად დაშლა მიმდინარეობს მთელი ძალით. გარდამავალი ხანის ნამებისა და ქაოსის შემდეგ წარმოშობილი ახალი ხელოვნება უკვდავყოფს ახალი იერით უჭკნობ elan* კაცობრიობის კულტურისა.

თარგმნა
ნუზარ კუჭუხიანი

* გარღვევა, სწრაფვა, ლტოლვა (ფრანგ.)

მთარგმნელისაგან

ახალ სიცოცხლეს იძენს გამოჩენილი რუსი მეცნიერის პიტირიმ სოროკინის (1889-1968) ნააზრევი. ამის დასტურია მისი სახელის მოხსენიება მე-20 საუკუნის ისეთ დიდ მოაზროვნეთა გვერდით, როგორებიც იყვნენ: ა. ტოინბი, ო. შპენგლერი, ე. ფრომი, ვ. იასპერსი და სხვები. ამასვე ადასტურებს 1999 წელს ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი – „პ. სოროკინი და ჩვენი დროის სოციალურ-კულტურული ტენდენციები“.

ესერთა პარტიის ლიდერი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ა. კერენსკის პირადი მდივანი, პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, ბოლშევიკური დიქტატურისა და მარქსისტული იდეოლოგიის მონიშნულმდევე, მრავალჯერ პატიმრობაში მყოფი, 1922 წლის სექტემბერში სხვა მეცნიერებთან ერთად გასახლებულ იქნა საბჭოთა რუსეთიდან და 1923 წლამდე ცხოვრობდა და მუშაობდა პრაღაში. ამავე წელს,

ლექციების წასაკითხად, მინვეულ იქნა აშშ და მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა უნივერსიტეტში.

არის სოციოლოგიის ფაკულტეტის დამაარსებელი ჰარვარდში და ამავე უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

პ. სოროკინი გამოჰყოფს სამი ტიპის კულტურას – იდეაციონალურს, იდეალისტურსა და გრძობადს, რომელზედაც ეფუძნება შესაბამისი ფორმის ხელოვნება: იდეაციონალური, რომლის ძირითადი რეალობა-ღირებულება არის ღმერთი და ამიტომაც ამგვარი ხელოვნების თემაა ღმერთის ზეგრძობადი სამყარო; იდეალისტური, რომლის რეალობა ნაწილობრივ ზეგრძობადია და ნაწილობრივ გრძობადი; და მესამე – გრძობადი ხელოვნება, რომელიც მატერიალისტური და პრაგმატული ხასიათისაა, ე.ი. დაცლილია რელიგიისა და მორალისაგან.

რა იპოვეს ჰამსუნმა და სტაინბეკმა საქართველოში?

*

ლელა ოჩიაურს
ესაუბრა
ოლიკო ჟღენტი

ორი დიდი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის – ნორვეგიელი კნუტ ჰამსუნისა და ამერიკელი ჯონ სტაინბეკის ცხოვრებაში ბევრი შეხების წერტილი შეიძლება აღმოვაჩინოთ. ეს კავშირი საქართველოსთან მათ ურთიერთობაშიც შეიძლება ვიპოვოთ, თუმცა არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ სხვადასხვა დროს, ჩვენს ქვეყანაში ორივე იმყოფებოდა.

კნუტ ჰამსუნმა საქართველოში 1899 წელს, ინკოგნიტოდ, მეუღლესთან ერთად იმოგზაურა და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ორ ნაწარმოებში – სამოგზაურო ჩანაწერებში – „ზღაპრული ქვეყანა“ და პიესაში „თამარ დედოფალი“ – აღწერა.

ჯონ სტაინბეკი და ამერიკელი ფოტოხელოვანი რობერტ კაპა საქართველოს 1947 წელს (საერთოდ, საბჭოთა კავშირს) ეწვივნენ. კაპამ უნიკალური ფოტოები გადაიღო, სტაინბეკმა კი ნანახი და გაგონილი „რუსულ დღიურში“ აღწერა და შემდეგ, საქართველოში შთაგონებულმა, ბრწყინვალე რომანი „ედემიდან აღმოსავლეთით“ შექმნა, ამერიკის ერთი პატარა ქალაქის (მისი მშობლიური ქალაქის) ისტორიის (ამის საფუძველზე, ქვეყნის განზოგადებული ისტორიის) შესახებ. სტაინბეკი საქართველოში მეორედ, 1963 წელს ჩამოვიდა).

საქართველომ, რომელიც ერთმაც და მეორემაც საკუთარ სახლად აღიქვა და ზღაპრულ მხარეში მოგზაურობა შინ დაბრუნების აქტად ჩათვალა, მინის ყვილი აგრძობინათ; საქართველომ ერთსაც და მეორესაც მსოფლმხედველობა და ცხოვრების ნირი შეუცვალა.

მსოფლიო კულტურის ამ ორი გამორჩეული წარმომადგენლის ისტორიით კინომცოდნე და რეჟისორი ოლიკო ჟღენტი დაინტერესდა და მათ კვალდაკვალ სვლა იწყო, იმის აღმოსაჩენად, თუ რა აღმოაჩინეს ჰამსუნმა და სტაინბეკმა საქართველოში.

ფილმი ჰამსუნის შესახებ, „კნუტ ჰამსუნის კავკასიური მისტერიები“, მან ორი წლის წინათ გადაიღო, ნორვეგიელებთან თანამშრომლობით.

ამჟამად სტაინბეკის ჯერი დადგა. ფილმზე, რომლის სახელწოდებაც იქნება „სტაინბეკის ქართული დღიური“, მუშაობა უკვე დაწყებულია, ამერიკაში გადაღებულია მასალა, რომელიც მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას უკავშირდება. დღიურის „ქართული“ ნაწილის გადაღებას, სცენარის ავტორი და რეჟისორი უახლოეს მომავალში აპირებს.

კიდევ ერთი თემა (მით უმეტეს, აქტუალური, მაისში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების წლისთავის დღეებში), რომელზეც ოლიკო ჟღენტი ვესაუბრეთ, ცნობილი ქართველი დრამატურგი სულიკო ჟღენტია, ოლიკოს მამა და არაერთი ქართული ფილმის სცენარის ავტორი. მის შემოქმედებაში

ომის თემა ჭარბობს და ამას განსაკუთრებული მიზეზი და ახსნა აქვს.

– მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღეები, შეიძლება ითქვას, მამათქვენის „დღეებია“. რა იყო სულიკო ჟღენტისთვის ომი და როგორ გაიხსენებთ მას, სწორედ, ამ პერიოდში, მაისში?

– ომი მამაჩემისთვის (ვეტერანებისგან განსხვავებით, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება მოყვნენ – იქ ვიბრძოლე, აქ ვიბრძოლეო) საკრალური თემა იყო, ტაბუირებული, რის შესახებაც შინ არასდროს ლაპარაკობდა.

იგი ყოველთვის ატარებდა რალაც სევდას, ტკივილს, და ეს ჩემთვის ბოლომდე გაუცნობიერებელი დარჩა. ომი მისთვის ბევრად მასშტაბური მოვლენა იყო, ვიდრე უშუალოდ ომი, და შეუძლებელია, ეს კინომ გამოხატოს. კინო ყველაფერს ვერ დაიტევს.

– მიუხედავად იმისა, რომ ომის თემაზე ბევრი სცენარის აქვს დაწერილი და ზოგი ფილმი, მათ მიხედვით გადაღებული, საკმაოდ წარმატებულია?

– ფილმში „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ არის ამის მცდელობა. შეიძლება ფილმი მხატვრულად საინტერესო არაა, მაგრამ დოდო აბაშიძე გენიალურია. იგი სწორედ იმ სევდას ატარებს, რომელიც ვახსენე. სულიკო დოდოზე ამბობდა, მას რატომღაც უმთავრესად კომედიურ როლებში იღებენ, ამ დროს, ძალიან სხვანაირი, ძალიან სევდიანი თვალეები აქვსო.

საერთოდ, მამაჩემი სცენარებს ძირითადად დოდოსთვის წერდა. „ფესვებიც“ მისთვის შექმნა. კინო ბოლომდე ვერ იყენებდა დოდო აბაშიძის შესაძლებლობებს და, ასევე, ვერ იყენებდა სულიკოსაც. მამაჩემის სცენარებს უფრო ლიტერატურული ღირებულება აქვს და კინო ვერ ახდენდა განზოგადებას. იქ მეტაფორა და სიმბოლო უძლური აღმოჩნდა გამოეხატა ის, რაც ლიტერატურას უფრო შეუძლია.

ომი სულიკოს ცხოვრების ნაწილი იყო. თუნდაც ის, რომ სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა ტყვიას. ოთხი ტყვიით იყო დაჭრილი, სამი ამოუღეს სხეულიდან და ერთი დარჩა.

ფილმში „ყველა კომეტა როდი ქრება“ არის პერსონაჟი (მის როლს თენგიზ არჩვაძე ასრულებს), რომელიც დაღუპული ეგონათ და მისი საფლავი სადღაც ყირიმშია. როდესაც ეს ადამიანი ხანში შედის, თავისი საფლავის ნახვა მოუხდება. მასაც ტყვია აქვს ჩარჩენილი, რომელსაც ეწირება კიდევც.

სულიკოც დაღუპული ეგონათ. მის მშობლებს შეტყობინება მიუვიდათ. მამა ამბობდა, ჩემი დაღუპვის ცნობას (ლურჯი ქალაღი ყოფილა) ხშირად ვნახულობდი (შემდეგ ეს ქალაღი სადღაც გამქრალა) და სულ მანუხებდა, მინდოდა ჩავსულიყავი და საკუთარი საფლავი, საძმო სასაფლაოზე, მენახა, რადგან რატომღაც მეგონა, უნახაობით რალაც მაკლდებოდა, ჩემი ცხოვრებიდან რალაც მნიშვნელოვანი ეპიზოდი ამოვარდებოდაო.

ახლა, როდესაც ხდება გადაფასება – ქართველები უცხო ომს შეეწირნენ, ამ მოვლენებს მე სხვანაირად ვხედავ. ვფიქრობ, რომ ისინი უზარმაზარ მანქანას შეეწირნენ, იმ მანქანის მსხვერპლი არიან, რომელიც 20-იან წლებში ამუშავდა და მუდმივად მსხვერპლს ითხოვდა. მამაჩემის, „ომის“ თაობაც მისი მსხვერპლი იყო.

სულიკო 16 წლისა გახლდათ, ომში რომ გაიპარა. მფრინავობაზე ოცნებობდა. იარაღი უყვარდა. თავიდან მისთვის ომი რომანტიკა იყო, მაგრამ, როდესაც იქ მოხვდა, შეძრწუნდა.

რეზო კვესელავამ მომიყვა (უკვე სულიკოს გარდაცვალების შემდეგ), რომლისთვისაც მამაჩემს ასეთი რამ უამბია. ჩემს გვერდით, სანგარში მოკლული ჯარისკაცი ვნახე, ახალგაზრდა ბიჭი, მინდოდა სახელი და გვარი გამეგო, სამხედრო ბილეთის ამოღება მინდოდა, ჯიბეს რომ ვუხსნიდი, უცებ ხელისგულზე სითბო ვიგრძენი და ეს სითბო ბოლომდე გამომყვა და მზარავსო.

ეტყობა, რაც იქ ნახა, მისთვის ძალიან შემადრწუნებელი იყო. ამავე დროს, სწორედ ომში შეიცნო ადამიანი, ადამიანის ბუნება, და სცენარისტისთვის ზომ ესაა მთავარი; რეჟისორს სცენარისტისგან სჭირდება, რომ მან ადამიანი, მისი სულიერი სამყარო იცოდეს.

სულიკოსთვის მნიშვნელოვანი იყო ადამიანის მიწასთან ურთიერთობაც. იგივე, სერგო ზაქარიასძის ვაზის ეპიზოდი „ჯარისკაცის მამაში“ – ასევე სხვებისგან მაქვს გაგონილი, რომ სულიკოს მართლაც უნახავს ხანდაზმული კაცი, რომელიც ომის ქარ-ცეცხლში მოსავალზე, მიწაზე ზრუნავდა.

– თქვენ ამბობთ, რომ სულიკო ჟღენტი სევდას ატარებდა, მაგრამ, ამავე დროს, მისი სცენარები ყოველთვის ძალიან ხალისიანი, შესანიშნავი იუმორით აღსავსე, სიცოცხლის დამამკვიდრებელია.

– იქიდან გამომდინარე, რომ ყოველთვის მარადიულ თემებზე წერდა – სიყვარული, სიკეთე, სამშობლო... მარადიული კი თავისთავად შეიცავს ტრაგიკულსაც და კომიკურსაც.

– ცხოვრებაშიც თუ იყო იუმორის მოყვარული ადამიანი, თუ ეს მხოლოდ, შემოქმედებაში ვლინდებოდა?

– უნიკალური იუმორი ჰქონდა. ისე შეეძლო მოეთხრო უბრალო, ჩვეულებრივი ამბავი, უსაზღვრო იუმორი ჩაექსოვა. ამ ამბავს სხვათა შორის, ძალიან სხვათა შორის ყვებოდა, მაგრამ თითოეული ისტორია რეალობისა და ირეალობის ზღვარზე იშლებოდა. ზოგჯერ გეგონებოდა, რომ დაუჯერებელ ამბავს ჰყვებოდა. ამავე დროს, დაუჯერებელს ძალიან დამაჯერებლად, როგორც რეალურს, გაიმბობდა. ყველაფრის მიმართ იგავური დამოკიდებულება გააჩნდა. თან მიდრეკილება ჰქონდა შეთხზვისკენ. თხრო-

ბისას აუცილებლად თავის გემოზე გადააკეთებდა. საერთოდ, უნიკალური მთხრობელი იყო. ამბის გადმოცემის შესანიშნავი უნარი ჰქონდა. მე ეს ნიჭი არ მაქვს და ძალიან მეხარბება. ყოველთვის ამბობდა (სტუდენტებსაც ამას ასწავლიდა), კინოში მთავარი ამბავია, ამბავი უნდა ხდებოდეს, თითქოს პრიმიტიულია, მაგრამ ამბის მოყოლა ძალიან რთული, კინოშიც და ისედაცო.

მისი ყველა სცენარი იგავია. იგივე მამა-შვილის ამბავი „ჯარისკაცის მამაში“, რომელიც მსოფლიო ომის კი-

არა, მარადიული თემაა; ანტიკურ ტრაგედიაშიც მოგადდება. ეს ხაზი მის ყველა ნაწარმოებში გრძელდება, მთელ მის შემოქმედებას მსჭვალავს – მამის ძიება, შვილის ძიება, სახლის, ფესვების ძიება. ეს ხაზი, დანყვებული „ჯარისკაცის მამადან“, „ლიმილის ბიჭებში“, შემდეგ „ნერგებში“ და ბოლოს „ფესვებში“ გადადის. ესაა დაბრუნება მამის წიაღში.

ვფიქრობ, ლიტერატურაში ამ თემას ყველაზე მკაფიოდ გრიგოლ რობაქიძე შეეხო და კინემატოგრაფში – სულიკო, რომელმაც კინოში ამ თემის აქტუალიზება მოახდინა. თუმცა, გავიმეორებ, რომ მისი ლიტერატურის ადეკვატური კინოენის მოძიება არ მოხერხდა. კინომ ვერ შეძლო ამ ლიტერატურის მხატვრული რეალიზება.

„დონ კიხოტშიც“ კი ძალიან საინტერესო მიგნებები აქვს, თუ როგორ წარმოუდგენია დონ კიხოტი, სანჩო პანსა.

– რას გამოჰყოფთ თქვენ ამ მიზნებებიდან ყველაზე საინტერესოს, გამორჩეულს?

– ჯერ ერთი, დავინწყით იქიდან, რომ სცენარი 80-იან წლებშია დაწერილი. აქვს დონ კიხოტის ფილოსოფიური გააზრება, რაც ჩემთვის მართლაც ძალიან უცნაურია. თუნდაც ის, რომ დონ კიხოტში ქართულ ფესვებს ხედავს. აი, რას წერს იგი: „საუკუნეების მანძილზე, მუსლიმანური ოკეანისგან თავდასაცავად, ქრისტიანულ ევროპას ორი ფორპოსტი ედგა დარაჯად, აღმოსავლეთით – საქართველო და დასავლეთით – ესპანეთი. ამიტომ, განშორების შედეგად, ისტორიამ ერთნაირი ბედი არგუნა ორივე მხარის იბერიელებს. ჩვენი, ორი ხალხის მთელი ცხოვრება აღსავსეა ომებით, ქართველებით, დაცემისა და აღზევების პერიოდებით. ალბათ, სწორედ ეს გარემოება, ერთ ბედში ყოფნა დაგვეხმარა ჩვენ, რათა შეგვენარჩუნებინა ბევრი რამ იქიდან, რაც ერთ დროს განუყოფელი იყო...“



ოლიკო ჟღენტი

– რა არის მთავარი თქვენთვის, ფილმებზე მუშაობისას?

– მეც მაქვს იმის ძიება, რაც „მამიდან“ მოდის. ამ შემთხვევაში, უცხოელი უფრო აღიქვამს, თუ რა არის სახლი, რა არის მიწა, მით უმეტეს, გენიალური ადამიანი. ამას ჰამსუნის წერს, სტაინბეკი წერს და არა ვილაძე...

ჰამსუნთანაც და სტაინბეკთანაც იგივე თემებს ვეძებ და ამიტომ მაინტერესებს ჰამსუნიც და სტაინბეკიც. მაინტერესებს, რას ეძებდნენ ისინი აქ, საქართველოში?

– რას ეძებდნენ?

– ეძებდნენ საკუთარ სახლს და ფესვებს. ჰამსუნის შემთხვევაშიც ასე მოხდა და სტაინბეკსაც ეს დაემართა.

ჰამსუნის სულ სხვა მიზნით ჩამოვიდა. უბრალოდ, მას ეგზოტიკური ქვეყნის ნახვა უნდოდა (მაშინ ძალიან „მოდაში“ იყო აღმოსავლეთი, კავკასია), მაგრამ აქ სრული მეტამორფოზა დაემართა. იგრძნო, რომ იმყოფებოდა რაღაც საკრალურ, მისტიკურ სამყაროში. ეს ფილმშიც მაქვს, თუ რატომ მოხდა, რომ 25 წელი არ ჰქონდა ნანახი თავისი სოფელი, მოვლილი ჰქონდა მთელი მსოფლიო, ამერიკაშიც იყო ნამყოფი, აღიარება მოიპოვა, თავი უკვე დაიმკვიდრა, როგორც მწერალმა, როგორც პიროვნებამ და ამ დროს, 25 წლის შემდეგ შინ დაბრუნდა. ესაა მიწის ყივილი...

– რომელიც საქართველომ აგრძნობინა...

– ამბობს კიდეც, რატომ მაქვს ასეთი გრძნობა, თითქოს შინ დავბრუნდი?! რატომ არ იგრძნო ეს აზერბაიჯანში, რატომ არ იგრძნო ამერიკაში, თუნდაც, იგივე ოსლოში?! სწორედ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ გაუჩნდა იდეა, სოფელში (რომლის სახელწოდებებიანაც ფსევდონიმი აიღო) დაბრუნებულიყო, ფერმა ეყიდა, იქ დაემკვიდრებულყო. მიწის ყივილი საქართველომ გაუღვიძა.

– რა მოხდა სტაინბეკის შემთხვევაში?

– საქართველოში ყოფნის შედეგად, მის შემოქმედებაში სრული გადატრიალება მოხდა. სტაინბეკი კალიფორნიიდან იყო. ამერიკაში ითვლება, რომ კალიფორნიას ორი დიდი მწერალი ჰყავს – ჯექ ლონდონი და ჯონ სტაინბეკი. სტაინბეკს კალიფორნიასთან წლების განმავლობაში ძალიან მტკივნეული დამოკიდებულება ჰქონდა. თავისმა ხალხმა არ აღიარა იგი, როგორც მწერალი. ჩათვალეს, რომ მისი ცნობილი რომანი „მრისხანების მტევნები“ (რომელიც, სხვათა შორის, ჯონ ფორდმა გადაიღო და „ოსკარი“ მიიღო) პროლეტარული, მარქსისტული სულისკვეთების ნაწარმოებია; რომ იგი მარქსიზმისკენ გადახარა და ლალატში ადანაშაულებდნენ; ნიგნებს არ კითხულობდნენ და წარმოიდგინეთ, უწვავდნენ. აქედან გამომდინარე, სტაინბეკს სულ ჰქონდა მიდრეკილება, რომ დაეტოვებინა თავისი ქალაქი და სხვაგან გადასახლებულიყო; ამბობდა, ეს არაა ჩემი ქალაქი, ეს არაა ჩემი მიწა – საშინელი ტრაგიკული განცდა ჰქონდა, ღრმა დეპრესიები და ხან ნიუ-იორკში, ხან მექსიკაში, ხან ჩინეთში უნდოდა წასვლა. საკუთარ სახლს გაურბოდა. მთელი ცხოვრება ცდილობდა, რომ მისი რეაბილიტირება მომხდარიყო.

– ასეთივე, შელახული რეპუტაცია ჰქონდა ჰამსუნსაც, რომელიც ბოლომდე რეაბილიტირებული არცაა.

– სხვათა შორის, ჩემი მცდელობაც ისაა, რომ მათი რეაბილიტირება მოხდეს. იგივე, ნორვეგიაში, მათთვის, გან-

საკუთრებულად ფასეული ის იყო, რომ ამას უცხოელი აკეთებდა. შემდეგ სტაინბეკი აქ ჩამოდის. იყო რუსეთში, უკრაინაში... ძალიან დაძაბული დღეები ჰქონდა, „სუკი“ დასდევდა, სულ აყურადებდნენ. ბოლოს საქართველოს ეწვია და უცბად აღმოაჩინა, რომ საქართველო სამოთხეა. უცბად რეპორტაჟულ სტილს, რომლითაც იგი წერდა (რეპორტაჟია ხომ „რუსული დღიური“), ფაქტების აღწერას არღვევს და ისტორიზმში, მითოლოგიაში ვარდება. აპოკრიფული ტექსტები მოჰყავს, წერს ათასობით წამებულზე, ქრისტიანობის წარსულზე, თბილისის ისტორიით ინტერესდება. საერთოდ გადაუხვია დღიურის ფორმას. წარმოიდგინეთ, კოსტუმიც კი ჩაიცვა (მანამდე, ტურისტული ტანსაცმლით დადიოდა).

ერთგან წერს, რუსთაველზე რომ გავედი და დავინახე ამდენი ახალგაზრდა, ვიკითხე, ესენი არ მუშაობენ-მეთქი? მითხრეს, მათ მაგივრად მამები მუშაობენო. ნამდვილი დენდები იყვნენო – ამბობს.

სხვანაირი აღქმა ჰქონდა ქართველის, მისი ტემპერამენტის. საქართველოს ბუნებამ გააოგნა, კალიფორნიის ბუნებას ადარებდა, განსაკუთრებით ჩვენს სუბტროპიკულ ზონას.

ეკითხებიან, ახლა რაზე მუშაობთო, და უცებ ამბობს, ჩაფიქრებული მაქვს რომანი, რომელიც ერთი ქალაქის ისტორიას ეხებაო, და როგორც კი ბრუნდება კალიფორნიაში, ინტენსიურად იწყებს არქივში მუშაობას და წერს ნიგნს, რომელზეც ამბობს, მთელი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდი და ეს ნიგნი მთელი ცხოვრება მელოდებოდაო. წერს რომანს თავისი ქვეყნისა და თავისი ქალაქის ისტორიაზე და არქივებს „ედემიდან აღმოსავლეთით“. ედემი სულ თავში უტრიალებდა საქართველოში ყოფნის დროს, მისი მეორე ედემი კი მისი კალიფორნიაა.

თავისი ქალაქის ისტორიას ამერიკის ისტორიასთან აიგივებს. წერს, თუ როგორ შემოდიოდნენ, როგორ იპყრობდნენ ტერიტორიებს. ანუ ისტორიის გრძნობა საქართველომ დაუბრუნა, საქართველომ, რომელიც სამოთხის მოდელი დაანახვა, ალტერნატიული მითი, კომუნიზმის, საბჭოთა სამოთხის მოდელის სრულიად საპირისპირო. სწორედ ეს აძლევს სტაინბეკს მძლავრ იმპულსს, შექმნას რომანი, რომელსაც მისი არც ერთი სხვა ნაწარმოები არ შეედრება და რომელმაც მას საბოლოოდ ჩამოაშორა მარქსისტის სახელი.

ძალიან გადაჭარბებაში არ ჩამითვალთო, მაგრამ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ სტაინბეკის მსოფლმხედველობა სრულიად იცვლება. მისი ისტორიული ნარატივი ძლიერდება. ის უძღვნის რომანს თავის ქალაქს, იმდენად ალაფრთოვანა თბილისის ისტორიამ, ლეგენდებმა, რომ ეს ყველაფერი თავის ნიგნში ჩადო და ეს ყველაფერი მექნება მეც ჩემს ფილმში.

ჰამსუნიც ამბობს, რომ საქართველო არის სიზმარი, ჯადოსნური მხარე, მაგრამ ეს არაა ქვეყნის ეგზოტიკური აღქმა. სტაინბეკის „რუსული დღიური“ 40 წელი არ იბეჭდებოდა. რუსებმა ჩათვალეს, რომ ანტისაბჭოთა ნაწარმოებია, და გამოსცეს მხოლოდ 1989 წელს. ეს, თავისთავად, ძალიან ნიშნულია. ნიგნი გამოიცა მაშინ, როდესაც 9 აპრილი მოხდა და საბჭოთა მითი საბოლოოდ დაიმსხვრა.

- თუმცა, ამის განჭვრეტა სტაინბეკს 1947 წელს არ შეეძლო.

- კალიფორნია იმით გამოირჩევა, რომ იქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს და მისი მაცხოვრებლები ხასიათით ახლოს არიან ქართველებთან. სტაინბეკი ქართველების შესახებ ამბობს, მათში ბურგუნდიელების ფიზიკური ენერჯია ჩქეფსო და თვითონაც ანგლო-საქსურ ტემპერამენტთან, არამედ სამხრეთულ რასასთანაა ახლოს თავისი მენტალიტეტით. ისე, წარმოშობით ირლანდიელია და ირლანდიელებიც ხომ ქართველებს რაღაცით გვანან.

სტაინბეკს აქვს ასეთი ფრაზა - „მე თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში“. ამას რუსეთში, უკრაინაში და ა.შ. მოგზაურობის შემდეგ პირველად ამბობს საქართველოში. ასეთივე ფრაზა აქვს ჰამსუნსაც. ჰამსუნიც ამბობს, რომ ეს არის სიზმარი, სიზმრისეული სამყარო, ჯადოსნური სამყარო. სტაინბეკიც ისევე აღტაცებულია თამარ დედოფლით, როგორც ჰამსუნი. ის, რომ იგი თამარ დედოფალს აღწერს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, მის ნიჭს, პიროვნებას, საბჭოთა იმპერიისთვის სრულიად მიუღებელი იყო, მით უმეტეს, 1947 წელს, როდესაც სტალინი აღზევებული გახლდათ. ამ დროს, თამარის პოლიტიკას აქებს.

ქართული ნაწილი სრულიად დამოუკიდებელი და განსხვავებულია. იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ დაარქვა სტაინბეკმა წიგნს „საბჭოთა დღიური“, არსებობს ვერსია, რომ „მრისხანების მტევენების“ შემდეგ მას იმდენად მიაკერეს მარქსისტი და მემარცხენე მწერლის იმიჯი, რომ შეეშინდა, საკუთარი რეპუტაცია საერთოდ არ შეეღებოდა. ჩემი აზრით კი, იმიტომ არ დაარქვა, რომ მაშინ „საბჭოთას“ ცნებაში საქართველოც შევიდოდა. სტაინბეკი კი ხაზგასმით, საგანგებოდ ამბობს, რომ საქართველო სულ სხვა ქვეყანაა, სულ სხვა სამყარო, ვიდრე რუსეთი. სრულიად მიჯნავს მისგან, არ მოიაზრებს ერთიან გეოპოლიტიკურ, სოციალურ სივრცეში. ალბათ, აქ, იმჟამად ჩადებული იყო ამერიკელების რაღაც ინტერესები და სტაინბეკს, ამკარად რაღაც მისია ჰქონდა დაკისრებული.

იგი მიანიშნებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის გასაღები, მისი უძლეველობის მითის დამსხვრევასა და ამ ერის (ქართველების) ეროვნულ დამოუკიდებლობაში იყო და რომ ეს ერი იმსახურებს დამოუკიდებლობას თავისი ისტორიით, თავისი მენტალიტეტით, თავისი სულისკვეთებით და დებს ინფორმაციას, კოდს, რომ საქართველო რუსეთისგან სრულიად დამოუკიდებელი ქვეყანაა.

- თქვენ ხომ სტაინბეკის საქართველოში მოგზაურობაზე იღებთ ფილმს და არა, მთლიანად მის შესახებ რატომ იყავით ამერიკაში?

- ფილმი, თუნდაც, იმავე ჰამსუნის შემთხვევაში, სრულფასოვანი ვერ იქნებოდა, თუ ნორვეგიაში არაფერს გადავიღებდი. გავიარე იგივე გზა, რომელიც უკავშირდებოდა ჰამსუნის შემოქმედებას, მისი დაბადების ადგილიდან დაწყებული, ძირითად ცხოვრებისეულ მომენტებს.

ამერიკაშიც იგივე მოხდა. შევხვდი სტაინბეკის ყველა მკვლევარს; გადავიღე ყველა ადგილი, რომელიც მის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას უკავშირდება; შევხვდი მის შვილს (რომელსაც, „ვეფხისტყაოსანი“ ვაჩუქე).

მინდოდა გამეგო, რას ნიშნავს სტაინბეკი ამერიკელებისთვის, რამდენად ფასეულია მათთვის, ახსოვთ თუ არა.

თავის მხრივ, მის მშობლიურ ქალაქში სულ მეკითხებოდნენ, იციან სტაინბეკი საქართველოში? ვაღიარებდი, და ეს ფაქტია, რომ უფრო იცის უფროსმა თაობამ და ახალგაზრდებიდან, ალბათ, სპეციალისტებმა. საგანგებოდ მინდა მოვიხსენიო ვახტანგ ჭელიძე, მისი რომანების მთარგმნელი, და თამაზ ნატროშვილი, ვისი წყალობითაც ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა მისი „რუსული დღიურის“ ქართული რკალი.

- და როგორ უყურებენ სტაინბეკს ამერიკაში?

- მაგალითად, იყო სიგნალი, რომელმაც ჩემამდე მოაღწია, თუ რატომ იღებს ვიღაც ქართველი ფილმს ამერიკელ კომუნისტ მწერალზე?! ჩემი საქმე ერთხანს პერიოდი შეფერხდა კიდევ. მაგრამ, რომ ჩავედი, განცვიფრებული დავრჩი.

სტაინბეკი რომ გაცოცხლდეს, ალბათ, გაგიჟდება. მან თავის ქალაქს ისტორია შეუქმნა. არის მისი სახლ-მუზეუმი, უზარმაზარი ცენტრი; წიგნებს გამოსცემენ ინტენსიურად; სახელწოდება, რომლებიც მის რომანებშია, ჰქვია რესტორანს, კაფეს, დუქანს, ყავას და ა.შ. ერთი სიტყვით, ხდება მისი სრული კომპენსირება. მაგალითად, სტაინბეკის სახლ-მუზეუმში მოგვართვეს კერძი „სტაინბეკი“, ნაცხვარი, რომელსაც დედამისის რეცეპტით ამზადებენ.

სხვათა შორის, ნიუ-იორკში, მანჰეტენზე არის სასტუმრო „ბედფორდი“, სადაც სტაინბეკი (როდესაც ცოლთან ჰქონდა უსიამოვნება) ჩერდებოდა ხოლმე. „რუსული დღიური“ ასე იწყება, რომ იჯდა „ბედფორდის“ ბარში, სვამდა კოქტეილს „სუისესს“ და უცბად გონება გაუნათდა, რომ საბჭოთა კავშირში უნდა იმოგზაუროს. ამ დროს, იქ თურმე კაპაც შევიდა... მოკლედ, ყველაფრის მიზეზი „სუისესი“ ყოფილა. ვიდრე ამერიკაში წავიდოდი, მივწერე, ეს კოქტეილი, ნეტავ, მენიუში თუ აქვთ-მეთქი. მომწერეს, მენიუში არა, მაგრამ შენ ჩამოსვლამდე რეცეპტს ვიპოვოთ და გადაღებისთვის სპეციალურად დავიმზადებთო.

გარდა ამისა, ამ სასტუმროში დამაბინავეს, არ ვიცი, უშუალოდ იმ ოთახში თუ არა, სადაც სტაინბეკი. ეს ვერ გავარკვიე, მაგრამ მითხრეს, იმდენჯერ გაჩერებულა აქ (ვიდრე ნიუ-იორკში ბინას იყიდდა), ყველა ნომერშია ნაცხოვრებიო.

მისი ბინა ნიუ-იორკში დღეს დაკეტილია, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ გადაღება მინდოდა, ნათესავმა გამილო და სრული თავისუფლება მომცა.

ყველგან ვეძებდი რაიმე სუვენირს საქართველოდან, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. ვეძებდი „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც, ვიცოდი, უნდა ჰქონოდა; სალამურს, რომელიც, ვიცი, რომ სალამურზე დამკვრელმა, ადამაშვილმა აჩუქა. მას კი სტაინბეკმა აჩუქა ავტოკალამი, რომელიც ნობელის პრემიის მინიჭებისას გადასცეს. ვერც ეს კალამი ვიპოვე, ადამაშვილისთვის გამოურთმევიათ, მუზეუმისთვის გვინდაო, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინე.

განმაცვიფრა იმან, რომ სტაინბეკის ყველა მკვლევარი უმთავრესად ქალია და ეს ქალები სტაინბეკით ცხოვრობენ. არის ერთი 95 წლის ქალბატონი, მარტა კოხი, რომელმაც დააფუძნა სტაინბეკის ცენტრი და მის პოპულარიზაციას თავი შესწირა. ოჯახიც კი არა ჰყავს.

აღმოჩნდა, რომ სტაინბეკი ამოუწერავია. მკვლევარები ამბობენ, რომ მისი რომანები 5 და მეტ შრესაც შეიცავს

და დროთა განმავლობაში ამ შრეების გამოვლენა ხდება. ეს უცნაურია იმ ფონზე, რომ სტაინბეკი მარტივად და სადად წერს და ამ დროს მის შემოქმედებაში ასეთ სიღრმეებს ნახულობენ. ბევრი თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა.

ჯონ სტაინბეკი ჯონ კენედის ფავორიტი გახლდათ და ასევე, კენედი იყო სტაინბეკის ფავორიტი. ჯონ კენედის ლიტერატურული გამოკვლევაც კი აქვს სტაინბეკის შესახებ გამოქვეყნებული.

სტაინბეკი საქართველოდან დაბრუნების შემდეგ დიდ დარტყმებს იღებდა. პირველად 1947 წელს, მისი უახლოესი მეგობარი – ედ რიკესი ავარიაში დაიღუპა, რის შემდეგაც საშინელი დეპრესია ჰქონდა. შემდეგ მეორე ცოლს გაშორდა. 1963-ში კი კენედი მოკლეს.

პირველი შემთხვევის დროს „ედემიდან აღმოსავლეთით“ დაწყებული ჰქონდა, მაგრამ დეპრესიის გამო წერა ვეღარ გააგრძელა და კინოში გადავარდა. მაშინ დაწერა სცენარი „ვივა, საპატა!“, რომელიც ელია კაზანმა გადაიღო, მარლონ ბრანდოს მონაწილეობით; ჰიჩკოკმა – „ცხოვრების ნავი“. საერთოდ, სტაინბეკის სცენარებით ბევრი ფილმი შექმნილი. კინომ დეპრესიიდან ცოტა გამოიყვანა. სხვათა შორის, მეგობრობდა ჯონ ჰიუსტონთან, ავა გარდნერთან. ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუზველტთანაც, მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

- რა ერქმევა ფილმს?
- „სტაინბეკის ქართული დღიური“.

ნინო ყიფიანის ბარათი იაკობ გობეჯაშვილისადმი

ვენა, 5 იანვარი

ულრმესად პატივცემულო ბატონო იაკობ, იმედი მაქვს რო ჩემს გამბედაობას მაპატიებთ, რო თქვენგან თითქმის სრულებით უცნობი წერილით გაწუხებთ. დიდი ხანია მქონდა აზრი, მომენერა თქვენთვის, ერთი ყმანვილის შესახებ, მაგრამ მხოლოდ დღეს, ესეც „ისარში“ მოთავსებული თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ – ვავბედე ამ აზრის სისრულეში მოყვანა. თელს საქართველოში არა ვხედავ პირს, რომელსაც ასე შესტიკივოდეს გული ყოველი საქმისთვის, რაც კი საქართველოს ეხება, როგორც თქვენ, ბატონო იაკობ. გარდა ამისა თქვენი განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდებისადმი ნებას მაძლევს – თავისუფლად და პირდაპირ მოგმართოდ. მინდა თქვენი ყურადღება ერთ შესანიშნავ ყმანვილისთვის მივაქციო. ჩემს საუბედუროდ ისე ნაკლებად მიცნობთ, რო მეშინია ვაი თუ ჩემს ნათქვამს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციოთ. გეფიცებით კი პაპა ჩემის დიმიტრის ხსოვნით, – რო ეს ყმანვილი ღირსია თქვენი განსაკუთრებული თანაგრძნობისა და ყურადღებისა. გავიცანი აქ, ვენაში, სადაც განდევნილი საქართველოდან და საზოგადოდ თელს რუსეთიდან ვენას შევაფარე თავი. 15, 16 ქართველმა მოიყარა თავი ვენაში. რას წარმოადგენენ ეს ყმანვილები, რომლებსგანაც ჩვენი გაოხრებული ქვეყანა შველას ელის? რასაკვირველია უმეტესი ნაწილი ბრძანდებიან წვერნი „ერთად-ერთი, უდიდესი რუსეთის, ს-დემოკრატიულ პარტიისა“, დანარჩენები უპარტიო, ან ფედერალისტები, თუმცა არა უვარგისები თავიანთ სპეციალურ საგანში, – მედიცინაში, – სხვას ჯერ-ჯერობით

არაფერს მისდევენ. და აი ამათ შორის შევხვდი ერთს, – სერგო კაკაბაძეს, რომელსაც ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის შესწავლა გაუხდია ცხოვრების მიზნად. გაკვირვებული, ალტაცებული ვიყავი, რო ამ დროში, როდესაც სიტყვის „ქართველი“ ხმარებაც კი ეთაკილებად და სირცხვილად მიაჩნიათ უმეტესს ნაწილს ჩვენი სტუდენტობისას, გამოვიდა ერთი, რომელიც ქართულ ისტორიას მაცადინებდა, და რომელიც არამც თუ ზემოდ დასახელებულ პარტიებს არ ეკუთვნის, არამედ თავისუფლად და გამბედაობით აღიარებს, რო ის უმაღლესი ქართული ნაციონალისტია (თუმცა მე პირადად არ ვეკუთვნი ამ პარტიას და დედააზრში არ ვეთანხმები, მაგრამ ვხედავ საჭიროდ ახლანდელ ანტი-ნაციონალურ დროში გარჩენილს ს-დემოკრატიულ ქადაგებას, – ქართული ნაციონალისტური პარტია დაუპირდაპიროდ). გამაკვირვა აგრეთვე იმისმა შრომისმოყვარეობამ, არა ქართველურმა ბეჯითობამ, აგრეთვე ქართ. ისტორიის, ნუმიზმატიკის, ფილოლოგიის ცოდნამ, პატარა, საინტერესო გამოკვლევებიც აქვს. მაგრამ რადგანაც თითქმის ყოველთვის ნიჭს სილატაკე უნდა ახლდეს, ეს სერგო კაკაბაძეც ყოველ სახსარს მოკლებულია. შვილი ქუთათური მეტივისა, სიღარიბეში ამოზრდილი, სუსტი და ავადმყოფი – საშინელ გაჭირვებას განიცდის. ვენაში რო გაუჭირდა და კვირობით ერთ ჩაით იკვებებოდა, წავიდა პეტერბურგში, სადაც გაკვეთილების იმედი ჰქონდა. ჩაენერა იქ უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ფაკულტეტზე, იშოვნა რაღაც უბედური გაკვეთილები (რომელიც გროშებს აძლევდა) და ცხოვრება კიდევ უფრო გაუძნელდა ვინემ აქ, ვენაში. რასაკვირველია ლექციებს სცდებოდა და სერიოზულ მაცადინებობას ვერ ახერხებდა. ამას წინეთ მარრმა ერთი რეფერატის დაწერა ქართულ ნუმიზმატიკაზე დაავალა, და აბა როგორ უნდა დაენერა, რომ 8 დღე არაფერი უჭამია და ღონე და ძალა გამოლეული იყო! სინემ ზამთარი დადგებოდა მშვიდი და მწყურვალე დარბოდა ლექციებზე. გაკვეთილებზე, მაგრამ ახლა სირბილიც კი დაუძნელდა. წარმოიდგინეთ, ამ შუა ზამთარში, პეტერბურგში, მსუბუქი ზაფხულის პალტოში დადის! მაგრამ განა ცოტა სტუდენტი გაჭირვებულია, ყველას ხო ვერ დავეხმარებით. იქნებ იფიქროთ თქვენ. დიხაც ბევრია! მაგრამ სწორედ იმიტომ რო ყველას ვერ დავეხმარებით, იმას მაინც უნდა მივხედოთ, რო-

მელიც ჩვენს უბედურ ქვეყანას გამოადგება. ჩვენს მიწასთან გასწორებულ სამშობლოს. ეს ყმანვილი კი მეორე დიმიტრი ბაქრაძე გამოვა და საქართველოს ისტორიას დასწერს. გარდა იმის ნიჭისა და შრომის მოყვარეობისა ერთი კიდევ ღირს – შესანიშნავი თვისება აქვს: არაფერი არ არსებობს ამ ყმანვილისთვის ქვეყანაზე, გარდა საქართველოს ისტორიისა; ეს არის იმისი ერთადერთი გასართობი, იმის საზოგადოება, იმისი დროს გატარება. ამ უკანასკნელ დროში (როდესაც პეტერბურგის (ყმანვილებმა) ქართველმა სტუდენტებმა, ასე ისახელეს თავი ილიას მკვლელობის შესახებ), კაკაბაძე სცდილობდა სტუდენტებს შორის ნაციონალისტი ორგანოს შედგენა, თავისი საკუთარი წრის გამოცეც (რასაკვირველია ქართულად), რასაც ჩემის ფიქრით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ სილატაკე და შიმშილ-სიცივე აბა რას არ დაუშლის კაცს. მე იმის მეშინია, რო იმედ დაკარგული, ღონე გამოლეული, ჯანმრთელობითაც დასუსტებული თავს რამე არ უყოს. განა ცოტა ნიჭიერები უმსხვერპლია სილატაკეს?

აი ქუთაისის თ.-აზნაურობას (როგორც ამასწინეთ გაზეთში წავიკითხე) გადაუწყვეტია ილიას ხსოვნისთვის ერთი სტიპენდიის დაარსება აღმოსავლეთის ფაკულტეტზე, ბატონო იაკობ, თუ ყველაფერს რაც კი მოგწერეთ, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევთ, თქვენი გავლენით მოუხერხებოდა ეს სტიპენდია მას ერგოს და გარწმუნებთ, უღრმესად პატივცემულო ბატონო იაკობ, რომ ამ მოკლე ხანში ჩემი სიტყვის სიმართლეს დაამტკიცებს. საჭიროდ ვსთვლი მოგახსენოდ, რომ თითონ კაკაბაძემ არასფერი არ იცის რო გწერთ რამეს იმის შესახებ, და მე თუ გწერთ, მხოლოდ იმიტომ რო ჩემს მოვალეობად ვსთვლი შეგატყობინოთ ამ ყმანვილის შესახებ, რომლისგან ბევრს მოვე-



იაკობ გოგებაშვილი

ლი ჩვენი საქართველოსთვის. ქუთაისის სტიპენდია თუ არ მოხერხდა (საჭიროა ეხლავე აღმოუჩინონ დახმარება), იქნებ იშუამდგომლოთ ან ზუბალაშვილთან, ან სარაჯიშვილთან, ან ბანკთან, ან თ.-აზნაურობასთან. მაინც ბევრი დაკარგა. და გარემოებაც ისეთია მისი, – რო დაგვიანება შეიძლება სასიკვდილო იყოს. (თუ, ნებას ვაძლევ ჩემს თავს, გთხოვთ თქვენი პასუხის ღირსად გამხადოთ, და შეგვატყობინოთ თქვენი აზრი მაგ ყმანვილის შესახებ. ყოველ შემთხვევაში გიგზავნით იმის ადრესს: **Петербург, В.О. Пал Линия 25-25, Серге Какабдзе.**

კიდევ გთხოვთ მაპატიოთ გამბედაობისთვის და მიიღოთ ჩემგან უღრმესი პატივისცემით სალამი

ნინო ყიფიანი
(ნიკოლოზ ყიფიანის ასული)

XVIII, Wien
Batinga, 22,

P.S. ამ წერილის გაგზავნა ძალიან დამიგვიანდა. ამასობაში უქმეებიც დაგვიდგა. მოგილოცავთ ბატონო იაკობ ახალს წელიწადს და უსურვებ ჩვენს სამშობლოს მრავალს და მრავალს ამ დღეს დაგასწროსთ.

ამასთან გაახლებთ განსვენებული მამი ჩემის წიგნაკს საქართველოზე დანერვილი ამ ორი წლის წინეთ ბრიუსელის ფრანგულ ჟურნალში, რომელიც თქვენ უთუოდ წაკითხული არა გაქვთ და მგონია ინტერესს მოკლებული არ იყოს თქვენგან.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი

ნინო ყიფიანი
1/14 იანვარი.

1904 წლის 1-7 აპრილის ყენევის კონფერენცია – ქართველ რევოლუციონერთა 1 ინტერპარტიული თავყრილობა – თავისებურ ნიშანსვეტად შემორჩება ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას, არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის ბიოგრაფიაში კი ჩაიწერება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ, რაც ამ ორ თვალსაჩინო მოღვაწეს ალუსრულებია.

იმავე წელს პარიზში ცალკე წიგნაკად გამოიცა ამ კონგრესის ოქმები, რომელშიც გამოძველეთა ვინაობა დამიფრულია კონსპირაციის მოტივით.

ზოგიერთის ვინაობას გიორგი ლასხიშვილის მემუარები შემოგვიწინაზავდა, ზოგის გარკვევა-დაზუსტებას მოგვიანებით დიმიტრი შველიძეც შეეცდებოდა... არადა, აუცილებელია კონფერენციის მონაწილეთა შიფრის ეჭვიმუტანელი გახსნა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული იმ წიგნაკის ხელახალი გამოცემა, რადგანაც ამ მასალებში ხელშესახებად და მთელი სიმძაფრითაა წარმოჩენილი ქართული პოლიტიკური აზრის მდინარება – ეპოქისმიერიც და სამო-

რედაქციის მიხანერი

მაველოდაც ბევრწილად გასათვალისწინებელი.

კონფერენცია გაიხსნა „ტეზრელის“ მოხსენებით, თუმც თვითონ ავტორი იქ არ იმყოფებოდა.

გაიხსნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რაც მაშინ უჩვეულოდ გამოიყურებოდა; და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასა და მის წინამძღოლებს – არჩილ ჯორჯაძესა და გიორგი დეკანოზიშვილს – დიდ მიღწევად და ყველაზე საიმედოდ ესახებოდათ ტერიტორიული ავტონომიის მოპოვება, როგორც უფრო რეალურისა და ხელმისაწვდომის.

ცხადია, ტერიტორიულ ავტონომიას არ დასჯერდებოდნენ და ამ საძირკველზე თანდათან შეეცდებოდნენ სახელმწიფოებრიობის ამოშენებას, მაგრამ არასებული სინამდვილე და პირობები ჯერ მაინც სიფრთხილესა და დიპლომატიურ სვლებს კარნახობდათ.

„ტეზრელი“ კი მათ სიფრთხილეს და დიპლომატიას შიმთან და უკანდახევასთან აიგივებდა და ვერ ურიგდებოდა ჩოჩიალ-ჩოჩიალით ბრძოლას თავისუფლებისათვის.

არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი თავისას შეაგონებდნენ, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმებდნენ. თუმცა ეს ხელს ვერ შეუშლიდათ, კონგრესი სწორედ ამ მძაფრი მონოდებით გაეხსნათ. შედავებით ვინც უნდა შედავებოდა მოხსენების პათოსს და ემტკიცებინა „ტეზრელის“ აჩქარება თუ ილუზიების გაიგივება რეალობასთან, ორგანიზატორთა განწყვეტილებით პირველ მოხსენებად მაინცდამაინც ამ თემის გამოტანა გამჭვირვალედ მიანიშნებდა, რომ ეს განზრახვა არც ფედერალისტურ პარტიასა და მის წინამძღოლებს ეგულებოდათ დიდად შორს.

არ იზიარებენ, თუმცა მის ირგვლივ მსჯელობა ძალიანაც სწყურიათ. ბოლოსდაბოლოს, პოლიტიკურად ჯერ ნაადრევად რომ იყოს, საზოგადოების ყური შეეჩვევა, შეეთვისება და ტერიტორიულ ავტონომიას არ მიიჩნევს მიზნად.

დიდხანს აწვალებდათ ქართველ ისტორიკოსებს „ტეზრელის“ ვინაობის ამოცნობა, ვიდრე თამაზ ჯოლოგუა გახსნიდა შიფრს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (27 სექტემბერი, 1996) და დაადგენდა, რომ ეს პოლიტიკური ფსევდონიმი გულისხმობდა ნინო ყიფიანს (1877-1920-იანი წლები), ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წევრს, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილს და მასავით თავგადადებულს ქვეყნის თვით-მყოფადობის გადარჩენისათვის.

მანამდე მკვლევარს ამავე გაზეთის ფურცლებზე უკვე გამოქვეყნებინა იასონ ბობლიაშვილის ექვსი ბარათი, გამოგზავნილი ნინო ყიფიანთან მეტეხის ციხიდან (№3, 1995). იასონიც ფედერალისტური პარტიის წევრი გახლდათ და 1904 წლის შემოდგომაზე საქართველოში გემ „სირიუსით“ იარაღის ფარულად შემოზიდვის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

მეტეხში გამომწყვდევა არც ნინო ყიფიანს აკლდა და რევავა გაბაშვილი თავის მოგონებათა წიგნში იმ ეპიზოდსაც გაიხსენებს, თუ როგორ დაატუსაღეს ნინოსთან სტუმრობისას ორივე – სტუმარიც და მასპინძელიც. უცერად შეუცვივდნენ პოლიციელები და ჟანდარმები, როდესაც მასპინძელი რევავა გაბაშვილის საყვარელ ლისტიას რაფსოდიას უკრავდა.

ორი კვირის შემდეგ ორივეს რომ გაათავისუფლებდნენ პატიმრობიდან, ერთმანეთთან შეუთანხმებლად მიცვივდებოდნენ ნინოს სახლში, რადგანაც ნივთმტკიცება კვლავაც იქ ეგულებოდათ. რაკილა ბრალად არ წაუყენებიათ გიორგი დეკანოზიშვილის მიერ გამოგზავნილი წერილი, ცხადია, ჩხრეკისას უნებურად უნდა გამორჩენოდა პოლიციას, რომელსაც მთელი ოთახი გადაუბრუნებია, მაგიდები, კარადები, საწოლი გულდასმით გაუჩხრეკია, რაღაც ქაღალდებიც წაუღია თან, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ ბრატის ანგელოსი თუ გადაფარებია.

ხელუხლებლად რომ ნახავდნენ კედელზე, შვევით ამოისუნთქავდნენ და ახლა რევავა გაბაშვილი ჩაიდებდა ჯიბეში – უფრო უშიშარ ადგილას შესანახად.

მემუარებში ეს ეპიზოდი აქ მთავრდება, თუმცა ბელეტრისტულ თხზულებაში გამოყენებისას უსათუოდ ასე უნდა დასრულდეს, თუ როგორ ჩაეშვება სტუმარი სავარძელში, მასპინძელი კი შეწყვეტილ რაფსოდიას გააგრძელებს.

სინამდვილეში მართლაც ასე მოხდებოდა, ეგავა, მემუარებში აღარ შეუტანიათ.

კიდევ ერთი თავგადასავალი გადახდება ამ ორს, სკრის სადგურზე, ჟანდარმისათვის თვალის ასახვევად შეყვარებულებს რომ გაითამაშებენ... ასევე შეყვარებულებად მოაჩვენებენ თავს პოლიციელებს, როდესაც საგუბერნიო ციხის მახლობლად დასეირნობენ და გულდასმით ათვალაიერებენ, თუ სად სჯობს ხერხის გათხრა ტუსალების გასათავისუფლებლად. ამით იმიტომ აიღეს ეს სარისკო საქმე თავიანთ თავზე, რომ ცოტა ხნის წინათ შიგნიდან დაწყებული ხერხი ჩავარდა და რამდენიმე პატიმარს სასჯელი გაუუარესდა.

ნინო ყიფიანს უმთავრესად იმიტომ ადევნებდნენ თვალყურს და არც მკაცრ მოპყრობას აკლებდნენ, რომ პარიზიდან ფარულად გამოგზავნილ ჟურნალ „საქართველოს“ ისიც ავრცე-

ლებდა ხალხში და ფედერალისტებს ყოველმხრივ ერთგულად ედგა მხარში, ვიდრე ცოტა არ იყოს გულს აიცრუებდა მათზე.

იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ამ მოკლე ხანში შეგვეძლება დაბრუნება გათავისუფლებულ ქვეყანაში, – ისეთი გზებით მიმართავდა სწორედ იმხანად თვითონაც ემიგრაციაში მყოფი ნინო გიორგი დეკანოზიშვილს და ისე უსურათხატებდა ხელისგანვდებაზე არსებულ დამოუკიდებლობას, სხვა იქნებ ადვილად აპყოლოდა კიდევ, მაგრამ ფედერალისტთა ერთ-ერთი მოთავე ცივ წყალს გადაასხამდა მის ენთუზიაზმს: მერედა სად არიან თავისუფლებისათვის მებრძოლი? მე ჯერ ვერა ვხედავ. თავისუფლება მოიძებნება შრომით, სისხლით, მსხვერპლით, სიკვდილით, ტანჯვითა და ბრძოლით, რაც ჩვენში არა ჩანს. უბრალო კონგრესზეც კი ვერ შევთანხმებულვართ და ბრძოლის ველზე როგორ გამოვალთ ერთად, სხვების იმედი კი არ უნდა გვექონდესო.

ადრე თუ გვიან უნდა გაყრილიყო ფედერალისტებისა და ნინო ყიფიანის გზებიც და დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილს ეროვნულ-დემოკრატიებთან გადაენაცვლა, ფედერალისტთა წრიდან ვინც ამოზრდილიყვნენ და ბევრ საერთოს მერეც ჰპოვებდნენ მათთან, მაგრამ ტერიტორიული ავტონომიის საფეხური ზედმეტ გაჭიანურებად მიაჩნდათ და უფრო გამეტებით მოინდომებდნენ იმპერიულ პოლიტიკასთან შეტაკებას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე უკვე იმპერატორი და მისი კარი კი აღარ ელოებოდათ მხოლოდ, არამედ სოციალ-დემოკრატია – რუსეთში არსებულიც და არანაკლებ მისი ქართული ფილიალიც.

ამ საშიშროებაზე ლელავს და მისი გადალახვის გზასა და საშუალებას ეძიებს ნინო ყიფიანი იაკობ გოგებაშვილთან 1908 წელს ბრიუსელიდან გამოგზავნილ ბარათშიც, იაკობთან იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდგომ თუ ვინმე ეგულება ეროვნული იდეალებისა და სწრაფვის დამცველად, პირველთაგანთა შორის „დედა ენის“ შემოქმედი.

დგას ერთ-ერთი გადამწყვეტი ჟამი ეროვნული მრწამსის გადასარჩენად.

გადამწყვეტი და... ვაი, რომ საბედისწერო!

ნინო ყიფიანს, ვინც სეისმოგრაფის ალლოთი და დაკვირვებით ადევნებს თვალს ქართველი ხალხის ფსიქიკისა და ცნობიერების იდუმალ მოძრაობას, შეუძლებელია გამოეპაროს ბედისწერის სახიფათო თამაში.

ამ ისტორიული ბარათის ეს პასაჟი, რომელშიც მკაცრად და ზუსტადაა განსაზღვრული სოციალ-დემოკრატთა მსოფლმხედველობა და პოლიტიკური კურსი, საგანგებოდაა მოხმობილი თამაზ ჯოლოგუას მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები)“.

მთავარი აქ სწორედ ესაა – მისი ისტორიულობაც ამით არის გამოწვეული, მაგრამ ეს კერძო წერილი მთლიანადაც საგულისხმოა – ნინო ყიფიანს ქვეყნისათვის საიმედოდ ესახება იმჟამად ახალგაზრდა კაცი სარგის კაკაბაძე და სურვილი აქვს, რომ იაკობ გოგებაშვილმა გადააფაროს მფარველობის კალთა. ბარათში თვალსაჩინოა ავტორის გულისხმიერებაც და უტყუარი ალლოც, რაც სარგის კაკაბაძემ შესანიშნავი სამეცნიერო თხზულებათა მთელი წყების შექმნით ასე შთამბეჭდავად გაამართლა.

... ეს რა გავბედეთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რომ მოვითხოვეთ, – გუნებაში ხომ მაინც მოინონებდნენ თავს არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი და იმედით გამოხედავდნენ ცალკე ჟურნალ „საქართველოს“ და ცალკე ჟენევის ინტერპარტიულს კონგრესსა, საძირკველიც უკვე მყარია თავისუფლებისათვის კარის შესხნის წინო.

მაგრამ ვერა, ვერ მოიგებდნენ ნინო ყიფიანის გულს: თქვენზე ძვირფასი ვინა მყავს, მაგრამ სიფრთხილითა და ნელ-ნელაობით არ დაგვიბრუნდება საქართველოს სახელმწიფოო.

ავად ბრუნავდა ანტინაციონალური დრო.

და ტლაპოსა და ჭაობივით ითრევდა ქვეყანას სოციალ-დემოკრატიის გამხრნელი ქადაგებანი.

ბრენდონ ფლემინგი

მასე

ორი მამაკაცი შეხვდა ერთმანეთს, რათა შეეჯამებინათ უკანასკნელი და უღმობელი შედეგები. მოწმე არა ჰყოლიათ, პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს.

ვილდერს მკვდრის ფერი ედო და ნერვიულად ჩასჭიდებოდა საგარძლის სამკლავურს. მის პირდაპირ აგდებულად გაშლართულიყო ენსორი, სიგარეტს ენეოდა და თვალს არ აშორებდა თანამოსაუბრის დაღმეჭილ პირისახეს.

– გიმეორებთ, ჩემი პირობები ან უცვლელად უნდა მიიღოთ ანდა უკუაგდოთ, – ცივად წარმოთქვა მან. – არაფრის შეცვლას არ ვაპირებ.

ვილდერმა მკვეთრად აიქინა ხელი. ენსორი გადანვდა ვისკით სავსე ჭიქას, მაგიდაზე რომ იდო და განაგრძო:

– თქვენ ჩემგან მიიღებთ სამას გირვანქა სტერლინგს და... არაუგვიანეს ორი დღისა დატოვებთ ქვეყანას. ამას არ დავუმატებ არც ერთი პენის და არც ერთ საათს!.. სამასი გირვანქა და თავისუფლება! ეგებ გერჩივით რამდენიმე წლით ციხეში ჩაჯდომა?

მერე გადაჰკრა ვისკი, ჭიქა გასწია, უეცრად წელში გაიმართა და მოუთმენლად ჰკითხა:

– მაშ ასე, რა გადაგინყვეტიათ?

– სამასი გირვანქა? ამ საქმეში ხომ რამდენიმე ათასი ჩავდე! – მწარედ წამოიძახა ვილდერმა. – ჟორჟ ენსორ, თქვენ უცნაური წარმოდგენა გაქვთ სამართლიანობაზე...

– ჩემი პირობები ასეთია, – შეეპასუხა ენსორი, – და სულაც არ ვაპირებ ვრცელ მსჯელობათა გამართვას.

– თქვენ ჩაეჭიდეთ ამ საბაბს, ხელთ ჩაგივარდათ შესაძლებლობა, რომ თავიდან მომიშოროთ და ჩემი კაპიტალით ისარგებლოთ!..

– მე საკმარისად გიხდით, – მშრალად შეანწყვეტინა ენსორმა, – ხომ ხედავთ, რომ ძალზე ჰუმანურად გექცევით. თქვენ არა მარტო გააქარწყლეთ ჩემი ნდობა, როგორც კომპანიონისა, არამედ, რამდენადაც ვიცი, არაერთხელ გისარგებლიათ – არ მინდა, სხვა სიტყვა ვიხმარო – აქციონერთა მიერ შემოტანილი ფულითაც.

– დიახ, მაგრამ არც თქვენი საბირჟო გარიგებანი არის მაინცდამაინც უმნიკვლო... – ჩაიბუზღუნა ვილდერმა.

– დაე, ეგრე იყოს, – აგდებული კილოთი შეეპასუხა ენსორი, – მაგრამ მე ყოველთვის საკმარისად ვფრთხილობდი, არ ავცდენოდი კანონს, თქვენ კი ჭკუა არ გეყოფთ და აშკარად დაარღვიეთ იგი. დამეთანხმებით, რომ განსხვავება ჩვენს შორის ერთობ არსებითია.

– მაგრამ უკვე ხომ შემოგთავაზეთ, – ვილდერი შეეცადა, გული მოეღობო მისთვის, – რომ ყველაფერს დაგიბრუნებდით უკანასკნელ შოლინგამდე... ყველაფერს, რაც კი მივითვისე ამ ექვს თვეში.

ენსორი წამოდგა და გაიარ-გამოიარა ოთახში:

– თქვენს წინადადებაზე უკანასკნელად გასაუხობთ: არა-მეთქი! გიკრძალავთ, თუნდაც ერთხელ გამოჩინას

ჩვენს ბიუროში და კლიენტებთან ურთიერთობას. ჩემი პირობები უცვლელია. თქვენ ახლავე უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება.

ენსორი მიუახლოვდა ბაღში გასასვლელ დიდ მინის კარს და ჩაფიქრებით მიაჩერდა ლამის წყვილიად.

ენსორის სახლს გარს ერტყა მაღალი ხეები, რომელთა კენწეროებს ქალაქის შორეთიდან ციალთა მკრთალი ანარეკლები ეცემოდა. ფოთლულის სქელი ფარდა ახშობდა ახლომდებარე ქუჩის ხმაურს და ბაღში უდრტვინველი სიჩუმე სუფევდა.

– მგონი, წვიმამ გადაიღო, – უეცრად შენიშნა ენსორმა, თითქოსდა საკუთარ თავს ელაპარაკებო. მერე მობრუნდა და განაგრძო: – ფიქრისათვის მხოლოდ ხუთი წუთი შემძლიათ გაჩუქოთ: ათ საათზე სტუმარს ველოდები.

– რა თქმა უნდა, ქალს, არა? – გესლიანად გაეცინა ვილდერს.

ენსორმა წარბები შეჭმუხნა:

– თქვენი ვარაუდი სწორია. დიახ, მე ველოდები ქალს, რომელიც თავისი ქმედებით ისეთივე უგუნური გამოდგა, როგორც თქვენ. ვშიშობ, რომ დღეს კიდევ ერთი მძიმე საუბარი მომიწევს.

ნათქვამს რომ უსმენდა, ვილდერის ფერმკრთალ სახეს გამომეტყველება ეცვლებოდა. თვალები უცებ გამოუცოცხლდა, შეჭმუხნილი წარბები გაეხსნა. ენსორი ჭიქაში ვისკის ჩასხმით იყო გართული და არაფერი შეუმჩნევია.

– აჰა, ამიტომაც დაგიტხოვიათ მთელი თქვენი მსახურ-მოახლენი, – დინჯად წარმოთქვა ვილდერმა. – თქვენ, ასე ვთქვათ, გსურდათ განთავისუფლება საბრძოლო ველისა ამ ქალთან... საუბრისათვის?

მოულოდნელმა განრისხებამ წამოაჭარხლა ენსორი.

– თუ შეიძლება, ჩამოეხსენით ჩემს კერძო საქმეებს, – მკვახედ თქვა მან, – სჯობს, საკუთარ ასავალ-დასავალზე იზრუნოთ.

– ნეტავი ვიცი, აქ რამ უნდა მოიყვანოს ქალი ასე გვიან, – თითქოს არც მოუსმენია ენსორისათვის, დამცინავად გამოსცრა ვილდერმა.

ენსორმა გაბოროტებით შეხედა მას.

– ჩემი პირობები შეიცვალა, – თქვა მან ისეთი კილოთი, რომელიც წინააღმდეგობას ვერ აიტანდა, – ახლა თქვენ სამასის ნაცვლად ორასი გირვანქა გერგებთ... და მხოლოდ ერთ წუთს გაძლევთ გადაწყვეტილების მისაღებად. – მკვეთრად შებრუნდა და ვისკით გაივსო ჭიქა.

ვილდერს დაუოკებელი გააფთრების ტალღამ გადაუარა სახეზე. მუშტები ისე მაგრად მოკუმდა, რომ ძარღვები ლურჯად ამოებერა კანქვეშ.

ამასთან, თვალში მოხვდა სახიანი ბუდე ხანჯლისა, იქვე რომ იდო ტაბლაზე სხვა აღმოსავლურ სუვენირთა შორის. წამიც და თითები მაგრად ჩაებლაუჭნენ ხანჯლის ვინრო ვადას. ამასთან, ხანჯლის პირი ოდნავ შეეხო ტაბლის კიდეს.

ფოლადის მჭექარე ხმამ ენსორი მოახედა და რას ხედავს: ვილდერის შეშლილი სახე და მოღერებული ხანჯალი...

– გაგიჟდი?! – დაიყვირა მან. – ახლავე დაღე იარაღი...

სხვა გზა არ იყო, უკან უნდა დაეხია. თვითგადარჩენის ინსტიქტმა აიძულა, რომ ანეული ხელები აეფარებინა სახეზე, მაგრამ დააგვიანა... წამოყვირებაც კი ვერ მოასწრო და მძიმედ მოადინა ზღართან ჰარკეტზე.

ერთ ადგილზე გაქვავებული ვილდერი დაჟინებით მისჩერებოდა თავისი ხელით მოკლული ადამიანის სხეულს.

ხანჯალი ღრმად ჩასულიყო ქრილობაში. გარეთ ვადალა ამოეშვირა. ხალიჩაზე სისხლის გუბე დეგებოდა. ვილდერი წელში გაიმართა და ოდნავ აკანკალებული ხელი მოისვა შუბლზე. არც სიბრაულეს გრძობდა და არც სინანულს. გრძობდა მხოლოდ და მხოლოდ მცირეოდენ განცვიფრებას... მამასადამე, ენსორი მკვდარია და მან, რიჩარდ ვილდერმა, მოკლა იგი!..

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ენსორი თავად არის დამნაშავე! განა თავისი მოთხოვნებითა და მიუღებელი პირობებით არ მიიყვანა აქამდე? და, ამასთან ერთად, ენსორი არაფრით არ იყო მასზე უკეთესი...

აბა, სხვა რა ექნა? ეს, მგონი, საუკეთესო გამოსავალია... ვილდერმა თავისებური სიამაყის შემოტევაც კი შეიგრძნო, რომ გამბედაობა ეყო მტრის მოსასპობად... ენსორმა, ერთადერთმა იცოდა მითვისებული თანხების შესახებ. ახლა კი ეს ერთადერთი მონმე მკვდარია. მას რაღას უნდა უფრთხილდეს? ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიერო მიეზღვება? მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერაფრით ვერ ამხელენ! ჭკუა ეყოფა, რომ ყველა სამხილი მოსპოს, გააცამტვეროს.

უცებ თავში იტაცა ხელი და კედლის საათს შეხედა. ისარი უჩვენებდა, რომ ათს აკლდა ოთხი წუთი. უცნობი ქალი ოთხ წუთში აქ იქნება...

მოახლოებულმა საფრთხემ თავდაჯერება დაუბრუნა. უნდა გააქროს ყოველი კვალი, რაც მის აქ ყოფნას გაამჟღავნებდა! ცხვირსახოცი შემოიხვია ხელზე, სავარძლის ზურგს ჩასჭიდა და ჩვეულ ადგილზე გააჩოჩა. მერე გულდასმით განმინდა ხანჯლის ვადა, ოღონდ იარაღი ქრილობიდან არ ამოუღია. მერე ბეჯითად გაიხსენა ყოველი ნივთი, რომელსაც შესაძლოა შეჰხებოდა და რიგრიგობით ყველას გადაუსვა ცხვირსახოცი.

ვილდერმა იცოდა, რომ დანაშაულთა უმრავლესობას ხსნიან ხოლმე უმნიშვნელო სამხილთა წყალობით, რომელთა განადგურება დამნაშავეს ავიწყდება. გაიფიქრა: მე კი უკლებლივ ყველაფერს მივხედავო! არაფერს დავტოვებ საიმისოდ, რომ ჩემს კვალს მოაგნონო. არაფერმა არ უნდა გასცეს მისი ღამეული სტუმრობა. არაფერმა!

ვესტიბიულში შუქი არ აუნთია, ცხვირსახოცში გამოსვლილი ხელით მოიფათურა თავისი პალტო და შლია-პა, მერე კაბინეტში დაბრუნდა, სწრაფად მოჰკიდა ხელი მინის კარის სახელურს და ბაღში გაძვრა. გარეთ სიჩუმე სუფევდა. კედელ-კედელ მიიპარებოდა, სახლს შემოუარა და გარაჟისაკენ გაემართა. როდესაც მიუახლოვდა, დარწმუნდა, რომ ჩამქრალი ფარებით მდგარ ავტომობილს ქუჩის მხრიდან ხშირი ბურქნარი ფარავდა და ვერავინ შეამჩნევდა.

კმაყოფილს ჩაეცინა და კვლავინდებური სიფრთხილით მიეპარა ბურქებს, რომელთაც ანათებდა ანარეკლი შუქისა, კაბინეტის ფანჯრიდან რომ ეცემოდა, იმ კაბინეტისა, სადაც ის-ის იყო დასრულდა საბედისწერო საუბარი.

რა თქმა უნდა, გეგმა საკმაოდ გაბედული იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რისკი არცთუ ისე დიდია, ვინაიდან თავისი ნაგვიანევი სტუმრობის ყველა კვალი ნაშა-ლა, გაანადგურა.

გულისგამანვრილებელმა ლოდინმა რამდენიმე წუთი გასტანა. მერე გაისმა ხრეშის მსუბუქი ხრამახრუში და მოახლოებული ნაბიჯების ხმა. ქალის ტანადი ფიგურა გამოჩნდა ვილდერის შორიახლოს და მინის კარს მიღმა გაუჩინარდა.

ვილდერმა ფეხაკრეფით, ჩრდილივით, ისევ შემოუარა სახლს, ჭიშკრიდან გავიდა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა ახლომდებარე პოლიციის უბნისაკენ.

იქ დახვდა მორიგე ინსპექტორი, რომელიც ამთავრებდა თავის არცთუ მდიდრულ ვახშამს (ორი სენდვიჩი და ფინჯანი ყავა). ვილდერის შემფოთებული სახის დანახვებზე საჩქაროდ ზეზე წამოდგა:

– რაღაც გაგჭირვებიათ, რით შემიძლია გემსახუროთ? – ჰკითხა მან ვილდერს.

– ახლავე მოგახსენებთ, ინსპექტორო, – ალელვებით დაიწყო ვილდერმა. – ვშიშობ, რაღაც უბედურება ხომ არ მოხდა მისტერ ენსორის სახლში. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ შევთანხმდით – დღეს, საღამოს ათ საათზე შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ როდესაც იქ მივედი, კარი არავინ გამიღო, თუმცა დაჟინებით ვრეკდი ზარს. ყველა ფანჯარა ჩაბნელებულია და ხმის ნატამალიც არ ისმის, თითქოსდა სახლი გაუკაცურდაო...

შეჩერდა, სული რომ მოეთქვა და მერე განაგრძო:

– მე მქვია რიჩარდ ვილდერი. ძველი კომპანიონი ვარ მისტერ ენსორისა. სწორედ დღეს უნდა გვემსჯელა ძალზე მნიშვნელოვან და უაღრესად გადაუდებელ საქმეთა შესახებ. სრულიად გამორიცხულია, რომ მისტერ ენსორს დავინწყებოდა დანიშნული შეხვედრა. გარდა ამისა, მას უამრავი მსახური ჰყავს და ჩემთვის ვინმეს მაინც უნდა გაელო კარი! ეს-ეს არის, ტელეფონით დარეკვაც ვცადე, მაგრამ არავინ იღებს ყურმილს. ეს ავბედითი მდუმარება ძალზე მაღელვებს. ერთ პოლისმენს ხომ არ გაგზავნიდით ამბის გასაგებად?

პასუხის ნაცვლად ინსპექტორმა ქუდი დაიხურა და დასძინა:

– მე თვითონ წამოგყვებით, მისტერ ვილდერ. უნდა ვალიარო, რომ მეც არ მომწონს მის სახლში გამეფებული მდუმარება. პირადად ვიცნობ მისტერ ენსორს და მისი ცხოვრების ჩვეულ წესსა და რიგს.

ისინი მალე მიადგნენ სახლს, რომელიც პირქუშად ჩამავებულიყო გარშემორტყმულ ხეთა ჩრდილში.

ინსპექტორმა ზარი დარეკა... უშედეგოდ! ხმამაღალ კაკუნსაც არავინ გასცა პასუხი. მაშინ ინსპექტორმა ყური მიაღო საფოსტო ყუთს და სმენად გადაიქცა. თქვენც არ მომიკვდეთ!

– ეს აბსოლუტური სიჩუმე ნამდვილად არ მომწონს, – ჩაიბუტბუტა ინსპექტორმა.

– საკვირველია, ეს მსახურნი სად უნდა დაკარგულიყვნენ? – ალელვებით შენიშნა ვილდერმა.

ინსპექტორი მიუბრუნდა მას.

– მოდი, სახლს შემოვუაროთ, – თქვა მან. – ვიმეორებ, აქაური ვითარება ნამდვილად არ მომწონს.

ისინი გაუყვნენ ხევიანს, გარს რომ უვლიდა სახლს.
– შეხედეთ, კაბინეტის ბოლოში შუქია, – უცებ ნაიჩურჩულა ვილდერმა, – და ფანჯარაც ღიაა.

ინსპექტორმა სწრაფად ანიშნა, გაჩუმდითო. ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ ბურქებს მინის კარის წინ და სახლში შეიჭყიტეს.

ქალი დაჰყურებდა საწერ მაგიდას და აჩქარებით ჩხრეკდა უჯრებს. ზარის რეკვამ და კარზე კაკუნმა, ეტყობა, ააფორიაქა. აცახცახებულ ხელებით არჩევდა ქალაღებს და ნაწილი პირდაპირ იატაკზე მიეყარ-მოეყარა. დროდადრო ჩერდებოდა და სმენას ამახვილებდა.

ამასთან, თვალი გაუბრუნდა კუთხეში მდგარი ტახტისაკენ. ფრიად შემკრთალი ჩანდა.

ქალს ეცვა შავი ფერის, საგარეო მანტო. ფერნასული პირისახის მიუხედავად, ძალზე ლამაზი იყო.

ინსპექტორმა უცებ გააღო მინის კარი და ოთახში შეაბიჯა. ახალგაზრდა ქალმა შიშით შეჰკვივლა და უკან დაიხია. თავზარდაცემული მისჩერებოდა ორივეს.

– თქვენ რა გნებავთ? – ძლივს ამოღერდა.

ამ დროს ინსპექტორმა ვილდერს ტახტისაკენ ანიშნა. იატაკზე სისხლში ამოსვრილი ენსორის ცხედარი ეგდო.

ვილდერმა საზარლად დაიყვირა:

– რა საშინელებაა! ენსორი მოუკლავთ! შეხედეთ, განგმირულია!

ინსპექტორი უმაღვე დაიხარა და გვამის გასინჯვას შეუდგა. მერე შეიჭმუნა და ახალგაზრდა ქალს მიუბრუნდა:

– მე უნდა შევასრულო ჩემი მოვალეობა, – ცივად თქვა მან.

ფეხზე წამოდგა, მინის კარს მიუახლოვდა და დახურა.

– ქალბატონო, გთხოვთ, რომ არ გახვიდეთ შენობიდან, – მიმართა ინსპექტორმა უცნობ ქალს.

ამასობაში ვილდერი ოხვრა-კვნესას განაგრძობდა.

– საბრალო, საბრალო ენსორი... მკვდარია! – ხრინწიანი ხმით აღმოხდებოდა ხოლმე.

მწუხარებისგან მთლად ჭკუიდან შერყეული გეგონებოდათ.

ანაზღად ახალგაზრდა ქალს მივარდა.

– როგორ გააკეთეთ ეს, როგორ გაბედეთ ამ შემზარავი ავკაცობის ჩადენა?! – ბრაზმორეულმა დაუყვირა.

– მაგრამ მე არ მომიკლავს, – ვედრების კილოთი ნაიჩურჩულა ქალმა, – გარნმუნებთ, მე არაფერ შუაში ვარ.

ვილდერმა აღშფოთებით აიჩეჩა მხრები.

– განა შეიძლება, ვინმეს ეჭვი შეეპაროს?

ამასობაში ინსპექტორი გულდასმით სინჯავდა გვამს, მერე წამოინია და ახალგაზრდა ქალს მიმართა:

– უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ყველაფერი, რასაც ახლა იტყვით, შესაძლოა, თქვენს წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.

სასონარკვეთილი ქალი თითებს იმტვრევდა:

– გეუბნებით, რომ მე არ მომიკლავს! გეფიცებით, არ მომიკლავს-მეთქი. ცხედარი იატაკზე დამხვდა, როდესაც აქ შემოვედი.

ინსპექტორმა რამდენიმე შენიშვნა ჩაინერა თავის უბის წინგაკში.

– მაგრამ რატომ იქექებოდით მიცვალეულის ქალაღებში? ამას, ვიმედოვნებ, არ უარყოფთ, – განაგრძობდა იგი დაკითხვას. მისუსტებული ქალი სავარძლის ზურგს დაეყრდნო. კბილებს რაკარუკი გაჰქონდათ.

– მე ვეძებდი... რაღაცას ვეძებდი... – ძლივძლივობით წარმოთქვა მან.

– და ნეტა რას ეძებდით?

ქალს პასუხი არ გაუცია.

– გირჩევთ, მთელი სიმართლე გაგვიმხილოთ, – დაჟინებით უთხრა ინსპექტორმა.

ქალი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში.

– ვეძებდი... ერთ ბარათს.

– მისტერ ენსორს რომ მისწერეთ? – შეუბრალებლად განაგრძობდა ინსპექტორი.

– დიახ! – აღმოხდა ქალს.

ანაზღად წელში გასწორდა, წამოწითლდა და განრისხებული ხმით დაიყვირა:

– მაიძულა, დღეს საღამოს

მოვსულიყავი... სხვა გზა არ მქონდა, ჩემი წერილი რომ დაებრუნებინა ჩემთვის... გამაფრთხილა, თუკი არ მოხვალ, ამ წერილს გავუგზავნი... სხვასო.

მერე ხმა თითქმის მიენავლა:

– ენსორმა არავითარი სიბრაღული არ იცოდა, არავითარი! არ აღელვებდა ბოროტება, რასაც სხვებს აყენებდა. ეს იყო მხეცი. მე არ მომიკლავს-მეთქი... მაგრამ სულაც არ ვწუხვარ, რომ მოუკლავთ!

ახლა პირდაპირ თვალეში შეჰყურებდა ინსპექტორს გამომწვევად:

– დიახ, – იმეორებდა იგი, – ახლა რაც გინდა, ის ქენით. მე ბედნიერი ვარ, რომ ის მკვდარია. ბედნიერი ვარ... ბედნიერი! – ხელები აიფარა პირზე და აქვითინდა.

– დამშვიდდით, – ლამის ალერსიანად მიმართა ინსპექტორმა, – გამოთქმები ფრთხილად შეარჩიეთ. ნუ გავინწყდებათ, რომ კანონის წარმომადგენელი ვარ.

მერე ვილდერს მიუბრუნდა და ჰკითხა:



მხატვარი გიგა ზალიშვილი

– თქვენი ძველი კომპანიონი ბრძანდებით მოკლული-
სა. რა შეგიძლიათ გვითხრათ მომხდარის თაობაზე?

– ვერაფერი გამიგია, – დუნედ წარმოთქვა ვილდერ-
მა. – მე მაინცდამაინც არ ვიცი რა ჩემი კომპანიონის პი-
რად ცხოვრებას, მაგრამ ის, რასაც ეს ქალი ლაპარაკობს,
წარმოუდგენლად მიმაჩნია!

ინსპექტორმა უბის ნიგნაკი დახურა და ჯიბეში ჩაი-
დო.

– მაგრამ დავუშვათ, – თქვა მან ჩაფიქრებით, – რომ
მისტერ ენსორი მართლაც მკვდარი იყო უკვე, როდესაც
ეს ქალი შემოვიდა.

ახალგაზრდა ქალმა თავი ასწია და აღელვებით წამო-
იძახა:

– ის უკვე მკვდარი იყო! გეფიცებით, უკვე მკვდარი
იყო-მეთქი.

ინსპექტორმა ანიშნა, გაჩერდით.

– ამრიგად, ვთქვათ, რომ ეს ქალი სიმართლეს ამბობს.
მისტერ ვილდერ, თქვენ ხომ იცნობდით განსვენებულის
ცხოვრებას, რას ფიქრობთ ამ მკვლელობის შესაძლებელ
ჩამდენთა შესახებ?

ვილდერმა თავი გააქნია:

– იოტისოდენა ეჭვსაც კი ვერ მივიტან ვინმეზე, –
თქვა მან. – ჩემს კომპანიონს მტერი არ ჰყოლია... რა
თქმა უნდა, ამ ახალგაზრდა ქალის მიმართ სიბრაღის
გამო მერჩივნა დამეშვა, რომ იგი სიმართლეს ამბობს...
რასაკვირველია, ვარაუდით, რასაც ვინებებთ, ის შეიძ-
ლება ვივარაუდოთ. მაგრამ ფაქტები, მე მგონი, ძალზე
გარკვეულად ღალადებენ და არ გვაძლევენ შესაძლებ-
ლობას, რომ დავეჭვდეთ მის ბრალეულობაში.

ახალგაზრდა ქალს სასონარკვეთილი კივილი აღმოხ-
და ბაგეთაგან. რამდენიმე წამის განმავლობაში ინსპექ-
ტორი ყურადღებით შეჰყურებდა მას და მერე ისევ ვილ-
დერს მიმართა:

– თქვენ გადაჭრით, მტკიცედ გჯერათ ეს?

– ვაი რომ, ასე, – თქვა ვილდერმა, – ძალზე მეზრა-
ლება ეს ახალგაზრდა ქალი, მაგრამ ყველაფერი მის წი-
ნააღმდეგ მეტყველებს.

– ეტყობა, მართალი ბრძანდებით, – ჩაფიქრებით
თქვა ინსპექტორმა, – და მაინც...

მან ისევ შეავლო თვალი სავარძელში მჯდომ აქვითი-
ნებულ ქალს.

– და მაინც, – აღიარა ინსპექტორმა, – ბევრი რამ ვერ
გამირკვევია. შესაძლოა, ყოველივე ამის მიღმა სხვა რა-
ღაც იმალებოდეს. დიდი გამოცდილება დამიგროვდა
დამნაშავეთა უარზე დგომის შესახებ და შინაგანი ხმა
მკარნახობს, ეს ქალი არა ცრუობსო. უფრო სწორად...
მთლად არა ცრუობს. და მაინც უნდა დავაპატიმრო.

ვილდერის სახე უტყუარ თანაგრძნობას გამოხატავ-
და.

– დიახ, დიახ, – მან თავი გააქნია, – გეთანხმებით,
რომ თქვენი მოვალეობა შესაშური როდია და მაინც ფაქ-
ტების ენა ფრიად მჭევრმეტყველი გახლავთ... ამასთან
ერთად, ჩემი ჩვენებაც თქვენთანაა... და იგი, სამწუხა-
როდ, ამ ქალის დანაშაულს ვერ შეამსუბუქებს.

აფორიაქებული ინსპექტორი თითოთ ნიკაპს ისრესდა.

– მისტერ ენსორს, ცხადია, აქვს ტელეფონი?

– დიახ, ვესტიბიულში დგას, – უმაღვე მიუგო ვილდერმა.

– დიდად დამავალბეთ, მიმართა მას ინსპექტორმა, –
თუკი დარეკავთ პოლიციის უბანში, ბერნეილი 438, და
ჩემი სახელით განკარგულებას გასცემთ, რომ მორტონ-
მა მოძებნოს ექიმი სინგლტონი და აქ მოიყვანოს გვამის
დასათვალიერებლად. მომიტევეთ, თქვენ რომ განუ-
ხებთ, მაგრამ არ მინდა, ეს ქალი თვალყურის გარეშე
დავტოვო

– მართალი ბრძანდებით, – თქვა ვილდერმა და გასას-
ვლელისკენ გაემართა.

როდესაც კარი მიიხურა, ვილდერს სახე გაუნათდა და
გამარჯვების ცხოველურმა სიხარულმა შეიპყრო. ენდა,
რომ ხმამაღლა, დიდის ლხენით ახარხარებულყო. არც
სინდისის ქენჯნას გრძნობდა, არც სიბრაღის ახალ-
გაზრდა ქალისადმი, ვისაც ეს საზარელი ეჭვი დაატყდა
თავს. მთელი ცხოვრების მანძილზე ვილდერი თავის
ბნელ საქმეებში ურცხვად გარეგდა ხოლმე უდანაშაულო
ადამიანებს და აიძულებდა მათ, ეზღვიათ თავიანთი
ცდომილებანი.

ვილდერმა ტელეფონით დარეკა პოლიციაში და საქ-
მიანი კილოთი გადასცა დავალება. მერე აუჩქარებლად
დაბრუნდა კაბინეტში. ინსპექტორი რალაცას ხლაფორ-
თობდა სავარძელში უძრავად განრთხმული ქალის ახ-
ლის. საზარელმა ბრალდებამ მკვლელობაში და იმის
გაცნობიერებამ, დაპატიმრებული ვარო, ახალგაზრდა
ქალს გრძნობა დააკარგვინა. ჭიკა ვისკი საკმარისი არ გა-
მოდგა, გონზე რომ მოეყვანათ. ამ დროს, ბედზე, პოლი-
ციის ექიმი გამოჩნდა და მხოლოდ მისმა დახმარებამ და-
უბრუნა ცნობიერება ახალგაზრდა ქალს.

– მორტონ, – მიმართა ინსპექტორმა თავის ხელქვე-
ითს, – თქვენ ექიმ სინგლტონთან დარჩებით და გამოძიე-
ბას დაამთავრებთ. ამასობაში მე უბანში წავიყვან ამ
ქალს. უფრო დანვრილებით უნდა დავკითხოთ.

მერე ვილდერს მიმართა:

– მისტერ ვილდერ, ურიგო არ იქნებოდა, ჩვენთან ერ-
თად რომ წამოზრძანებულიყავით. დაკითხვის დროს შე-
საძლოა წარმოიქმნას რაიმე ბუნდოვანი მომენტები,
რომლებიც ეგებ თქვენ გაარკვიოთ.

– რა თქმა უნდა, წამოვალ, – ხალისიანად დათანხმდა
ვილდერი, – წავიყვანთ კიდეც ჩემი ავტომობილით, ფა-
ციფუცში აქ, შორიახლოს, დავტოვებ მანამდე, ვიდრე გა-
ვიქცეოდი და განგაშს ავტეხდი.

მერე მხარში ამოუდგა ახალგაზრდა ქალს და გასას-
ვლელისკენ წაუძღვა. უბედური არსება მექანიკურად
ემორჩილებოდა.

– ჩემი ავტომობილი აქ, შორიახლოს დგას გარაჟთან.
მისტერ ენსორს არ უყვარდა, სტუმრები თავიანთ მანქა-
ნებს ჭიშკრის წინ რომ ტოვებდნენ.

სამივინი გაუდგნენ გზას.

ახალგაზრდა ქალი მძიმედ ჩამოეკიდა ინსპექტორის
მკლავს და ის იძულებული გახდა, რომ ბავშვივით აეყვა-
ნა ხელში და ჩაესვა მანქანაში. ვილდერმა დაასწრო ჩაჯ-
დომა და უკვე აპირებდა მოტორის ჩართვას, რომ უეც-
რად სინათლის თვალისმომჭრელმა სხივმა გაკვეთა გარ-
შემორტყმული წყვილი. ვილდერმა გაკვირვებით გამო-
ყო თავი ავტომობილიდან: მუხლებზე დაჩოქილი ინსპექ-
ტორი გულდაგულ ათვალიერებდა მანქანის ძირს.

– რას აკეთებთ? – გაცდა ვილდერი.
ინსპექტორი ზეზე წამოდგა.

– მისტერ ვილდერ, – თქვა მან მკაცრი ხმით და პირდაპირ თვალეზში მიაჩერდა, – წვიმამ გადაიღო სულ რაღაც ერთი საათის წინ, მანამდე კი წამდვილი თავსხმა იყო, ლამის მთელი საათი კოკისპირულად წვიმდა.

– მერედა რაო? – იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა ვილდერმა.

– თქვენი სიტყვით, მას შემდეგ, რაც დაადგინეთ, რომ სახლში ავბედითი მდუმარება გამეფებულიყო, დაუყოვნებლივ წამობრძანდით, რათა ჩემთვის ეს გეცნობებინათ... თქვენი მობრძანება პოლიციის უბანში მოხდა დაახლოებით ნახევარი საათის წინ.

– დიას, მერედა რაო? – ისევ იკითხა ოდნავ შემფოთებულმა ვილდერმა.

– ისა, მისტერ ვილდერ, რომ ავტომობილის ქვეშ ნიადავი სრულიად მშრალია... მაშინ როდესაც ირგვლივ სულ გუბები დგას! ეს კი იმას ამტკიცებს, რომ თქვენ მანქანა დატოვეთ ჯერ კიდევ თავსხმამდე! თქვენ ბრძანეთ, რომ, როგორც კი აღმოაჩინეთ, სახლი უკაცური

არისო, მყისვე გამოეშურეთ პოლიციის უბანში. მაგრამ ირკვევა, რომ სინამდვილეში აქ საათზე მეტი გაგიტარებიათ! უინტერესო არ იქნებოდა გაგვეგო, მთელი ეს დრო რას აკეთებდით?

უზომოდ შეძრწუნებული ვილდერი მიაშტერდა ინსპექტორს, რომელიც მკაცრი თვალეზით პირდაპირ ჭამდა მას. შუბლზე ოფლი მოადგა... შეკამათებას აპირებდა, მაგრამ თითქოს მაჯლაჯუნამ ხელი წაუჭირა ყელში და პირიდან მხოლოდ ხრინწიანი, უთავბოლო ბგერები ამოსდიოდა.

მიაგნეს სამხილს... ერთადერთ სამხილს, მის გულისყურს რომ გამოეპარა... იპოვეს ერთადერთი საბუთი მისი დანაშაულისა...

– ხომ გეუბნებოდით, ეს ახალგაზრდა ქალი, მგონი, არ ცრუობს-მეთქი. – მოკლედ შენიშნა ინსპექტორმა და ხელი ჩავლო ვილდერს. გაისმა გაყრილი ხელბორკილის მშრალი ტკაცანი.

თარგმნა
ლევან ინაშვილმა

ბრენდონ ფლემინგი...

არა, არა, ის სახელგანთქმული ფლემინგი არ გეგონოთ, რომ-

ლის შემოქმედებითა ფანტაზიამ, თავისი პროფესიული გამოცდილების საფუძველზე, შექმნა XX საუკუნის ლეგენდარული გმირი ჯეიმზ ბონდი და დასავლეთში, აგერ დღესაც აგრძელებენ ფილმების გადაღებას ამ ინგლისელი ყოვლისშემძლე და ყოვლისმოქმედი მზვერავის ფანტასტიკურ, წარმოდგენელ, დაუჯერებელ „საქმეთა საგმიროთა“ შესახებ. „ბონდიანას“, ალბათ, დასასრული არ უნერია. მისი როლის შემსრულებელი იცვლებიან, მაგრამ თავად როლი უცვლელია, როლი კაცისა, რომელიც უთვითმფრინავოდ ფრინავს ჰაერში, უზომოდ და უნავოდ გადასცურავს ზღვას, მშვიდ-მწყურვალე ერთ დღეში ფეხით გადალახავს უზარმაზარ უდაბნოს, ტყვიას ტყვიას აჯენს, კარატე გართობა ჰგონია, თვალის დახამხამებაში აჯადოებს ზღაპრულ მზეთუნახავებს და თავის მონა-მორჩილად აქცევს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ლოიალურ მოქალაქეს... და მოხიბლული მაყურებელი უჭოჭმანოდ ყლაპავს მთელ ამ აბდაუბდას.

არა, იმ ფლემინგს, ჯეიმზ ბონდის შემოქმედსა და სულისჩამდგმელს, სახელად იანი ერქვა. ამ გამოქვეყნებული დეტექტიური მოთხრობის ავტორს კი ბრენდონი ჰქვია. ის ფლემინგი პროფესიით მზვერავი იყო და მერე გახდა მწერა-

მთარგმნელისაგან

ლი, ხოლო ბრენდონ ფლემინგი პროფესიონალი მწერალი გახლავთ. საერთო მხოლოდ

ისა აქვთ, რომ ორივე არის ინგლისელი.

ბრენდონ ფლემინგი ოციოდე წლით უფროსია იან ფლემინგზე. დაბადებულია 1889 წელს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, დეტექტიურ ნაწარმოებთა ანთოლოგიებში მისი გარდაცვალების თარიღის ნაცვლად კითხვის ნიშანია დასმული. ესეც გამოდგება დეტექტივის სიუჟეტად. ასე უგზოუკვლოდ სად და როდის დაიკარგა ეს კაცი, რომ არ უწყვიან დრო მისი აღსრულებისა?! ცოცხალი რომ ეგონოთ, კითხვის ნიშანს არ დაწერდნენ გარდაცვალების თარიღის ადგილას. უკანასკნელი წიგნი გამოუცხა 1950 წელს. ეს არის და ეს. მერე აღარსად ჩანს მისი კვალი.

ბრენდონ ფლემინგი ყოფილა დრამატურგი და ბელეტრისტი. თავის ნაწერებს აქვეყნებდა ჯერალდ ენსტრაზერის ფსევდონიმითაც. მისი ლიტერატურული დებიუტი შემდგარა 1913 წელს – წიგნს ერქვა „ნიღბები“. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 20-იანი წლების დამდეგს დაუბრუნდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. არაერთ მის წიგნს მოუხვეჭია წარმატება. ჩვენს ყურნალში დაბეჭდილი მოთხრობა 1935 წელს შეუტანიათ დეტექტიური ჟანრის საუკეთესო ნიმუშთა ფრიად ავტორიტეტულ კრებულში.

ქრონიკა

16 მაისს, თბილისის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ლიტერატურულ სალონ „დიაოხის“ თაოსნობით გაიმართა განხილვა მღვდელმონაზონ სერაფიმე როუზის ნაშრომისა „მართლმადიდებლობა და მომავლის რელიგია“.

მოსხენება წაიკითხა სალონ „დიაოხის“ თავმჯდომარემ, მწერალმა იკა ქადაგიძემ. მან მართლმადიდებლობისა და სექტანტიზმის პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. წერილში ლიტერატურული პარალელების გარდა ქართველ მოღვაწეთა სასწაულებიცაა განხილული.

ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა ელენე გუსევიამ აღნიშნა, რომ რელიგიის სწავლებას სკოლაში ჯეროვანი ყუ-

რადღება უნდა მიექცეს. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა გაცნობის შემდეგ, ახალგაზრდობამ უნდა წაიკითხოს რელიგიურ თემებზე შექმნილი ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები, თუნდაც აკაკი წერეთლის მივიწყებული პოემა „ანდრია პირველწოდებულნი“.

პროფესორმა ალექსი არაბულმა საზოგადოებას გააცნო ლამარისა და გუდანის სალოცავთა მძიმე მდგომარეობა. პოეტმა ილია ბარამიძემ, დავით გარეჯთან არსებულ ვითარებაზე ისაუბრა.

დასასრულ იკა ქადაგიძემ საზოგადოებას ამცნო, რომ როუზის ნაშრომი გამოცემისთანავე გაქრა წიგნის თაროებიდან და სასურველია მისი ხელახალი გამოცემა.

ეკა ბუჯიაშვილი

ფესვივზე იჯდა შავი ყორანი

*

განხილვა ნიგნისა

„ადათეპი ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“

XX საუკუნის 70-იანი წლები ერთი ურთულესი ჟამთაგანია საქართველოსთვის, ამ სიტყვის ორმაგი შინაარსით: ჟამი – როგორც დრო, და ჟამი – როგორც შავი ჭირი, – აღნიშნება ანოტაციაში როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიისა „ადათეპი ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“, მოგვიანებით კი, „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ შეკრებაზე, მაია ჯალიაშვილი იტყვის:

– ჟამთააღმწერლის ფუნქცია უნდა ეკისრა როსტომ ჩხეიძეს, ძირისძირობამდე გაეჩხრიკა წარსულის მოვლენები, გადაეზრა და ნამდვილი სახით აღედგინა საზოგადოებისათვის ჩვენი ქვეყნის სასტიკი ბედისწერა და მასთან დაკავშირებული ადამიანების ბედი იმ წლებშიო.

ბედისწერა კი მართლაც გასასტიკებულიყო.

სასწორზე აღმოჩენილიყო ეროვნული ნიშან-თვისებები.

„დიდი იმპერიის განაპირა პროვინციად გადაქცევა დაეახათ მიზნად“ და იარაღიც შემზარავი შეერჩიათ.

– ხემ თქვა: ცული ვერაფერს მიზამდა, შიგ ჩემი ნათესავიც რომ არ ერიოსო, – გაიხსენებს ქალბატონი მაია ჯალიაშვილი შეკრებაზე და აღნიშნავს: ეს ნიგნი ერთგვარი გაგრძელებაა როსტომ ჩხეიძის მიერ დაწყებული კვლევისა. 2004 წელს მან გამოსცა „ხანი უნდობარი“, სადაც წარმოაჩინა, თუ როგორ იღვევებოდნენ საბჭოთა დემონოკრატიის (როგორც გრიგოლ რობაქიძე უწოდებს) მიერ სასულიერო პირები, ქართული ეკლესია... როგორ უთხრიდნენ ძირს ეროვნულ ღირებულებებს, რათა ამ გზით შეერყიათ ის საყრდენი ერისა, დღემდე რომ მოიყვანა ქართველობაო.

თავის დროზე ოთარ ჩხეიძეს თავისი რომანისთვის – „ვენეციური ჭალი“ – ეპიგრაფად წაუძღვარებია მონტესკიეს სიტყვები: თუ გინდა ერი გადაგვარო, უპირველესად მის ადათებს უნდა შეუტოო.

და კიდევ გაშლილიყო შეტევა ქართულ ტრადიციებსა და ადათებზე, ჯერ ქორწილით და ქელეხით დაწყებული და მერე ენის ყოფნა-არყოფნით „დაგვირგვინდებოდა“.

ქართულ ფესვებზე შავი ყორანი ჩამომჯდარიყო და გაუთავებლად ძიძგნიდა.

„ჩვენი მწერლობის“ სალონში შეკრებილები კი იმ ავბედით წლებს იხსენებდნენ და ასე აფასებდნენ მონოგრაფიას:

გივი ალხაზიშვილი:

ეს იყო დრო, როცა ცხოვრება იქცა ფარსად და მიზანმიმართულად დაიწყო ბრძოლა ენის წინააღმდეგ. მთავარი მიზანი ხელისუფლებისა მაინც ენის განადგურება იყო. შემთხვევით არ წაუძღვარებია როსტომს თავისი ნიგნისთვის ეპიგრაფად გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: რა ენა წარხდეს, ერიც დაეცესო... სამინელება კი ის იყო,

რომ ხელისუფლების ამ მზაკვრულ ზრახვებში თვითონ ქართველებიც ჩართულიყვნენ.

1972 წელს მწერალთა შეკრებაზე სხვადასხვა თაობის მწერლები მივედით. სწორედ ამ თავყრილობაზე უთხრა დევი სტურუამ გრიგოლ აბაშიძეს: დიდი-დიდი ათითხუთმეტი წელი მიმიცია ქართული ენისათვის, მერე პირმინდად გაქრებაო.

ამ ყველაფერს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები მოჰყვა. იწყება ახალი მითის შექმნა-მოჩხიბვა ცეკას პირველი მდივნის გმირად წარმოჩენისა. თითქოს ის მოველინა მაშინ მხსნელად ქართულ ენას. წლების მანძილზე იტორიალებს ეს მითი, სიმართლის მთქმელი კი არა და არ გამოჩნდება... და აი, იწერება როსტომის ნიგნი, რომელიც ნამდვილ სურათს გვიხატავს იმდროინდელი მოვლენებისა.

საერთოდ, როსტომ ჩხეიძის ცხოვრება, მოღვაწეობა, მისი ესეისტიკა, კრიტიკა თუ ისტორიული კვლევები ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების იმ თეთრი ლაქების ამოვსებაა, ჩვენამდე სრულად გაუკულმართებულად რომ მოვიდა. მას მერე, რაც როსტომის „ყაზბეგეანა“ ნავიკითხე, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია ასე სწრაფად ასეთი კარგი ნიგნის დაწერა. გამოგიტყდებით, თავის დროზე „ყაზბეგეანამ“ ერთი ლირიკული ლექსის დასაწერადაც მიბიძგა.

მინდა ერთი მეტაფორა გავათამაშო:

აკაკი თავის იუბილეზე საკუთარ თავს დღიურ მუშას უწოდებს და, აი, ჩვენს თვალწინ არის ასეთი „დღიური მუშა“ თავისი ერისა და ქვეყნისა. მე მაქვს უფლება ასე დავინახო და შევაფასო როსტომ ჩხეიძის შემოქმედება.

ნონა კუპრეიშვილი:

ნიგნში ერთ ადგილას როსტომი წერს (საუბარია გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობაზე“): ეს არის ნარკვევი, რომელშიაც ორმაგი სტილია – საგაზეთო და მხატვრულიო. ვფიქრობ, ამ მიგნებით მან აბსოლუტურად ზუსტად განსაზღვრა ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა იმ დროს, 50-იანი წლების დასაწყისში (პოსტსტალინურ პერიოდს რომ უწოდებენ). იწყება გამოფხიზლება ძალებისა, რომლებმაც ცოტაოდენი შევება იგრძნეს და ეს უწინარესად ენის სფეროში იჩენს თავს. საერთოდ, სოციალისტურ რიტორიკას ერთი უბედურება სჭირდა – ის, რაც გაზეთებში იწერებოდა (ანუ საგაზეთო ენა) გაიგივებული იყო არარეალურ სამყაროსთან, არავის სჯეროდა საბჭოური რიტორიკით დაწერილი სტატიების, მოწოდებების...

მეტეც, არსებობდა რალაცნაირი, ალუზიური კითხვის პრაქტიკა, როცა იწერებოდა ერთი ფრაზა და მის ქვეშ ჩვენ სრულიად სხვა რამეს ვკითხულობდით. ცოცხალი ენა თითქოს ამ საფარქვეშ აგრძელებდა სიცოცხლეს, მართალია ძალიან მძიმედ, მაგრამ მაინც განაგრძობდა არსებობას.

და აი, გურამ რჩეულიშვილი, რომელსაც სჭირდებოდა სუნთქვა და გასაქანი ასეთ ატმოსფეროში, და თანაც იმპულსურიც იყო ხასიათით, წერს „ალავერდობას“ და ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს იმდროინდელ მწერლობაში, შესანიშნავად აისახება ნიჭიერი შემოქმედ-

დის მოთხრობაში. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი დაკვირვება იყო, რადგან აქამდე ყოველთვის ისე ვკითხულობდი „ალავერდობას“, როგორც სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებს და არასოდეს მიფიქრია იმაზე, თუ რამხელა ინფორმაციის მატარებელია ეს თხზულება.

მაშინდელ ცეკაში საკმაოდ ჭკვიანი ადამიანები ისხდნენ, გრძობდნენ დროის პულსაციას და ზუსტი გათვლებით გადმოისროდნენ ხოლმე ლოზუნგებს, თუმცა საზოგადოებაშიც იყვნენ ისეთი ადამიანები, ვინც ამ მონოდებებს ფარისევლობის საფარს აცლიდნენ. 1954 წელს ბატონი ოთარ ჩხეიძე აქვეყნებს სტატიას მხატვრული სტილის ოსტატობაზე. ძალიან გამიკვირდა, როცა წერილი წავიკითხე, რადგან ეს ხდებოდა მეტად რთულ დროს, მაგრამ ავტორმა ყველაფერს ოსტატურად გაართვა თავი. ასევე იქცეოდა ნოდარ ჩხეიძე... გარედან გარკვეული იდეოლოგიური საფარველი არსებობდა და შიგნიდან ინყებოდა ბრძოლა ჭეშმარიტი ღირებულებების გადასარჩენად...

შოთა ზოსტანაშვილი:

ტერმინი პერსონაჟია ბერძნული მითოლოგიისა. საზღვრების მცველია. ყოფს დღეს ღამისაგან, ღმერთს ეშმაკისაგან... პოსტსტრუქტურალიზმის სივრცეში, პოსტმოდერნისა და დეკონსტრუქცივიზმის სფერო ძირითადად საზღვრების მოშლით იმართება. უკანასკნელი ქართული ტერმინოლოგია იყო ილიასა და აკაკის თაობის მიერ დადგენილი, ისინი იცავდნენ საზღვრებს ქართული მნიშვნელობისა. ამის შემდეგ მკვიდრდება ე.წ. კომუნისტური ტერმინი, მცველი სხვა საზღვრებისა... და აი, ახლა, ქართულ სინამდვილეში კვლავ მნიშვნელოვანია ჭეშმარიტი ტერმინოლოგიური სისტემის აღდგენა. ანუ, ენის საზღვრები დასაცავია, ისევე, როგორც საერთოდ ჩვენი ტრადიციების, კულტურის ამიტომ ამ წიგნით, როსტომმა, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი სამუშაო გასწია...

თემურ ნადარეიშვილი:

1978 წლის იმ მოვლენების მონაწილე მეც ვიყავი. 10 აპრილს დიდი შეკრება გვექონდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებს. სხვათა შორის, იმ კრებაზე ძალზე კარგი როლი შეასრულა გურამ ჭილაშვილმა – პრორექტორმა. წარმოიდგინეთ, კაცი ცეკას ნომენკლატურა იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ვგრძობდით მის მხარდაჭერას. უშუალოდ 14-ში მეორე კორპუსს პოლიციის ორი კორდონი ჰქონდა შემორტყმული. ბატონი გურამი ოთახიდან ოთახში დარბოდა, ცდილობდა დავემშვიდებინეთ. ბოლოს შევარდნაძის გამოსვლამდე საათნახევრით ადრე შემოვიდა აუდიტორიაში და გვითხრა: შვილებო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათო. მართლაც, ცოტა ხანში გაირკვა, რომ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად კვლავ ქართული ჩაინერა.



ასეთი მოვლენები გააღვიძა ამ წიგნმა და დამაფიქრა იმაზე, რომ ახლაც რთული პერიოდი უდგას ქვეყანას, ერს... როსტომის შემოქმედება კი მაგონებს ბახის მუსიკას, რომელიც უწყვეტად მიედინება და ასეთი მნიშვნელოვანია ჩემთვის, თქვენთვის და ჩვენი მომავლისთვის.

იოსებ ჭუმბურიძე:

განსაცვიფრებელი რამ თქვა როსტომ ჩხეიძემ გაზეთ „რეზონანსის“ კორესპონდენტთან საუბარში. ჟურნალისტი ეუბნება: გამოქვეყნდა ედუარდ შევარდნაძის მემუარები, რომელიც ამ პერიოდს სულ სხვაგვარად წარმოაჩენსო. როსტომი კი პასუხობს: შეგიძლიათ ჩემი წიგნიც შევარდნაძის მემუარებზე ჩათვალოთ, ოღონდ უფრო მართალ და გულწრფელ ნაამბობადო. პირადად ჩემთვის ეს პასუხი, თავისი პრინციპული მნიშვნელობით, შესაძლოა, უფრო მეტიც იყოს, ვიდრე თვითონ წიგნი.

მონოგრაფია ძალიან იოლად წავიკითხე. არადა, ვერაფრით ამეხსნა რატომ, ეს ხომ არ იყო ამბები, რომელიც სასიამოვნოდ იკითხება... და ვიფიქრე, რომ ასე ადვილად წასაკითხი წიგნი ძალიან ძნელად დასაწერია. უფლება უნდა გქონდეს ამის დაწერისა, ამასთანავე, რთულია იყო პირუთვნელი, არადა, სხვაგვარად ამ ყველაფრის თქმას ვერ მოახერხებ, აზრი არ ექნება. უნდა შეგეძლოს აღწახსოვნი შეცოდებები იმ ადამიანებისა, ვინც ძალიან გიყვარს და ძვირფასია შენთვის, და, ამავე დროს არც, მაგალითად, ბესო ჟღენტს დაუკარგო, თუკი ოდესმე კარგად მოქცეულა და თავისი ეროვნული პოზიცია გამოუხატავს. მართალი გითხრა, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი გონიერი ადამიანები ვერ ხედავდნენ, როგორ იყენებდა მათ ხელისუფლება თავისი ზრახვების განსახორციელებლად. იცით, სულ მიკვირდა რატომ აღიზიანებთ ზოგიერთებს (ისეთებსაც კი, ვისგანაც ამას არ მოველოდი), ვთქვათ, ოთარ ჩხეიძის ავტორიტეტი. ახლა ვხვდები – ოთარ ჩხეიძე ის ადამიანია, ის ცოცხალი მაგალითია, ვისზეც მიუთითებ და ეტყვი, რომ მას არასოდეს არაფერი შეშლია, იგი არ შემცდარა და მან თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაამტკიცა, რომ იმ სიბინძურეშიც შეიძლებოდა ყოფილიყავი სუფთა.

სულ მახსენდება ოთარ ჩხეიძის სიტყვები, ამ რამდენიმე წლის წინათ დაწერილი: ამათ შემხედვარეს აღარ მინდა სიცოცხლე, აქედან წასვლა მინდა, მინასთან მინდაო... ჯერ ვიფიქრე, თბილისში აღარ უნდა ცხოვრება, მშობლიურ სოფელში წასვლა სურს-მეთქი, მაგრამ... ეს ფრაზა ამით არ მთავრდება, იგი აგრძელებს: მინასთან კი არა, მიწაში მინდაო... წარმოიდგინეთ, რა ზომამდე უნდა მივიდეს მწერალი, რომ ეს თქვას... და როსტომის მონოგრაფიას რომ ვკითხულობდი, ვფიქრობდი: როცა ასეთ წიგნს წერ, რასაკვირველია, აუცილებელი არ არის იყო მწერლის შვილი, და თუ ხარ, ოთარ ჩხეიძის შვილი უნდა გერქვას.

ცისანა კვინტრადე-გოძიაშვილი:

ეს იყო საშინელი პერიოდი, განსაკუთრებით ის დღეები, როცა ენის საკითხი წყდებოდა. ამ ამბებიდან წლები გაივლის და შევარდნადის მომხრეები ხშირად შეახსენებენ საზოგადოებას: რა გინდათ, რას ერჩით, ენა ხომ გადაგირჩინათო. არადა, დღეს უკვე ყველამ კარგად იცის, რა ხდებოდა მაშინ. სხვათა შორის, იმ ავბედით დღეებში, ჩემი აზრით, კარგად წარმოჩნდა აკაკი ბაქრაძის როლი. მასხოვს, გადამწყვეტ მომენტში საათში რამდენჯერმე ურეკავდა აკაკი ედუარდს და, ასე მგონია, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ენის საკითხის ამგვარ გადამწყვეტაში.

რაც შეეხება როსტომს, ის ძალიან ბევრს მუშაობს და დედაშვილურად ვურჩევ: როსტომ, არ გინდა ამდენი შრომა, ცოტა დაისვენე და დატკბი შენი ულამაზესი ოჯახით.

ელისო კლანდარიშვილი:

ერთი ფრანგი ისტორიკოსი 1793 წლის მოვლენებს რომ აფასებდა, ამბობდა: ძალიან ახლო წარსულზე მიწევს წერა და ეს ძალზე რთულია, რადგან ისტორიკოსს გადასახედი სჭირდებაო. ამ წიგნში ასახული მოვლენებიდან უფრო ნაკლები დროა გასული, მის ავტორს კი ჟამთააღმწერლის ფუნქციის ობიექტურად შესასრულებლად სულაც არ სჭირდება საუკუნე. ეს, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დრო, გადასახედის ამალღებასთან ერთად, ბევრ რამეს აუფერულებს კიდევც...

ამ წიგნში ამოქმედებულია ლუსტრაციის კანონი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ეპოქასთან მიმართებით, როცა ღირებულებები ისე იყო გადაფასებული, რომ დღეს ზუსტად არ ვიცით, ვინ რას აკეთებდა, ვინ გმირი იყო და ვინ მოლაღატე. სწორედ ამიტომ ყველაფრისათვის საკუთარი სახელის დასარქმევად ამ წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს.

და კიდევ: აღსანიშნავია ის, თუ რაზეა აგებული ეს მონოგრაფია. ბარათაშვილი თავის პოემაში „ბედი ქართლისა“ ერთ საგულისხმო რამეს ათქმევინებს სოლომონ ლეონიძეს: „სახელმწიფოსა ერთობა სჯულის არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“. ერის თვისება არის ის, რაც განაპირობებს კულტურას, ტრადიციას... მარადიულ ღირებულებათა ტრადიციები კი ყველა დროში დასაცავია...

მოგესხენებათ, აზერბაიჯანული ლიტერატურა ერთ-ერთია მათ შორის ნიზამის პოეზიას რომ იჩემებენ. ერთხელ ბაქოში სტუმრობისას, კულტურის მინისტრის ოჯახში მიგვიწვიეს. იქ ელიტარული საზოგადოება შეიკრიბა. ერთ-ერთ ახალგაზრდა ლიტერატორს ვთხოვე ნიზამის ლექსები წაეკითხა. დაიწყო რუსულად, – რუსულად ხომ მეც ვიცნობ მის შემოქმედებას, თქვენს ენაზე წაიკითხეთ-მეთქი, – ვუთხარი. როგორ?! – გაიკვირვა, – განა თქვენ იცით რუსთაველი საკუთარ ენაზეო...

ერის თვისება უმაღლესი რამაა, შესაძლოა უფრო დიდც, ვიდრე მისი ფიზიკური მდგომარეობა. ამიტომაც ვთვლი, რომ როსტომის მონოგრაფია არ არის წიგნი მხოლოდ ისტორიაზე, ის ჩვენი ერის მომავლისთვის არის მნიშვნელოვანი.

ნათელა არველაძე:

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ სათაურს მოუძებნის ავტორი წიგნს. სულ ოთხსიტყვიან სათაურში ორი არ არის ქართული ენის ნიალიდან. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ქართული იმდენად ჰუმანური, ღმერთთან სასაუბრო ენაა, ასეთი სასტიკი სიტყვები მასში არ მოიძებნება. ის თითქოს სხვა ეროვნებებს გადააბარებს ამ შესატყვისების მოძებნას – ეშაფოტი და გილიოტინა. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება გაუკეთო ერს, არის ის, რომ არ დაავიწყო – ერთიც არსებობს და მეორეც.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ წიგნს ახასიათებს ისაა, რომ ასახულია მოვლენა და იქვეა მოცემული პერსპექტივა. სწორედ ეს პერსპექტივები იყო ჩემთვის მეტად ტრაგიკული, ისევე, როგორც ძალზე მტკივნეულია ის, რომ მაშინ ბევრმა ილიას მანტიის მოსხმა მოინდომა... ზოგიერთმა კარგი საქმეებიც გააკეთა, ოღონდ, აი, მერე რა მოხდა იმ ავბედით „პერსპექტივაში“ ... იგივე აკაკი ბაქრაძემ პირველმა თქვა: გადადგეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაო! თითქოს არც ესმოდა რას ნიშნავდა მაშინ ზვიადის გადადგომა პოსტიდან. ეს ხომ არ იქნებოდა ჩვეულებრივი ნასვლა, გამსახურდია ხომ რაღაც სხვა მოვლენასთან, სხვა ეროვნულ ღირებულებებთან გააიგივა ქართველმა ხალხმა. იმ პროცესების დროს გამოიკვეთა ბევრი ვითომ საზოგადო მოღვაწის სახე...

ჩემთვის ძალზე მტკივნეულია ის, რომ მაშინდელ ქართულ ავანგარდში მოხვდა ბატონი თემურ ჩხეიძე – შალვა დადიანის „გუმინდელის“ რეჟისორი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, გახმაურებული სპექტაკლის „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი... იცით, მე ისიც მესმის, რომ ასეთი რეჟისორი გარკვეულ დათმობებზეც უნდა ნასულიყო და ამიტომ ითამაშა მთავარი როლი ფილმში „რაიკომის მდივანი“, მაგრამ... როცა თვითონ ხარ რეჟისორიც, როგორ უნდა დაუშვა არსებობა ეპიზოდისა, რომელშიც ახალი წლის ღამეს შუქი ჩაქრება ახალციხეში, მოდის რუსი მექანიკოსი, გადააბამს მავთულებს და ჭერს გაუნათებს ქართველებს. ეს ეპიზოდი ჩემთვის უფრო მეტად შემზარავია, ვიდრე ის, რომ შევარდნაზე ამ ფილმში ასეთ ლაკირებულ მდგომარეობაში დაგვიხატეს ავტორებმა...

ასე მგონია, ერის დაცემა მაშინ კი არ იწყება, როცა რომელიმე მედროვე, ვთქვათ, შევარდნაძეს ლექსს მიუძღვნის, მისი საფუძვლები მაშინ იწყება, როცა ამ ერის შვილს ხელი გაეჭევა იმ გვირგვინის თავზე დასადგმელად, რომელიც მას არ ეკუთვნის.

როსტომის ეს წიგნი, აი, ამაზეც დაგვაფიქრებს.

ანდრო ბედუკაძე:

კიდევ ერთი წიგნი გვაქვს როსტომ ჩხეიძისა. წიგნი, რომელიც ჩვენს უახლოეს წარსულს ასახავს. როსტომს ეს წიგნი თუნდაც იმიტომ უნდა დაენერა, რომ გახშირდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც პირველობას იჩემებს – 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებში. სხვას კი არ ელოდებიან, თვითონვე ირგებენ პირველობის გვირგვინს. სხვისთვის ანკი ვინ გაიმეტებს ყველას თავისათვის უნდა ეს გვირგვინი.

ამგვარი წიგნი რთული დასანერია, რადგანაც შენ ხარ ამ ამბების მონაწილე, შენთვის კარგად ნაცნობი ადამიან-

ნები მონანილობენ მასში. შენ კი ვალდებული ხარ იყო ობიექტური. უფრო სწორად კი მართალი. როსტომი არ ლალატობს სიმართლეს, არ ცდილობს ვინმეს დაუმსახურებლად რაიმე ან მიანეროს ან დააკლოს. მისთვის ყველაზე ძვირფას და ახლობელ ადამიანებსაც კი. ამიტომაცაა წიგნი „ტრადიციები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“, ჩვენი უახლესი ისტორიის უტყუარი მატრიანე.

როსტომ ჩხეიძე:

საერთოდ, როცა მემუარები იწერება, ავტორის მთავარი მიზანი ხშირად არის ის, რომ თვითონ რაც შეიძლება ლამაზად წარმოჩნდეს, ამიტომ მოვლენებს ისე ალაგებს, როგორც სურს და ხშირად რეალობასაც ძალიან აცდებდა ხოლმე, თუმცა... არსებობს გამონაკლისი წიგნებიც, სადაც სიმართლის ნატამალიც არ არის.

წლების წინათ არსებობდა ასეთი გამონაკლისი წიგნი – კანდიდ ჩარკვიანის მემუარები, რომლის მიხედვითაც ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ეს ადამიანი ნეტარების კუნძულზე ცხოვრობს, სვებედნიერ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ სიკეთე და ბარაქა არსებობს. სხვათა შორის, შესავალში წერს: საერთოდ, მემუარების ავტორები ცვლიან ხოლმე სინამდვილეს, თვით უილიამ ფოლკნერიც კი ასე იქცევა, მაგრამ მე გამონაკლისი ვარ და მხოლოდ სიმართლეს ვამბობო. ეს დეტალი იმიტომ გავიხსენე, რომ ფოლკნერის ციტატი მაინცდამაინც ჩემი და პაატა ჩხეიძის თარგმანიდან მოაქვს და თვალზე აფარებს საზოგადოებას.

გადის ხანი და ზუსტად ასეთივე ყაიდის წიგნს წერს ედუარდ შევარდნაძე. ცხადია, ის არ ამბობს სიმართლეს თავის მოგონებებში, ამიტომ მე მაგივრად ვიტყვი, სწორედ ამის გამო ვუთხარი „რეზონანსის“ კორესპონდენტს, რომ ჩემი წიგნი შევარდნაძის მემუარების მეორე ვერსიად ეგულისხმება. დღეს ეს ორივე ვარიანტი ერთმანეთის გვერდით დევს. ერთი ჩანერა კობა იმედაშვილმა, მეორე – მე.

რაც შეეხება სათაურს:

ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა მონოგრაფია დასრულებული მქონდა, სათაური კი ვერა და ვერ მომიფიქრებინა. უნდა ყოფილიყო ტრაგიზმიც, სიმძაფრეც, რიტმიკაც... და უცებ გამახსენდა გალაკტიონის სტრიქონები, რომელსაც სხვა დროს ხშირად ვიყენებ ხოლმე: „ტფილისი არის ჩემთვის მაღალი გილიოტინა და ეშაფოტი“. სწორედ ზუსტად მოერგო ამ ყველაფერს.

სხვათა შორის, მთავარი პასაჟი, რაზეც არის ეს წიგნი აგებული, უკვე მქონდა გამოყენებული ჩემს მონოგრაფიაში „ზვიად გამსახურდიას ბედისწერა“. ვგულისხმობ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრიობის ხელყოფის მცდელობას, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკამ. როცა ამ მონოგრაფიის ბეჭდვა დაიწყო გაზეთ „ახალ საქართველოში“ რედაქტორის, ნოდარ გრიგალაშვილის კაბინეტში სატელეფონო ზარი გაისმა – შევარდნაძის პრესმდივანმა, ვახტანგ აბაშიძემ სიტყვასიტყვით ასე უთხრა ბატონ ნოდარს: ძალიან მოეწონა (არ აკონკრეტებს ვის) და ასე თქვა: უახლეს ისტორიაზე სწორედ ასე უნდა იწერებოდეს წიგნებიო. ელოდება შემდეგ ნომრებსო.

ნოდარმა მადლობა გადაუხადა და მითხრა: ხომ არ შევწყვიტო ბეჭდვაო...

რა თქმა უნდა ეს იყო შეფარული მუქარა – ქვეყანაში „დემოკრატია“ გვექონდა და პრეზიდენტი გაზეთის რედაქტორს პირდაპირ ვერ აუკრძალავდა რამეს, მაგრამ ის, რომ „ძალიან მოეწონა“ ნიშნავდა: იცოდე, ვკითხულობ! ამიტომ ან შეცვალე, ან შეწყვიტე, თუ ჭკუა გეყოფაო... მე რა თქმა უნდა „ჭკუა არ მეყო“ და მონოგრაფია თავისი სახით დაიბეჭდა. ამას მოჰყვა ღვარცოფი ლანძღვის უმთავრესად მაინც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან... და კიდევ – გაუთავებელი რიგი უშიშროების თანამშრომლებისა.

ამ წიგნს კი ორი წლის წინათ ჩაუუჯექი. დიდძალი მასალა დამიგროვდა, დამჭირდა მთლიანად შემესწავლა 70-იანი წლების პერიოდიკა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლისა და პოეტის დარეჯან სუმბაძის მხარდაჭერა, მისი დიდი ძალისხმევის შედეგაც არის ის, რომ ამდენი მასალის თავმოყრა მოხერხდა და ეს წიგნიც ასე სწრაფად დაიწერა. ხუმრობით კიდევ მითქვამს მისთვის: თანაავტორი ხარ-მეთქი.

გარდა დოკუმენტური მასალისა, მონოგრაფიაში გამოყენებულია ბევრი ისეთი ეპიზოდი, რომელიც ჩემთვის სხვადასხვა პიროვნებისაგან იყო ცნობილი და თავის დროზე არ გახმაურებულა. სწორედ ამიტომ აუცილებელია ყველაფერი ჩავინიშნოთ.

ის, რაც დღეს გვახსოვს, ხვალ, შესაძლოა, დაგვაგინყდეს, არადა, არსებობს დეტალები, რომელსაც იქნებ უფრო დიდი მნიშვნელობაც აქვს, ვიდრე ვრცელ ნაშრომებს.

ეს იყო ძალზე რთული პერიოდი, ხელისუფლების მზაკვობასა და ხაფანგებში ბევრი ის ადამიანიც გაება, რომელთა სახელებიც ჩვენთვის ძვირფასია, თუმცა ისე კი მოხდა, რომ უნებურად ამ სასტიკი პოლიტიკის ხელშემწყობნი აღმოჩნდნენ... იგივე აკაკი ბაქრაძე, იგივე ნოდარ წულუისკირი... კიდევ სხვები. მაშინ წერდნენ პუბლიცისტურ სტატიებს, რომ ეროვნული ტრადიციები შესაცვლელია, მაგრამ მერე, როცა მიხვდნენ, რა ხდებოდა, თვითონ გადაეფარნენ საკუთარ ენას და ეროვნულ ღირებულებებს. ამიტომ მინდოდა წიგნში ეს ასპექტიც წარმოჩენილიყო და, რაც მთავარია, განსჯით არავინ განმესაჯა.

თვითონ აკაკი ბაქრაძე თავის დოკუმენტურ რომანში „მწერლობის მოთვინიერება“, აღწერს თუ რა საბედისწერო მოვლენების შუაგულში აღმოჩნდა ქართული მწერლობა 20-30-იანი წლებში და თან ამბობს: მე არავის განვსჯი, უბრალოდ, მოვალე ვარ არაფერი შევალამაზოო.

მეც ეს მინდოდა – მინდოდა შეულამაზებლად აღმედგინა ეპოქის სურათი და ამ ფონზე სასახულიყო დროების ტრაგიზმში ჩათრეულ ადამიანთა ფსიქოლოგიაც და ბედიც.

P.S.

მაია ჯალიაშვილი: – ბატონო როსტომ, ასე მგონია პესიმისტურად ამთავრებთ წიგნს, როცა წერთ. უკან მოგვჩხავის... უკან მოგვჩხავის... უკან მოგვჩხავის შავი ყორანიო...

როსტომ ჩხეიძე: – არა, პესიმიზმი არც მიფიქრია, ყორანი რომ მოგვჩხავის, ეს არაფერი, ჩამოაგდებ და მოიშორებ, მთავარია ხედავდე მას, ეპოქის ბურუსი არ ეფარებოდეს და ყოველთვის გახსოვდეს მისი არსებობა.

გივი გამრეკელი

ბენერალი ტოტლებანი ყველას ღალატობდა

ხანმოკლე აქსაქადიცია
იხარათში

ერეკლეს თხოვნის მიუხედავად, რომ სჯობდა ტოტლებენი მასთან დარჩენილიყო, გენერალმა მაინც ამჯობინა იმერეთში გადასვლა. ვთქვათ ისიც, რომ ამ მომენტი-სათვის რუსეთი ომის „კავკასიურ მიმართულებას“ მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მისთვის მთავარი იყო წარმატება ევროპის „ფრონტზე“, თუმცა არც ქართლ-კახეთისა თუ იმერეთის წინააღმდეგ თურქთა ძალების დაბანდება იქნებოდა ურიგო.

ტოტლებენის იმერეთში გადასვლის შესახებ საინტერესო ცნობებია მისი ადიუტანტის, ფრანგ დე გრაი დე ფუას რელაციებში: „დავტოვებ ქართლი და შევედით იმერეთში. 60 ვერსი განვვლეთ ისე, რომ კაცი არ შეგვგვებდრია. რამდენიმე ნასოფლარი ადასტურებდა მხოლოდ, რომ ეს ქვეყანა დასახლებული ყოფილა“. საქმე ის არის, რომ თურქებთან განუწყვეტელმა ომმა იმერეთს მართლაც აურაცხელი ზარალი მიაყენა და მოსახლეობის რაოდენობამაც მკვეთრად იკლო. ისე კი სოლომონს, რომელსაც რუსი თუ ევროპელი ავტორები ყოველთვის დიდი ქებით მოიხსენიებდნენ, გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა. მის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მეფემ იმერეთში „ტყვიის სყიდვა“ აკრძალა. გერმანელ აკადემიკოს გიულდენშტედტის კვალდაკვალ მეფეს ძალიან აქვს რუსი ისტორიკოსი ბუტკოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ სოლომონი ერეკლეს არც სიჩაუქით, არც სიქველითა და გონებით არ ჩამორჩებაო. ამ შეფასებისას არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსებს ხელს აძლევდათ ერეკლესა და სოლომონს შორის დროდადრო წარმოჩენილი გარკვეული წინააღმდეგობა და დაპირისპირება. ამას რუსები ცალკეულ შემთხვევებში ოსტატურად იყენებდნენ.

ანტონ მოურავოვი ნიკიტა პანინს აცნობებდა – „სოლომონს არცერთი ქალაქი და დაბა არ გააჩნია“. ქუთაისი, შორაპანი, ბაღდადი და ცუცხვათი თურქებს უკავიათ. „იმერლები უკიდურესად ლატაკ და სანყალობელ მდგომარეობაში არიან. თავადები და აზნაურები რუხი შალის სამოსს ატარებენ, ხოლო ქვეშევრდომი ხალხი თავნება, ამაყი და ურჩია...

... რაც შეეხება საკუთრივ მეფე სოლომონის პიროვნებას, რომელიც 35 წლისაა, იგი საშუალო ტანისაა, სანდომიანი სახის, უღვაშებიანი, წვერს იპარსავს... ყველაზე უფრო გამბედავი, მამაცი მეომრის იერი აქვს. დატენილი თოფი, ერთი დამბაჩა, ხმალი და დიდი ხანჯალი მუდამ თან აქვს, როგორც ყველა სხვა იმერელს. საუბარში საკ-

მაოდ სულსწრაფია. უბრალო იმერლებთან ურთიერთობაში არავითარ განსხვავებას არ ავლენს და ვინც მას პირადად არ იცნობს, ქვეშევრდომთაგან ვერ განასხვავებს“.

მოურავოვის ცნობით, სოლომონს დაახლოებით 1500 მეომარი ჰყავდა, ტყეში იმყოფებოდა. „იგი 15 დღეზე ხანგრძლივად ერთი და იგივე ადგილას არ ბანაკდება იმის შიშით, რომ თურქებმა არ მოახელთონ“. ვფიქრობთ, რომ აქ მდგომარეობა აშკარად მუქ ფერებშია მოცემული. ამასთან მეფეს და ტოტლებენს აშკარად არ მოეწონათ ერთმანეთი. „გრაფი ამბობდა, როგორც ვხედავ ამ ქვეყანაში არაფერი მესაქმება, ვინაიდან სოლომონს არ ძალუძს მხარი ამიბასო“. სოლომონიც იგივეს ამბობდა – „ეს კაცი ჩემს დასახმარებლადაა მოსული, მაგრამ ამ პატარა ზარბაზნებით და 500 კაცით რას უნდა გახდესო“ (დე გრაი დე ფუას რელაციიდან).

სოლომონი და ტოტლებენი მომავალ გეგმებზეც ვერ შეთანხმდნენ. სოლომონს სურდა ქუთაისზე გალაშქრება და იქიდან თურქების განდევნა, ტოტლებენმა კი პირველ რიგში შორაპანის ალყა განიზრახა. იმ პირობებში შორაპანის აღება შეუძლებელი აღმოჩნდა. სოლომონის აზრით, ძლიერ გამაგრებული შორაპანის ციხის პირდაპირი იერიში არაფერს მოიტანდა. რახან ზამთარი იყო, საჭირო იქნებოდა მოცდა და ხანგრძლივი ალყის ორგანიზება. გენერალმა მას არ დაუჯერა. „უახლოეს მთაზე დაადგმევინა ბატარეა და უსარგებლოდ ესროდა რა სიმაგრეს ოთხი დღის განმავლობაში ზედიზედ, გააჩანაგა ჩვენს მიერ მოზიდული მთელი თოფისწამალი. მაშინ ეცადა ციხის იერიშით აღებას, გააკეთებინა ოცსაფეხურებიანი კიბეები, იმ დროს, როდესაც ისინი სამოცსაფეხურიანიებიც რომ ყოფილიყვნენ, მაშინაც ძალიან მოკლენი იქნებოდნენ“.

ერთი სიტყვით, შორაპანის აღება ვერ მოხერხდა. ტოტლებენის დასკვნა, რომ შორაპანის ციხესთან მისი მისვლა თურქებს სოლომონმა წინასწარ აცნობა (როგორ, მეფეს განა ხელს სხვა რამ აძლევდა, თუ არა თურქების აქედან განდევნა?!), სხვა არა არის რა, თუ არა უსირცხვილო ტყუილი და მარცხის ახსნის ძალზე დაუსაბუთებელი ცდა.

„ამასობაში პური შემოგვაკვლდა. სოლომონს არ ძალუძდა გამოეკვება 500 კაცი. იმერლები მხოლოდ ნაბლითა და გოგრით იკვებებიან, იშვიათია, როდესაც პურს ჭამენ, მათ მიერ მოყვანილ ქერს იყენებენ ცხენების გამოსაკვებად“ (დე გრაი დე ფუა). არც მოურავოვის რელაციის ცნობაა მაინცდამაინც დასაჯერებელი, რომ იმერლები ძირითადად ტყის ნაყოფით იკვებებიან, ფეტვისაგან დამზადებულ პურს მეტად მცირე რაოდენობით ჭამენ. თვით ზამთარშიც კი ტყეში მრავალ მცენარეულ საკვებს შოულობენ. „მაღე ჩვენ მთელი სურსათ-სუნოვანე გავაჩანაგეთ. სოლომონმა ყველგან დაგზავნა ხალხი. იგი თვით წავიდა იმ სურვილით, რომ დაერბია ერთი პატარა მხარე, რომელიც დადიანს ეკუთვნოდა (ლაპარაკია იმ მუდმივ ქიშპზე, რომელიც სოლომონსა და სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანს შორის არსებობდა, თუმცა კაცია მეფის ცოლისძმა იყო. სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში დადიანი ხშირად თურქთა მხარეს იჭერდა), იმედოვნებდა, რომ იქ იხოვნიდა ქერს და ერთხანს გამოგვკვებავდა, ვინაიდან ირწმუნებოდნენ, რომ თურქები მოულოდნელობისაგან მოუშვადებლები დაგვხვდნენ და თუ ალყას 15 დღე განვაგრძობთ, სიმაგრე დავენებდებო“ (დე გრაი დე ფუა).

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №11

ტოტლებენს არც თურქების შესაძლებელი გაჭირვება გაუთვალისწინებია, არც სოლომონის სურვილი რუსების სურსათით უზრუნველყოფისა და ქუთაისზე გალაშქრების შესახებ. მეფესთან შეუთანხმებლად, მან მოულოდნელად მიატოვა იგი და სასწრაფოდ ქართლში გადმოვიდა. დაავიწყდა ის დიდი დაპირებები, რომლებიც სოლომონს მისცა. სხვა რაღა გზა იყო, ახლა მეფეს საკუთარი ძალე-ბით უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა.

ერთი სიტყვით, ტოტლებენის ხანმოკლე ექსპედიცია იმერეთში უშედეგოდ დასრულდა.

ბენერალი დავალებას ასრულებდა

რა თქმა უნდა, სრულიად არარეალური იყო, როცა სოლომონ I რუსებს თურქების წინააღმდეგ 20 ათასი მეომრის გამოყვანას ჰპირდებოდა. რაც შეეხება რუსების რაზმს, მისი მცირერიცხოვნობის გამო რაიმეს მიღწევა ასევე შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ იმერეთიდან უშედეგოდ დაბრუნებულმა ტოტლებენმა, თავისი ჯარისკაცები ცხინვალში გააჩერა, თვითონ კი მოზდოკში გაემგზავრა დამატებითი ძალების ჩამოსაყვანად, და, რაც მთავარია, ინსტრუქციების მისაღებად.

ამიერიდან ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: ტოტლებენი შეასრულებს მხოლოდ იმას, რასაც რუსეთის მთავრობა დაავალებს. მის თითოეულ ნაბიჯს პეტერბურგში დიდი მოწონებით შეხვდებიან, და თუ თხრობას ოდნავ წინ გავუსწრებთ, რუსეთში ჩასულს დაასაჩუქრებენ კიდევ და ადრე წართმეულ ორდენსაც დაუბრუნებენ.

1770 წლის თებერვალში ტოტლებენს უკვე 1228 ჯარისკაცი ჰყავდა. მალე მას კიდევ 2093 კაცი მიემატა. ეს უკვე სერიოზული ძალა იყო და ერეკლეს ომში ჩაბმის შემთხვევაში თურქებს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. ამიტომ ახალციხის ფაშის მიერ თბილისში გამოგზავნილი დესპანი მაჰმად ალა შეეცადა მდგომარეობის გამორკვევას. ერეკლესადმი ფაშას მიერ გამოგზავნილი წერილი დიდი თავაზიანობითა და ასეთივე სიყალბით გამოირჩევა. „ჰერანის საზღვრებზედ ერთი კაცის (ცხადია, იგულისხმება ერეკლე) წყენისა და შეჭულებისაგან – დიახ შორსა ვართ და ვყოფილვართ (ფაშა აშკარად მიაჩნებებს, რომ ერეკლე ირანის ვასალია, ირანთან კი თურქეთს კარგი ურთიერთობა აქვს, რაც სინამდვილეს, ცხადია, არ შეესაბამება)... საუკუნო მეგობრობა დამტკიცებული იყო, რომ ერთი წყენა არ მომხდარა (წყენა? რამდენიც გნებავთ) არც თქვენიდამ ჩვენგან და არც ჩვენიდამ კვალად თქვენთან, ნიადაგ მეგობრობა (!) გამოცხადებული ყოფილა და საუკუნის მეგობრობისათვის გეჭყვრიტა და იმ დოსტობის სიმაგრის მიწაზეც ფეხი დამტკიცებული ვყოფილვართ“. ხომ მეტისმეტად მაღალფარდოვანი სტილია?!

რა მისი საქმე იყო, მაგრამ ტოტლებენმა მოინდომა ქალაქიდან სამი-ოთხი კილომეტრის დაშორებით შეეპყრო თურქების დესპანი და მისი თანმხლები პირები, ეს კი დიპლომატიურ სკანდალს გამოიწვევდა. საჭირო გახდა თურქების გაფრთხილება და გაპარება. ერეკლე ალაშფოთა გენერლის ასეთმა თვითნებობამ. ამას დაემატა პირველი

ცნობები რუსი ჯარისკაცების სამარცხვინო საქციელის შესახებ. „ამ დროის განმავლობაში ჩვენი კაზაკები, მათი ჩვეულებისამებრ, სადაც შეეძლოთ, ყველგან ძარცვას მისდევდნენ. განსაკუთრებით იტაცებდნენ საქონელსა და ცხენებს. ბევრი საჩივარი მოდიოდა გრაფთან, მაგრამ მან სამართალი არ გააჩინა. კაზაკები უფრო გათავხედდნენ. სხვა ჯარისკაცებიც თითქმის იგივეს სჩადიოდნენ. ისევ ვცხოვრობდით საქართველოში, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში“ (დე გრაი დე ფუა).

ერეკლე, რომელსაც ამდენ რამეს დაჰპირდნენ, უკვე აღშფოთებას ვეღარ მალავდა. აი რა უთხრა მან იმავე დე გრაი დე ფუას: „ვინ ხართ თქვენ და რას აკეთებთ ჩემს ქვეყანაში?! რამდენადაც შემიძლო, მშვიდი იერი მივიღე და როგორც საქმეში გაუთვითცნობიერებულმა დოყლაპიამ, ვთხოვე მას (თარჯიმანის როლს კათოლიკე პატრი ასრულებდა, რომელსაც ფრანგი ოფიცერი ლათინურად ელაპარაკებოდა, პატრი კი მეფეს ქართულად უთარგმნიდა) აეხსნა ჩემთვის, ასე რამ გააშმაგა. „თქვენ ყველაფერი კარგად იცით“ – მითხრა მან – „ეს სწორედ თქვენა ხართ, ვინც ყველაფერი მოიმოქმედა იმისთვის, რომ მოგეტაცებინათ დესპანი, რომელიც ახალციხის ფაშამ გამომიგზავნა, ავიხსნით, რა საკითხის გამო. ოტომანის პორტას აცნობეს თქვენი მოსვლა ჩემს სამფლობელოში და ის წინადადებები, რომელიც წამომიყენეთ. თურქები მთხოვეს, რომ არ დავარდვიო ის კეთილგანწყობილება, რაც ჩვენს შორის სუფევს. თურქები მთავაზობენ დიდ ფულსა და დიდ მიწა-წყალს, თუ თქვენ თქვენს მტერს შეგატოვებთ. მაგრამ კარგად ვიცი ადამიანის ღირსების ფასი და მსგავს წინადადებას არ მივიღებ. მე სრული უარით გავისტუმრე თურქი დესპანი. თქვენ კი გინდოდათ ჩემს ქვეყანაში თქვენს ბატონკაცურ ნებაზე გარჯილიყავით. დესპანის ხელშეუხებუი პიროვნება თქვენ პატივსაცემად არ მიგაჩნიათ და გსურდათ იგი გზაში მოეტაცებინათ. და ამ დროს ვინ ხართ თქვენ? მე თქვენ მივიღეთ ჩემს ქვეყანაში ისე, რომ არ მოგიციათ ჩემთვის არავითარი წერილობითი მოწმობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა იმის შესახებ, რომ თქვენ მისი წარმოგზავნილები ხართ. ისე ცხოვრობთ ჩემს ქვეყანაში, თითქოს მტრის ქვეყანაში იყოთ. დაარბიეთ მთელი შემოგარენი, ცდილობდით აგემხედრებინათ ჩემი ქვეშევრდომები თურქების წინააღმდეგ ჩემი დასტურის გარეშე“.

ამასობაში ცნობილი გახდა ერთი ამბავიც: ტოტლებენი ცდილობდა ქართველ თავადებთან უშუალო კავშირის დამყარებას, ეძებდა მათ შორის მეფის ორგულებს. ერეკლე რუსეთიდან რატიევის დაბრუნებამდე ომს არ აპირებდა, ტოტლებენს კი საკუთარი გეგმა ჰქონდა. მან გადაწყვიტა თავს დასხმოდა ქ. ახალქალაქს, რომელიც ახალციხის საფრთხეში შედიოდა. გადაწყვიტა დაეყოლიებინა ქსნის ერისთავი დავითი, რათა იგი ორი ათასი მეომრით შეერთებოდა. გენერალმა ერისთავს აღუთქვა ახალქალაქის პირადად მისთვის გადაცემა, მას შემდეგ, რაც იგი აღებული იქნებოდა. გასაგებია, დავით ერისთავმა არ მიიღო ეს უაღრესად თავხედური წინადადება და ყველაფერი მეფეს შეატყობინა.

ყოველივე ამის მიუხედავად, „ერეკლემ, რომელსაც არ სურდა ყველას შეენიშნა უთანხმოება, რომელიც მათ შორის სუფევდა, შეიტყო რა, რომ ტოტლებენი გასამგზავრებლად გაემზადა (რუსეთიდან გამოგზავნილი ახალი

რაზმების შესახებდრად), გაუგზავნა მას შესანიშნავი ცხენი და მშვენიერი კარავი. გრაფმა მეტად უხეშად უარყო ეს ძღვენი და წავიდა“.

აი, როგორი დამოკიდებულება იყო მეფესა და გენერალს შორის ჯერ კიდევ თურქებთან ომის უშუალო დაწყების წინ. უკვე ისე ეტყობოდა, რომ ერეკლეს ტოტლებენის სახით მოკავშირე კი არა, მტერი ჰყავდა, რაც ძალიან მალე დადასტურდა კიდევ.

ახლოდ ღალატი და დანაშაული

ტოტლებენი კარგა ხანს იმყოფებოდა საქართველოში. მას ხომ ომში უნდა მიეღო მონაწილეობა, როგორც რუსეთის საექსპედიციო ჯარის სარდალს. ომის დეტალებზე ჩვენ არ შევჩერდებით – იგი ქართველმა მკითხველმა კარგად იცის. აი, რა ზიანი მიაყენა რუსმა გენერალმა საქართველოს, რამდენჯერ უღალატა და უორგულა, ამის გახსენება კი ღირს.

1770 წლის გაზაფხულზე ერეკლე და ტოტლებენი ერთობლივი ძალებით დაიძრნენ თურქების წინააღმდეგ. ერეკლეს შვიდათასიანი ჯარი ჰყავდა, გენერალს – 1200. 17 აპრილს ისინი აწყურის ციხეს მიადგნენ, რომელიც თურქების მიერ ძლიერ იყო გამაგრებული. ერეკლე აწყურთან შეჩერებას არ აპირებდა. იგი პირდაპირ ახალციხეზე ლაშქრობას ამჯობინებდა, რათა დაეხსრო მტრისთვის, სანამ მას დამხმარე ძალები მოუფიქროდა. „ერეკლე აჩქარებდა გრაფს, გადაელახა მდინარე მტკვარი და განლაგებულიყო მტრის მხარეში, სადაც უხვად ვიშოვიდით სანოვაგეს. გრაფმა უპასუხა, რომ მას არ სურს ბრძოლის დაწყება ისე, თუ თხუთმეტი დღის სურსათ-სანოვაგე არ ექნება (დე გრაი დე ფუა). მაშინ ერეკლემ კიდევ მოაზიღვინა ხორაგი, მაგრამ გამოირკვა, რომ ტოტლებენი სურსათს მხოლოდ იმიზეზებდა, მას, უბრალოდ, ომი არ სურდა. მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. ომან ხერხეულიძე წერდა: „ჩააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდავდნენ გრაფ ტოტლებენს ავსა სიტყვასა და ამის ძალით შემოსწრა გრაფ ტოტლებენი მეფესა“. რა თქმა უნდა, არც „ბოროტი კაცები“ და არც ავი სიტყვა აქ არაფერ შუაშია. სრულიად დაუჯერებელი და დაუსაბუთებელია დავით ბატონიშვილის ცნობა, თითქოს ერეკლე და ტოტლებენი ერთმანეთს სოლომონ მეფემ წაჰკიდა (?!). „უფროვე მეფისა სოლომონისა მიერ წარმოიშვა მეფისა და გრაფისა სამდურავი; ვინაიდან არა სწადა მეფესა სოლომონს განდიდება მეფისა ირაკლისა და მუდამ მზირ ეყვის მას, რათა შესცეს ნაკულლოვანება რაიმე მეფისა“. უბრალოდ, გენერალს ქართველების დამარცხება და ერეკლეს სიკვდილი სურდა, რის შემდეგაც უფრო იოლად გააკეთებდა თავის საქმეს (ანუ თავისი მთავრობის დავალებას შეასრულებდა). აი რა აცნობა მან პეტერბურგს: „ტოტლებენს დაუბეზღებია მეფე ირაკლი: „გამიტყუვაო, ახალციხეს მიმიყვანაო და თითონ ლაპარაკი დაუნყო ოსმალთაო და შენი ჯარის ამონყვეტა უნდოდა მეფე ერეკლესაო. შევიტყვე, გამოვბრუნდი და ჯარი მოვარჩინეო (ომან ხერხეულიძე). ასეთ სიყალბეს მართლაც რომ იშვიათად შეხვდებოდა კაცი. ჯერ ერთი, რა მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა მეფეს

ასეთ საომარ ვითარებაში თურქებთან, მეორე – ტოტლებენი ხომ ახალციხესთან საერთოდ არ მისულა.

19 აპრილს ტოტლებენმა საერთოდ შეწყვიტა ბრძოლა და აწყურს გაეცალა: გამობრუნების წინ მასთან მოსალაპარაკებლად მივიდა ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი ბატონიშვილი. „ღენერალო! სირცხვილია ამისთანა დროს ღალატი მეფისა – ჰრქვა მეფის ძემან – არა მაქვს ბრძანება, უპასუხა ღენერალმან, იმპერატორისა, რომ შევება ჯართა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ – მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჯარსა – ეტყოდა მეფის ძე გიორგი – და უტებ სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენკენ იქნება, ჩვენ შევებებით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატორისასა შენსა სიმხდალესა (პლატონ იოსელიანი).

ამის შემდეგ „მოკავშირეები“ ერთმანეთს დაშორდნენ. ერეკლე თავისი ძალებით ასპინძისაკენ გაემართა. მოურავოვმა არ დაუჯერა თავის გენერალს და კახაკების მცირე რაზმით მეფეს გაჰყვა. 20 აპრილს ასპინძის ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. ერეკლეს მრავალრიცხოვანი მტრის ძღვევამ დიდი სახელი მოუტანა, მაგრამ მისი შედეგების გამოყენების საშუალება კი უკვე აღარ ჰქონდა. რატომ? იმიტომ, რომ მან შეიტყო, ქართლში დაბრუნებული ტოტლებენი მის დამხობას აპირებდა. ასეთი დიდი საფრთხის გამო მეფე ჯავახეთის გზით თბილისისაკენ გამოემართა.

გამართლდა ერეკლეს სიტყვები, რომელიც მან ტოტლებენის ადიუტანტ დე გრაი დე ფუას უთხრა: „კარგად ვხედავ მიზეზს, რის გამოც გრაფი მღალატობს. მას იმედი აქვს, რომ ამ ბრძოლაში დავილუპები და როცა მე აღარ ვიქნები, თვითონ იქნება საქართველოში ბატონ-პატრონი. მაგრამ თქვენ ნახავთ, რომ იგი ცდება“.

ერეკლე არ დაღუპულა, მაგრამ ტოტლებენი მაინც შეეცადა გამხდარიყო „ბატონ-პატრონი“. იგი ქართლის „დაპყრობას“ ცდილობდა, დაიკავა რამდენიმე ციხე, შემოენყო გორის ციხეს. შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა. გორის მეციხოვნეებმა კარგად დაიცვეს თავი და რუსები უკუაქციეს. გენერალმა შეკრიბა ქართლელი თავადები და სამღველოება, აიძულა ისინი რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცი მიეღოთ. რა თქმა უნდა, მას სრული იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის მთავრობა მოქმედებას არ დაუნუნებდა. რუსი ჯარისკაცები კი ჩვეულებას არ ღალატობდნენ და არბევდნენ მოსახლეობას. 1770 წლის 1 აგვისტოს არაგვის ერისთავი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მეფეს სწერდა: „თქვენს სიმაღლეს კეთილად მოესხენება ღრაფი იარანალ მაიორი ტოტლებენი როგორის სახით დამესხა, როგორ ამიკლო ყოვლისფრით, რაც კი მქონდა და ჩემთან მყოფი თქვენი თავადიშვილი იესე როჭიკაშვილი მომიკლა, და რაც თქვენი წყალობა, ან თვალი, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვერცხლი, ან სახლის მოფენილობა, ან ტანი, ან ფეხი და ან ცხენი და იარაღი მქონდა ან მყვანდა ჩემის სახლობისა არაფერი დამრჩომიარა“.

გენერლის ასეთი საქციელი აღშფოთებას იწვევდა არა მარტო ქართველებში, არამედ რუსი ოფიცრების ნაწილშიც. კაპიტანმა იაზიკოვმა პეტერბურგში ნიკიტა პანინს აცნობა: „ტოტლებენმა ამ მხარეში ჩვენს ერს უფრო სირცხვილი აჭამა, ვიდრე ქება მოუხვეჭა“. მეორე ოფიცრმა ასეთი წერილი გაგზავნა: უცილობელი ნიშნებია, რომ გე-

ნერალი ტოტლებენი ან ჭკუაზე შემცდარი ან აშკარად მოლაღატეაო. ეს ოფიცერი აშკარად ცდებოდა: გენერალი არც გაგიუებულა და ამ შემთხვევაში არც „მოლაღატე“ იყო – იგი ხომ იმას აკეთებდა, რაც დაავალეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელი საქართველოში თავადი მოურავოვი, რომელიც ასპინძის ომში მონაწილეობდა, ტოტლებენს აღარ შეერთებია და თბილისში დარჩა. თავადი რატიევი რუსეთის ახალი ძლიერი რაზმით საქართველოში რომ შემოვიდა, ერეკლემ და მოურავოვმა დაუყოვნებლივ მისწერეს, რა მოხდა ანყურთან. ამიტომ მოუწოდეს, ტოტლებენს არ შეერთებოდა, ჩამოსულიყო თბილისში, სადაც მოითათბირებდნენ, შემდეგში რა გაეკეთებინათ. „რატიევმა, ჩოგლოკოვმა და მოურავოვმა გადაწყვეტინეს ერეკლეს, რომ ქართული ჯარის რაზმებით წასულიყვნენ გრაფ ტოტლებენის შესაპყრობად და იგი რუსეთში გაეგზავნათ (დე გრაი დე ფუა). როგორი აღშფოთებული უნდა ყოფილიყო მეფე, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო „მოკავშირე“ გენერლის მიმართ. თბილისში ჩამოსულმა დე გრაი დე ფუამ მაინც დააჯერა მეფეც და ქართული წარმოშობის (და არა მარტო ისინი) ოფიცრები, რომ ტოტლებენთან აშკარა ბრძოლაზე ხელი აეღოთ. „ვიყავი მიღებაზე ერეკლესთან. ვუთხარი მას, რომ მისი განზრახვა ცნობილია გრაფისათვის, რომ იგი მას საკადრისად დახვდება; რომ მის ხელქვეით მყოფი ჯარი გენერალს არ მიატოვებს და ამდენად ბევრი სისხლი დაიღვრება; რომ ცნობას ამ ბრძოლის შესახებ მეტად ცუდი შედეგები მოჰყვება რუსეთის მეფის კარზე; რომ ალბათ გრაფის საქციელს გაჰკიცხავენ, მაგრამ არც საქართველოს მეფის მოქმედებას მოიწონებენ. ბოლოს მე მას შევაცვლევი აზრი და უკან გავბრუნდი“.

აშკარა შეტაკება არ მომხდარა, მაგრამ ტოტლებენმა აქამდე თბილისში მყოფი რუსი ოფიცრები, მასთან რომ ჩავიდნენ, დააბატონა და რუსეთში გაგზავნა. ისინი ყაზანში ჩაიყვანეს, სადაც საველე სასამართლოს მიერ გასამართლებული იქნენ და მომდევნო წლიდან ჯარისკაცებად გაამწესეს. რაც შეეხება რუსეთის მთავრობას, იგი ერეკლესა და ტოტლებენის კონფლიქტში მთლიანად თავისი გენერლის მხარეზე იყო და ერეკლეს ამტყუნებდა (!). როცა მეფემ თავისი ფარემთუხუცესი თავადი გივი ნათალიშვილი მიავლინა რუსეთში, რათა ეკატერინესათვის შეეტყობინებინა, რომ „ტოტლებენმა მისცა მეფე ირაკლი მტერთა პირსა და საფრთხესა, გარნა მოწყალებათა ღ(მრთისა)თა და სიმხნითა თვისითა სძლო ოსმალთა (ომან ხერხეულიძე), იგი პეტერბურგში ძალიან ცივად მიიღეს. მაშინ ქართველი დიპლომატი მოხერხებულად მოქცეულა, მისულა ავსტრიის იმპერატორის ელჩთან და ყველაფერი ისე უამბია, როგორც იყო. აი ეს საინტერესო ეპიზოდი



ერეკლე II

ომან ხერხეულიძის წიგნიდან „მეფობა ირაკლი მეორისა“ (თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსია), ორიოდე რუსული სიტყვის ხმარებაც ნუ გაგვიკვირდება. „ვივმა ეს ჭკუა იხმარა: მივიდა ავსტრიის იმპერატორის ელჩთან, ყველა თავისი ამბავიც გამოუცხადა, ავსტრიის დესპანმა სხვა ევროპიის პასლანნიკებიც იხმო თავისთან. ესენი გივისკენ დაიძრნენ და ეკატერინეს გამოუცხადეს: რადგან საქართველოს მეფე თავისუფალი ქვეყნის მეფე არს და შენი მეზობელი, შენი გულისათვის და პატივისცემისათვის თქვენის ნებისა თქვენ მტრისათვის უბრძოლია და კიდევ უძლევია, თქვენთან იმისაგან გამოგზავნილმა დესპანმა აბიდა რათ უნდა მიიღოსო. თქვენ აქეთ მხარეს ოსმალთ ებრძვით და მეფეს ერეკლეს რათ იმდურებთ, ის თქვენ გამოგადგებათ ყოველთვისო. ეკატერინე იმპერატრიცა დიხა ჭკუიანი და ბრძენი ბრძანდებოდა. იმან უბრძანა ვეზირებს: მეფის ერეკლეს ელჩსა აბიდა არა მისცეთ რაო და ალერსით თავისივე ქვეყანაში გაისტუმრეთო. წიგნი მოსწერა მეფე ერეკლეს: რადგან ჩვენს როსიის მტერზედ მაგრე გაისარჯე, ჩვენც მოვალეობა გვაქვს, რომ ყოველთვის თქვენი ქვეყნის მტერზეც შემწეობა ვინმაროთ და თქვენზედ მარადის კეთილის მსურველი ვიყვეთ, შემწე და პატივისცემელიო და გრაფ ტოტლებენს, ჩვენს ღენერალს, რაც ჩვენთვის მოეწერა, რომ თქვენთან სამდურავი ჩამოვარდნია, მე იმასაც მოვიკითხავო, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რადგანაც თქვენც მართლმადიდებელი და მართლმადიდებლის ერის მეფე ბრძანდებითო, მარადის ჩვენს მტერზედ მხნედ მოიქცეთო“.

ერთი რამ მაინც უნდა ითქვას ამ მიკიბ-მოკიბულ წერილზე: დედოფალი სულაც არ ამტყუნებდა თავის გენერალს, რომელიც გადამწყვეტ მომენტში არა თუ არ დაეხმარა მეფეს, არამედ მისი ტახტიდან ჩამოგდებაც კი მოინდომა.

ვითომც არაფერი მომხდარიყოს, 1771 წელს რუსეთის ახალმა დესპანმა ივან ლეოვმა „ურჩია“ მეფე ერეკლეს: „რადგან თქვენში და გრაფ ტოტლებენში შფოთი და სამდურავი რაიმე არისო ჩამოვარდნილიო, სჯობს რომ ოსმალთ აეშალო და ეკატერინე ხელმწიფე ამას დაგვიმადლებსო და გრაფი ტოტლებენი რომ გაბეზღებს, ეკატერინე ხელმწიფე იმის სიტყვას ყურს აღარ მიუგდებს და შენტვისაც სასარგებლო იქნებაო“ (ომან ხერხეულიძე). ერთი სიტყვით, ასპინძის ბრძოლის შემდეგ რუსები (ყოველგვარი დახმარების გარეშე!) ერეკლეს უბიძგებდნენ კვლავ გაელაშქრა ახალციხის ფაშას წინააღმდეგ. ერეკლემ ამ ოპერაციის ჩატარება საჭიროდ ჩათვალა, რადგან თურქები შურისძიების მიზნით ლეკებთან ერთად იჭრებოდნენ ქართლში. ამიტომ მან გადაიბირა ხერთვისის ბეგი (მაჰმა-

დიანი ქართველი) და მტერს ეს მნიშვნელოვანი ციხე, მართალია დროებით, წაართვა. ეს ლაშქრობა 1772 წელსაც გამეორდა და მასში ერეკლეს იმერეთის მეფეც დაეხმარა. ამჯერად ქართველებმა ახალქალაქის მიმართულებით ილაშქრეს, და უფრო შორს, არტაანამდე მივიდნენ. „ხოლო ესეცა მისწერა და მოახსენა ხელმწიფესა ეკატერინეს და აცნობა გულითად მოქცევა და პირისპირ მტერთა მხნედ მებრძოლობა მეფისა ირაკლისა და მეფისა სოლომონისა. უბრძანა ეკატერინე მეორემან ორთავე მეფეთა მადლობა დიდი, წარმოავლინა ღენერალ-მაიორი სუხოტინი და დაიბარა ღენერალ-მაიორი ღრაფი ტოტლებენი, რომელსაც ცუდად დაუჯდა ტლინკვა თავისი და უსარგებლოდ საქართველოსა შინა“ (ომან ხერხეულიძე).

ამ „ტლინკვაზე“ კარგად კი წერს, მაგრამ ქართველი ისტორიკოსი არ ეხება ტოტლებენის საქმიანობის ბოლო პერიოდს იმერეთში. ტოტლებენი ერეკლეს ხერთვისზე ლაშქრობამდე უფრო ადრე, 1770 წლის ივნისში საკმაოდ დიდი ძალით იმერეთში გადავიდა. მას 4 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა. საინტერესოა, რომ სოლომონი, რომელმაც მანამდე საკუთარი გულმოდგინებით ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები განათავისუფლა, ტოტლებენს ამჯერად არცკი ელოდა. ტოტლებენმა მოიბოდიშა, რომ შარშან სწრაფად გასცილდა აქაურობას, მრავალი რამ აღუთქვა მეფეს, ქუთაისის ალყაში მხარში ამოუდგებოდა და ქალაქს აუცილებლად აიღებდა. მაგრამ ტოტლებენი რის ტოტლებენი იქნებოდა, საქმეები რომ არ აერია და ყველგან ღალატი არ დაენახა. მოვუსმინოთ დე გრაი დე ფუას: „ქალაქის გარშემოწერილობა ერთ ვერსს აღწევს. იგი გარშემორტყმულია კედლებით, რომლებიც საკმარისად მაღალნი არიან და ქალაქს თხრილი არ გასდევს. სოლომონმა გადასცა ტოტლებენს, საკმარისია ქალაქს ალყა შემოერტყას, აღიკვეთოს მისთვის მასველი ჯარის შემოერთება და ერთ თვეზე ნაკლებ ხანში ქალაქი აუცილებლად დაგვინებდებო. ტოტლებენს არ სურდა, მოეცადა ასე დიდხანს. მან დაადგმევინა ბატარეა და დაუშინა ქალაქს ჭურვები. მიუხედავად იმისა,

რომ მან მომგებიანი პოზიცია შეარჩია, თურქებმა ბევრი ხალხი დაგვიხოცეს. გრაფი მიხვდა, რომ კიბეების გარეშე ქალაქს ვერ დასძლევდა. მან გააკეთებინა კიბეები და შვიდ ივნისს გავემართეთ საიერიშოდ კიბეებითურთ. თურქებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაგვიწიეს, დავდგით კიბეები და შევედით ქალაქში. ძალიან გაკვირვებული დავრჩით, როცა ქალაქში ორივე სქესის მოხუცების გარდა ვერავინ ვიხილეთ. ყველა დანარჩენი წინა დამეს გასცლოდა ქალაქს. ტოტლებენს ეგონა, რომ რაიმე ნადავლს იმოვიდა, მაგრამ თურქებს ყველაფერი თან წაეღოთ“. თვით რუსებიც კი განცვიფრებული იყვნენ ტოტლებენის მიდრეკილებით აღვირახსნილი ძარცვა-გლეჯისაკენ. ტოტლებენსა და სოლომონ მეფეს შორის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა. გენერალი ეჭვობდა, რომ მეფემ თურქებს გარკვეული თანხა გამოართვა, ჩუმად გააპარა და ამიტომ ნადავლი აღარ დარჩა. „დააბატიმრებინა სოლომონის ერთ-ერთი წარჩინებული დიდებული და ბრალი დასდო მას, რომ უღალატა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ინტერესებს. გადაეწყვიტა გაეგზავნა იგი რუსეთში. როდესაც იგი მიჰყავდათ, სოლომონმა გააგზავნა რაზმი გამოსახსნელად და დიდებული გამოიხსნეს კიდეც“. ტოტლებენი სოლომონს ხშირად აუგად იხსენიებდა, „თურქს“ უწოდებდა.

ერთი სიტყვით, „არ გათვრდების ყორანი“... ერეკლე და სოლომონი დაჟინებით მოითხოვდნენ ტოტლებენის განწვევას საქართველოდან, ამას აკეთებდნენ რუსი დიპლომატებიც. 1771 წლის 20 იანვარს ტოტლებენის ნაცვლად საქართველოში მყოფი რუსული კორპუსის სარდლად დაინიშნა გენერალი ალექსი სუხოტინი, მაგრამ, გასაგებია, არც ის აღმოჩნდა უკეთესი. ჩვენ კი დავამთავროთ ისევ ტოტლებენის ადიუტანტის, დე გრაფი დე ფუას სიტყვებით: „გრაფი დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც მეტად კარგად მიიღეს. მან მიიღო (უფრო სწორად, დაუბრუნეს ადრე წართმეული) წმინდა ალექსანდრეს ორდენი ბაფთით და პოლონეთში გააგზავნეს, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ (1773) გარდაიცვალა“.

ქრონიკა

25 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს ესტუმრნენ როსტომ და პაატა ჩხეიძეები. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან გაიმართა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო როსტომ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის „ეკლიანი და პატარა გზა“ წარდგინება.

სალამო გახსნა და სტუმრებს მიესალმა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დავით ჩიტიანი. მან აღნიშნა გლობალიზაციის პერიოდში ეროვნული სულის გაღვიძებისა და შენარჩუნების განსაკუთრებული მნიშვნელობა. წამყვანმა, პროფესორმა ნინო ვახანიამ სიახლოვნება გამოთქვა იმის გამო, რომ მსგავსი შეხვედრა-სალამოები ტრადიციად მკვიდრდება სოხუმის უნივერსიტეტში.

როსტომ ჩხეიძე შეკრებილ საზოგადოებას ესაუბრა ილიასეულ იდეალებზე, გამოკვეთა ილიას მკვლევლობაში სოციალ-დემოკრატების როლი. თქვა, რომ მარტო 2007 წელს კი არ უნდა გვახსოვდეს ილია, არამედ ყოველი წელი და დღე აღბეჭდილი უნდა იყოს სურვილითა და სწრაფვით, არ ავცდეთ ილიას გზას, რათა „გაღმა ვასვლისა მსურველთა უკუღმა არ წავიყვანოთ ბორანი“.

დარბაზის ცხოველი ინტერესი გამოიწვია პაატა ჩხეიძის საუბარმა, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ურთიერ-

ობასა და აგრეთვე სხვა საყურადღებო საკითხებს შეეხებოდა. შემდეგ ბატონმა როსტომმა წაიკითხა ნაწყვეტები საკუთარი წიგნიდან, რასაც მსმენელთა განსაკუთრებული ინტერესი მოჰყვა. ბოლოს კი ამომწურავად უპასუხა აუდიტორიის შეკითხვებს.

პროფესორი ჯამბულ ანჩაბაძე არ დაეთანხმა ბატონ როსტომს სოციალ-დემოკრატებისა და კერძოდ, ნოე ჟორდანიას, კრიტიკულ შეფასებაში. ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი საქართველოს ბურჟი უწოდა. კამათში ჩაერია ბატონი პაატა, რომელმაც შეაჯერა და ერთგვარად მოარიგა მოპაექრეთა რადიკალური პოზიციები.

სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ნანა კუციამ. მან გამოკვეთა მწერლის როლი საზოგადოების აღზრდის, განათლების, გაკეთილშობილების საქმეში. დიდი სიყვარულითა და განსაკუთრებული გულითადობით მოიხსენია მწერალ ოთარ ჩხეიძის მართალი შემოქმედება და გულწრფელი მადლობა გადაუხადა ჩხეიძეთა ოჯახს.

დასასრულ, შეხვედრით თავიანთი კმაყოფილება გამოხატეს და იმდღევანდელ სტუმრებთან კვლავ შეხვედრის სურვილი გამოთქვეს სტუდენტებმა და პროფესორებმა: მარინე კაკაჩიამ, მადლენა ოჩიგავამ, ლირა გაბუნიამ, ლელა ჯაფარიძემ.

ნინო ყულაშვილი

ჩვენებური მწერლის „სასაზღვრო ფიქრები“

*

საუბარი
ფარნა ჭილაძესთან

პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, მკვლევარი – ფარნა ჭილაძე (ფაჰრეთინ ჩილოღლუ) თურქეთის ლიტერატურულ წრეებში ცნობილი პიროვნება გახლავთ. ფარნა ჭილაძემ არაერთი ქართველი მწერლის ნიგნი თარგმნა. სხვადასხვა დროს თურქულ პერიოდიკასა და ჟურნალ „ჩვენებურში“ გაბნეულმა თარგმანებმა კრებულებში მოიყარა თავი. გარკვეული პერიოდი ის რედაქტორობდა 1993 წელს აღდგენილ ჟურნალ „ჩვენებურს“. შემდგომში ჟურნალი ოსმან ნური მერჯანს (ოთარ იმედაშვილს), იბერია ოზქანსა (მელაშვილსა) და მუსტაფა იაკუთს (გურამ ხიმშიაშვილს) დაუტოვა და ახალი ჟურნალის – „მამულის“ გამოცემა დაიწყო. სამწუხაროდ, „მამული“ სულ ხუთი ნომერი გამოვიდა.

ფარნა ჭილაძის კალამს ეკუთვნის „ქართველთა ისტორია“; ნიგნს საქართველოს ისტორია არ ჰქვია, რადგან ეხება არა მარტო საქართველოში მცხოვრებ ქართველებს, არამედ სამშობლოს მოწყვეტილ თანამემამულეებს, რომლებმაც შეინარჩუნეს ქართველობის ხსოვნა და ქართული ენა.

ფარნა ჭილაძემ აღმოაჩინა და თარგმნა 1893 წელს სტამბოლში გამოცემული ნიგნი – „ქართული სოფლები“, კვლევის ავტორია ისმეთაბადე მეჰმედ არიფი. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878 წ.წ.) დროს ჭოროხის ხეობაში მდგარი რუსული ჯარის ოფიცერი ივანე ჯაიანი „დროებასა“ და „ივერიაში“ წერილებს აგზავნიდა აქაური ქართველების ყოფა-ცხოვრების შესახებ. ეს წერილები ფარნამ თურქულად თარგმნა და გამოცემას „წერილები ბორჩხადან“ დაარქვა.

მნიშვნელოვანია ფარნა ჭილაძის მიერ მომზადებული „დედაენა“, რომელიც თურქული დამწერლობის მცოდნე ქართველებისთვისაა განკუთვნილი.

ქართველი მკითხველისთვის ჩვენებური მწერალი დღემდე უცნობი იყო, რადგან ქართულ ენაზე მწერლის შემოქმედება აქამდე არ გამოცემულა. ახლახან, გამომცემლობა „არტანუჯმა“, სწორედ, ფარნა ჭილაძის მოთხრობებისა და ლექსების კრებული – „სასაზღვრო ფიქრები“ გამოსცა. მოთხრობები თურქულიდან თარგმნეს: ლელა დადიანმა, ნანა კაჭარავამ, მირიან მახარაძემ. სამაგიეროდ, ქართულ ენაზეა შექმნილი ფარნას პოეზია... „ჩვენი მწერლობის“ მკითხველისთვის საინტერესო იქნება თურქეთის ქართველობის ღირსეულ წარმომადგენელთან – ფარნა ჭილაძესთან შეხვედრა.

– ბატონო ფარნა, თქვენ ქართველი მუჰაჯირების შთამომავალი ბრძანდებით, საიდან გადასახლდნენ თქვენი წინაპრები და ამჟამად სად მოსახლეობენ თქვენი გვარის წარმომადგენლები?

– ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დაახლოებით ვიცი, რომ ზემო აჭარიდან, მაჭახელადან არიან გადასახლებულნი. დღეს მათი შთამომავლები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროსთან, თურქეთში, უნიეს რაიონის სოფელ აქბაბაში. აქბაბა ქართული სოფელია, მაგრამ ქართული დასახელება არა აქვს.

– ქართული წარმომავლობა ბევრს გავალებთ ბატონო ფარნა და თქვენი საქმიანობა, შესაბამისად, ეროვნულია... თქვენ მოამზადეთ „ქართველთა ისტორია“. რატომ ჰქვია ამ ნიგნს „ქართველთა ისტორია“ და არა „საქართველოს ისტორია“?

– ამ ნიგნის ერთი ნაწილი არის თურქეთის ქართველების შესახებაც. ნიგნი დაიბეჭდა 1993 წელს, მაშინ უკვე დაბეჭდილი იყო „ლაზეთის ისტორია“. თავიდან ვფიქრობდით, რაიმე ნიგნი მოგვეძებნა საქართველოში და გვეთარგმნა, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი ისეთი ნიგნი, სადაც მოთხრობილი იქნებოდა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის შესახებ...

– აჰმედ ოზქან (მელაშვილის) ნიგნი – „გურჯისტანი – კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ფოლკლორი“ – ხომ არსებობდა?

– არსებობდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში ისევ გაჩნდა სურვილი ქართველების შესახებ მომზადებულიყო ასეთი ნიგნი.

– თქვენ მიერ მომზადებული „დედაენა“ მნიშვნელოვანი იყო იქაური ქართველების მშობლიურ ენაზე ამეტიყველებისათვის...

– ბევრმა მითხრა, რომ ქართული წერა-კითხვა ამ წიგნიდან ისწავლა; ამაზე რომ ვფიქრობ, მგონია, რომ რალაც მნიშვნელოვან პერიოდში დაიბეჭდა ეს წიგნი. შემდეგ უფრო განვითარდა ურთიერთობა თურქეთსა და საქართვე-



ლოს შორის, ადვილი იყო იმ წიგნის შოვნა, რომელიც სჭირდებოდა ადამიანს. „დედა-ენა“ ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა ჟურნალ „ჩვენებურში“, შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ წიგნად გამოგვეცა.

ზუსტად ვერ გეტყვით, რა თქმა უნდა, რამდენმა ადამიანმა ისწავლა ქართული ამ წიგნით, მაგრამ ყველანი პატივისცემით საუბრობდნენ ჩვენს „დედაენაზე“.

– სახელმძღვანელო განსაკუთრებული აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი... როგორი იყო თურქეთის ქართველებისთვის გამოცემული „დედაენის“ სპეციფიკა?

– ეს „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ დამყარებული, მაგრამ თურქეთში არიან ადამიანები, რომლებმაც არ იციან მშობლიური ანბანი, წერა-კითხვა, როგორ გამოიხატება ქართული ასოები... ამიტომაც საჭირო იყო წიგნის განსხვავებულად მომზადება, მითითება თუ რომელი სიტყვა რას ნიშნავს თურქულად, როგორ შეიძლება გამოიხატოს ქართული ასოები, მაგ., ჭ ან პ და სხვ. გოგებაშვილის „დედაენიდან“ ვთარგმნეთ პატარა მოთხრობებიც, ასეთი განსხვავებები...

– ასევე, ძველ ოსმალურ ენაზე დაწერილი წიგნი – „ქართული სოფლები“...

– როცა დავინტერესდი ქართული კულტურით, არ ვიცოდი ქართული ანბანის და არც ლიტერატურის შესახებ. მაინტერესებდა ოსმალეთის დროს რაიმე წიგნი თუ არსებობდა თურქეთის ქართველების შესახებ და ერთადერთი, რაც ვიპოვე ესაა – „ქართული სოფლები“, მისი ავტორია ისმეთხადე მეჰმედ არიფი. ჩემთვის საინტერესო იყო ეს წიგნი. ავტორმა იმოგზაურა სტამბოლიდან სამსუნამდე და იქ, ჩარშამბას რაიონში ორ-სამ ქართულ სოფელს ახსენებს, წიგნის სათაურის მიხედვით არ გეგონოთ, რომ ჩამოთვლილი ქართული სოფლები. წიგნში აღწერილია ამ სოფლებში გადასახლებული ქართველების ცხოვრება, მშობლიური ენა იცოდნენ თუ არა, ქორწილები როგორი იყო, მეურნეობა როგორ წარმოებდა... ამ კაცს უკითხავს: – ქართულად წერა-კითხვა თუ იცითო? იმათ უპასუხნიათ: – ჩვენ არა, მაგრამ ჩურჩუქსულები წარმოშობით ქობულეთიდან არიან და მათ იციანო. მგონი, ეს ერთადერთი წიგნია ოსმალეთის დროს დაწერილი თურქეთის ქართველების შესახებ, თუ სადმე არსებობს და ჩვენ ვერ გვიპოვნია, არ ვიცი.

კიდევ ორი წიგნი: „წერილები აჭარიდან“ – ზემო აჭარიდან აბდულ მიქელაძის მიერ თბილისში გამოგზავნილი და უმეტესად გაზეთ „ივერიასა“ და „დროებაში“. დაინტერესებულმა საზოგადოებამ ეს წერილები იცის, ესეც გადავთარგმნე თურქულად. ამ მიმონერაში კარგად ჩანდა თუ როგორ ცხოვრობდნენ მუსლიმანი ქართველები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში.

ჯაიანი ოფიცერი იყო, ცხოვრობდა ბორჩხაში და წერილებს ბეჭდავდა გაზეთ „ივერიასა“ და „დროებაში“. დაინტერესებულმა საზოგადოებამ ეს წერილები იცის, ესეც გადავთარგმნე თურქულად. მცხოვრები ქართველებისთვის, საინტერესო წიგნი აღმოჩნდა „წერილები ბორჩხა-დან“, ის მეორედაც გამოიცა.



ასევე, „ქართველები კონსტანტინოპოლში“. ამ წიგნის ავტორია ევგენი დალეჯიო დალესიო. შალვა ვარდიძემ ფრანგული ხელნაწერიდან გადათარგმნა ქართულად და ეს წიგნი დაიბეჭდა 1921 წელს სტამბოლში, ქართული კათოლიკური მონასტრის სტამბაში. ეს წიგნიც გადავთარგმნე თურქულ ენაზე.

წიგნები, რომლებზეც ვსაუბრობთ და რამდენიმე წიგნი გამოსცა ჩემმა მეგობარმა – შენოლ ტაბანმა, გამომცემლობა „სინათლის“ გრიფით. რა თქმა უნდა, გამომცემლობა „სინათლე“ ძლიერი გამომცემლობა არ არის, მაგრამ მაინც არსებობს და გამოსცემს წიგნებს ქართული კულტურის შესახებ.

– 1993 წელს თქვენ იბერია ოქჯან (მელაშვილთან) და შევექეთ შირინთან ერთად ხელმძღვანელობდით ჟურნალ „ჩვენებურს“. რა მნიშვნელობა ჰქონდა ჟურნალ „ჩვენებურს“ თურქეთის ქართველებისათვის?

– საზოგადოებამ იცის, რომ ჟურნალი „ჩვენებური“ დაარსებული იყო აჰმედ ოქჯან (მელაშვილის) და მისი მეგობრების მიერ. მათი ხელმძღვანელობით დაიბეჭდა 5 ნომერი სტოკჰოლმში და მე-6 და მე-7 ნომრები სტამბოლში. 1992 წელი იყო, როდესაც დავინწყეთ საუბარი ჟურნალის გამოცემის განახლების შესახებ. „ჩვენებურის“ ერთი ნომერი მოამზადა იბერია ოქჯან (მელაშვილმა) და გამოსცა ქალაქ ბურსაში. შემდეგ ვერ შეძლეს ჟურნალის გამოცემა და ოსმან ნური მერჯანმა (ოთარ იმედაშვილმა) რედაქცია სტამბოლში გადაიტანა. უფრო ადრე შემომთავაზეს ამ ჟურნალის ხელმძღვანელობა, მაგრამ ხალხი, რომელიც გავიცანი შემდეგ, აჰმედ ოქჯან (მელაშვილის) დროს იცნობდნენ ერთმანეთს და მათთვის უცხო ვიყავი-განახლებულ გამოცემას მე-2, მე-3 ნომრიდან ვხელმძღვანელობდი 1996 წლამდე. მაშინ ჩემს მეგობრებს „ჩვენებურის“ მიმართულების შეცვლა სურდათ, რის გამოც დავტოვე რედაქტორობა. იმ დროს ცუდი მდგომარეობა იყო აფხაზეთში, ომი... ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის თუ რა ხდებოდა და თურქეთშიც დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ ჩრდილოკავკასიელებს. არ მინდოდა „ჩვენებური“ ჩავარდნილიყო კონფლიქტების პარადოქსებში, გამხდარიყო ლანძღვის ობიექტი, ვამბობდი, რომ ყველაფრის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა, იქნებ, კარგი თარგმანი არ ყოფილიყო?! ქართველებისთვის გამზადებთ ჟურნალს, აქაურებს ეგონებათ, რომ ასეა, მხარდაჭერაც შეიძლება მოჰყვეს... დავტოვე ჟურნალი და დავეუთმე მათ...

– ჟურნალ „მამულის“ გამოცემა საპასუხო ნაბიჯი იყო?

– არა, პასუხი არ იყო. რამაც ვიყავი დარწმუნებული, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თურქეთის ქართველების გაზეთი, იმ ხაზის გაგრძელება იყო. ჟურნალის გამოცემის საშუალება მომეცა, ჩემი მეგობარი, შენოლ ტაბანი სტამბის დირექტორი იყო. შემდეგ, როცა მან თანამდებობა დატოვა, აღარ გვექონდა ჟურნალის გამოცემის საშუალება,

მაშინ მივხვდით, რომ ორივე ჟურნალი – „ჩვენებური“ და „მამული“ ერთიდაიგივე მიმართულების იყო.

– **ამჟამად თუ თანამშრომლობთ ჟურნალ „ჩვენებურთან“?**

– ახლა „ჩვენებურთან“ არ ვთანამშრომლობ. 2-3 წლის წინ რუბრიკა მქონდა ჟურნალში – „ნოეს კიდობანი“. ამ რუბრიკით ხუთ ნომერში ჩემი წერილები დაიბეჭდა.

– **იგეგმება თუ არა ჟურნალ „მამულის“ აღდგენა?**

– ამაზე ვმსჯელობთ, მაგრამ დროის სიმცირის გამო, შეიძლება ასე არ მოხდეს.

ვხელმძღვანელობ ვებ-საიტს www.konapedia.com, სადაც ვათავსებ საქართველოსა და კავკასიის შესახებ თითქმის ენციკლოპედიურ მასალებს. ერთ-ერთი გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ვარ, ეს საქმე ჩემს დროს იტაცებს. კიდევ ვწერ www.chveneburi.net-ისთვის (რუბრიკას ჰქვია „პოლიტიკობანი“), ეს ინტერნეტ-გვერდი კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამ.

– **ახლახან გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა თქვენი წიგნი „სასაზღვრო ფიქრები“. რას ეხმიანება თქვენი მოთხრობები და ლექსები?**

– მგონია, ძნელია ავტორმა ისაუბროს საკუთარ წიგნზე, მოთხრობებზე, ლექსებზე... თურქულ ენაზე ვწერ პატარა მინიატურებს. ლექსები დაწერილია ქართულად, მათ შორის, რამდენიმე აქ, საქართველოში, თბილისში დავწერე.

– **თურქეთის ქართველები, ალბათ, იკრიბებიან სათვისტომოებთან, სახელმწიფო უწყებებთან – საელჩო, საკონსულო და სხვ.**

– სხვაგან როგორ ხდება არ ვიცი, თურქეთში მცხოვრები ქართველები უფრო მეტად დაიტერესებულნი არიან ქართული ფოლკლორით. რამდენიმე ქალაქში არსებობს საზოგადოება, ვერ გეტყვით რამდენი, დაახლოებით, ოცი. თურქეთში არ არის ისეთი საზოგადოება, რომელიც დაინტერესებულ ადამიანებს ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას... რა გიპასუხოთ არ ვიცი?!

– **რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამას წინათ, საქართველოს საკონსულოსთან გაიხსნა ენის შემსწავლელი კურსები...**

– ქართული ენის შემსწავლელი კურსები მართლაც გაიხსნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თურქეთის ქართველებისთვისაა. რა თქმა უნდა, წარმოშობით ქართველებსაც, ვინც ანკარაში ცხოვრობს აქვთ ამის საშუალება.

წერა-კითხვა თვითონ ვისწავლე, თარგმანის შესაძლებლობამდე, ლექსებს ვთარგმნიდი, მოთხრობებსაც, მაგრამ არასოდეს არ მისწავლია სკოლაში, გასაგებია ალბათ... გრამატიკაში ეჭვი მეპარებოდა, ეს ძალიან მანუხებდა, იქნებ შეცდომებსაც ვუშვებდი, ასეთი შეწუხება იყო, ძალიან მინდოდა კარგად მესწავლა მშობლიური ენა და ამიტომ ჩამოვედი მაშინ თბილისში, დაახლოებით ორი თვე ვსწავლობდი, სიამოვნებით გავიხსენებ ჩემი მასწავლებლის სახელს – **რუსუდან ამირეჯიბი**. მგონი, ცუდად არ ვთარგმნი.

სტამბოლში, უნივერსიტეტში სწავლისას ერთი მეგობარი მყავდა, მასთან ერთად ზღვაზე წავედი. იქ გავიცანი მწერალი – **რიფათ ილგაზი**, ისეც ვიცნობდით მას, რადგან ცნობილი იყო, პირადად გავიცანით და მან მკითხა: –

სადაური ხარ? – უნიდან – ვუპასუხე. – მაშინ შენ იქნები ქართველი, – მითხრა მან. – დიახ, ქართველი ვარ. – ჟურნალ „ჩვენებურის“ შესახებ თუ იცი? – მკითხა. – არა – ვუპასუხე. – რანაირი ქართველი ხარ თუ „ჩვენებურის“ შესახებ არაფერი იციო... ეს ადამიანი იცნობდა აჰმედ ოზქან (მელაშვილს) და გაიხსენა ის. ციხეში ერთად ისხდნენ. მწვანე პერანგს არ იშორებდა და ამიტომ მას „იეშილ აჰმედს“ ვეძახდითო, მის მიერ გამოცემული ჟურნალია „ჩვენებური“, – მითხრა ცნობილმა მწერალმა. ასე გავიცანი ეს დიდი მნიშვნელობის გამოცემა, პირველად ქართული ანბანი იქ ვნახე, გაგონილიც კი არ მქონდა ქართულ დამწერლობაზე, მაშინ 1980 წელი და ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეები იყო.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ლიტერატურულ წარმატებებს ლიტერატურული პრემიით აღნიშნავენ: – „ბუკერი“ – რუსეთში, „გონკური“ – საფრანგეთში, „სტრეგა“ – იტალიაში, ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში – შვედეთში გაიცემა.

საქართველოში დამსახურებული ლიტერატურული მოღვაწეობისათვის რუსთაველის პრემიას ანიჭებენ. ტრადიციულ სახეს იძენს „საბას“ ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვების ცერემონიალიც.

ვიმედოვნებთ, რომ ლიტერატორებს უყურადღებოდ არ დარჩებათ ჩვენებური მწერალი, რომელიც თურქეთში ქართული საქმის სათავეში დგას.

P.S. ცნობილი ქართველი მომღერალი **ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე)** მონაწილეობს კონკურსში – „პატრიოტი 3“, სადაც ის ასრულებს სიმღერას, რომლის ტექსტი ეკუთვნის ფარნა ჭილაძეს.

ჩვენი ფოსტა

ძვირფასო ბ-ნო პაატა ჩხეიძე
ახლახან მივიღე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ნომერი, სადაც დაბეჭდილია ჩემთან დიალოგი, რისთვისაც დიდი მადლობას გიხდით. გადავწყვიტე გენვიით საქართველოში ერთი კვირით ან ცოტა მეტი 2008 წლის აპრილში. უკვე შეგვიძლია შევადგინოთ მუშაობის გეგმა.

გთავაზობთ ჩემს მიერ წასაკითხი ლექციების სათაურებს:

1. თორნტონ უაილდერი: ამერიკული დაძაბულობა, როგორც შეკითხვა და კონტროლი.
2. კონფლიქტის ტრადიცია: ამერიკული კონსერვატიზმი და ამერიკული ლიბერალიზმი.
3. ახალი კრიტიკა VS პოლიტიკური კორექტულობა – ლიტერატურული და პოლიტიკური ასპექტები.

თუ თქვენ მოისურვებთ რომელიმე სხვა თემაზე ლექციას, გთხოვთ მაცნობოთ. მაცნობოთ აგრეთვე სად და ვის ნაფუკითხავ ლექციებს.

გულწრფელად

პერჯილ ნემოიანუ

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

ღეზი

სულმუდამ ძილნაკლული პაპიდაჩემი:

კოჭებამდე ღამის პერანგზე, გახუნებული, ალაგ-ალაგ უთოთი ალანძული ხალათი მოუცვამს. სიჩქარეში აცა-ბაცა შეუკრავს ღილები. უთენია დაბორიანებს, ვერცხლის ქუჩაზე, საერთოეზოიანი, მყუდრო სახლის პირველ სართულზე შეყუჟულ, ორ პატარა ოთახსა და სამზარეულოში. გაბუნულ თმაზე ჰაიჰარად გადაუსვამს სავარცხელი და ის სავარცხელიც თმაში ჩარჩენილი დაჰკონნიანებს.

დაბორიანებს – მეთქი – მკერდში ჩახუტებულ, გაფუე-ბულ ბალიშს სანოლის თავში ჩამოსადებად მიაბრაცუნებს, თითქოს, სადაცაა, ზეზეულად ჩამოსთვლემს, ჩამოეძინება.

ბალიშს ერთხელ კიდევ ააფუმფულებს, სანოლზე დაბრძანებს, გადასაფარებელსაც აიქნევს ჰაერში, ლოგინზე დააფენს, მაგრამ გადასწორებას ველარ ასწრებს, სამზარეულოდან ჩაიდანი ეძახის, ძველებური, მამაპაპური, სახელურმოყანყალეული, თუჯის მძიმე ჩაიდანი. იქვე მოსახარშად დადგმულ კვერცხებსაც ჩაშრობია წყალი და სადაცაა ემალის ჯამი ატკაცუნდება.

– ადექით, შვილო, ქვეყანამ განა თქვენთვის გაიღვიძა! – გაიძახის ქუჩისპირა ოთახისაკენ, რბილი, დამთბობი ხმით, წინასწარ შეგუებული, რომ მანც არ გაუგონებენ, ვიდრე არ მოინებებენ ლოგინს, დილის ძილს არ დაიფრთხობენ, არ ადგებიან.

გარეთ, ნაგვის მანქანაზე, აისორი ჟორა რკინის ნაჭერს დაჰკრავს მჭახხემიან თუნუქს.

არ გამასწროსო, პირმოდგმულ ნაგვის ვედროს ციმციმ გაატუსტუსებს.

„მაიტა, მადამ!“ – ჟორა დაძრულ მანქანას ადევნებულ ქალებს რიგრიგობით ართმევს ვედროებს და ძარაზე აპირქვაავებს.

„მე ჯერ მადამი არა ვარ!“ – ვითომ ებუტება სტუდენტი, ფერხორციანი გოგო.

„არა ხარ – გახდები, თანაც ძალიან მალე,“ – ვერცხლის კბილებს გადმოყრის გაცინებული მენაგვე.

„ოჰ, შენ არ მოისპე, ჟორა, ამდენი საიდან იცი?“ – მარიამი შემობრუნდება, ცარიელ ვედროს კუთხეში მიდგამს.

ხელებს გადაიბანს თუ არა, ფეხდაფეხ ვილაც შემოჰყვება – კარს შემოაღებს, შეიძლებაო, იკითხავს და, პატარა შუშაბანდში, მხრებში მოხრილი, პირგაუპარსავი ახალგაზრდა აინონება.

რალა – შეიძლება, უკვე შიგნით არის.

– რომელი ხარ, შვილო!

თოთილაა თუ ტოტილა, – ესტატე ძია მინდოდაო.

– გიცანი, გიცანი, – გამოითქვეფავს მუხლისთავეებს და, ახლალა შეამჩნევს, ღილები არასწორად რომ აქვს შეკრუ-

ლი, – ესტატემ ერთი ფეხით გაგასწრო ახმეტაში, თერთმეტზე თათბირი გვაქვსო.

ჰოო, ერთად უნდა წავსულიყავით, გავიქცევი, ეგებ ავტობუსში მივუსწროვო – ბიჭი კარისკენ გაიწევეს.

ჩაებლაუჭება, ასე როგორ გაგიშვა, უჭმელი იქნებო.

ჩემს საქმეს არ დაეჯდომება, დიდი მადლობაო.

მაინც არ მოეშვება, პურის ნაჭერზე ბარაქიან კატლეტს დადებს, ზედ მეორე ნაჭერს დააფარებს და გაზეთის ნახევში გადაუხვევს, გზაში ნახემსეო.

– რა საჭიროა, თქვენ სუ ასე იცით, – უხერხულად ანურული სტუმარი უკან-უკან გავა... –

აქამდე მიჩუმებული კედლის რადიო ახრიალდება. უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემენ.

აი, ამ თავმკვდარმა რადიომაც გაიღვიძა და, თქვენ რა ძილქუში დაგეცათო, ახლა უფრო გულმოსული გასძახებს კარშელებულ ქუჩისპირა ოთახს თან საბოროში კომბოსტოს შემეჭნარ ფურცლებს შემოაცლის.

როდის-როდის ოთახიდანაც გამოეპასუხებიან – თმაგაბურძნული ბიჭები რიგრიგობით გაძუნძულდებიან ეზოში, საერთო საპირფარეოსაკენ. პირსაც იქვე, საერთო ონკანზე დაიბანენ და საათს რომ შეხედავენ, მერელა დაფაცურდებიან, მარიამ დავიდოვნა, ჩქარა, ჩაი დაგვისხი, თორემ სამსახურში დავავიანეთო.

შვილებსაც გაისტუმრებს და, ახლა და ეწვევა.

– მოდი, ქალო, მოდი, ჩერქეზოვიდან ამ უთენია რამ გადმოგიყვანა.

– რალა ადრეა, – სტუმარი გაბეცებულ თვალს მოაცეცებს ირგვლივ და, იქვე, დაბალ სკამზე კრუხივით ჩაქუქული შინდისფერ ტყავის ჩანთას გვერდით მოიდგამს.

– ხო მშვიდობაა, ანიკო, ჰა? – შეეკითხება სტუმრის დუმილით შეწუხებული.

– ამომასუნთქე, ქალო... მშვიდობაა, მშვიდობა.

– ამხელა გზაზე როგორ წამოხვედი, ხეირიანად ველარ ხედავ, სადმე რომ წაიჩხო.

– რა ვქნა, სიზმარი ვნახე ისეთი, რა გამაჩერებდა.

– ქარი შეგეპარებოდა, ქარი. საბანი კარგად უნდა ამოიგო ხოლმე, – გაეხუმრება დამშვიდებული და წყალს მიაწოდებს.

– წყალი რად მინდა?

– რა ვიცი, გული მოიბრუნე.

– გულს რა უჭირს.

– რა გაქვს ჩანთაში.

– ისეთი არაფერი, ცოტა რალაცეები წამოგიღე.

– რამდენჯერ გაგაფრთხილე, ეგეთები აღარ უნდა მოიშალო?... ყველაფერს უკან გაგატან, – ჩანთას მაინც ჩახედავს, – ხო იცი, ერთი ყუთი ვაშლი ისევ ხელუხლებელი მიდგას, ვინ არის მჭამელი... ეს მურაბებიც... ო, ანიკა, ანიკა... ეგრევე უკან წაიღებ... –

– ბავშვობაშიც ეგეთი მატრაკვეცა იყავი!.. წავიღებ რა, აღარ უშლიან, ირემმა ირემსაო, არ გაგიგია?... მიხედე, გარბის, ქალო, ჩაიდან!

– გაიქცეს, ამ სამზარეულოს იქით სად წავა... უჰ, როგორ დავილაღე, რალა სადგური და რალა ჩემი სახლი... მოდი, ჩაი დავლიოთ, ეგებ ცოტა მუხლიც დავასვენო... –

ანიკა სამზარეულოს მაგიდასთან გადაინაცვლებს... მარიამი ჩაის თხელ ჭიქებს მდულარეთი შეავსებს და გვერდით მიუჯდება.

- მურაბით გირჩევნია თუ შაქრით?
- თუ ნატეხია, შაქარი მიირჩევნია.
- შენ ოღონდ მოინდომე და... - კარადიდან პარკით გამოიღებს, - შეგრჩა საამისო კბილები?
- ისე ჩაის გემოს ვერ ვატან, - ორი კვინტი ამოიღო და ლამბაქს გვერდით მოუდო.
- გახსოვს, პირველად, სოფელში, ცუკამ ნატეხი შაქარი რომ ამოიტანა... ის გემო ახლაც არ მავინყდება.
- ცუკამ კი არა - მამაჩემმა.
- აბა, რას ამბობ, გუშინდელი დღესავით მახსოვს, ცუკამ ამოიტანა, დაგვიტყვიეს და ბავშვებს დაგვირიგეს.
- ორი წლით უფროსი აღარა ვარ? მე უფრო არ მახსოვს?
- უფროსი რომ ხარ, მაგიტომ გამობენტერდი ჩემზე ადრე...

მარიამი, ჩემი სტუდენტობისას, თუ დავაგვიანებდი სტუმრობას, ამომხედავდა დოინჯშემოყრილი, შე მამაძალლო, წეროს სკინტილივით რომ დაიკარგე, ეგრე უნდაო...

ანიჩკა კიდეც, ცუდად ხედავდა, მაგრამ სად აღარ დადიოდა - რაც ასაკში შევიდა, სახე ბოშა ქალის ქვედაბოლოსავით დაეჭმუჭნა, დაუგრძელდა ოდნავ კეხიანი, არისტოკრატიული ცხვირი... მოუვლელი მაინც არ გამოვიდოდა გარეთ, ფერუმარლით ამოავსებდა თვალის უპესთან შეყრილ ნაოჭების ღარებს, გამობაკუნდებოდა ქუჩაში, თეთრი, იაფფასიანი პუდრით „დამპაკალული“, უხეირო თოჯინას დამსგავსებული, მაგრამ ძალიან კეთილი, რამდენჯერ სტუდენტობაში მომაკითხა, თავისი განუყრელი ჩანთით და ხორავით...

სხვა ხალხი იყო, სხვა ჯიგარი ეწვოდათ, სხვა სიყვარული ეწადათ.

ისხდნენ დები, სამოცდაათიანის რომელიღაც წელს, რომელიღაც თვესა და დღეს, სამზარეულოს მორყეულ მაგიდასთან და ისხნებდნენ.

ცოტა ჰქონდათ მოსაგონარი თუ რა...

გაზქურაზე კი დუღდა და გადმოდუღდა საბორძქე ქვაბში დანაკლულებული წყალი.

„შენი რაა“...

სულ მგონია, იმდენი უგუნურებაა ჩადენილი, რალამ უნდა გამაკვირვოს-მეთქი, მაგრამ...

რუსეთის არხზე, პრემიერის მოადგილესთან ინტერვიუში გაირკვა, რომ ქართველების სიძულვილით, მაღაზიის წიგნის თაროებიდან ბულატ ოკუჯავაც კი ამოუღიათ.

ძნელია, ასეთ საქციელს, სახელი მოუძებნო.

ალბათ, ჰგონიათ ქართველებს გულს გაუხეთქავენ, თუ რუს მწერალს და მომღერალს, ბულატ ოკუჯავას, უარყოფენ, აღარ ნაიკითხავენ ანდა აღარ მოუსმენენ...

ამ პრინციპით ცხოვრებას თუკი გააგრძელებენ, ამოიღებენ ისტორიიდან არარუს ან ნახევრად რუს მეფეებს, პოლიტიკოსებს, მხედართმთავრებს, მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მეცნიერებს, ვნახავთ რა მელასაც დაიჭერენ.

სულ ტყუილი ყოფილა ის აღტაცება, თავყვანისცემა, რაც ოკუჯავას სიცოცხლეში ხვდა წილად. წყალნი წავიდნენ და გაირკვა, რომ ისევე, როგორც მრავალ ქართველთა,

მისი წარმოშობაც ყელზე ადგიათ, გამოუნელებლად უთუხ-თუხებთ ბოლშის ქვაბი:

„მაღლიერმა შთამომავლობამ ძალღებს გადაუყარა ბოროდინოს გმირის, პეტრე ბაგრატიონის, რუსეთის ერთგულებაში დამდნარი ძვლები.

კაცს, რომელმაც „ყველა დროის რუსის“ ოცნება აღასრულა, ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჰკორტნიან, თუმცა, დღემდე, სახელმწიფო იმ კაცის ჩაყრილ „ხიმინჯებზე“ უდგათ.

ღმერთმა უწყის, რა ელოდება პეტრე დიდს...

ახლა რუსი მწერალი ბულატ ოკუჯავა...

კიდეც ერთხელ როგორ არ გაგახსენდება:

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა“...

მავანი

რაც ვიცნობ, სამშობლოს მანქანის დაბურული შუშიდან უყურებს.

ერთხელ ვერ მოიფიქრებს, გადმოვიდეს, შიშველი, პრიალა პარკეტზე სიარულით განაზებული ფეხები გზისპირა ფშანში ჩაჰყაროს, რომ კენჭებმა ფეხისგულეებზე მოუღიბინონ ან ნანვერალზე სირბილით დაეღვენოს დაფეთებულ მწყრებს.

მაღალზურგიანი სკამიდან თუ სცენაზე შესკუბებული ტრიბუნიდან, შუშიდან დანახულ სამშობლოზე ფიქრობს და ლაპარაკობს, დაბურული შუშიდან აღქმულ სამშობლოსათვის ზრუნავს...

და, იმან თუ არა, მე მაინც ვიცი, რომ მის ხელში მანამდე იქნება უბედური სამშობლო, ვიდრე ვინმე ონავარი ბიჭის ნასროლი ქვა შუშას არ ჩაამსხვრევს...

იმანო

მუზეუმის დირექტორად „ჩამოალაბორანტეს“ და გაბებღვილი, უკმაყოფილოდ ტუჩებდაბუმტული ისე იყურება, თითქოს ან იმისი ღირსი იყო, სადაც ბრძანდებოდა, ან იმისი - სადაც მიიყვანეს.

საყვარელი პოეტი

თქვენი საყვარელი პოეტი ვინ არისო - შეხვედრაზე მკითხეს.

მე სტუდენტობისდროინდელი, ერთი შემთხვევა გამახსენდა:

კვირადღეა. დეზერტირების ბაზართან ხელჩანთებით, ბადურებით დაბარგული დიდძალი ხალხი მიდი-მოდის.

უცებ, იმ ჯგლეტაში, უნესრიგოდ აგორებულ ბრბოში, მაღალი, ჩადგმული, იდაყვებამდე თეთრი პერანგის სახელთაყეცილი ტიპი შევნიშნე, სიმელოტის შესანიღბად, კეფიდან წამოღებული თმა, შუბლიდან ყურებზე რომ ჩამოვარდნოდა, ორი დიდი, ხორავით გატიკნული ქაღალდის პარკი, ფერდებთან აეხუტებინა, პარკების ძირზე ამოედო

დაბანჯგვლული მკლავები და ტრამეაის ხაზზე ისე ამაყად გადმოდიოდა, თითქოს მუცლის ამოსაყორი კი არა, კრნანის ველზე დახოცილი მტრის თავები მოჰქონდა.

მოახლოვდა და... შეეცბი – ჩემი (და არა მარტო ჩემი) საყვარელი პოეტი...

გავხვედი. გავშრი. როგორც ოდესღაც, პირველ კლასში, სკოლის ბუფეტში მოსაუზმე ჩემს მასწავლებელს რომ გადავანყდი.

ნეტავ ფეხი მომტეხოდა და აქეთ არ გამომეველო-მეთქი, ვინანე...

რატომ, რად გამიკვირდა, პოეტს (თუნდაც საყვარელ პოეტს) არ სჭირდება საკვები? მუხას შთაგონება მოაქვს, განა შემწვარ-მოხრაკული!

არა, რაღაც სხვამ დამწყვიტა გული – თითქოს ვიღაცას თუ ვიღაცეებს ნიშნ უგებდა, ხელმოკლეობის გამო, ოჯახებში პოპულარული პოეტივით ნარჩევი, ძვირადღირებული ხორაგი რომ ვერ მიჰქონდათ...

იქნებ ასე სულაც არ იყო, მაგრამ მის მიხრა-მოხრაში, ამპარტავან გამოხედვაში, რაღაც ამის მსგავსი ამოვიკითხე და, რა ვქნა...

„მეგობარო, ეს არ არის წიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები.“

(უოლტ უიტმენი)

მე – პირიქით, კაცს „შეეხებ“ და... პოეტი დავკარგე – საყვარელი პოეტი.

შეხვედრაზე მკითხეს...

ოლრაიტა

შუალამეა გადასული. მეზობლად, ეზოში გაშლილ სუფრასთან, სიციხით და სასმელით გალექებული ხმაურობენ.

– ჰოო, ეგრე, ოლ-რაით... ბოლომდე... ფრჩხილზე დააკაუნე... კარგია, ოლ-რაით... მაშ არ იცი, რას ნიშნავს, არა? განათლება ამ ჩვენს გათახსირებულ დროშიც საჭიროა... ნუ ამიხირდები, ბიძაჩემო... საყველპურო რუსული აღარ კმარა, ეხლა დასავლეთზე ვართ ორიენტირებული... ოლ-რაით...

– ნუ შეგვჭამე, გვითარგმნე და, მოათავე!

– აბა, გამოიცანი.

– ალბათ, დაასხი, დალიეო!

– ნნ, ვერ გაარტყი... გახსოვს, შენ და „ბაჩონკა“ „ბანკე-ბით“ რო უბერავდით ხოლმე?... ერთხელ მეც დამალევივით. პატარა ვიყავი. გამომძვრა ტარი, ნავედი და, სალორესთან, დიდ ტლაპოში გადავიჩხე... გამოიზღაზნა სალორედან ღორი, დამადგა თავს და დამლრუტუნებს... კიდევ კარგი ყური არ მომაჭამა, ამხელა კაცებს, ჭკუა სადა გქონდათ... რაც იყო, იყო, ოლ-რაით...

ნამთვლიმა. ველარ გავიგე მერე რა მოხდა...

მეორე დილა. ღია ფანჯრიდან მესმის მეზობელი ქალეხის ხმა:

– რა ბული იყო, თვალი ვერ მოვხუჭე... შენ როგორ გეძინა, ზინა!

– ვინ დააძინეს დოლიძეებმა, ვიღაც ოლრაიტა ჰყავდათ სტუმრად, მთელი ღამე იმას ეხირავებოდნენ, რას ვერ იყოფდნენ, რა უნდოდათ... ის ოჯახქორი ოლრაიტაც ჭოტად იქცა, ვერც სვამდა, აღარც იძინებდა...

ვერ ხეირიანად არ მოთენებულა და უკვე აცხუნებს, ცაზე იწვიან მზენაკიდებული, აქა-იქა მიმოხნეული ღრუბლის ბულულები.

გვირილავის ველი

გასაოცარია, ამდენი მაინც რამ მოიყვანა:

ფიჭვის ტყისპირებიდან დანყებული, დაფერდებული ველი, გადაბმული მთების ტეხილით შემომრგვალებულ ცას ფერადი თვლებით აჰყურებს. ამ ფერადებში უფრო თეთრი სჭარბობს – ბლუჯა-ბლუჯად ჩაქცეულ ყაყაჩოს, ზი-ზილას, ცისთვალას, თეთრად აქაფებული გვირილას ტბები ენაცვლება.

ერთი მათგანი, ხელზე თავგადაგდებული ყვავილი, თითებში იფურცლება:

– ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... ვუყვარვარ...

ჩემთან ერთად ველიც თავის მარადიულ გულისწორს – გაზაფხულის ზეცას ეკითხება:

– ვუყვარვარ?..

ბომბორა, კუდიანი ძაღლი გვერდულად მიარღვევს და-უტაროვებელ სიმიწს და იონჯას, მიჰყევს ქვემოთ გაფანტულ, ყამირს შემოყოლებულ ნახირს.

ქარავანი თავისი გზით მიდის, – თავდალუნულ საქონელს სულაც არ აღელვებს ენაგადმოგდებული ძაღლის გნისი და ფაფხური, დინჯად მოინევს, ღონიერ ყბებში გააქვს ხრამუნი ნანვიმარზე გულუხვად ამობერტყილ მინის სიკეთეს – ბალახის წვენი მწვანედ მოთქრიალეს და იქაურობას უცხო სურნელი აბრუებს.

გადავყურებ ველს და, ასე მგონია, ჩემგან დასავლეთით, ქარსაცავ ზოლს იქით, სადაცაა განუყრელი წყვილი, მწუხარე სახის რაინდი და მისი მსახური გამოჩნდებიან.

გამოჩნდებიან და სწორუპოვარი, ხელმოჩრდილებული ლამანჩელი უზანგებზე აინევს, აიჭლიკება, თვლებდაჭყეტილ საჭურველმტვირთველს რაღაცას შეუძახებს, როსინანტს დეზსა ჰკრავს და შუბმომარჯვებული ნახირს დაერევა.

მათ მოლოდინში, ბორჯომიდან მომავალი „კუკუშკა“ გამოჩნდება, ერთიდაიგივე გზით გულგანყალბებული მოაკივლებს, ბურქებსა და ხეებშორის გაილანდება და სოროდან გამომძვრალი მაჩვივით ფიჭვნარში შეთახთახდება.

რამდენი წელიწადია ასე დადის, აჰყვება, ჩაჰყვება ბაკურიანამდე დახვეულ ლიანდაგს.

იმ ზამთარში, მე რომ ახლა მახსენდება, ირგვლივ ყველაფერი თეთრად იყო დამშვიდებულ-გადასპეტაკებული, ეს კი მაინც გაჭვარტლული, ბუზლუნით მილოღავდა, მიქოთქოთებდა, მიჰკიოდა და აფრთხობდა გირჩებზაბლუჯულ, ტოტებზე პირაცმაცუნებულ ვარდისფერ ციყვებს.

რატომ ვარდისფერს? რა ვიცი, მე ასეთები მახსოვან.

ვაგონის სახელურზე დაკონწიალებული, დაბარდნილ ტოტებს თოვლს ვაყრევივინებდი. გზის გასწვრივ ნითელი კუნელის და მაცყლის ბურქები ენაცვლებიდან ერთმანეთს. სწორი, მაღალი ფიჭვები ცისკენ ვარბოდნენ. თოვლის პატარ-პატარა მინდვრებზე პატარძლებივით კოპწიაობდნენ ნაძვები.

ვაგონის კუთხეში მიხროვებული, ბაკურიანში მიმავალი ბიჭებისა და გოგოების შუაში მოქცეულ პატარა, ასაკეც მა-

გადაზე, არაყით გალიცილიცებული ჭიქა ყანყალებდა, გადასაყირავებლად მიცურავდა, მაგრამ ნაქცევას არ ვაცლიდით, გულისგამგმირავი სადღეგრძელოებით, ხახაში ვაპირქვავებდით. პირისდამშუშხავი სითხე, თანდათან წყალდებოდა, მაგრამ ჩვენ გვათამამებდა, მორიდებას გვაკარგვინებდა.

გვერდით გოგო მიჯდა, მხართან მოყუყულს, დაცერა-ვეებული ბერეტიდან ოქროსფერი (იქნებ ვარდისფერი?) თმა ჩამოშლოდა, შეცივებულ ხელებს „ტულუპის“ შიგნით, თბილ უბეში სიცილით მიტენიდა, გაყუჩებული, ჩვენს უთავბოლო სადღეგრძელოებს, თვალმილეული ყურს უგდებდა და ვგრძნობდი, ფერდთან მოხუტებული მისი ცხელი ხელისგული, როგორ დაცურავდა აღმა-დაღმა და სხეულში ურისცხვ ზამბარებად ხტოდა ჟრუანტელი.

როგორ მინდოდა, ბაკურიანისკენ მიმავალი გზა არ დასრულებულიყო, თვინიერ, თავნალუნულ „კუკუშკას“ ცეცხლსა და ქვანახშირს, შავი ნიჩბის კოვზებით რომ აყრიდნენ მუცელში, დაუსრულებლად ევლო და ევლო...

მე და ჩემს „ბაბეტას“ ვაგონის ბოლოდან, ასაკოვანი კაცი გვიყურებდა. კაცს კისერთან წამოენია დრაფის პალტოს საყელო, შუაში ჩატეხილი შლაპა წარბებამდე ჩამოსცურებოდა. ამდენ მგზავრებში, საითაც არ უნდა გამეხედა, როგორც შიშველ ელექტროსადენს, ეგრე გადავანყებოდი ხოლმე მის ნაღვლიან მზერას. კაცის თვალები თითქოს ნიშნს გვიგებდნენ, იმის გამო, რაც მომავალში გველოდა, ჩვენ რომ აზრზე არ ვიყავით და თვითონ რომ იცოდა... რა იცოდა ნეტავ ისეთი? ის რომ მაშინდელი გოგო-ბიჭები უგზო-უკვლოდ დავიფანტებოდით და მონყენილთვალებს, იმედგაცრუებულ წუთისოფლის მგზავრებად ვიქცევოდით?

ახლა, ამ სიცხით მოთენთილ დღესაც ვიგრძენი ცივი თოვლის სუნი, ცხვირის ნესტოებს რომ აფართოებს და გულ-მუცელში ხინვივით მიძვრება...

ვილაცამ კიდევ ერთი ბოთლი გაჩითა, რასაც საერთო ოვაცია მოჰყვა. ჩვენი ალტაცება მხოლოდ შლაპიანმა არ გაიზიარა. წარბშეკრულმა, ფანჯრის ზემოთ, საკიდზე ჩამოკონწიანებული ბადურიდან ვაშლი ამოიღო, გადახლიჩა, ორ ნახევარსფეროდ აქცია და ერთ-ერთი მათგანი პირთან მიიტანა.

ჭიქა ავნიე – შენ გაგიმარჯოს, ბიძაჩემო-მეთქი.

საჩვენებელი თითით ჩამოფხატული შლაპა ასნია, რომ უკეთესად დავენახე. მერე, მქრქალმა, უგე-

მურმა ღიმილმა შეუნაოჭა გამხდარი ყბები და მზერა ჩემს ილიაში „ამოდებულ“ „ბაბეტაზე“ გადაიტანა.

უყურებდა და ვაშლს ილექებოდა.

არაყით გაბრუებული დავიხარე, კაცის გამოსაჯავრებლად, გოგოს ვაკოცე.

თავი რომ ავნიე, ვაშლებიანი ბადურა, საკიდზე აღარ ქანაობდა.

კაცის ნაცვლად ვილაც სხვა აპყუდებოდა ვაგონის კედელს.

ტამბურში გამოვედი.

კაცი არც იქ იყო.

ახალდაძრული მატარებლიდან გადავეკიდე, მაგრამ ჩასულ მგზავრებში, თანდათან უკან რომ რჩებოდნენ, შლაპიანი ვერ დავინახე.

კიდევ რომ დამენახა, ნეტავ რა უნდა მეთქვა?

ხეებს იქით ფეხდაუდგმელი, თოვლიანი ველი, ქედის კენიდან გადმოსხლეტილ სხივებზე ბზინავდა.

მზე იყო გაცრეცილი, მკრთალი და ხელი გავიშვირე რომ მოვფერებოდი.

ჩემს მოსაძებნად გამოსული გოგო მკლავში ჩამეჭიდა, ამოდი, არ გადავარდეო.

სასმელით გონებადაბინდულმა მზე სულ ახლოს, თითის წვერებთან დაკიდული დავინახე, კიდევ უფრო გადავიხარე და, იმავე წამს, ვაგონის კუთხეზე გამოდებულმა ტოტმა ჩემს ლოყაზე მოილო ლანანი.

უპ, როგორ მეწნარა, კბილები ლამის დამემტვრა, ისე დავაჭირე ერთმანეთს, მაგრამ ჯავრი ვისზე მეყარა?

გოგომ შეჰკვივლა, თითქმის ამომიტაცა საფეხურებიდან და გახურებულ სახეზე გრილი ხელისგული დამაფინა.

„კუკუშკა“ ბორძიკ-ბორძიკით მიდიოდა.

ვიდექით ერთმანეთს მიყუდებული და ნაარყალ ტვინში, დახტოდა სულელური ფიქრი, იმ შლაპიანმა, ეს რომ დამემართებოდა, ნამდვილად იცოდა-მეთქი...

კიდევ რა იცოდა? იქნებ ისიც, წლების შემდეგ, მაშინდელი ზამთრის ველის მიდამოებში რომ ვიჯდებოდი, მენვრილმანესავით, მოგონებების მოლავებულ ბოლჩას დაჩერებული?..

არ მახსოვს რამდენ ხანს ვიჯექი გარინდული.

მერე გადავიდა მზე.

მერე მოსალამოვდა – სხივები ხელეურივით გაი-

ჩვენი ფოსტა

ყველა ალტაცებული ვიყავით, როცა გაზეთი „ჩვენი მწერლობა“ და ჟურნალი „ომეგა“ გამოდიოდა. კარგა ხანს ვერც ვინყებდით კითხვას ფერად-ფერადი ილუსტრაციების მშვენიერებაში ჩაფლულნი. ახლა „ომეგა“ აღარ გამოდის, მაგრამ ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ იკისრა თითქმის მისი საკეთებელი. რა არ უქდება მის ფურცლებზე, ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების პროცესს სრულად და მიუკერძოებლად რომ ასახავს: ინფორმაციები ახალ ნიგნებზე, პოეზია, პროზა, ესეისტიკა, უცხოეთის ცხოვრება, ავტობიოგრაფიული ნარკვევები, საუბრები და... ვინ დათვლის. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ჟურნალი ფართო ასპარეზს აძლევს ახალ ხმებს.

ერთი მოკრძალებული თხოვნა მაქვს: უფრო გაბედული გახდეს ლიტერატურული კრიტიკა, რომ სრულყოფილად შევიცნოთ ჩვენი ნაკლიც და წარმატებაც, თანამედროვე გმირი, სტილი, მანერა, ხატოვანების ფორმა, მიმართულება და სხვა. ჟურნალის კითხვისას ხშირად დავხედავ ხოლმე რედაქტორისა და მის თანამებრძოლთა გვარებს. არ ვიცი რატომ, უბრალოდ ვფიქრობ, რა გუნდია შეკრული, ასეთ მშვენიერ, წყობილ ხმას რომ გამოსცემენ-მეთქი.

ღმერთმა გაბედნიეროთ!

ზაურ მჟავანიაძე

ჭედნენ მთების კეხში და ფერდობებზე ყვითელ ღერებად ჩამოგრძელდნენ.

გვირილების ველი ლოტოსის ფურცელივით შეცურდა ბინდში.

ვილაცამ მხრებზე ნაქსოვი მომახურა.

„აგრილდა, – ქალი ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიჭდო, – გასაოცარია, ამდენი გვირილა ერთად არ მინახავს.“

ეს არ არის მაშინდელი გოგო, ის სადღაც, რომელიღაც „გაჩერებაზე“ ჩავიდა.

„ბაბეტა“ რომ თავის გზას მონახავდა, იმ ტარტაროზმა შლაპიანმა, ალბათ ესეც იცოდა.

ნავიდა. ნავიდა. ჰაიდა.

ყველაფერმა წამში გაიელვა, როგორც კუნაპეტ სიბნელეში გასროლილმა, სიგარეტის წამწვმა.

„შენ ზამთარი უნდა ნახო, აქეთ როგორია,“ – გავეპასუხე მოგვიანებით.

შორიანლო, ძაღლის ღავდავს ხის კიბეზე აბრაგუნებულ კაცის ხმა მოჰყვა:

– ვისაც არ უყვარს ცემელი

მ...ნ გამომცემელი

მკერდზე დაბრაგუნებულმა მუშტმა მიძიმე ნერტილი დასვა.

ცემის „პატრიოტი“ აქაური ტრაქტორისტია, სიფხიზლეში ჩუმი, უთქმელი კაცი, მაგრამ ცოტას დაღვეს და, გონებაში რაღაც მოეშლება, აენუნება, როგორც სავალდებულო პატაკს, ყოველ საღამოს მჭახე ბარიტონით დასჭექავს აივნიდან:

„ვისაც არ უყვარს ცემელი“...

დასჭექავს და მიწვება, ლოყისქვეშ ხელამოდებულს, კმაყოფილი სახით მიეძინება.

„აჰა, ხვალ საღამომდე აღარაფერი გვიშავს,“ – ეცინება ქალს და მხართან მეყუჟება.

მე მის ხელისგულს ფერდთან ვიფარებ.

„ღვიძლი ხომ არ განუხებს?“ – მეკითხება შემფოთებული.

„არა, ისე“...

„არ დამიმალო.“

„ისე-მეთქი...“

გვირილა იფურცლება თითებში:

„ვუყვარვარ... არ ვუყვარვარ... ვუყვარვარ...“

ემიგრანტი

ენვეარ შორეულ სანაპიროზე, ათასობით სხვადასხვა ზომის, ფორმის, წარმომავლობის ადამიანის ფეხით დაბზარულ ყვითელ ქვიშაზე. გულდაღმა, უძრავად გართხმული, თითქოს საკუთარ ჩრდილს ვისრუტავ. ქუთუთოებით ვგრძნობ დამცხრალი მზის სითბოს და თანდათან ძლიერდება ოკეანედან მობერილი აღმოსავლეთის ქარი.

მაღე აბორგდება წყლის ვეებერთელა აუზი, გაიღუნება შპიცბერგენის არქიპელაგამდე განოლილი გოლფსტრიმი, თეთრქაფიანი ტალღები ამოცვივიან ნაპირზე, წაშლიან ჩვენს კვალს, გადაღვსავენ ქვიშას და ისევ ოკეანის უბემი ჩაიხვეწებიან.

მერამდენე ათასწლეულია გრძელდება ადამიანისა და ბუნების გულუბრყვილო თამაში, ხან ბავშვური სიციქლით ღიმილის მომგვრელი, ხანაც – საშიში, დამანგრეველი. ყველაფერი უთვალავჯერ განმეორებულა და აღარავის უკვირს, რადგან „არაფერია ცისქვეშ ახალი“...

ახალია მხოლოდ ნაღვლიანი ბგერა, გადახვენილი კაცის ცრემლზე ამოზრდილი ნოქტიურნი – მოცურავს თეთრი, თავახდილი როიალი – ოკეანის გედი და მტეხენ კლავშებს მონყურებული თითები...

თვალს ვახელ. ბზრიალებს გარეშემო დაფანტული კარტი, მაცდურად მიღიმის ქვიშაში წასილული, აგურის მწვანეთვალება დამა.

მეც მყავს ჩემი ჟორჟ სანდი. მკერდზე შემხმარ ქვიშის ნამცვეტებს თითის წვერით ფრთხილად ვაცილებ, როგორც სკულპტორი ახალგამომწვარ ვენერა მილოსელის ასლს, თიხის დამსკდარ ნაჭუჭებს. „აუზის“ თავზე ღრუბლის დაბერილი, თეთრი სპილოები დაბაჯბაჯებენ. ვხედავ მათი მსუბუქი სიმძიმით როგორ იდრიკება ჰაერი...

საჭმლის ნარჩენებს დახვეული თოლიები ერთბაშად წამოფრინდებიან – აღმოსავლეთისაკენ მიჰქრის ფრთოსნების სმენისწამლები ჭყვივლი.

იქნებ რომელიმე მათგანი მტკვრის ხეობაშიც მოხვდეს და ჰაერში გაარინდოს სიონზე დარეკილი ზარის ექომ.

ფედერიკ შოპენივით, მკერდის ზარდახმიდან ამოღებულ გულს თოლიას მეც გავატანდი, მაგრამ ვაი, რომ ჩემს სამშობლოს გული აღარ სჭირდება, კუჭი აღელვებს მხოლოდ...

მოცურავს თეთრი როიალი...

მტეხენ მონყურებული თითები...

აღმოსავლურ კაფეში
„ქარავანი“
კვირას, 10 ივნისს
გაიმართება
შეხვედრა
დავით ქართველიშვილთან
დასაწყისი 15 საათზე
ფურცელადის 10

„კავკასიურ სახლში“
შაბათს, 16 ივნისს
გაიმართება წარდგინება
გიორგი ლობჯანიძის
მიერ თარგმნილი
ყურანის
დასაწყისი 18 საათზე
გალაკტიონის 20

მაია ჯალიაშვილი

ბასეირნება

*

გერმანულენოვანი ლიტერატურის ახალი თარგმანები

ქართველმა მკითხველმა ამ წელს თანამედროვე გერმანულენოვანი მწერლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი თარგმანი მიიღო, მათ შორისაა რობერტ ვალზერის მოთხრობები, კარლ ზელიგის „ხეტიალი რობერტ ვალზერთან ერთად“, გლორია კაიზერის „ანიტა გარბალდი“, ურს ვიდმერის „დედაჩემის საყვარელი“, ვიბკე ბრუნსის „მამაჩემის ქვეყანა“.

ამ წიგნების მთარგმნელია მაია მირიანაშვილი, რომელიც აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობით გამოირჩევა. იგი ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ დაოსტატებული, ამას ადასტურებს ბოლო წლებში გამოქვეყნებული მისი გარჯის არაერთი ნაყოფი. ამგვარად, მაიასა და სხვათა წყალობით დიალოგი ქართულსა და გერმანულენოვან ლიტერატურებს შორის ცოცხალია და მნიშვნელოვანი.

რობერტ ვალზერი XX საუკუნის შვეიცარიელი მწერალია, მსოფლიოში აღიარებული და დაფასებული. ქართველი მკითხველი მის ორ მოთხრობას – „გასეირნება“ და „მარია“ – გაეცნობა და, აგრეთვე, მასთან საუბრებს დოკუმენტურ-მემორული ყაიდის წიგნში „ხეტიალი რობერტ ვალზერთან ერთად“, რომელიც ცნობილმა მწერალმა და მეცენატმა კარლ ზელიგმა დაწერა.

რობერტ ვალზერის ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით ცნობილია რომანები: „და-ძმა ტანერები“, „იაკობ ფონ გუნთენი“ და „თანამემნე“. ამ რომანებით აღფრთოვანებული იყო ფრანც კაფკა, რომელიც დიდი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა მათ შესახებ, როცა კი შემთხვევა მიეცემოდა.

„გასეირნება“ იმ მშვენიერების შესახებაა, რომელსაც ხშირად ვერ ამჩნევს ჩახუთულ ოთახში გამოკეტილი ადამიანი. ეს სიმბოლურად წარმოაჩენს თანამედროვე ტექნოკრატიული საზოგადოების კრიზისს. ბუნება სადღაც დარჩა, როგორც დეკორაცია, ერთგვარი სამშენისი და არა ყოფის განუყოფელი ნაწილი. ვალზერი ამ მოთხრობაში თვითონაც სეირნობს და მკითხველსაც დაასეირნებს ბუნების ულამაზეს ნიაღვრებში. ეს, რა თქმა უნდა, იმავდროულად, საკუთარ სულში მოგზაურობაცაა, ღმერთთან მიახლოების ნადილი, მაგრამ უმთავრესია, რომ სწორედ ბუნებაში გაღვიძრის კაცში ღვთაებრივი მშვენიერებისა და სიმშვიდის განცდა, რაც სანინდარია ამაღლებულობისა.

მწერალი ამჩნევს ცხოვრების უმცირეს დეტალებს და ცდილობს ფერწერულად ამოხატოს არა მხოლოდ თითო განთიადები და მენამული დაისები, არამედ ადამიანთა მოულოდნელი შეხვედრები და ტკივილიანი განშორებანი, უეცრად გაჩენილი და გამქრალი სიყვარული, მოისმინოს უჩინარი ხმები და მკითხველი დაარწმუნოს უხილავად არსებული ჯადოსნური სამყაროს რეალობაში.

ვალზერის აზრით, მწერლებმა, რომელთაც, მართლაც, ხელენიფებთ წერა, იციან, რომ დროდადრო უნდა შეჩერდნენ, გარემოს მიაყურადონ, სიმშვიდე მოიპოვონ, ხანდახან კალამსაც ცოტა ხანს გაუშვან ხელი და უკვდავი ბუნებით დატკბნენ. თვითონ ვალზერს გასეირნება საოცარი შემოქმედებითი ენერგიით ავსებდა. ეს ხეტიალი მის სულში აღბეჭდავდა მრავალფეროვან მოვლენებს, ამჩნევდა ირგვლივ მოფუთფუთე სანახაობებს, ცოცხალ ლექსებს, სასწაულებს, ბუნებრივ სილამაზეებს, რომლებიც მის თვალწინ მომხიბლავად და შემაგულიანებლად იშლებოდნენ.

ამ დროს ის ყურადღებით აკვირდებოდა სულ მცირე, ერთი შეხედვით, უსიცოცხლო საგნებსაც, მისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო: ძაღლი, ჭიანჭველა, პეპელა, ბელურა, ხე, ლობი, ლოკოკინა, თავგი, ღრუბელი, მთა, ფოთოლი თუ „საიდანდაც ჩამოვარდნილი საცოდავად დაფლეთილი, დაწერილი ფურცელიც კი“. მწერლის აზრით, ყველაფერი განსაკუთრებულად უნდა შეიგრძნო, უანგარო, ლალი, ყურადღებიანი მზერა აჩუქო, თვალი შეავლო. ნახავ, რომ ისინიც მზად არიან, შენი ჩივილი, გულისტკივილი, გაჭირვება გაიზიარონ.

ვალზერისთვის გასეირნება ბუნებაში ერთგვარი თავდავიწყება იყო, სამყაროსთან შერწყმის, მისგან განუყოფლობის განცდა ეუფლებოდა. ყველაფერი ბედნიერებას ანიჭებდა. სულიერება, მადლიერება, ნდობა, ერთგულება აღავსებდა და აღამაღლებდა. ბუნების მრავალფეროვნება აკეთილმოხილებდა, ამდიდრებდა, ახალისებდა და ერთგვარ გასხვივოსნებას იწვევდა. ეს ექსტაზს ემსგავსებოდა: „სოფელი, ხალხი, ხმები თუ ფერები, სახეები თუ მოჩვენებები, ღრუბლები თუ მზის ნათება ისე ტრიალებენ ჩემ ირგვლივ, როგორც ჩრდილები“.

ვალზერი ოცნებობდა, ტყეში მშვიდი, პატარა საფლავი ჰქონოდა, რათა ეგებ მაშინაც მოესმინა ჩიტების ჭიკჭიკი და ტყის შრიალი.

„მარიაში“ საუბარია ბედნიერების ძიებაზე. მწერლის აზრით, ადამიანთა სწრაფვა ბედნიერებისაკენ ბევრად უფრო მშვენიერია, უფრო მიმზიდველი, მნიშვნელოვანი და სასურველი, ვიდრე თვით ბედნიერება. მოთხრობის გმირი მწერალია და ფიქრობს, რომ რაც სათუთი და ნაზია, იმაზე დუმილი აჯობებს. ერთი გასეირნებისას იგი შეხვედბა იდუმალებით მოცულ ქალს, მარიას, რომელიც მისთვის მარადქალურობის სიმბოლოდ იქცევა. ამ შეხვედრას ერთგვარი რომანტიკულ-მისტიკური ელფერი აქვს: „რალაც გაურკვე-



მაია მირიანაშვილი

ველმა ძალამ, დიდებულებამ თუ მშვენიერებამ მაიძულა, ჩუმი, მშვიდი ხმით უცხო ქალისთვის მეთქვა: მე შენ მიყვარხარ. წამიყვანე, საითაც გინდა, მთელი ჩემი სული და გული შენთვის მომიწვია“. ეს პაემნები გმირს მთლიანად უცვლის სამყაროს და ჯადოსნურ წუთებს განაცდევინებს. ეს არის შეხვედრა მისივე ფიქრებით მოქსოვილ ქალთან. ამ შემთხვევაში იგი პიგმალიონს ედარება, საკუთარი ხელით გამოქანდაკებული ქალი რომ შეუყვარდა.

კარლ ზელიგი რობერტ ვალზერს თითქმის 20 წლის განმავლობაში ხვდებოდა და მასთან ერთად სეირნობდა, შემდეგ კი შთაბეჭდილებებს დღიურში იწერდა. საბოლოოდ შესანიშნავი წიგნი გამოუვიდა, „გოეთეს საუბრებს ეკერმანთან“ რომ ჩამოჰგავს. ზელიგი ჩასწვდა ვალზერის სულს და მკითხველს დაუხატა მწერალი უშუალო, ჩვეულებრივ ვითარებებში.

ვალზერმა სიცოცხლის ბოლო წლები სულიერად დაავადებულთა გამაჯანსაღებელ სანატორიუმში გაატარა. ზელიგი მისი მეურვე გახლდათ და დროდადრო ხვდებოდა, ორი მონათესავე სული ერთმანეთს სხვადასხვა თემაზე ესაუბრებოდა, მათ შორის რა თქმა უნდა, უპირველესად, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

აი, ვალზერის რამდენიმე თვალსაზრისი ამ საუბრებიდან: „ხელოვანს ტალანტი არას არგებს, თუ სიყვარული აკლია“, „ხელოვანმა თავისი მკითხველი უნდა ალაფრთოვანოს, ან დატანჯოს, აატიროს, ან გააცინოს“, „ადამიანს სხვების მოტყუება შეუძლია, საკუთარ თავს კი ბოლომდე ვერ მოატყუებ“, „წიგნების წერაც ისეთივე სამუშაოა, როგორც თესვა, მკა, ხვნა...“, „ნაღველი და დარდი საუკეთესო აღმზრდელები არიან“, „აუტანელია მწერალი, რომელსაც ჰგონია, რომ მთელი სამყაროს დამოძღვრა, ჭკუის სწავლება სწორედ მას დაავალეს“, „უფრო მნიშვნელოვანია, ნაკლები ილაპარაკონ ღმერთზე და მეტი აკეთონ ისე, როგორც ღმერთს სწადია“.

ერთი სეირნობისას ვალზერმა ზელიგს უთხრა: „ხეებს რა კარგად აქვთ საქმე, ყოველ წელს ისხამენ ნაყოფს“. ეს კი თომას მანზე საუბარს მოაყოლა, მიიჩნევდა, რომ მისი „იოსები და ძმანი მისნი“ მშრალი და გამოფიტული რომანი იყო, საერთოდაც: მის გვიანდელ ნაწერებში ოთახის ჰაერი შეიგრძნობოდა, ასე იცის, როდესაც მწერალი ბუღალტრით მხოლოდ თავის სანერ მაგიდას უზის და წერსო.

ვალზერი ოცნებობდა, რომ შეძლებისდაგვარად შეუმჩნევლად გამეჭრალიყო. იგი 1956 წელს, შობა დღეს, შებინდებისას, დათოვლილ მინდორზე მკვდარი იპოვეს. თავისი წიგნებით კი ცხოვრებაში ლამაზი კვალი დატოვა. ასევე ლამაზად ამთავრებს წიგნს ზელიგი: „მკვდარი, რომელიც იქ, ფერდობზე, ზამთრის ფაფუკი ფიფქების მხიარულ ცეკვაში იწვა, პოეტი აღმოჩნდა. მწერალი, რომელიც ბავშვით მშვიდი სამყაროსკენ, სისუფთავისკენ, სიყვარულისკენ მიილტვოდა“.

ურს ვიდმერი თანამედროვე შვეიცარიელი მწერალია, მისი „დედაჩემის საყვარელი“ ავტობიოგრაფიული რომანია და არაერთი ლიტერატურული პრიზის მფლობელი. როგორც თვითონ მწერალი აღნიშნავს, ეს არის ამბავი, უფრო რეკვიემი ერთი ტანჯულისა. მწერალი ფიქრობდა, რომ ამ ნაწარმოებში პატივი მიაგო ერთ განამებულ ადამიანს, რომელიც მისი დედაც იყო.

ნაწარმოებში თვალა გადავხედილი, თუ როგორ უერთგულა ქალმა სიყვარულს, როგორ აქცია ის იდეალად და რანაირად შესწირა მთელი სიცოცხლე ამ ოცნებას.

რომანს კონტექსტად მთელი მეოცე საუკუნე აქვს, ასე რომ, მასში ამ ეპოქის მნიშვნელოვანი მოვლენებიც ირეკლება, მაგრამ მთავარი მაინც ადამიანის სულია, სილამაზისა და მუსიკის სიყვარულით აღბეჭდილი, დედის საყვარელი ხომ ცნობილი მუსიკოსია. დედამ შეიღს თითქოს გენებით გადასცა გაღმერთება და თავყანისცემა მუსიკის ჯადოქრის მიმართ. ასე რომ, როცა დედის სიკვდილის შემდეგ შურისძიებით აღვსილმა შეიღმა ცნობილი მუსიკოსი ნახა და გულგრილობისთვის მისი დასჯა გადაწყვიტა, წინასწარი ჩანაფიქრი მოულოდნელად გაუქრა, ჩვენ კი შემდეგი შეხვედრის მომსწრე გავხდით.

ახალგაზრდა ვაჟი და ცნობილი დირიჟორი ერთმანეთს მუზეუმში გადაეყრებიან. „დემონი და კაცი“, ასე აღიქვამს გმირი მუსიკოსს. როცა ამ „დემონს“, სასტიკ მტანჯველს, დედის სიკვდილს შეატყობინებს, ის გულგრილად შეხვდება ამ ამბავს და ამ დროს მწერალი ასეთ, ფსიქოლოგიურად ზუსტ დეტალს ხატავს: „ჩქარი ნაბიჯით მისკენ გავემართე, ჩემი ნაბიჯები თოფის გასროლასავით ისმოდა. მიწოდდა, მისთვის სილა გამეწნა, ფეხქვეშ გამედო, ან ხმამალა დამეყვრა მაინც, მაგრამ ნაცვლად ამისა, როცა მივუახლოვდი, ვუთხარი: მე თქვენი ყველა კონცერტი მოსმენილი მაქვს, ყველა: ბარტოკი თუ მაშინდელი იდომენეო. ლიბერმანი! ჰარტმანი! ციმერმანი! არაჩვეულებრივია! – ხმამ, რომელიც ისევე ჟღერდა, როგორც დედაჩემისა, უცბად მილაღატა, მარჯვენა ხელი და ფეხი მიკანკალებდა. ის იცინოდა, ღრმად სუნთქავდა“.

ფიქრობ, ეს ეპიზოდი შესანიშნავად წარმოაჩენს ურს ვიდმერის ოსტატობას. ის არა მხოლოდ კარგად იცნობს ადამიანის სულს, არამედ შეუძლია უფაქიზესი ნიუანსების ამოწერა, სადაც და დამაჯერებლად. ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი მუსიკაა, რომელსაც ძალუძს ადამიანთა სულების დაპყრობა. მწერლის დედის სული სამუდამო აჩრდილად აედევნა ედვინს, რომლის პროტოტიპიც ცნობილი დირიჟორი პაულ ზახერი იყო.

ილია ჭავჭავაძეს სამუშაო კაბინეტში სხვა სურათებთან ერთად მდიდრულ ჩარჩოებში ჩასმული სამი პორტრეტი ეკიდა: შოთა რუსთაველის, მეფე ერეკლე მეორისა და ჯუზეპე გარიბალდისა. პირველი ქართული პოეზიის მშვენივალდ მიაჩნდა, მეორესთან საქართველოს ტრაგიკულ ბედს აკავშირებდა, მესამე კი მისი საყვარელი და გამორჩეული გმირი იყო, იტალიის ეროვნული გაერთიანებისთვის თავდადებული მებრძოლი. ის მასში აღტაცებასა და პატივისცემას იწვევდა. იტალიიდან საქართველოშიც მძლავრად გაისმოდა ხმები „სიმართლისა“, ბოროტებას რომ თრგუნავდა.

ილიას მეგობართა გადმოცემით, სულ ახალგაზრდა ჭავჭავაძეს მოხალისედაც კი უნდოდა თურმე ნასვლა გარიბალდის რაზმში. ყმანვილური ოცნება ერის თავისუფლებაზე ფიქრს გადაეჯაჭვა, მალე ილია თვითონ გახდა საქართველოში ფართოდ გაშლილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური. „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“ – ეს სიტყვები ქართველთა გამომაფხიზლებლად იქცა და ერმა დაიწყო ფიქრი და მოქმედება რუსეთის იმპერიისგან თავდასაღწევად. უძველესი

კულტურის ქართველი ერი, ღირსებააყრილი და დაბეჩავე-ბული, ილიამ ფეხზე წამოაყენა და თავისი მონამებრივი მსხვერპლით გამოისყიდა. ჯუზეპე გარიბალდი მისთვის იქცა თავისუფლებისათვის მებრძოლის იდეალად და 1860 წელს სწორედ მას მიუძღვნა ლექსი „მესმის, მესმის“. ამ დროს გარიბალდი ისევ აქტიურად იბრძოდა მოხალისე რაზმებთან ერთად იტალიის გაერთიანებისათვის.

იტალიაში ამტყდარი თავისუფლების ბრძოლის ყიჟინა პოეტს იმედს აღუგზნებდა და ანატრებიინებდა: „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“.

ილიას სიყვარული ჯუზეპე გარიბალდის მიმართ გაგვახსენა თანამედროვე ავსტრიელი მწერლის გლორია კაიზერის რომანმა „ანიტა გარიბალდი“, რომელშიც წარმოჩენილია გარიბალდის ხიფათიანი ცხოვრების თანამგზავრის, მისი მეუღლისა და თანამებრძოლის, ახალგაზრდა ანიტა გარიბალდის ბედი. მწერალს მის შესახებ ძალიან მცირე დოკუმენტური მასალა გააჩნდა, თუმცა, როგორც თვითონვე აღნიშნავს ბოლოსიტყვაობაში: „დოკუმენტების სიმცირე, ერთი მხრივ აძნელებდა მისი ცხოვრების ზუსტ ასახვას. მეორე მხრივ, კი მიმსუბუქებდა კიდევ. და უფრო მეტი ფანტაზიისა და თავისუფლების საშუალებას მძლევდა“.

ანიტა თავის ლეგენდარულ მეუღლესთან ერთად იბრძოდა იტალიის გაერთიანებისათვის. უბრალო ბრაზილიელი გოგონა თავისუფლების იდეამ ისე გაიტაცა, რომ თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ამ ბრძოლას შესწირა. თავგანწირვით ჟანა დარკსა და სხვა იმ ქალებს მიემსგავსა, დელაკრუას ნახატებზე თავისუფლების დროშას რომ აფრიალებენ. ეს დროშა მათ დაუმორჩილებლობასა და თავისუფლებისაკენ სწრაფვას გამოხატავს. საქართველოს ისტორიაში მრავალ იყვნენ ასეთი ქალები, მათ შორის, უპირველესად მაია წყნეთელისა და თამარ ვაშლიკაძის სახელები წამოტივტივდება. ამიტომ ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ის ვნებანი, რასაც განიცდიდა ახალგაზრდა ანიტა გარიბალდი მოულოდნელად აღმოჩენილი ბრძოლის შუაგულში, სისხლისა და ცხედრების გარემოში, ცოტა ხნით ადრე მონასტრის მყუდრო გარემოდან ცხოვრების ქარიშხალში მოხვედრილი.

გლორია კაიზერმა რომანის შესაქმნელად მოიპოვა არა მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორებიცაა: ანიტას დაბადების მონშობა, ნათლობის რეგისტრაცია, ქორწინების ცნობა, – მოიძია თვით ანიტას ხელით დაწერილი რამდენიმე წერილიც, რომლებიც ლაგუნაში ძვირფასი ნიმუშებით ინახება. ესაა მარშრუტი ლაგუნადან სამხრეთით, მონტევიდეომდე. მწერლის წარმოსახვას ძალას მატებდა რამდენიმე მეგორიალური დაფა და ის ადგილებიც, სადაც ბრძოლები გაიმართა. თითქმის ყველა მეგორიალურ დაფაზე ჯუზეპე გარიბალდთან ერთად ეწერა ანიტა გარიბალდის სახელიც.

ლუიჯი როზეტი გაზეთ „El Nacional“-ში ანიტას შესახებ ასე წერდა: ანიტა იყო თანამებრძოლი და პარტნიორი გარიბალდისა. ვაქარიასთან გარიბალდის დამარცხების შემდეგ როზეტიმ გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: „Anita – Heroína de Amor“ (ანიტა – სიყვარულის გმირი).

ამ მშრალი დოკუმენტების მიღმა მწერალმა მშფოთვარე სიცოცხლე დაინახა. მან გააცოცხლა ანიტა, როგორც უბრალო, მაგრამ ძლიერი ნებისყოფისა და სიყვარულის-

თვის თავგამეტებული ქალი, მდიდარი სულიერი სამყარო-თი, გატაცებით რომ დააჭენებდა ცხენს, უნაზესი გრძნობებით გამსჭვალული დედაც რომ იყო, ვნებასა და ჟინს აყოლილი ჭირვეული ქალიცა და მეოცნებეც. მწერალი რომანში წარმოაჩენს, როგორ თამამად გადიოდა ანიტა ზღვაში, დაღლილი ისვენებდა კვიპაროსების ჩრდილში, მათი უცხო სურნელით თვრებოდა და ფიქრობდა თავის უცნაურ ბედზე, დაეხეტებოდა კლდეებში, მთებზე, ეკალ-ბარდებში. გარეგნული უდარდებლობისა და მხიარულების მიღმა იმალებოდა მისი მარტოსულობა და სულიერი ობლობა, სწორედ ამიტომაც ოცნებობდა სულიერ მეგობარზე, წარმოიდგენდა მას, როგორც იდეალურ თანამოაზრეს მფარველი ანგელოზივით, რომელიც ყოველთვის გაუგებდა, გაიზიარებდა მის ჭირსა და ღზინს.

მწერალი ანიტას ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც ხატავს, იმგვარ ეპიზოდებს იგონებს მისი ბავშვობიდან, რომლებიც ნათლად მეტყველებენ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ანიტას ბუნებაში შეურიგებლობის, დაუმორჩილებლობის თვისებები. ანიტა მზად იყო პროტესტისთვის და არ უფრთხოდა არანაირ ძალმომრეობას. მას ბევრი რამ აკლდა ბავშვობაში, უპირველესად კი მშობელთა და ახლობელთა სიყვარული. თვითონ კი უზღვავე სიყვარული ჰქონდა და მისი გაცემის შესაძლებლობა სწორედ მაშინ მიეცა, როდესაც ჯუზეპე გარიბალდის რაზმელებთან მოხვდა. სრულიად ახალგაზრდა ანიტა ცხოვრებას პირისპირ შეეჯახა, გარიბალდისთან ერთად, მისი ხიფათიანი გზების კვალდაკვალ მჭლავნდებოდა მისი ბუნების აქამდე დაფარული თვისებები. იგი იყო ამაყი და თავდაჯერებული, მაგრამ, ამასთანავე, ნაზი და მოსიყვარულე. ბრაზილიის პატარა სოფელში აღზრდილი ანიტა თავის ხასიათში ინარჩუნებდა გულწრფელობასა და გულუბრყვილობას, ერთგვარ ინფანტილურობას, რაც მას ადამიანებთან დაახლოებაში ეხმარებოდა.

წარსულს რომ ვერსად გაექცევი, ეს კარგად იცის თანამედროვე გერმანელმა მწერალმა ქალმა ვიტკე ბრუნსმა, რომელმაც დოკუმენტურ მასალაზე, ახლობელთა პირად წერილებზე ააგო თავისი უჩვეულო მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „მამაჩემის ქვეყანა“. თაობათა შორის ურთიერთობა რთული და მრავალმნიშვნელოვანი საკითხია ნებისმიერ ეპოქაში. მამები და შვილები ერთმანეთთან სულიერ-ხორციელი დაფებით არიან დაკავშირებულნი, რაც ნიშნავს, რომ თაობებს გადაეცემა ცოდვა-მადლი. XX საუკუნეში გერმანიის ერთი გამორჩეული დალი დაატყო ნაციზმის სახით. თომას მანი წერდა: „გერმანული უბედურება – ეს ხომ კაცობრიობის ტრაგედიის პარადიგმაა საერთოდ. შენდობა რომელიც აგრერივად სჭირდება გერმანიას, ერთნაირად გვჭირდება ყველას“.

ვიტკე ბრუნსი რომანში სწორედ იმ ცოდვა-ბრალს წარმოაჩენს, რომელიც გერმანიამ საკუთარ თავსა თუ სხვებს დაატეხა. იმ ადამიანთა სულებს ხატავს, რომელნიც იმ დროში ცხოვრობდნენ და მონაწილეობდნენ იმ ამბებში, რომელიც მათ გარშემო ტრიალებდა, ცეცხლისა და მახვილის თანხლებით. ნაციზმმა კაცობრიობას დიდი ტკივილი და ზარალი მიაყენა, განსაკუთრებით კი მძიმე იყო ჩვეულებრივ გერმანელთა საოცარი ფერისცვალება. მეოჯახე, მეოცნებე, გულკეთილ, ჩვეულებრივ ადამიანთა გადაქცევა სასტიკ, უხეშ, შეუბრალებელ, დაუნდობელ ნაცისტე-

ბად. რომანში სწორედ ეს საგულისხმო, რთული ფსიქოლოგიური ნიუანსებია წარმორჩენილი.

მწერალი აცოცხლებს დედისა და მამის მხრიდან ორი ღირსეული საგვარეულოს ისტორიას, ოღონდ არაფერს არ იგონებს, ბებია-ბაბუა, დედა-მამისა და ნათესავთა მიმონერაზე დაყრდნობით ხატავს ეპოქის სულს. ნაწარმოებს საინტერესო ფაბულა აქვს. აქ წარმოჩნდება არა მხოლოდ ერთი ოჯახის თავგადასავალი, არამედ სხვადასხვა ადამიანთა ტრაგიკული ბედიც. მწერალს, რა თქმა უნდა, ანუხებებს ერთი ზნეობრივი კითხვა: „ვინ ვარ მე, ან რა უფლება მაქვს დღეს განვსაჯო, რა მოხდა მაშინ“.

სახარებისეულ რჩევას „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“, მაინც გადასცალავს სურვილი, თუმცა არა განკითხვისა და განსჯისა, არამედ სიმართლის თქმისა, მხილებისა. მწერალმა კარგად იცის, რომ ყველა დამნაშავემ თავისი ზღო, მათ შორის, მისმა ახლობლებმაც. მამ საჭიროა კი გახსენება იმ მსხვერპლისა, რომელიც თვითონვე იყო ჯალათიც. მწერალი ამის აუცილებლობას გრძნობს და მკითხველსაც არწმუნებს.

თვითმხილველთა ნაამბობი სულ სხვა დამაჯერებლობითაა აღბეჭდილი, თანაც, ეს ყოველივე განზოგადდება და რომანში წარმოჩნდება ის ვითარებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის სულში ხან ანგელოზისა და ხანაც დემონის გაღვიძებას. რომანში გაცოცხლებულია, ერთი მხრივ, იდილიური, რომანტიკული ყოფა გერმანული ოჯახისა, თავისი მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, მეორე მხრივ, ბარბაროსული სულისკვეთება, იმავე ოჯახში გაჩენილი და თვითგანადგურებისა თუ სხვათა მოსაპიბისაკენ მიმართული.

მწერლის აზრით, ყველაფერი ბევრად ადრე დაიწყო, პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა „ომობანა“ გერმანული სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილად იქცა. რომანში საოჯახო მიმონერის (მამა-შვილის, ცოლ-ქმრის) გახსენებით გაცოცხლებულია ამ ომის სისხლიანი დღეები, რომელმაც მილიონობით ადამიანი შეინირა და მილიონობით კი სულიერ-ხორციულად დაასახიჩრა. აი, რას წერს მწერლის პაპა პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ერთ წერილში: „რას ნიშნავს ეს უსაზღვრო ამპარტავნობა, რასაც გერმანია და გერმანელები თავიანთი შვილების სიცოცხლეზე მაღლა აყენებენ?“

მწერლისთვის რომანის შექმნის ბიძგად იქცა ფიქრი საკუთარი მამის დამნაშავეობაზე. მამამისი, ჰანს გეორგი, კეთილშობილ ოჯახში აღზრდილი, დახვეწილი ადამიანი გახლდათ, რა თქმა უნდა, გერმანიის, როგორც სამშობლოს, სიყვარულით გამოჩენილი. მას ჰორაციუსისთვის სძულდა საშინელი მასა და ცდილობდა მორიდებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. რომანში შესანიშნავად იხატება ჰიტლერისა და მისი გარემოცვის სახეები. ჰანს გეორგი თავდაპირველად არც ეკარებოდა ნაცისტებს, ვერც კი წარმოედგინა ებრაელებთან რაიმეგვარი უთანხმოება. მოვლენები კი გაუთვალისწინებელი თანმიმდევრობითა და სისწრაფით წარიმართა. 1933 წლის 30 იანვარს ჰიტლერი რაიხის კანცლერი გახდა და კანცელარიაში შესვლისთანავე განაცხადა: „ვერანაირი ძალა აქედან ცოცხალს ვეღარ გამიყვანსო!“ ორშაბათი დღე იყო. კლამროთების დიდ ოჯახში ამას არანაირი გამოძახილი არ ჰქონია. ჰაერში კი საშიში დაძაბულობა ტრია-

ლებდა. მალე ბერლინის სპორტის სასახლეში ჰიტლერი ხალხის წინაშე გამოვიდა: „გერმანელი ხალხო, მოგვეცით 4 წელი დრო, მერე განსაჯეთ და განგვიკითხეთ.“ მან სიტყვა ასე დაასრულა: „ის მილიონი ადამიანი, რომელთაც ჩვენ დღეს ვძულვართ, მალე მოვლენ და მოგვესალმებიან და გერმანიაში ჩვენ მიერ შეჭირვებით მოპოვებულ, ნაბრძოლ, სიმწრით მოხვეჭილ ახალი გერმანული რაიხის სიძლიერეს, დიდებასა და პატივს, უძლეველობას გაიზიარებენ, ამინ!“

ამ დროს მწერლის დედას, აღშფოთებულ გერტრუდას, რომელმაც რადიოთი მოისმინა, ვეღარაფერი ამშვიდებდა. ვინმეს საარჩევნო მიზნებისათვის სამშობლო ასე ბოროტად გამოეყენებინა, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარაო, – დაასკვნის მწერალი.

რომანში რეალისტური მანერით, შესანიშნავად იხატება XX საუკუნის 30-იანი წლების გერმანიის ცხოვრება. პოლიტიკურ მონინალმდეგეებს იჭერენ, ებრაელებს არბევენ, მწერლები სამშობლოდან გარბიან. მიუხედავად იმისა, რომ ჰანს გეორგს არანაირი სიმპათია არ გააჩნია ჰიტლერის პოლიტიკის მიმართ, იგი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს და საბედისწერო გადაწყვეტილებას იღებს, შედის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში. ასე რომ, მწერალი არ დავერ ადანაშაულებს იმ ხალხს, რომელიც ჰიტლერს ასე უკანმოუხედავად მიჰყვა. გამოგნებელი კი ის იყო, რომ სასულიერო პირთა უმეტესობამაც ახალ მთავრობას დაუჭირა მხარი. მათ შორის ხომ ბევრი იყო გონიერიც და წინდახედულიც, როგორც მამამისი.

ამ რომანის ღირსება სწორედ ისაა, რომ მწერალი კი არ აფასებს, არამედ ნათლად და ზუსტად გვიჩვენებს იმ დროის მოვლენებს, მონანილეთა განცდილსა და გადატანილს და, ამგვარად, მკითხველს უბიძგებს საკუთარი დასკვნების გამოტანისაკენ.

გონიერი ხალხი შეცდომას გვიან მიხვდა, 1943 წელს, და გამოსწორებასაც შეეცადა, შეთქმულება დაგეგმა ჰიტლერის წინააღმდეგ, მათ შორის იყო მწერლის მამაც, მაგრამ სინანული დაგვიანებული და უსუსური აღმოჩნდა. „მეამბოხეები“ სიკვდილით დასაჯეს.

მწერალი ცდილობს ჩანწედეს, როგორ მოახერხა ჰიტლერმა მთელი ერის გამთლიანება თავისი იდეის გარშემო და დასკვნის, რომ ეს იყო დამარცხებულის კომპლექსის გამოვლენა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელთა ღირსება შეილახა, ვერსალში აბსურდული ხელშეკრულება დაიდო, საფრანგეთმა რურის მიდამოები დაიკავა, საშინელი ინფლაცია დაიწყო, ყველანაირი ნორმა დაირღვა, გახშირდა მკვლევობები და ტერორისტული აქტები, რესპუბლიკისა და პარლამენტარული დემოკრატიის ნდობა დაიმსხვრა. ახლა კი დაბნეული ხალხი ერთი კაცის გარშემო შემოიკრიბა, რომელსაც მსოფლიოსთვის თავისი ჭეშმარიტი ძალა უნდა დაენახებინა. ცოდვაში ღრმად ჩათრეულმა და ნაცისტური ბანგისგან გამოფხიზლებულმა ჰანსმაც დაიწყო გამოსავლის ძიება: „რალაც უნდა ვიღონო!“ – წერდა ყველა წერილში, მაგრამ თან ეშმაკის მსახურებას განაგრძობდა.

1934 წლის 9 ნოემბერს, „რაიხის გაკრისტალების ღამეს“, ებრაელები საშინლად დაარბიეს. ამან ბებუის დღიურში ამგვარი ასახვა ჰპოვა: „ჩვენ ჰუნებზე უარესები ვართ, სირცხვილია, დღეს გერმანელი გერქვას“. თუმცა, ამ ჩანან-

რებში არ იგრძნობოდა თანაღმობა და გამოსარჩლება ებრაელების მიმართ, არამედ მხოლოდ ამპარტავნობა თავმოყვარეობის შელახვის გამო. ჰიტლერი კი სწორედ ამ უდანაშაულო დამნაშავეებზე დაყრდნობით ახორციელებდა თავის პოლიტიკას: „მემკვიდრეობით დაავადებულებს“, „ცხოვრებისათვის უუნაროებს“ საგანგებოდ გამოცემული ბრძანებებით ანადგურებდა. 1941 წლის ზაფხულამდე გერ-

მანიაში 70 000 სულიერად დაავადებული, ინვალიდი თუ დასახიჩრებული ამოწყვიტეს.

მამათა ცოდვები კი შვილებს დაანვთ კისერზე და რეალურ ცხოვრებაში მოუხდათ გამოსყიდვა. მწერალს სურს, რომ რაც მოხდა, აღარასოდეს განმეორდეს. ეს რომანიც სინანულის, შენდობისა და ამ გზით მოპოვებული სიყვარულის დასტურია.

საბა სულხანიშვილი

გარღვევა დროსთან დასაბრუნებლად

სათაური გივი მარგველაშვილის მინიატურისა: „განდევნა დროიდან, როგორც ეს წმინდა წერილშია აღწერილი“ – უკვე მიგვანიშნებს წუთისოფლისა და ადამიანური ყოფის ტრაგიზმს, მარადისობის უეცარ შეცვლას დაშლილ-დანაკუნებულ წამებად.

ეს ერთ-ერთი ნიმუშია მის მინიატურათა ბიბლიური რკალიდან, იქნებ არა ისეთ შედეგურული, როგორიცაა „ისაკის გაქცევა ბეთლემში“ თუ „ნიგნის გმირების დროული გადასახლება“, მაგრამ თავისებურად საგულისხმო და დამაფიქრელი.

სამოთხიდან ადამიანის გამოდევნას კი თავისთავად უნდა მოჰყოლოდა მისი გამოდევნა დროიდანაც.

გივი მარგველაშვილი ამ ტრაგიზმს მისთვის ჩვეული სტილურ-ენობრივი მანერით ასე გამოთქვამს: ადამიანი ღმერთის სიახლოვეს მიმდინარე, ხანგრძლივი რეალური ექსისტენციიდან გადმოექანა წიგნის მოქმედი გმირის ისტორიულ, ხანმოკლე, თემატურ ყოფიერებაში.

ამ მინიატურაშიც მოხდენილად შერწყმია ერთმანეთს ირონია და დრამატიზმი, სიღრმე და სიმსუბუქე, სიზუსტე და ლიაობა... და მხოლოდ ამ მხატვრული სიმაღლიდან უკვირდება მწერალი ბიბლიურ ეპოქებს, სიცოცხლის ხანგრძლივობის კვალობაზე დალაგებულს.

ადამიდან მოკიდებული ნოემდე ცხოვრების ხანგრძლივობა დაახლოებით 900 წელს აღწევს („ასეთ გრძელ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ვერ მოიკიდებს ფეხს რაიმე ბედისწერული. იქ ცოცხალი მსუბუქია, რადგან სიკვდილის შესახებ ზუსტად ჯერ კიდევ არავინ არაფერი იცის“).

სემიდან აბრაამამდე ცხოვრების ხანა უკვე, საშუალოდ, 200 წლამდე მცირდება („აქ მოკვდავთ უკვე აქვთ გათვალისწინებული თავიანთი სიკვდილი და ჩნდებიან ბედისწერის პირველი გამოსაცდელები“).

შემდეგ კი, სულ უფრო ქვემოთ ხდება ადამიანის სიკვდილის ასაკი 100 წელი და ამაზე ნაკლები, თუმც ეს ჯერ კიდევ ის წლებია, მახეებისა და გაჭირვების გარეშე რომ შეიძლება იცხოვრონ.

და ვითომ სასხვათაშორისოდ მოჰყვება ფრაზა:

– ამის შემდეგ ჩნდებიან მოსე და იესო.

ეს ფრაზაა მინიატურის ბირთვი. რამდენიმე წინადადებაში ჩანურული ეპოქები ამ ფრაზამ საბოლოოდ უნდა გაასხივოსნოს და დრამატული განცდის თანდათანობით გამძაფრებაში ის რწმენა შეურიოს ძალდაუტანებლად, ჩვენს ჟამს რომ აძლებინებს და დროში დაბრუნების იმედსაც გვინარჩუნებს, ანუ სამოთხეში დაბრუნების.

დაკარგული სამოთხე მარტოსულად ვერ დარჩებოდა სამყაროს რუკაზე და თვითონვე მოითხოვდა საკუთარი სახისა და დანიშნულების ხელახალ აღდგენას.

ჯონ მილტონსაც ზეციური ხმა უკარნახებდა მაინცდამაინც ამ სახელწოდების პოემათა შექმნას:

„დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“.

ამ მარადიულ სატკივარსა და სწრაფვას გივი მარგველაშვილი სიცოცხლის ხანგრძლივობის ტაბულად დააღებდა და რიცხვების თამაშით ყველაზე ხელშესახებად, ყველაზე კანთიელად წარმოსახავდა ეპოქათა აჩქარებულ რიტმს, სიკვდილთან მიახლოების სისწრაფეს.

რაოდენ დაუჯერებელი და აღმაფრთოვანებელია ამ-ჟამინდელი მკითხველისათვის დიდხანს და უბედისწეროდ მაცხოვრებელთა ასაკი:

ადამი წუთისოფელს განემორება 930 წლისა

სეთი 912 წლის

კაინანი 910 წლის

ენოში 905 წლის

მაჰალალელი 895 წლის

იარედი 962 წლის

მეთუსალა 969 წლის

ნოე 950 წლისა

ნეტა მაჰალალელს რა დაემართა ამისთანა, 900-ს რომ ვერ უნია და ზედ მიჯნაზე ჩაუტყდა საფეხური?

ჩატყდომა მერე თქვით, ბედისწერის პირველ გამოცდელთა გაჩენისას:

სემი 600 წლისა აღესრულებოდა, არფაქშანდი – 438 წლის, შალახი – 433-ის, ყებერი – 464-ის, სერუგი – 230-ის, ნახორი – 148-ის და აბრაამი – 175 წლისა.

მერე და მერე მახეები და გაჭირვებაც აღარ მოგვაკლდება.

ტაბულა თავისებურ ხიბლსა სძენს მინიატურის ტრაგიკომიკურ სინამდვილეს, აცხოველებს მის მხატვრულ კონცეფციას და რიცხვების პოეზიით ავსებს ბიბლიური სიუჟეტებითა და ხილვებით შთაგონებულ პოეტურ გარღვევას იმ დროსთან დასაბრუნებლად, საიდანაც დროებით, დიახაც, დროებით გამოგვაძევს.

„ჩვენი მწერლობის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა ნათია ვანაძის საუბარი ზოია ფირზადთან („ერთი დღე – აღდგომამდე“) და ასე გამოჩნდა თანამედროვე ირანის ეს პოპულარული მწერალი ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სივრცეში.

მწერალმა იმ დიალოგით მოხიბლა ჩვენი ყურნალის მკითხველი თავისი სინტეზით, გულახდილობით, აზროვნების სიღრმითა და თავისებურებით.

ინტერვიუერის შეკითხვაზე: ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ ამბებს გვიყვებით და მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. რატომ აირჩიეთ ეს სტილი? – თუ გახსოვთ, ფირზადმა ასეთი პასუხი გასცა: ეს არის ცხოვრება. აუცილებელი არაა, ნაწარმოებში იყოს მკვლელობა, უცნაური შემთხვევები. ჩემი რომანის ფაბულა რეალურია და მკითხველიც ასევე შეიგრძნობს. ბევრს უთქვამს, შენი რომანი რომ წავიკითხეთ, მივხვდით, ეს ყოველდღიური საქმიანობა, რეცხვა, წმენდა, ბავშვის გამოყვანა სკოლიდან და ამისთანები რაოდენ მნიშვნელოვანი და რთული ყოფილაო.

დიალოგის მიზანერიდან ისიც შევიტყვეთ, რომ მწერალს ბევრი რამ სმენია ქართული კულტურის შესახებ და უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის მონახულებაც აქვს განზრახული.

მით უფრო სასიამოვნოა, რომ ჩვენს სარედაქციო პორტფელში უკვე დაგროვდა ზოია ფირზადის რამდენიმე მოთხრობის თარგმანი. გარდა ნათია ვანაძის ამ თარგმანისა, მწერლის ბელეტრისტული ქმნილებანი ქართულად აამეტყველეს თეა შურლაიამ და მზია ბურჯანაძემ და მკითხველიც თანდათან ყველა მათგანს გაეცნობა.

გოლი თარაყის მოთხრობების საკმაო წარმატება ქართველ მკითხველთა შორის გვაფიქრებინებს, რომ ზოია ფირზადის მხატვრულ-ფსიქოლოგიური ძიებანიც ძალდაუტანებლად მოიხვეჭს პოპულარობას, ცხადია, ნამდვილს და არა კონკიჟლარუნებით შემოსილს.

ზოია ფირზადი

ბინა

1

მეჰნაზმა გასაღები გაუყარა და ბინის კარი გააღო. პირველი, რაც გააკეთა, ფეხსაცმელების გაძრობა იყო. ფეხისგულები უბჭურდა. ახლა სამის ნახევარი იყო და დილის რვა საათიდან აქამდე ბინების ყიდვა-გაყიდვის ოთხ ბიუროში შეიარა და ექვსი ბინა ნახა. უნდოდა, რომ დახრილიყო და ფეხსაცმელები კართან მდგარ პატარა კარადაში შეელაგებინა, მაგრამ თავი აღარ ჰქონდა. გაიფიქრა: „თავი დაანებე, რა, დიდი-დიდი, როცა მოვა, აბუზ-ლუნდეს, ფეხსაცმელები აქ რატომ დაყარეო.“

ჩანთა მოისროლა ფეხსაცმლის კარადაზე და ხმამაღლა თქვა: „ხუთი წელია, რაც კი გავაკეთე, ყველაფერზე აბუზლუნდა. ეს რამდენიმე დღეც“. და ფეხშიშველამ გაიარა ჰოლი.

სამზარეულოს მაგიდაზე ცარიელი ფინჯანი იდგა. მის გვერდით – პატარა თეფში, თეფშზე – თხელი ლავაში პურის შემოჭრილი კიდეები, მის გვერდით დანა და ჩაის კოვზი. დანის წვერი პურის ჩამონაჭრებისაკენ იყო მიმართული. მეჰნაზმა ცალკებად გაილიმა. დანა და კოვზი ფინჯანში ჩადო, ფინჯანი თეფშზე დადო, ყველაფერი ჭურჭლის სარეცხ ნიჟარაში ჩაალაგა და დაბობხებული ხმით თქვა: „მეჰნაზ, საყვარელო, ვიდრე ლავაშს პურის საჭრელი საგანგებო მაკრატლით დაჭრი და ათ-ათ ნაჭერს ცელოფნის პარკებში ჩაალაგებ და პარკების თავს სამჯერ გადაკეც და საყინულეში ლამაზად ერთმანეთზე დაანყო, პურს კიდეები შემოაჭერი, გეთაყვა!“

ცამეტი-თოთხმეტი წლისანი, ზაფხულობით, შორეული ნათესავების ბავშვებთან ერთად თამაშით დალილები, რომელიმე ნათესავის ტელეფონის ნომერს აკრეფდნენ ხოლმე. უფრო ხშირად ფარი დეიდასთან რეკავდნენ,

რომელიც ოჯახის ერთ-ერთი ასაკოვანი წევრი იყო და ყოველთვის ისე ლაპარაკობდა, თითქოს ზუსტად ამ დღეს მისი სიკვდილი იყო გადაწყვეტილი. ვიდრე დეიდა ფარი იტყოდა: „ალოოოო“, ბავშვები ყურმილს მეჰნაზს მიანოდებდნენ და მეჰნაზიც ბიცოლა ახთარის ხმით ინყებდა ლაპარაკს, რომელიც მამუზადელი იყო და საყვარელი დეიდა ფარის გულითადი მეგობარი. ფარი დეიდა ყოველთვის ტყუებოდა და ბიცოლა ახთარს გულის ტკივილებზე უყვებოდა, უკანასკნელ ექიმზე, ვისთვისაც მიუკითხავს, და ბოლოს უბარებდა, როცა მოვკვდები, ჩემი ხალვა შენ უნდა გააკეთოო! საფლავზე მარიამის ვარდი არავინ მოიტანოს! ხომ იცი, რომ მისი სუნისგან თავი მტკივდებაო. ჩემ ბავშვებს უთხარი, მოთქმით ტირილი არ ატეხოო! პასუხისმგებლობა შენზე იყოს, თუ სარჰანგისთვის ცოლი არ მოგიყვანინებიაო! და მეჰნაზიც დეიდა ფარით ტირილს ინყებდა და ამბობდა: ვაიმე, ვაიმე, შენ მოგიკვდი! ეგ დღე არ გაათენოს ღმერთმა, ფარიჯან. თქვენს შემდეგ ბატონ სარჰანგს ვინლა მოენონებო! და ფარი დეიდაც ტელეფონში აქვითინდებოდა და ბავშვები კი სიცილით იხოცებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ამბები ნათესავების ყურამდე აღწევდა და ყველანი იცინოდნენ. თვით ფარი დეიდაც იცინოდა და, მისი თხოვნით, მეჰნაზი მის თვალწინ მასაც ბაძავდა, ბიცოლა ახთარსაც, ბატონ სარჰანგსაც და სხვა ნათესავებსაც. ვიდრე ზაფხულის ერთ დახუთულ საღამოს, ერთ-ერთი ნათესავის ქარაჯისეულ ბაღში ფარი დეიდამ მეჰნაზს, რომელიც ჩვეულებისამებრ ბიცოლა ახთარი ეგონა, სინამდვილეში, ყველა დეიდაშვილს, მამიდაშვილსა და პატარა ბავშვებს, რომლებიც ბაღის შავი და მძიმე ტელეფონის ყურმილს რიგ-რიგობით ხელიდან ხელში ერთმანეთს გადასცემდნენ და ყურზე ინებებდნენ, უთხრა, გუშინ შემატყობინეს ბატონ სარჰანგის ხუთი წლის წინათ მოყვანილი ცოლისა და მასთან გაჩენილი ორი ბავშვის შესახებო.



ცხელი ზაფხული იმ აურზაურთან ერთად, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ოჯახში ატყდა, ჯოჯოხეთად გადაიქცა. ყველაზე მეტად მეჰნაზის მისამართით გაისმა მწარე სიტყვები, ყველაზე მეტად მას ეჩხუბნენ და დედისგანაც კარგად მოხვდა „იმ მასხარაობისთვის, რის გამოც მთელი სანათესაო შერცხვა“. მთელი ერთი კვირა, ირან-შაჰრის ქუჩაზე მდებარე მამისეული სახლის მესამე სართულის პატარა ოთახში ჩამწყვდეული მეჰნაზი დეიდა ფარისა და ბატონ სარჰანგის მოახლოებულ განქორწინებაზე, ბიძამისის და ბიცოლამისის გაშორებაზე ფიქრობდა (რადგან ამ ქარაჯისეული ბაღის ყბადაღებული ტელეფონით ცნობილი გახდა, რომ ბატონი სარჰანგის ახალი ცოლი დეიდა ახთარის ნახევარ და იყო, რომლის არსებობის შესახებაც არავინ არაფერი იცოდა), თვალებით ბლის ხის კენწეროს მიშტერებული ცრემლს ღვრიდა და თავისთვის ფიქრობდა: მთელი ეს უბედურება ჩემი ბრალიაო.

სამზარეულოს კუბოკრული ფარდა გადაწია და მოპირდაპირე მეზობლის ანტენას მიაშტერდა. იფიქრა, რომ თუ ახთარ ბიცოლას, რომელმაც ქარაჯისეული ბაღის ამბების შემდეგ ტყუპები გააჩინა, და თავის, რომელიც ბატონი სარჰანგის მეორე ცოლი იყო და ახთარ ბიცოლას და, და ბატონ სარჰანგის სიკვდილის შემდეგ ფარი დეიდასთან ცხოვრობდა, და ბოლოს, თვით ფარი დეიდას ეტყოდა, ფარამარზთან გაშორებას ვაპირებ, იმ მიზეზის გამო, რომ, თუ მის თეთრ დაუთოებულ პერანგებს ფერად დაუთოებულ პერანგებში არეულს ჩამოვკიდებ კარადაში, ერთ ალიაქოთს სტეხსო, ეს სამი მოხუცებული ქალი რას იტყობდა? ერთი ყვავი მოფრინდა და ანტენაზე ჩამოჯდა. მეორე ყვავიც მოფრინდა და პირველს გვერდით მიუსკუპდა.

მეჰნაზმა და ფარამარზმა ერთი შენობის ლიფტში გაიცნეს ერთმანეთი. ორივეს სამსახური ამ შენობაში იყო. მეჰნაზი მეცხრე სართულზე არსებული გადაზიდვების კომპანიის ბულალტერი გახლდათ, ფარამარზი კი მეთერთმეტე სართულზე ხილის ექსპორტ-იმპორტის კომპანიაში მუშაობდა. ლიფტი რომ გაჩერდა და კარი გაიღო, მეჰნაზმა თავისთვის თქვა: „როგორც დეიდა ფარი იტყობდა, ყოჩაღ!“ ფარამარზი სამსონეტის ჩანთით ხელში ლიფტში იდგა. ლურჯი კოსტუმი ეცვა თეთრ პერანგთან ერთად, რომლის საყელოც კოსტიუმზე გადმოეკეცა ზემოდან. რკინის ჩარჩოიანი მზის სათვალე ეკეთა. მეჰნაზი მხრებში გაიმართა და მუცელი შიგნით შეწია. ვიდრე ლიფტი მეცხრე სართულიდან პირველს მიაღწევდა, ფარამარზი სართულის აღმნიშვნელ ლილაკებს მიშტერებოდა, რომლებიც რიგრიგობით ქრებოდნენ და ინთებოდნენ, მეჰნაზი კი ჩუმ-ჩუმად გახედავდა ხოლმე. ლიფტი გაჩერდა და მეჰნაზი გარეთ გადიოდა, რომ უეცრად ფეხი რალაცაში გაებლანდა და ფარამარზი ადგომაში მიეხმარა. მერე რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გადავარდნილი ჩანთა აიღო, მიაწოდა და ჰკითხა: ხომ არაფერი მოგსვლიათო? მეჰნაზმა გაიფიქრა: რა ხმააო!? თავი დაუქნია და მადლობა გადაუხადა. იმ ღამეს ამ ამბავს დედასა და დას მოუყვა. ფარამარზის გაჯგომულ დგომას მიბაძა და თავისი დაცემის მომენტი ზუსტად განასახიერა. და სიცილით ჩაბჟირდა,

დედა კი სიცილის დროს ეცადა, წარბები შეეკრა. შენი ამ სისულელეებით საბოლოოდ ჩაგვრჩი მე და მამაშენს ხელშიო. მეჰნაზს ძილის წინ ცოტა ხანს გუნება გაუფუჭდა და გაიფიქრა: შევრცხვიო! მოგვიანებით ფარამარზმა უთხრა: იატაკზე რომ იყავი გაშხლართული, ისეთი სასაცილი სახე გქონდა, რომ... რომ ვიფიქრე, უნდა დაგხმარებოდი. და არა მარტო იმ წუთას, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზეო. მომდევნო დღეს მეჰნაზს თავისი მაგიდის უჯრა გადმოებრუნებინა და კომპანიის ბეჭედს ეძებდა, როცა უცბად ვილაცამ უთხრა: „ხელჩანთის საკეტი დაკეტილი თუ იქნება, პატრონის დაცემისას, ჩანთიდან არაფერი გადმოუცვივდებაო.“ ფარამარზმა კომპანიის ბეჭედი და უთავსახური ტუჩის საცხი მაგიდაზე დაუდო, გაულიმა და ნავიდა. ამჯერად შავი, საყელოგადმონეული პერანგი ეცვა კრემისფერ კოსტიუმთან ერთად. მეჰნაზმა გაიფიქრა: როგორ უხდება შავი ფერი!

მეჰნაზი და ფარამარზი რომ დაქორწინდნენ, ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები ზურგს უკანაც და მეჰნაზის თვალწინაც ამბობდნენ: ბედიც ამას ქვიაო!! თვით მეჰნაზსაც მიაჩნდა, რომ ღმერთს ძალიან უყვარდა, ფარამარზისნაირი ქმარი რომ არგუნა.

ორსაძინებლიანი ბინა ფარამარზის გემოვნებით გააწყვეს, მცირე ნივთებითა და ყოველგვარი ზიზილ-პიპილეს გარეშე. ფარამარზი ამბობდა: ასე მტვრის გადანმენდა უფრო გაგიოლდებაო. ფარამარზი საღამოს სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდა, ოთახებს შემოვივლიდა და, როცა ეგონა, მეჰნაზი ვერ ხედავდა, მაგიდასა და სკამის საზურგეებს ხელს გადაუსვამდა ხოლმე.

ერთ-ერთი ყვავი ანტენიდან აფრინდა და მეჰნაზმა გაიფიქრა: „დედაჩემს კიდევ რომ ვუთხრა, ფარამარზმა თეთრი ბამბის ხელთათმენები იყიდა-მეთქი, არაფრით დაიჯერებსო.“

პარასკევი საღამო იყო და მეჰნაზი და ფარამარზი ტელევიზორში მხატვრულ ფილმს უყურებდნენ.³ საფრანგეთის ერთი პრინცის მსახური მოტკეცილი შარვლითა და პარიკით, ყოველ ცისმარე დღეს თეთრ ხელთათმენებს იცვამდა, სასახლეში მიმოდიოდა და თითოეულ ნივთზე თითს უსვამდა, გარეთა კიბეებსაც კი, შემთხვევით რამეზე მტვერი არ ყოფილიყო. მეჰნაზს სიცილი აუტყდა, შემობრუნდა და ფარამარზს შეხედა. ფარამარზს თვალეები მოეჭურტა და, ტელევიზორზე მიშტერებული, თავს აქნევდა.

მეორე ყვავიც აფრინდა ანტენიდან. მეჰნაზმა გაიფიქრა: „ფილმი როდის ვნახე? ვიდრე მამას ინფარქტი დაემართებოდა? თუ მერე?“

ინფარქტიდან ერთი კვირის შემდეგ, როცა უკვე ყველაფერს კარგად ჩაეგლო, მამამ მეჰნაზსა და მის დას სიცილით უთხრა: „არ მინდა ჩემი სიკვდილის მერე მემკვიდრეობის გულისათვის ერთმანეთს თმები დააგლიჯოთო!“ მეჰნაზმა ხელსახოცების ყუთიდან, რომელიც მამის სანოლის გვერდით იდო, დისთვისაც ერთი ხელსახოცი ამოაცურა და დედამ მამინ თქვა: ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ყოფილა, ერთი სიტყვა მაინც გეთქვა სერიოზულ-

ლად? მოდი, შენი წამლები დალიეო! და გაიცინა. მეჭნაზმა დაინახა, რომ დედამ წამლის შუშაზე მეტისმეტად დახარა თავი, ისე, რომ ვინმეს მისი თვალები არ შეემჩნია. იმ საღამოს ირანშაჰის ქუჩის სახლის ბანზე დამ ჰკითხა: „შენი წილით რის გაკეთებას ფიქრობ?“ დის შეკითხვის პასუხად მეზობლის ბლის ტოტებზე მიშტერებულმა მხრები აიჩეჩა. „ჯერ არ გადაამინყვევტიაო.“ დამ როცა თქვა, მე და ჩემმა ქმარმა შესაძლოა უფრო დიდი ბინა ვიყიდოთ, ბავშვებისთვის ცალ-ცალკე საძინებლებით, მეჭნაზს უცებ სიცილი აუტყდა და უთხრა: მე კი, პირიქით! შეიძლება უფრო პატარა ბინა ვიყიდო. და წამოდგა და ბანის კარისკენ გაემართა. „დედა ტყუილად კი არ ამბობს, შენც მამასავით ხარ! შენთან ერთი სიტყვის თქმა არ შეიძლება სერიოზულადო.“ მეჭნაზმა ნახევრად ღიად დატოვებულ ძველ ხის კარს შეხედა, ამოიოხრა და გაიფიქრა: „ეს ყველაზე სერიოზული იყო, რაც ამ ბოლო წლებში მითქვამს.“

გაზქურა აანთო და დილიდან მორჩენილი ჩაი გაათბო. ფარამარზი რომ აქ ყოფილიყო, სათვალეს მოიხსნიდა, ხავერდის ნაჭრის ნაგლეჯით, რომელიც მუდამ ჯიბეში ედო, ორივე მინას წმენდას დაუწყებდა და იტყოდა: „ჩაი დაყენებიდან ერთი საათის შემდეგ შხამს გამოყოფს, რომელიც მომწამვლელია.“ ფარამარზი იმის შიშით, რომ ჩაი, ვაითუ, ახალი დაყენებული არ იყოს და მწვანილი ან სალათის ფურცლები – დეზინფიცირებული, სხვაგან არც ჩაის სვამდა და არც მწვანილს და სალათს ჭამდა.⁴ მეჭნაზს ოცდაცხრა წლის ასაკში ბევრჯერ დილიდან დარჩენილი ჩაი კი არა, როცა ფარამარზი მივლინებაში იყო, ორი დღის წინანდელი ჩაიც კი გაუთბია და დაუღევია და არც არაფერი დამართია.

ახალდაქორწინებულები რომ იყვნენ, როცა ფარამარზი მივლინებაში მიდიოდა, მონატრება რომ გაუსაძლისი ხდებოდა, საძინებლის კარადის კარს გამოსხნიდა და ფარამარზის ტანსაცმელს ყნოსავდა. დაძველებულ ჩაის განზრახ სვამდა, რათა მონამლულიყო, ფარამარზისათვის შეეტყობინებინათ და ისიც სასწრაფოდ დაბრუნებულიყო. ერთხელ, როცა ფარამარზი მივლინებიდან დაბრუნდა, მეჭნაზმა თავისი საქციელი ტირილით აღიარა. ფარამარზმა თავი გადააქნია, ტუჩები, რომლებიც იმ დროს მეჭნაზის აზრით ულამაზესი ბაგეები იყო ამქვეყნად, მოპრუნა და უთხრა: „ძალიან დაუდევარი ხარ, საყვარელო.“ რამდენჯერმე თავზე ხელი გადაუსვა, რამდენიმე წამით გარემოდა, შემდეგ უცებ ხელი მოაშორა და თქვა: „იქნებ ზარმაცია?“ ხმა და საუბრის ტონი შეეცვალა. „არ მესმის, ჩაის დაყენებას რა უნდა? ნარჩენებს სპეციალურ, ნარჩენების ჩასაყრელ კალათაში ჩაყრი, საჩაიეს ცხელ წყალს სამჯერ გამოავლებ, სახეხითა და სარეცხი სითხით კარგად გარეცხავ, რომ ძველი ჩაის ლაქები ბოლომდე მოშორდეს, მერე საჩაიეს გააშრობ, გამხმარ ჩაის შიგ ჩაყრი და სულ ეს არის!“ მეჭნაზის გაოგნებული სახე რომ დაინახა, შავ, ხშირ თმებზე, რომელზეც მაშინ მეჭნაზი ფიქრობდა, ყველაზე ლამაზი თმებია ამქვეყნადო, ხელი გადაისვა. „რასაკვირველია, რამდენიმე დღეში ერთხელ ბოთლის სარეცხი ჯვარისით საჩაიეს ტუჩიც უნდა გარეცხო, ხო, კვირაში ორ-სამჯერ საჩაიე და ნარჩენი ჩაის ჩასაყრელი სპეციალური კალათა ქლორში ჩადო.“ მეჭნაზმა ისეთი სიცი-

ლი ატეხა, ჩაი გადასცდა და ახლა ხველება აუტყდა. ფარამარზი იძულებული გახდა, ზურგზე ხელები შემოებრა-ხუნებინა მისთვის და მერე, ცრემლების მოსაწმენდად, ხელსახოცის ქალაღიცი მიეწოდებინა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ამბავი ფარი დეიდას შვილებს უამბო და დეიდაშვილებმა იმდენი იცინეს, სულ ცრემლები ღვარეს. შუა სიცილში მეჭნაზმა ხელი მოისვა თვალებზე და თქვა: „ადამიანი როცა იცინის – ცრემლი მოსდის, ჩაი რომ გადასცდება ყელში – ისევე ცრემლი მოსდის, დარდიანი რომ არის – მაინც ცრემლი მოსდისო.“ და სამ დეიდაშვილს კვლავ სიცილი აუტყდა.

სამზარეულოს მაგიდასთან დაჯდა და ფეხები მოპირდაპირე სკამზე დაანყო. ფეხის თითები მოხარა და გაშალა. გაიფიქრა: „ახლა რატომ არ ვტირი? ფარი დეიდა გაახსენდა, ბატონი სარჰანგის დასაფლავების დროს ენა ებმოდა და წინადადებაგამოტოვებით ამბობდა: „(ცრემლიც კი აღარ დამრჩაო...“ უცხოები რომ წავიდნენ და შინაურები დარჩნენ, ფარი დეიდამ თქვა: „მთელი ოცდაათი წელი, დღისითა თუ ღამით, ცრემლი მალვარღვარებინა, საკმარისიაო!“

იმ ღამით, როცა ტელეფონით დარეკეს და ბატონი სარჰანგის გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს, მეჭნაზს სტუმრები ჰყავდა. ფარამარზს აღმასრულებელი დირექტორი, საფინანსო განყოფილების უფროსი და თავისი კომპანიის რეალიზაციის უფროსი დაეპატიჟებინა ცოლებით. ნვეულებამდე ორი კვირით ადრე მეჭნაზს ყოველდღე ეუბნებოდა: „მეჭნაზ, ძვირფასო, ეს მასპინძლობა ძალიან ღირსეული უნდა იყოს.“ მეჭნაზმა მთელი ერთი კვირა ამ სტუმრობისათვის იწვალა. სამი სახის საუზმეული მოამზადა და ოთხი თავი კერძი. ტკბილეულობის მაღაზიიდან „ასალ“⁵, რომელიც ქალაქის მეორე მხარეს იყო, ორნაირი ნამცხვარი იყიდა, დას უთხრა, თხილეულობის მაღაზიიდან „თავაზო“⁶, რომელიც მის სახლთან ახლოს იყო, ფსტა და ნუში იყიდა. ფარამარზს ნათქვამი ჰქონდა: „მხოლოდ და მხოლოდ ფსტა და ნუში! მზეუსმზირა მდიდრული ვერ არისო.“ სტუმრები რომ მოვიდნენ და დასხდნენ, ფარამარზმა თვალთ ანიშნა და მეჭნაზმაც სამზარეულოდან ჩაი შემოიტანა. ფარამარზმა მაგიდას შეხედა და მეჭნაზმა საუზმეული ააღაგა. ნუშისა და ფესტეს ჭურჭელი კი არ გაიტანა, რადგან აღმასრულებელი დირექტორის ცოლმა თქვა: „რა გემრიელი ფსტააო!“ და ფარამარზმა მეჭნაზს ანიშნა, ჭურჭელი არ აეღო. ოთახიდან სამზარეულოში მისვლა-მოსვლისას ესმოდა, რომ მამაკაცები კომპანიის საქმეებზე საუბრობდნენ. ცოლები მდუმარედ ისხდნენ და უსმენდნენ. მეჭნაზი ფიქრობდა, რატომ არ საუბრობდნენ ქალები და ამ დროს ფარამარზმა უთხრა: „საყვარელო, რამდენს დადიხარ? ქალბატონებს მოეწყინათ. მოდი, დაჯექი და ესაუბრეო!“ ქალბატონებმა ზრდილობისათვის აღნიშნეს: „ქალბატონი მეჭნაზი ძალიან ნუხდებაო.“ და დაიწყეს ერთმანეთთან საუბარი. მეჭნაზი, როცა ვახშამიც მოიტანა, მაგიდაც ააღაგა და ჩაი და ნამცხვარიც შემოიტანა დესერტად, ფარამარზის გვერდით სკამზე ჩამოჯდა. აღმასრულებელი დირექტორის ცოლი კადრების განყოფილების გამგის ცოლს თავი-

სი ხორცეულობის მალაზიის მისამართს აძლევდა. რეალიზაციის უფროსის ცოლმა იკითხა: „უკაცრავად, ტელეფონი სად არისო?“ ნავიდა და დარეკა, თავისი ჩვილი ბავშვის ამბავი რომ გაეგო, რომელიც დედამისთან ჰყავდა დატოვებული. დაბრუნდა, დაჯდა და თქვა: „არ ვიცი, რა სჭირს, გაუთავებლად მუცელი სტიკია.“ კადრების განყოფილების გამგის ცოლმა თქვა: „პიტნის ნაყენი მიეცი, სასწაულს ახდენს! კამაც, რასაკვირველია, ცუდი არ არისო.“ აღმასრულებელი დირექტორის ცოლმა ერთი მუჭა ფსტა დაყარა პატარა სუფთა თევზზე, რომელიც რამდენიმე წუთის წინათ მეჰნაზს მისთვის დაედო.“ არ ინერვიულოთ, ბავშვისთვის სამი თვის ასაკამდე მუცლის ტკივილი ჩვეულებრივი ამბავია, ამას „კოლიტს“ ეძახიან, საუკეთესო მკურნალი „გრაიფ მიქსტურაა“. როგორც რომ წყალი დაგისხამო ცეცხლზე! სამივე ბავშვი ამით გავზარდეთ.“ რეალიზაციის უფროსის ცოლმა სთხოვა, მისთვის დაეწერა იმ რაღაცის სახელი, რომელიც ახლა თქვა. მეჰნაზი წამოდგა, რათა ფანქარი და ფურცელი მოეტანა, და გაიფიქრა: „მე რაზე ვილაპარაკო?“ და ყურადღება მიაქცია აღმასრულებელი დირექტორის სიტყვებს, რომელიც ამბობდა: „ყურძნის სირთულე ის არის, რომ მალე ფუჭდება. კონტეინერებსაც თუ ვენტილაცია არ ექნათ, მთლად უარესი ჩემი აზრით, ჯერჯერობით თუ ნიორსა და ვაშლზე შევჩერდებით, უმჯობესია.“ ფარამარზმა, საფინანსო განყოფილების უფროსმა და რეალიზაციის უფროსმა დაუდასტურეს. მეჰნაზმა თქვა: „ჩვენი კომპანია ვენტილაციის მქონე კონტეინერებს აქირავებს. თუ მოისურვებთ...“ ფარამარზმა მეჰნაზს თვალები დაუბრიალა, აღმასრულებელ დირექტორს ხეულვა აუტყდა, რეალიზაციის უფროსმა თავის ცოლს გადახედა, მაჯის საათზე მიანკაპუნა და უთხრა: „არ ადგები, რომ დედამისს დაურეკო? ბავშვის ჭამის დროა.“ საფინანსო განყოფილების უფროსი გათლილ კიტრს მარილს აყრიდა. მეჰნაზმა აღმასრულებელი დირექტორის ცოლის ფსტას ნაჭუჭებით სავსე თევზს მოჰკრა თვალი და წამოდგა. ფეხისგულები უბჟუოდა.

სტუმრები უკვე წასულიყვნენ და მეჰნაზი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა. ფარამარზმა უთხრა: „ძვირფასო, არაჩვეულებრივად უმასპინძლე. მხოლოდ ლობიოს ცოტათი აკლდა მოხარშვა. ქათამსაც, ჩემი აზრით, ცოტა მეტი ნიორი ჰქონდა. მომავლისთვის გეუბნები. მართლა! თუ სხვა დროს სიტყვა ჩამოვარდება, ძალიან გთხოვ, დირექტორის თვალწინ არ ისაუბრო. ქალები რომ სამსახურის საქმეებში ერევიან, არ მოსწონსო.“ მეჰნაზი ცალ ხელში სახეხითა და მეორე ხელში ქაფით სავსე ჭიქით ონკანს მიაშტერდა. სწორედ ამ დროს იყო, ტელეფონმა რომ დარეკა და ბატონი სარჰანგის გარდაცვალების ამბავი აცნობეს. მეჰნაზს ხელიდან ჭიქა გაუვარდა და ტირილი აუტყდა.

ჩაიდანში წყალი დუღდა. მეჰნაზი წამოდგა, ჩაი დაასხა და ისევ დაჯდა. გაიფიქრა: „რეალიზაციის უფროსის ბავშვი ახლა ნეტავ რა ხნისაა? ნეტავ ისევ აწუხებს მუცლის ტკივილი? დეიდა ფარიმ რატომ ითმინა ოცდაათი წელი? ალბათ ბავშვების გამო. აღმასრულებელი დირექტორის ცოლს ნეტავ ფსტა ისევ უყვარს? ადულებულ წყალს ისევ სვამს? რა კარგია, რომ ბავშვი არა მყავს!“

ფარამარზმა ქორწინების პირველივე წლიდან დაიწყო ბავშვზე ლაპარაკი. მეჰნაზმა ჯერ თქვა: „ადრე არ არის? თანაც არ ვიცი, რამდენი თვით შემიძლია სამსახურიდან გათავისუფლება.“ ფარამარზმა წარბები აწია. „ადრე? ადამიანი იმიტომ ქორწინდება, რომ ბავშვები იყოლიოსო.“ მერე მეჰნაზს თმებზე ხელი გადაუსვა და გაუღიმა. „საყვარელო, დრო არ ახლოვდება, რომ გათავისუფლებაზე განცხადება დანერო? ჩვენ ხომ ფინანსური პრობლემა არ გვაქვს.“ მეჰნაზს რამდენიმე კვირის წინანდელი ამბავი გაახსენდა, რა აღფრთოვანებით აცნობა ფარამარზს, ხელფასი მომიმატესო, და ფარამარზმაც უთხრა: „გილოცავ. ისევ დაგავიწყდა რძის ბოთლისთვის წყლის გამოვლება.“ ქუჩის თავში საბაყლოს პატრონი აყა მორთაზა ამბობდა: „თვითონ პასტერიზებული რძის ქარხანაც კი თქვენსავით ვერ რეცხავს ბოთლებსო.“ და მეჰნაზს რცხვენოდა ეთქვა, რძის ბოთლებს ორჯერ ვრეცხავო. ერთხელ, ვიდრე სავსე ბოთლებს მაცივარში შედგამდეს, სარეცხი სითხით და სახეხით და მეორედ, ბოთლების დაცლის შემდეგ, სარეცხი სითხით და ბოთლების სარეცხი ჯაგრისით. კიდევ ბევრი რამ იყო, რისი თქმაც რცხვენოდა სხვებისათვის.

არავისთვის, დედისთვისაც კი არ უთქვამს, ფარამარზთან გაშორებას ვაპირებო. ათი-თხუთმეტი დღის წინათ ფარამარზი სწორედ ამ სკამზე იჯდა, რომელზედაც ახლა მეჰნაზს ფეხები ეწყო და მას უსმენდა. მეჰნაზმა თავისი ბოლო სიტყვები თქვა: „მხოლოდ პირობა მომეცი, ვიდრე ბინას არ მოვძებნი და საქმე არ დამთავრდება, არავის არაფერი უთხრა.“ ფარამარზმა სამარინლე შუა მაგიდაზე, სამაქრის გვერდით დადგა და თქვა: „როგორც გინდოდეს. თუმცა დარწმუნებული ვარ, როგორც ყოველთვის, ახლაც ცდები. მაგრამ, სიმართლე რომ გითხრა, მეც დავილაღე შენთვის გამუდმებული სწავლებითო.“ მეჰნაზმა ჯერ ფარამარზს შეხედა, მერე ჩაის ფინჯანს მის ხელში. ეცადა, სხვა რამეზე ეფიქრა. გაახსენდა, რომ ამ ფინჯანების ორი სერვიზი ჰქონდა ნაყიდი, ერთი თავისთვის, და ერთიც – დის ქორწინების წლისთავისათვის.

ფინჯანებს გაზეთის ქალაღში ახვევდა და ყუთში აწყობდა. ფარამარზი სამზარეულოს ბარს ჩამოყრდნობოდა და მეჰნაზს შესცქეროდა. მეჰნაზმა თქვა: „მოლაის სახე უნდა დაგენახა, როცა გაიგო, რომ საკრედიტო განყოფილების უფროსად ჩემი დანიშვნაა გადაწყვეტილი! კინალამ ინფარქტი დაემართა! საჩუქრის შესაფუთი ქალაღი სად არის?“ ნავიდა და ქალაღი საძინებლიდან გამოიტანა. „ვარჯჯავანდი დამპირდა, რომ, რაც არ ვიცი, მასწავლოს. მითხრა, რომ ათ დღეში ვისწავლი! ფინჯანები რატომ ამოიღე ყუთიდან? ქალაღს რატომ აცლი?“ ფარამარზმა უთხრა: „ასე, შენ რომ გქონდა გახვეული, აუცილებლად გატყდებოდაო.“ მეჰნაზმა ფარამარზის ხელებს შეხედა, რომლებიც დიდი რუდუნებით ფინჯანებს ქალაღში ხელახლა ახვევდნენ. როცა საქმეს მორჩა, ყუთს თავი დაახურა და თქვა: „საჩუქრის შესაფუთი ქალაღი მომეცი! ნებოვანა სად არის? ხო, რალაცას ამბობდი. ვარჯჯავანდმა კიდევ რა თქვა?“ მეჰნაზმა ნებოვანა სამზარეულოს ბარზე მოისროლა და გავიდა.

ფარამარზი ჯერ კიდევ საუბრობდა. „კი. ყველა ცდება. ჩემი შეცდომაც ის იყო, მეგონა, შენი შეცვლა შემეძლო.“ მეჰნაზს გაახსენდა, რომ მისი დის ფინჯნებიდან ერთი გატეხილი იყო. ფარამარზი სკამიდან წამოდგა და ფანჯარასთან ახლოს დადგა, მეჰნაზს ზურგი აქცია, ჯიბეში ხელები ჩაიყო და თქვა: „ისეთი ქალი უნდა მომეყვანა ცოლად, რომელიც ევროპელი ქალების მიბაძვის, კომპანიაზე გამუდმებული ფიქრისა და ამდაგვარ სისულელეებში წარმატების ნაცვლად ოჯახზე იზრუნებდა.“ მეჰნაზმა გაიფიქრა: „სრულად რომ ჰქონდეს, ერთ ჩემს ფინჯანს მივცემ.“ ფარამარზი შემობრუნდა და მეჰნაზს შეხედა, რომელიც ჩაის ფინჯანს მიშტერებოდა. მერე ხელი გაიწოდა, სკამზე გადაკიდებული პირსახოცი აიღო და ირონიულად ჩაიღიმა „ნათელია! იმ ქალის აბანოს პირსახოცი, რომლის აზრი და გონებაც ოჯახის გარეთაა, სამზარეულოშია და სამზარეულოს ნივთები – აბანოში!“ მეჰნაზმა თავისთვის თქვა: „ღმერთო, დამეხმარე, რომ არაფერი ვთქვა, დამეხმარე, სიმშვიდე შევინარჩუნო. დამეხმარე, სხვა რამეზე ვიფიქრო!“ პირსახოცს შეხედა, რომელიც ფარამარზს ეკავა ხელში. ორი თვის წინათ ფარამარზს რომ უთხრა: „თქვენი შეკვეთის რეგისტრაციის სისტემა სწორი არ არისო“, – ფარამარზმა ირონიულად ჩაიღიმა: „მართლა?“ მეჰნაზმა თქვა: „დამიჯერე, მართალს ვამბობ. ჩვენც ეს გვანუხებდა, სანამ გავიგებდით, რომ...“ ფარამარზმა სიცილი ატეხა და მეჰნაზს ლოყაზე უჩქმიტა. „შეკვეთების რეგისტრაციის სპეციალისტმა პატარა ქალბატონმა აბანოს პირსახოცები გამოცვალა?“

მეჰნაზი ისევ პირსახოცს უყურებდა, რომელიც ფარამარზს ეკავა ხელში. ფარამარზი ისევ ლაპარაკობდა. მეჰნაზი წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა. მეორე დღით კომპანიაში დარეკა და ერთი დღით თავი გაითავისუფლა. ფარამარზი ამ დროს შემოსასვლელის სარკეში თმას ივარცხნიდა და თქვა: „შენი ოჯახისთვის სამსახურში ერთი დღეც არ გაგიცდენია, ახლა როგორ მოხდა, რომ...“ მეჰნაზი აბაზანაში შევიდა, კარი მიიხურა, იატაკზე დაჯდა და თავისთვის თქვა: „რა კარგი ვქენი, რომ მუშაობას თავი არ დავანებებ! რა კარგია, რომ ბავშვი არა მყავს! მამაჩემს რომ ჩემთვის ფული არ მოეცა?“ ბინის კარის მიხურვის ხმა რომ გაიგონა, ადგა, სახეზე წყალი შეისხა და აბაზანიდან გამოვიდა. წინა დღეს განცხადებების გაზეთიდან ბინების ყიდვა-გაყიდვის ათი-ოცი ბიუროს მისამართი და ტელეფონის ნომერი ჰქონდა ამონერილი.

ჩაის ფინჯანი ასწია და თქვა: „მე გამიმარჯვოს და ჩემს კოხტა ბინას!“ და გაციებული ჩაის ბოლო ყლუპი დალია. პატარა ბინა, რომელიც იმ დღით ვანაქის მოედნის მხარეს ნახა, ამ ორ კვირაში ნანახ ყველა ბინას სჯობდა. ერთი საძინებელი, მზის მხარეს, უხმაურო და ხეებიან ქუჩაზე. საძინებლის ფანჯრის წინ მდგარი მტირალა ტირიფი გაახსენდა და გაეღიმა.

2

სიმინი ღია ფანჯარასთან დადგა და მტირალა ტირიფს შეხედა. ერთი ტოტისკენ ხელი გაიწოდა და ჩაილაპარაკა:

„მომენატრები.“ ატირდა. ფანჯარა დაკეტა, ფარდა ჩამოაფარა და საძინებელი ოთახიდან გავიდა. სამზარეულოსკენ მიმავალმა ირიბად დაკიდებული სურათი გაასწორა. პატარა სამზარეულო კარგად იყო განათებული. თეთრი ფარდა ეკიდა, რომლის ბოლოზეც სიმინს ვაშლი, საზამთრო და ფორთოხალი ამოქარგა. სამზარეულოს ნიჟარის ზემოთ დაკიდებული კარადიდან, რომლის კარებზეც ნაირ-ნაირი საჭმლის ფერად-ფერადი სურათები ჰქონდა მიკრული, ჭიქა გამოიღო. ჩაიდანს ნაქსოვი ხელსახოცი ააცალა, ჩაი დაასხა და ჭიქა სამოვრის ონკანის ქვეშ დადგა. ხელსახოცზე ორი ასო – M. და S. – იყო ამოქარგული. ორკაციან მაგიდას მოუჯდა და გაიფიქრა: „ასე რატომ მოხდა?“

სამი დღის წინათ ამ მაგიდასთან რომ ისხდნენ, ვიდრე სიმინი ლაპარაკს დაიწყებდა, მაჯიდმა ჟურნალი „თაიმი“ მაგიდაზე მოისროლა და თქვა: „სავსებით მართალს ამბობ! მე უყურადღებო ვარ! არც შენი ნაქარგებისა და ნაქსოვების ნახვის დრო მაქვს და არც შენთვის ყოველდღე ყვავილების მოტანის, შენი კერძებისა და დიასახლისობის ქების და სასიყვარულო ლექსების კითხვის თავი. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, დამე ახალგამოცვილილ, დაუთოებულ თეთრეულიან სანოლში დავიძინებ თუ იატაკზე დაფენილ უთეთრეულო ლეიბზე!“ და ჟურნალი ისევ ხელში აიღო. სიმინი მაჯიდის სიტყვებზე ატირდა და თვალბეზვით ხელი მოისვა. წუხანდელი სატელევიზიო სერიალი გაახსენდა. ვიდრე ცოლი იტყოდა: „თუ ასეა, ვფიქრობ, უკეთესია, გავშორდეთო“, ქმრამ მაშინვე გადაიფიქრა. მაჯიდმა ამჯერად ჟურნალი დახურა, მაგიდაზე დადო, სიმინს შეხედა და თქვა: „ისევ სავსებით მართალს ამბობ! სავსებით გეთანხმები! მაგრამ გთხოვ, ვიდრე სარეგისტრაციო ბიუროში წავსულვართ და ყველაფერი დამთავრდებოდეს, არავის არაფერი უთხრა! ჩვენი დედების ნივილ-კივილისა და ტირილის თავი არა მაქვს.“ წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა. შემოსასვლელში პიჯაკი ჩაიცვა და თქვა: „ხვალ ბინის გაყიდვის თაობაზე განცხადება შევიტან.“ მაჯიდი რომ ნავიდა, სიმინმა ჟურნალი „თაიმი“ შეხედა. ერთი ოჯახის შავ-თეთრი სურათი იყო: დედა ჩვილი ბავშვითა და პატარა ბიჭით, რომლის ერთი ხელიც მამას ჩაებლუჯა და მეორე ხელში კი – სათამაშო დათუნია ეჭირა. დამტვერილ და ქვებითა და აგურის ნატეხებით მოფენილ მიწაზე ორი ჩემოდანი იდო. უკანა ხედზე ნახევრად დანგრეული შენობა მოჩანდა. ფოტოსურათის ქვემოთ ეწერა: „ბერლინი, 1945 წელი.“ სიმინმა თავი მაგიდაზე ჩამოდო და აქვითინდა.

სამზარეულოს მაგიდის უკანა კიდეზე დადგმულ ჩაის ჭიქას შეხედა, რომელიც ჯერ კიდევ სავსე იყო. ჩაის ბაგით შეეხო და სახე მოელუშა. წამოდგა, საჩაივ სამოვრიდან აიღო, ჭურჭლის სარეცხ ნიჟარაში მდგარ პატარა საწურ კალათაში ჩაცალა, წყალი გამოავლო და ახალი ჩაი დააყენა. ისევ მაგიდას მიუჯდა და გაიფიქრა: „ასე რატომ მოხდა? წინა კვირამდე ხომ ყველაფერი კარგად იყო. იმ დღესაც არაფერი მქონდა ნათქვამი და უცებ გაბრაზდა. მხოლოდ ის ვკითხე, ეს რამდენიმე დღე სადილად შინ რატომ არ მოდიოდა. უბრალოდ, მასზე მეფიქრებოდა, გა-

რეთ ნაყიდ საჭმელს მისთვის არაფერი ევნო. ნაქარგებსა და სასიყვარულო წერილებზე ვინ თქვა რამე, ასე რომ დამეტაკა.“ მაჯიდის სიტყვები რომ გაახსენდა, ტირილი აუვარდა. ნამოდგა და მაცივრის თავიდან ხელსახოცების ყუთი აიღო. იქვე შეფუთულ საჩუქარს მოჰკრა თვალი და გაიფიქრა: „მარიამს რა უჭირს! გუშინ რომ ველაპარაკე, რა ბედნიერი იყო. ერთი კვირაც არ არის, რაც ბავშვი დაიბადა და სულ ჩემი ბიჭი, ჩემი ბიჭი გაიძახის. მისი ქმარი ტელეფონში როგორ ხითხითებდა.“ საჩუქრის შეკვრა მაცივრიდან აიღო და რამდენიმე წუთით მიაშტერდა. „ნეტავ ვინმემ რძის გამათბობელი ბოთლი არ მიუტანოს.“ საჩუქარი მაგიდაზე დადო, სკამზე ჩამოჯდა, ხელს ნიკაპი ჩამოაყრდნო და ჩაფიქრდა. „ნეტავი ბავშვი გამჩენოდა. ბავშვი რომ მყოლოდა, საქმე აქამდე არ მივიდოდა.“ ხელსახოცი თვალებზე მოისვა და ფიქრი განაგრძო: „მარიამი და მისი ქმარი, რომლებიც ერთმანეთისთვის უცხოები იყვნენ, ასე ბედნიერად უნდა ცხოვრობდნენ და მე და მაჯიდი კი...“

სიმინი და მაჯიდი დეიდაშვილები იყვნენ. ბავშვობაში ნათესავ ბავშვებთან ერთად როცა თამაშობდნენ, მაჯიდი ყოველთვის წინამძღოლი იყო. სიმინი კი, როგორც ყოველთვის, მალე რომ დაიღლებოდა, განცალკევებით დაჯდებოდა და მაჯიდს შესცქეროდა, რომელიც გამუდმებით დარბოდა, ყვიროდა და მბრძანებლობდა. ათი-თორმეტი წლისანი იყვნენ, როცა მაჯიდი ბიძია სადციის თუთის ხიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. ვიდრე მაჯიდი საავადმყოფოში წაიყვანეს, ხელი თაბაშირში ჩაუსვეს და უკან დააბრუნეს, სიმინი შეუჩერებლად ტიროდა. ღამით კი გაიგონა, დეიდამისმა დეიდამისს როგორ უთხრა: „სანყალი სიმინი, მაჯიდი როგორ უყვარსო.“ შემდეგ ორმა დამ ჩურჩული დაიწყო და მათი სიტყვის ხმაც გაისმა. იმ დღის შემდეგ სიმინი, როგორც კი მაჯიდს დაინახავდა, განითლდებოდა და იმ ადგილიდან გაიპარებოდა ხოლმე. ერთხელ, როცა დედის დაჟინების მერე მაჯიდიდან მივიდა, რათა მათემატიკური ამოცანის ამოხსნაში დახმარებოდა, მაჯიდმა ჰკითხა: „სიცხე გაქვს?“ სიმინმა როგორც კი უთხრა: „არაო“, მაჯიდმა მაშინვე მიახალა: „აბა, რა პამიდორივით განითლებულხარო“ და იმ დღის შემდეგ სიმინს „პამიდორი“ შეარქვა. სიმინიც თავის მხრივ დარწმუნდა, „უეჭველია, ვუყვარვარ, რომ მეტსახელი შემარქვაო.“ როცა მაჯიდმა ატესტატი

აიღო, ერთ საღამოს დეიდა და დეიდის ქმარი სტუმრად მოვიდნენ. დედამ მოსამსახურეს უთხრა: „ჩაის ლანგარი სიმინს მიეცი, იმან შემოიტანოსო!“ სიმინმა სასტუმრო ოთახის უკან ლანგრით ხელში მდგარმა გაიგონა, დეიდამისმა რომ თქვა: „ხუთი წელი თვალის დახამხამებში გაივლის. თანაც, ნიშნობა და ქორნილი შეგვიძლია ახლავე გადავიხადოთ და ერთად გავუშვათო.“ უმცროსი და სიმინს თავზე წაადგა და მიაჩერდა. „რას უსმენ? გინდა გითხრა, რა მოხდა?“ სიმინმა დაუცაცხანა: „ნადი, დაიკარგე!“

და დაეჯღანა და უთხრა: „შენი ძვირფასი მაჯიდი ამერიკაში მიდის!“ სიმინის მამა მის ამერიკაში წასვლას არ დათანხმდა. „თექვსმეტი წლის გოგოს ოჯახიდან შორს, უცხო ქვეყანაში წასვლას რა აზრი აქვს? კიდევ რომ გათხოვდეს. მაჯიდი განა რამდენი წლისაა? თვრამეტი წლის ბიჭმა პატარა რამეც რომ მოახერხოს, ეგეც დიდი ამბავია. არა! ნიშნობაც არ იქნება. არ მინდა, რომ ჩემს გოგოს დანიშნულის სახელი ჰქონდეს. მაჯიდი მშვიდობით რომ დაბრუნდება, მაშინ ვილაპარაკოთო.“ სიმინი რამდენიმე დღე ტიროდა. დეიდამისმა რამდენიც აიძვედა, „დაბრუნდება შვილო! თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებო.“ დეიდამისი რამდენიც

დაჰპირდა: „ისეთი ქორნილი გადავიხადოთ, მთელი თვირანი გაშტერდესო!“ მაინც არაფერმა უშველა. ვიდრე ერთ დღეს, ტირილისას, მთელი განითლებისა და გათეთრების მერე ჩაილაპარაკა: „დეიდა, იქ რომ მოიყვანოს ცოლი, მაშინ?“ დედამ და შვილმა მაჯიდის დედას გადახედეს. მაჯიდის დედა წამოდგა და დოინჯი შემოირტყა: „რა? ჩემს უნებართვოდაც ცოლი შეირთოს? ეგლა მაკლდა! შვილი იმისთვის გავზარდე, რომ უცხო გოგო მომიყვანოს შინ? დეიდაშენი ვერ გიცვნიასო!“ და სიმინს გულზე მოეშვა.

მაჯიდი ფარვარდინის⁷ თვის ბოლოს წავიდა ამერიკაში, სიმინი კი ხორდადის⁸ თვის დამამთავრებელ გამოცდებში ვერ გავიდა. დეიდამ უთხრა: „თავზე შემოგვლებია! რაც ისწავლე, ისიც საკმარისიაო!“ დედამ კი აკოცა და უთხრა: „ახლა უკვე მზითვის სამზადისს უნდა შევეუდგეთ, ჩემო სიცოცხლე! განათლება კაცმა უნდა მიიღოს და კიდევ იღებს. ყველას თავისი საქმე აქვსო.“

ხუთი წელი, ვიდრე მაჯიდი ამერიკაში იმყოფებოდა, სიმინმა მზითვის მზადებაში გაატარა. ყველანაირ კურ-



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

სებზეც დადიოდა, რასაც კი ქალთა ჟურნალები რეკლამას უკეთებდნენ. საჭმლის კეთება და ტკბილეულის ცხობა ისწავლა, ქარგვას და კერვას დაეუფლა. რამდენიმე დღე ლაქების ამოყვანის კურსებზეც იარა, რომელიც ორ ახალგაზრდა ქალს ჰქონდა გახსნილი. კურსებზე მოსიარულე ქალბატონები ამბობდნენ, რომ მასწავლებელი ქმარს იყო გაშორებული, და მეორე ახალგაზრდა ქალი კი, რომელიც ზედამხედველი იყო და გადასახადებს აგროვებდა, ქმრის გულისათვის ყურსაც არ იბერტყავდა. სიმინმა ეს ამბები დედას რომ უამბო, დედამ უთხრა: „საჭირო არ არის, რომ კიდევ იარო! მაგნაირი ქალები ადამიანს გონებას უბნევენო!“ და სიმინმა იფიქრა: „დედაჩემი მართალს ამბობსო.“

სამოვარი თუხთუხებდა. სიმინი ადგა, ჩაი დაისხა, ჭიქა აიღო და სამზარეულოდან გავიდა. საძინებელ ოთახში შევიდა. ოთახში ყველაფერი მოწესრიგებული იყო და თავის ადგილას იდო. ტუალეტის მაგიდაზე დალაგებული სუნამოების ბოთლებიდან დაწყებული, კომოდზე საათით, ნყლის ტოლჩით, ჭიქითა და ტახტის გადასაფარებელზე დაწყებული მაჯიდის ნაცრისფერი სატინის პიჟამოების ჩათვლით, რომელზეც ორი ცისფერი და ვარდისფერი ასო **M.** და **S.** იყო ამოქარგული. ის დღე გაახსენდა, როცა ტახტის გადასაფარებელი ქარგვის მასწავლებელს აჩვენა. შუახნის მასწავლებელმა ჰკითხა: „სიძე ბატონმა იცის, როგორ ემზადებო?“ და სიმინი განითლდა.

სიმინი დედის და დეიდის დაჟინებული თხოვნით რამდენიმე სტრიქონიან წერილს წერდა და დედას აძლევდა, მაჯიდისთვის რომ გაეგზავნა. მხოლოდ გამარჯობა, როგორა ხარ, აქ ახალი არაფერია და მანდ ახალი რა არის ყაიდისა. ერთ დღეს, როცა მამამ გაიგო, სიმინმა მაჯიდს წერილი მისწერაო, მთელი ამბავი ატეხა. „ჯერ არაფერი მომხდარა, წერილების წერას რა აზრი აქვსო?“ სიმინის დედამ და დეიდამ თავები დახარეს და თქვეს: „მართალს ამბობთო.“ მამა რომ ოთახიდან გავიდა, დეიდამ სიმინს უთხრა: „მიდი, გაიქეცი და წერილი მოიტანე! კაცებს რა ესმით? თანაც, რასაც წერ, ძალიან მშრალადაა. იმ უცხო ქვეყანაში ჩემს შვილს ცოტა დარდი აქვს? უფრო ლამაზად არ შეგიძლიაო?“ სიმინმა ჰკითხა: „კი, მაგრამ რა დავწერო, დეიდა?“ მაჯიდის დეიდამ უთხრა: „რა ვიცი, აბა? ამდენ ჟურნალს რომ კითხულობ, რაში გარგია? რაიმე დანერე, რომ ჩემს ბიჭს გული გაუნათდეს! ცოტა იმედი მიეცესო!“ სიმინმა ცისფერ და ვარდისფერ ქალაქებზე ჟურნალებიდან ლიტერატურული მონაკვეთების გადმოწერა დაიწყო. ფურცლების კუთხეებში ვარდებსა და სანთლებს თვითონვე ხატავდა. მაჯიდის დედა წერილს იღებდა, გარემოში მიმოიხედავდა, სიმინის მამა თავზე რომ არ წასდგომოდა, დაკეცავდა, ჩანთაში ჩაიდებდა და იტყოდა: „ეს უკვე სულ სხვააო.“, მერე სიმინის დედასთან ერთად იცინოდა. ეს ხუთი წელი მაჯიდი ირანში არ ჩამოსულა. სიმინის დეიდა ამბობდა: „რომ ჩამოვიდეს, გაურკვევლობაში ჩავარდება. სჯობს, დარჩეს და სწავლას მალე მორჩესო.“ რამდენჯერმე, როცა სიმინმა შეპარვით ჰკითხა, მაჯიდი ჩემს შესახებ რამე მოინერა თუ არაო, დეიდამ უთხრა: „ჩემს ბიჭს თავის მოსაფხანი დრო არ გააჩნია! ამერი-

კაში სწავლა ხუმრობა კი არ არისო.“ მერე კი, სიმინის დანაღვლიანებული სახე რომ დაინახა, გულში ჩაიკრა, აკოცა და უთხრა: „არ ინერვიულო, ყოველთვის მოკითხვას გითვლისო.“

იმ დღეს, როცა მაჯიდი ამერიკიდან უნდა ჩამოსულიყო, დედამ უფლება არ მისცა, რომ მის დასახვედრად აეროპორტში წასულიყო. „ჩემი დისშვილია, ჩემი თვალის ჩინია, მაგრამ საჭირო არ არის, თავი დაიმციროო.“ სიმინი იძულებული გახდა ამბები დისგან შეეტყო, რომელიც ბიძია სადეის მანქანაში ჩამბტარიყო და სხვებთან ერთად წასულიყო მაჯიდის დასახვედრად. სწორედ დამ შეატყობინა, თუ რამდენად გამოცვლილიყო მაჯიდი. თმა გაიზარდა, წვერი მოუშვა და ცოტაც გასუქდა. სიმინმა იკითხა: „ჩემზე არაფერი უკითხავს?“ დამ თვალები მოჭუტა. „იმ აურზაურში, მის ფეხებთან რომ ცხვარს კლავდნენ, დეიდა შეუსვენებლივ კოცნიდა და „შენი ჭირიმი, შენ გენაცვალეს“ უძახდა და ბიძოლა ესფანდს უკმევდა, შენზე ვინ ფიქრობდა, რომ მაჯიდს ეფიქრაო?“ სიმინმა უთხრა: „კარგი! მერე? დეიდასთან სახლში რომ წახვედით, მერე რა მოხდა?“ და სიმინის ტუალეტის მაგიდის წინ დადგა და სუნამოს ბოთლებსა და პატარა ფაიფურის ფიგურებს შეხედა. ერთ-ერთი სუნამო აიღო და სიმინისაკენ შემობრუნდა. „ეს ჩემი იქნება?“ სიმინმა უთხრა: „შენი იყოს! ჩემზე არაფერი იკითხა?“ და კარისაკენ წავიდა. „რატომ არა, იკითხა. სადილობისას მე მითხრა: „როგორ გალამაზებულხარ. პამიდორი როგორ არისო?“ სალამო ხანს სიმინი, მამა და დედა წავიდნენ მაჯიდის სანახავად. სიმინმა თავისი შეკერილი კაბა ჩაიცვა: ვარდისფერი ზედატანი ფუმფუმმა მკლავებითა და ნაკეცებიანი კოჭებამდე ქვედაბლო. დეიდას სახლში ხალხმრავლობა იყო, მთელი ნათესავები იქ იყვნენ თავმოყრილნი და სიმინმა ერთი-ორი სიტყვის გარდა მაჯიდისთვის ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ის წინადადებები, რომლებიც რამდენიმე კვირის წინათ კარგად დაიხეპირა და სარკის წინ დაამუშავა, არაფერში გამოადგა. დეიდამ ყველას თვალწინ სიმინს რამდენჯერმე აკოცა და უთხრა: „ჩემ ლამაზ რძალს შემოვევლეო.“ მაჯიდიც ყველას ესაუბრებოდა, უცინოდა და სიმინმა თავისთვის გაიფიქრა: „დმერთს ძალიან ვყვარებივარ, ამისთანა ქმარი რომ მარგუნაო.“ რამდენიმე დღის შემდეგ და სიმინის ოთახში ტახტზე ჩამოჯდა და უამბო: „დაიე ხანუმს გამოვტყუე ეს ამბავი! დეიდამ მაჯიდს უთხრა, შენთან ცალკე ლაპარაკი მინდაო. დაიე ხანუმი კარს უკან აყურადებდა. თავიდან ვერაფერი გაიგო. მხოლოდ დეიდას ჩურჩული ისმოდა. დაიე ხანუმი იმ ყურის აპარატს, დეიდამ რომ უყიდა, კიდევ ვერ შეეჩვია და...“ სიმინმა, დის გვერდით ტახტზე რომ იყო ჩამომჯდარი, უთხრა: „ხო კარგი, კარგი, მერე რა მოხდა?“ სიმინის და ადგა და ოთახში სიარული დაიწყო. „რა გინდოდა, რომ მომხდარიყო? მაჯიდიმ ყვირილი ატეხა, რომ ჯერ ირანში ფეხი არ დამიდგამს და უკვე ლუკმა მომიმზადეთო! თანაც ვინ? გოგო, რომელიც კონკიასავით იცვამს!“ სიმინმა ისეთი ტირილი ატეხა, და გოცებული მიაშტერდა. მივიდა და სიმინი გულში ჩაიკრა: „ახლა ასე რატომ განერვიულდი? კარგი რამეებიც თქვა. თქვა, სიმინი ჩემთვის დასავით არისო, თანაც ძალიან შემეცდარა, ტანსაცმელი თუ დაგიწუნა. ჩემი აზრით, ძალიანაც ლამაზია, როცა აღარ გენ-

დომება, მე ჩავიცვამ!“ სიმინმა და ოთახიდან გააგდო, კარი ჩაკეტა, წავიდა და კუთხეში იატაკზე დაჯდა. იტირა და ინერვიულა, იტირა და იფიქრა. „ალბათ, კონკიაც, ტანსაცმლის მოჯადოების ვადა რომ დაუმთავრდა, წავიდა და სამზარეულოს ბუხარს მიუჯდა, ჩემსავით იყო.“

თვით სიმინის დაც ვერ მიხვდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, როცა მომდევნო კვირას მაჯიდი დედ-მამით ხელის სათხოვნელად მოვიდა. სიმინის ისე უხაროდა, არაფერს ჩასძიებია. ერთი კვირის შემდეგ, იმის გამო, რომ დას სიმინის ქორწილში გრძელი თეთრი კაბის ჩაცმა უნდოდა, დებს ჩხუბი მოუვიდათ. სიმინმა კარი გაიჯახუნა და გავიდა. ვერ გაიგონა, დამ რომ მიაძახა: „ყველა, ვისაც პატარძლის მამის ფულს შეჰპირდებიან, ურჩხულზეც კი დაქორწინდებაო!“

ნიშნობის დღეს სიმინმა ზენრებით, ტახტისა და მაგიდის გადასაფარებლებით სავსე ჩემოდანი მაჯიდს აჩვენა. ყველაფერი თავისი მოქარგული, შეკერილი და მოქსოვილი იყო. მაჯიდს სიცილი აუტყდა: „ხუმრობ? ეს ყველაფერი რომელ ბინაში გინდა დაატოო?“ სიმინმა ყველაფერი ერთ საძინებლიან ბინაში დაატოა, რომელიც დეიდამ და დეიდის ქმარმა საქორწილო საჩუქრის სახით მაჯიდსა და სიმინს უყიდეს. ამას წიგნები, ჟურნალები და კასეტები დაემატა, რომელიც მაჯიდმა ამერიკიდან ჩამოიტანა და ქანდაკებები, საყვავილები, ფაიფურისა და ბროლის ჭურჭელი, რომლებიც ამ ხუთი წლის განმავლობაში თვითონ იყიდა, ან საჩუქრად მიიღო. საზურგეებზე, სავარძლების სახელურებზე, მაგიდებზე, ტელევიზორსა და მაგნიტოფონზე ფერად-ფერადი ნაქარგები გადააფინა და ფარდების ბოლოებიც შემოქარგა.

საძინებლიდან გამოვიდა. ცარიელი ჭიქა სამზარეულოში წაიღო, ნიჟარაში გარეცხა, წყალი გაავლო და პლასტმასის წითელ ჭურჭლის საშრობში ჩადო. შემდეგ ნიჟარის გარშემო, რომელიც ძალიან არც იყო დასველებული, ჩვრით შემომამშრალა. ჩვარი რაფასაც გადაუსვა სამოვრამდე. თვითონაც იცოდა, დროის განელვა უნდოდა. მაჯის საათს დახედა და გაიფიქრა: „რამდენიმე დღის წინათ, ამ დროს ვახშამს ვამზადებდი.“ იმ ყბადაღებული დღის შემდეგ, როცა განშორებაზე ილაპარაკეს, მაჯიდს შინ არც ვახშამი უჭამია, არც საუზმე და არც სადილისთვის მოსულა. სიმინის ის დღეები გაახსენდა, როცა დღის განრიგი მთლიანად დატვირთული ჰქონდა.

ილით, როცა მაჯიდი სამსახურში მიდიოდა, სიმინი საუზმის ჭურჭელს რეცხავდა და საძინებელს ალაგებდა. შემდეგ აბაზანაში შედიოდა. იატაკზე დაგდებულ მაჯიდის პირსახოცს იღებდა, კბილის პასტას თავს ახურავდა, ონკანის გარშემო მიმოფანტულ პირის საპარს საშუალებებს კრეფდა, აბაზანასა და პირსახოცს რეცხავდა, აშრობდა და მერე დედამისს ურეკავდა. ეუბნებოდა, გუშინ ვახშამად რა ჭამეს, დღეს სადილად რის გაკეთებას აპირებს და დედა კი თავისი სახლის ამბებს უყვებოდა. „მამაშენი ისევ მარცხენა ფეხზე ამდგარი! ამბობს, საახალწლოდ სახლის შეღებვა საჭირო არ არისო. ძვირი დაჯდებაო! ნანე აყა მორადს გადამტერებია, ქურდობსო! ამბობს, ჩემი თვალით დავინახეო, რამდენიმე ქოთანს პიტნა და ერთი

ტომარა სასუქი სახლიდან როგორ გაიტანა. მამაშენმა რომ გაიგოს, ერთ ალიაქოსს ატეხსო.“ სიმინი დედას გაამხნევებდა. ზოგჯერ მებაღე აყა მორადის მხარეს იჭერდა და ზოგჯერ წანეს იცავდა. ცდილობდა, მამამისის სიძუნწისთვის ყურადღება არ მიექცია. მერე ბრინჯის ან სალათის მომზადების საბაბით დედას ემშვიდობებოდა და დეიდის სახლის ნომერს კრეფდა. მაჯიდის დედა კითხულობდა: „ნუხელ რა ჭამეთ? დღეს სადილად რას აკეთებ? დედაშენისა რა ისმისო?“ და სიმინი ნუხანდელი ვახშმისა და დღევანდელი სადილის, მამის უხასიათობის და წანეს და მებაღის დავის ამბავს ახლა დედას უყვებოდა. დეიდა ეუბნებოდა: „ჩემი დაა და ჩემი თვალის ჩინია! მაგრამ ქმარს როგორ უნდა მოექცეს, ხომ ვერა და ვერ ისწავლაო. მამაშენს ჩემნაირი ცოლი უნდა ჰყოლოდა, მაშინ გაიგებდაო. აბა მითხარი, ერთი მთელი ეს ქონება ვისთვის უნდაო?“ მერე სიმინს ემშვიდობებოდა და სიმინმა იცოდა, რომ სულ ცოტა, ორმოცდახუთი წუთი დედისა და დეიდის ტელეფონი დაკავებული იქნებოდა. სადილად ზოგჯერ ევროპულ კერძს ამზადებდა, ზოგჯერ – ირანულს. უფრო ხშირად ერთსაც და მეორესაც. მაჯიდი მეტწილად უსიტყვოდ ჭამდა და მაგიდიდან დგებოდა. ხანდახან იტყოდა: „ლაზანია!¹⁰ ძალიან გემრიელი იყო. ბრონეულის წვნიანი რალატომ გააკეთეო?“ სადილობის ან ვახშმობისას ყოველთვის გაზეთს კითხულობდა და სიმინის შეკითხვებზე და დღის ამბების თხრობისას „კი“ ან „არა“ ან თავის დაქნევით პასუხობდა. სიმინმა დედასთან რომ მაჯიდის გულგრილობასა და უყურადღებობაზე დაინუნუნა, დეიდამ ასე უთხრა: „არ შეიმჩნიო, სიმინ! მაჯიდი ამერიკულ მოუნენრიგებელ და მარტო ცხოვრებას არის მიჩვეულიო. ცოტა დრო უნდა, ვიდრე შენისთანა მყოფახე და ხელოვანი ქალის ფასს გაიგებდეს. ყველაფერი კარგად იქნება, შვილო. ცოტა მოითმინე და მოგვარდებაო.“ მერე თავს სიმინის ყურთან მიიტანდა და ეკითხებოდა: „ამ თვეშიც არაფერიო?“ სიმინი თავს გააქნევდა და რცხვენოდა, დეიდისთვის ეთქვა, რომ მაჯიდი ამბობდა: ჯერ ბავშვების გაჩენა ადრეაო.

სამზარეულოს ტილო გარეცხა, განურა და ჭურჭლის სარეცხის ზემოთ, კავზე ჩამოკიდა. თვალი მარიაშის საჩუქარს მოჰკრა. სალამოს მეგობართან წასვლა ჰქონდა გადანყვებილი. იფიქრა: „ხომ არ დამერეკა, რაიმე მიზეზი მეთქვა და არ წავსულიყავიო.“ ემინოდა, რომ მარიამის და მისი ბავშვის ნახვის შემდეგ უფრო მეტად დანადვლიანდებოდა. „თანაც, მაჯიდზე რომ მკითხოს, რა ვუთხრაო?“ იცოდა, უმცირესი ტყუილის თქმისას ყურებამდე წითლდებოდა და გულის ფანცქალი ეწყებოდა. დედა ამბობდა: ჩემი გოგო მე და ჩემს დას დაგვემსგავსა. წყაროს წყალივით სუფთააო. და დეიდა უდასტურებდა, ჩვენს ოჯახში ორპირობა და მლიქვნელობა წესი არასოდეს ყოფილაო.

მათი ქორწინებიდან ექვსი-შვიდი თვე რომ გავიდა, ერთ დღეს სიმინის დეიდამ თქვა: ჩვენი ლამაზი რძალი თავის გემრიელ ლაზანიას როდის გააკეთებს, რომ დაგვპატიყოსო. სიმინმა: ამ პარასკევს ივარგებსო? დეიდამ: „მშვენიერია! ისე მოახერხე, რომ მამაშენიც აუცილებ-

ლად იყოს. დიდი ხანია, არ მინახავსო. „მაჯიდის დედამ, როგორც ყოველთვის, სიმინისა და მაჯიდის სახლში მოსვლისას ჩვევად ჰქონდა, ბინის ყველა კუთხე მოიარა და მაჯიდის თვალწინ თქვა: ნახე, ნახე, რა გემოვნებითაა ყველაფერიო! სიმინის დედამ დაამატა: „ჩემს გოგოს გემოვნება არ დაენუნება, მაგრამ დასანანია, რომ ცოტა პატარა ბინა აქვთო.“ და ორმა დამ სიმინის მამას გადახედა, რომელიც „ნიუ ზუიქს“ მარჯვნიდან მარცხნივ შლიდა. სიმინის დამ სიცილი ატეხა. „პატარაა? ჩემს ოთახზე დიდი კია და ამაზე დიდი რაღად უნდათო?“ დედამ და დეიდამ სიმინის დას თვალეები დაუბრიალეს და დეიდამ თქვა: „ცხოვრების დასაწყისისთვის ძალიანაც კარგია! ღვთის წყალობით, მაჯიდმა თუ კომპანია აამუშავა და საქმეში გაუმართლა, უფრო დიდი ბინაც დასჭირდებათო.“ მერე სიმინის მამას შეხედა. „მაჯიდმა გითხრა, რომ სამშენებლო კომპანიის შექმნას აპირებსო?“ სიმინის მამამ მაჯიდის მამას გახედა. მაჯიდის მამა ხილის თეფშში ლედეს ცალკე აწყობდა და ჭამდა. მაჯიდის დედამ სიმინს, რომელიც ჩაის სთავაზობდა სტუმრებს, უთხრა: „შენ შემოგველე, შვილო. ექიმმა მითხრა, ბევრი ჩაი არ დალიო. წნევისთვის ცუდიაო.“ მერე ისევ სიმინის მამას მიუბრუნდა. „არა, საქმე ისე კი არ არის, რომ, ღმერთმა ნუ ქნას და, ჩემს შვილს რამე სჭირდებოდეს ან უსახსროდ იყოს, მაგრამ მაინც, თქვენც თუ შეუამხანაგდებოდით, მაჯიდისთვისაც მეტი იმედი იქნებოდა და თქვენთვისაც – საიმედო შემოსავალი.“ სიმინის მამამ მაჯიდის მამას შეხედა, რომელიც ჯერ კიდევ ლედეს აწყობდა. მერე სიმინის დედას გახედა. „სადილეს არაფერი ისმისო?“ სიმინს „ლახანისას“ ვარდა „მირზა ყასემი“¹¹ და „ზერეშე ფოლოუ ქათმით“¹² ჰქონდა მომზადებული. პამიდვრის სალათა კი ვარდის ფორმით დაეჭრა. დედამ და დეიდამ ყველა საჭმელი გასინჯეს და სიმინს ნამზადი შეუქვს. ნასადილევს სიმინმა ჩაი და თავისი მომზადებული ცერცვის ნამცხვარი და ფაჭლავა მოიტანა. მაჯიდი მამამისთან და სიმინის მამასთან იმ კომპანიის თაობაზე საუბრობდა, რომლის დაარსებაც უნდოდა. სიმინის მამამ თქვა: „ღმერთმანი, მე თვითონ იმდენი თავსატეხი მაქვს, რომ...“ სიმინის დეიდა წამოხტა, ცერცვის ნამცხვრის თეფში მაგიდიდან აიღო, მაჯიდს გაუწოდდა და უთხრა: „ხედავ, რა ხელოვანი ცოლი გყავს? ასეთი გემრიელი ცერცვის ნამცხვარი თუ გიჭამია?“ სიმინის დედამ თქვა: „მის პატარა და თანაბარ ზომებს შეხედე! გეგონება, ფორმებშია გაკეთებულიო!“ მაჯიდმა ცერცვის ნამცხვარს შეხედა და თქვა: „მათ რა, ფორმებში არ აცხოვრებო?“ სიმინის დას სიცილი აუტყდა. „არა, მაჯიდ, ძვირფასო, ამას ჩვენი ძვირფასი სიმინი თავისი ლამაზი ხელებით სათითაოდ აკეთებსო.“ მაჯიდმა ჯერ დედას შეხედა, მერე – სიმინს, მერე კი ცერცვის ნამცხვარს მის ხელში. ნამცხვარი პირში ჩაიღო და მამამისა და სიმინის მამას მიუბრუნდა. დეიდამ სიმინის მამას უთხრა: „კომპანიაზე საუბრობდით, ბოდიში, ასე რომ ჩაგეჭვრით საუბარშიო.“

სიმინი სამზარეულოდან გამოვიდა, აბაზანაში შევიდა და შუქი აანთო. პირსაბანის სარკეში საკუთარ თავს შეხედა. თვალეები დასიებული და დაწითლებული ჰქონ-

და. ონკანი გაალო, ხელ-პირი დაიბანა და გაიფიქრა: „გუშინწინდელს მერე სულ ვტირი. ნეტავი დედაჩემთან ან დეიდაჩემთან დალაპარაკება შემეძლოს.“ ამ ორი დღის განმავლობაში ერთადერთი, რაც მაჯიდმა სიმინს უთხრა, ის იყო: „დედაჩვენებისთვის რამის თქმა არ გაბედო.“ და სიმინმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ დედამისი და მისი და ჩრდილოეთში იყვნენ წასულეები. ონკანი რომ დაკეტა და პირსახოცი სახეზე დაიფინა, თავისთვის თქვა: „მაგრამ უცნაურია, რომ ამ ორ დღეს დეიდამაც არ დარეკა.“ პირსახოცი ჩამოკიდა და ფიქრი განაგრძო: „შეიძლება მაჯიდმა რაიმე მიზეზი მოიფიქრა, შეიძლება უთხრა, რომ ჩვენი ტელეფონია გაფუჭებული, ანდა, სულაც, სერიოზულად არც კი ფიქრობს, მხოლოდ უნდოდა, რომ დავეშინებინე.“ ამის გაფიქრებაზე თითქოს ცოტა გულზე მოეშვა, წავიდა და მარიამს დაურეკა. „გავცივდი, მეშინია, შენი პატარაც ავად არ გახდეს.“ მარიამს არ დაუძალებია, სამაგიეროდ, მთელი თხუთმეტი წუთი ახალდაბადებული ბავშვის სიგრძეზე, წონასა და გონებაზე ილაპარაკა. სიმინმა ყურმილი დადო და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მაშინ რომ დავფეხმძიმებულიყავი...“

აყა მორადმა სიმინს ბალის კარი გაუღო, მიესალმა და უთხრა: „ქალბატონი დეიდათქვენთან ერთად მალლა არისო.“ სახლის წინკარამდე სიმინთან ერთად ამოვიდა და თან ერთთავად ნანეს აძაგებდა. სახლის კარი სიმინის დამ გაალო და უთხრა: „დედას და დეიდას ისევ თათბირი აქვთ! მე მგონი, შენზე და მაჯიდზე.“ ვიდრე სიმინი კიბეზე ავიდა და დედის ოთახს მიალენედა, დამ ყველაფერი უამბო, რაც კი კარს უკან მოესმინა. „არ ვიცი, რა ხდება. დეიდა სულ გაიძახის, ჩემს შვილს ეკუთვნის! ჩვენი შეთანხმება ეს არ იყო. შენ თვითონ მომეცი ამის პირობაო! დედაც სულ ტირის და ამბობს, რა ვქნაო? სულ იმას გაიძახის, მე რა შუაში ვარ, ერთ გროშსაც არ მივცემო! შენ რას ფიქრობ, საქმე რაში უნდა იყოს?“ სიმინმა დას შეხედა და მხრები აიჩეჩა. „რა ვიცი, ალბათ, ისევ მამას სიძუნწის ამბები უნდა იყოს! დედას და დეიდას მექაში მოგზაურობაზე გაჯიქდებოდა.“ მერე დედის ოთახის კარი შეაღო და შევიდა. დედამ ქალიშვილს რომ თვალი მოჰკრა, ხელსახოცი სწრაფად მოისვა თვალეებზე და გაილიმა. დეიდა დაბლვერილი იყო. სიმინმა იფიქრა, გავახარებო, სხვადასხვა ამბებს მიედ-მოედო და ბოლოსდაბოლოს თქვა: „ჯერ მთლად დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ, მე მგონი, რომ ექიმმა ანალიზები დამინიშნა.“ დედამ დაღებულ პირი მოკუმა და ძალით გაილიმა. მაჯიდის დედამ რამდენჯერმე ჩაახველა და მერე დაიყვირა: „ნანე! გილანში ნახვედი ჩაის დასაკრეფადო?“ მეორე დღეს ანალიზების შემდეგ დედასთან წავიდა და იტირა: „უშვილო ხომ არა ვარო?“ დედამ დააიმედა: „არ ინერვიულო, შვილო, ღმერთმა უკეთ იცის, რა სჯობსო.“ სიმინის დამ თქვა: „დეიდას უთხარი? წავიდე, დავურეკო?“ სიმინის დედამ დაუცაცხანა: „რა აუცილებლობაა! ყველა იმას ელოდება, ჩემს შვილს როგორმე ცილი დასწამოს.“ სიმინმა და მისმა დამ დედას შეხედეს და ორივემ ერთდროულად თქვა: „კი მაგრამ, რა მოხდა?“ დედამ თქვა: „არაფერიო.“ მერე თავი ასწია და ჭერს ახედა, მარცხენა ხელი-გულზე დაიბრაგუნა და თქვა: „ღმერთმა მოჰკითხოს ამ

კაცს, რომ თავისი ხელით აუბედურებს თავის შვილს.“ და თვალები ცრემლებით აევსო. სიმინმა და მისმა დამ ერ-
თმანეთს გაოცებულებმა გადახედეს.

ლოჯში სიმინმა ტელევიზორის ეკრანს ხელი გადა-
უსვა და თქვა: „დღეს მტვერი არ გადამინმენდია.“ ქალი
გაახსენდა, რომელიც ბინების ყიდვა-გაყიდვის ბიუროს
აგენტს მოჰყვა ბინის სანახავად. ქალი ახალგაზრდა
იყო. გულითადი და მოცინარი. ასე თქვა, აქ რა სისუფ-
თავეაო!

სიმინმა თხილეთულობის ოქროსფერფეხიანი ბროლის
ჭურჭელი სავარძლების წინ მდგარი მაგიდიდან აიღო,
მის ქვეშ დადებული ნაქარგი დაბერტყა და მაგიდას ტი-
ლო გადაუსვა. ნამიერად მაგიდაზე ხელი გაუჩერდა. „შე-
იძლება, რომ გაიგოს, მუშტარი მოინახა, ვირიდან ჩამო-
ვიდეს.“ ხელში შერჩენილ ნაქარგს შეხედა. თეთრი სატი-
ნის კვადრატზე სამი ვარდი იყო გამოსახული. გაახსენ-
და, ვარდების მიკერებისას რამდენი იწვალა. სატინა თი-
თებში უსრიალებდა და საქარგი ძაფი ნაჭერს ადგილ-
ადგილ ჭიმავდა. მაჯიდს რომ უთხრა, ამდენი არცერთ
ნაქარგზე არ მიწვალაო, მაჯიდმა ჯერ ვარდებს შეხედა
და მერე სიმინს ირონიულად ჩაუღიმა. სიმინს ეწყინა და
მეორე დღეს დედას უთხრა: „რაც უნდა გავაკეთო, ყვე-
ლაფერზე დამცინისო.“ დედამ დაამშვიდა, ხოლო დამ სა-
ღეჭი რეზინის ბუშტი გახეთქა და თქვა: „მაჯიდს მოვუკ-
ვიდი მე, რომ დილიდან საღამომდე შენი ხელოვნება უნდა
აქოსო.“

სიმინმა ნაქარგი მაგიდაზე დადო, ხელით გაასწორა
და გაიფიქრა: „ჩემი და მართალია, მეტისმეტს ვითხოვ.“
თვალები ცრემლებით აევსო და უკვე მეასედ გაიფიქრა:
„ღმერთო, გადააფიქრებინე! ყველას თვალში შევ-
რცხვები!“

3

სიმინმა თქვა: „უკაცრავად, რომ წინ მივდივარ, აქ აბა-
ზანაა.“

მეჰნაზმა ბიუროს ახალგაზრდა აგენტს, რომელსაც
აბაზანაში თავი შეეყო და გზა გადაეკეტა, უთხრა: „ნებას
მომცემთ?“ გაიფიქრა: „თითქოს თვითონ უნდოდეს ბინის
ყიდვა!“

ბიუროს აგენტი გვერდით გადაგა. „ადრეც მოგახსე-
ნეთ, ევროპული სტილის სახლია.“

მეჰნაზმა აბაზანის კედლებს შეხედა, რომლებზეც
თეთრი მეტალის თაროები იყო დაკიდებული და ყველა
თაროზე რალაც იდო: ფერადი საპნები, პატარა ფაიფურის
საყვავილეებში ჩადებული გამხმარი ყვავილები, სატინის
ძაფით მოქარგული პირსახოცები, რომლებიც ფერების
მიხედვით იყო ერთმანეთზე დალაგებული. თქვა: „ფარა-
მარზს რომ დაენახა, რას ისიამოვნებდაო!“ უნიტაზის
თავსახურზე მაქმანისაბიანი და ოქროსთმიანი დიდი თო-
ჯინა იჯდა. აგენტმა თქვა: „ღმერთმა გაუმარჯოს, რა გე-
მოვნებითააო!“ სიმინი განითლდა და თოჯინის გამო მა-
ჯიდის ბუზლუნი გაახსენდა. თოჯინა ოქროს გულსაკიდ-
თან ერთად მაჯიდის დედამ აჩუქა სიმინს და სიცილით

უთხრა: „ღმერთმა ქნას, მომავალ წელს ნამდვილი ჩაგეს-
ვას კალთაშიო.“

მეჰნაზმა თოჯინას შეხედა და გაიფიქრა: „დღეში რამ-
დენჯერ უცვლის ადგილს? თაროები რომ ავიღო, კაფელ-
ზე ნახვრეტების კვალი დარჩებაო.“

სიმინმა სამზარეულო უჩვენა. კარადების კარებს სა-
თითაოდ ალებდა და უჯრებსაც სათითაოდ ხსნიდა. ბიუ-
როს აგენტი ყველაფერში იჩქიცებოდა და გაიძახოდა: ნა-
ხე, ნახეო. მეჰნაზმა რამდენჯერმე უთხრა: „ნუ წუხდები-
თო!“ და გაიფიქრა: „ნეტავ იმ დღეს ფარამარზს ლიფტში
ჩემ მაგივრად შენ ენახეო.“ სიმინმა თქვა: „რა შეწუხებაა?
ხომ ყველაფერი უნდა ნახოთო.“ და ბიუროს აგენტს უთ-
ხრა: „აქ კიდევ ნაგვის ურნაა. რომ არ გამოჩნდეს, ჭურ-
ჭლის სარეცხის ქვეშ ვდგამო.“ პლასტმასის სათლი მონ-
წულ კალათაში იდო და კალათას ზემოდან ქვემოთ ყვითე-
ლი ლენტები ჰქონდა ჩანწული.

ბიუროს აგენტმა თქვა: „დღეში სულ ცოტა ათ-ოც ბი-
ნას მაინც ვუჩვენებ კლიენტს, მაგრამ თქვენი ბინისნაირი
სუფთა და გემოვნებიანი ჯერ არ შემხვედრიაო.“ სიმინმა
თავი დახარა და გაიფიქრა: „ერთი შენნაირი გამოვა და
ერთიც კიდევ – მაჯიდისნაირიო.“ მეჰნაზმა სიმინს შეხე-
და და გაიფიქრა: „დღეში რამდენ საათს ანდომებს ამ ერ-
თბენო ადგილს? გამუდმებით რატომ წითლდება?“

სიმინმა საძინებელში კარადის კარი გამოაღო, ფეხ-
საცმელებისა და ჩემოდნების ადგილი უჩვენა. ბიუროს
აგენტს ხელები ზურგს უკან ერთმანეთზე გადაეჭდო და
ამ ყველაფერს ათვალთვლიდა. მეჰნაზი ფანჯრისაკენ გა-
ემართა და ფარდა გადასწია. გაიფიქრა: „რა ლამაზი მტი-
რალა ტირიფიაო.“ მერე შემოტრიალდა, ოთახს თვალს შე-
მოავლო და ისევ გაიფიქრა: „მთელი ეს სივთები რომ არ
იყოს, ამდენად პატარაც აღარ გამოჩნდებოდაო.“ სიმინი
და ბიუროს აგენტი მეჰნაზისაგან ზურგშექცევით ჯერ კი-
დევ კარადებში იყურებოდნენ.

მეჰნაზი საძინებლიდან გამოვიდა, ჰოლი გაიარა და
ლოჯში შევიდა. იფიქრა: „რა ნათელია! გარედანაც არა-
ფერი ჩანს. რა უჭირს, რომ ფარდა არ დაეკიდო?“ იმის გა-
ფიქრებაზე, რომ იძულებული აღარ გახდება, რამდენიმე
თვეში ერთხელ ფარდები ჩამოხსნას, გარეცხოს და ისევ
დაკიდოს, კარგ გუნებაზე დადგა. შარშანდელი ახალი წე-
ლი გაახსენდა, რამდენიც ეცადა, ფარამარზი დაერწმუნე-
ბინა, ორი თვის გარეცხილი ფარდების გარეცხვა საჭირო
აღარ არისო, მაინც ვერ დაითანხმა. „ჯერ ერთი, მაქმანის
ფარდებისთვის ორი თვე ბევრია, მეორეც, სადღესასწაუ-
ლო დასუფთავება ტრადიციაა. თანაც, ძალიან კარგი
ტრადიციაა. როცა ახალი წელი დგება, ის აზრი, სახლი
სუფთააო, ადამიანს კარგ შეგრძნებას ანიჭებსო.“ მეჰნაზ-
მა მოქარგული ფარდებისკენ ხელი გაიწოდა და გაახსენ-
და, რომ შარშან, ახალი წლის დადგომისას ჰაფთსინის¹³
სუფრასთან იმას ფიქრობდა, თავისი კომპანიის საფინან-
სო განყოფილების უფროსს როგორ დასხლტომოდა ხე-
ლიდან, რომელიც გამუდმებით რალაცას ჩალიჩობდა, რა-
თა მისთვის მახე დაეგო. ფანჯრის სუფთა მინას შეხედა.
გაიფიქრა: „შეიძლება, ფარამარზი მართალიცაა, ოჯახს
ვერ მივხვდე.“

სიმინი და ბიუროს აგენტი შემოვიდნენ. აგენტი ამბობ-
და: „ჯერჯერობით ვერ მოხდა, მაგრამ, ღმერთმა თუ ინე-

ბა და ბედი იქნა, ჩემს მეუღლეს თქვენთან მოვიყვან, რომ გემოვნება და სახლის საქმე თქვენგან ისწავლოსო!”

სიმინს ფერებმა გადაჰკრა. „როგორ გეკადრებათო.“ მერე უცებ მეჰნაზს მოჰკრა თვალი და თითქოს ცოტა დაიბნა. „ბრძანდებოდეთ, ახლავე ჩაის მოგიტანთო.“

მეჰნაზმა უთხრა, ნუ შენუხდებითო. მერე ბიუროს აგენტს მიუბრუნდა. „თქვენ საერთოდ რომელ ბიუროში მუშაობთ?“

სიმინმა თქვა: „ახალი დაყენებულია, რა შენუხებაა. ცოტა ხანს მოითმინეთო“.

აგენტი სავარძელში ჩაჯდა. მეჰნაზიც დაჯდა და გაიფიქრა: „ფარამარზი რომ ყოფილიყო, იტყოდა: სანიმუშო ქალი. მერე აგენტს მიუბრუნდა და გადახდილი თანხის ბიუროს პროცენტზე დაეკითხა.

აგენტმა ჰკითხა: „თქვენი მეუღლე სანახავად როდის მობრძანდება?“

სიმინმა ლანგრით ჩაი და ცერცვის ნამცხვარი შემოიტანა და თქვა: „მე ყოველთვის შინ ვარ. როცა თქვენი მეუღლე მოისურვებს...“

მეჰნაზმა თავი მაღლა აწია. „ჩემი მეუღლე ამერიკაშია, ცხოვრების უფლების საქმე რომ მოგვარდება, მეც წავალ. მანამდე კი ვიფიქრეთ, უფრო პატარა ბინა გვეყიდა.“ ფინჯანი და ლამბაქი ლანგრიდან აიღო. ფინჯანი ლამბაქში შეინჯღრა.

ბიუროს აგენტმა ორი ცალი ცერცვის ნამცხვარი ერთდროულად ჩაიდო პირში.

სიმინმა ჰკითხა: „ბავშვი გყავთ?“

მეჰნაზმა გაიცინა: „არა!“

სიმინმა გაიფიქრა: „რა მწარე სიცილია! საწყალი, ალბათ, ჩემსავით ბავშვს ნატრობს.“

მეჰნაზმა გაიფიქრა: „ამდენ კითხვას რატომ სვამს?“

აგენტმა თქვა: „რა გემრიელი ცერცვის ნამცხვარია?“

სიმინი განითლდა. „ჩემი ნახელავია!“ მერე მეჰნაზს შეხედა, რომლის სახეზეც ღიმილის ნაკვალევი დარჩენილიყო. გაიფიქრა: „ნეტავი მაგას! ალბათ, ქმარზე ფიქრობს. ქმართან ამერიკაში წავა, ბავშვიც ეყოლება და...“ ტირილი უნდოდა. ცერცვის ნამცხვრის თეფში მეორედ შესთავაზა სტუმრებს. აგენტმა ისევ ორი ნამცხვარი აიღო. ისევ შეაქო. სიმინი ისევ განითლდა.

მეჰნაზმა გაიფიქრა: „ნეტავი მაგას! ცერცვის ნამცხვარს აცხობს, პირსახოცებს ფერების მიხედვით აკურატულად აწყობს, კალათაში ლენტს აწნის, ქმრისთვის ნაირ-ნაირ საჭმელებს აკეთებს.“ ნამოდგა და თქვა: „თქვენი ნებართვით, აღარ შეგანუხებთ, ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.“ მერე აგენტს მიუბრუნდა. „ესე იგი, შემატყობინებთ.“

აგენტმა ჩაის უკანასკნელი ყლოუპი გადაყლაპა და ადგილიდან წამოფრინდა. „ნასყიდობის საბუთზე ხელის მოსაწერად თქვენ თვითონ მობრძანდებით?“

მეჰნაზმა ჩანთა აიღო. „პრობლემა ხომ არ არის?“ ღია ჩანთიდან ორი კალმისტარი და რამდენიმე გაკეცილი ქალღიმილი სავარძელზე დავარდა.

აგენტმა თქვა: „არა! რა პრობლემა უნდა იყოს? უკაცრავად, რომ გკითხეთ.“

სიმინმა მეჰნაზს შეხედა, რომელმაც პასტები და ქალღიმილები ჩანთაში ჩაიდო და ჩანთა დაკეტა. იფიქრა: „რა

ღირსეული ქალია. ქმარი წასულია. თვითონვე მოძებნა სახლი, ბიუროშიც მიდის, გადმობარგებითაც თვითონ გადმობარგდება აუცილებლად.“ ის დღე გაახსენდა, მისი მზითვი რომ მოჰქონდათ ბინაში. დედამისი, და, მაჯიდის დედა, ნანე და აყა მორადი მოსახმარებლად მოსულიყვნენ. სიმინი დილიდან საღამომდე მხოლოდ დაბოდილობდა, მტვირთავებისთვის ჩაი და შარბათი მოჰქონდა და ლამით, იმის გამო, რომ მისი ბროლის სასალათეს გვერდი ატყეწოდა, ერთი ამბით იტირა. მეჰნაზმა ცოტა მოიცადა, ვიდრე სიმინი ბიუროს აგენტს მაჯიდის სამსახურის ნომერს მისცემდა. სიმინს უყურებდა და ფიქრობდა, ფარამარზი რომ იყოს, ყურში მეტყუოდაო: „ისწავლე! ქალი ამას ჰქვია!“ თავისთვის თქვა: „მთელი ეს წლები ფარამარზისთვის ნამცხვარი ერთხელაც არ გამომიცხვია.“ წასვლისას სიმინს უთხრა: „ასეთ ლამაზ ადგილს რატომ ყიდით? ალბათ, უფრო დიდ ბინას ეძებთ.“

სიმინმა ძალით გაიღიმა. ბიუროს აგენტის და მეჰნაზის ზურგს უკან კარი რომ მიხურა, თავის ბინაზე ბევრად დიდი მამის სახლი გაახსენდა.

იმ ლამით სიმინმა დილაზე ვერ დაიძინა. მტირალა ტირიფს მიმტერებული მხოლოდ ტიროდა.

იმ ლამით მეჰნაზი, ვიდრე ჩაეძინებოდა, ფანჯარასთან მდგარ მტირალა ტირიფზე ფიქრობდა.

**სპარსულიდან თარგმნა
ნათია ჰანაქაძე**

- 1 ირანში მიცვალებულისთვის საკურთხის სახით ხალვას ამზადებენ.
- 2 პატარა ქალაქი თეირანთან ახლოს.
- 3 ირანში პარასკევი უქმე დღეა. (როგორც ევროპულ სამყაროში კვირა)
- 4 ირანში საჭმელ მწვანის დეზინფექციის მიზნით ცოტა ხნით მარილიან წყალში აჩერებენ.
- 5 ასალ – თაფლი.
- 6 თავაზო – თავმდაბლობა
- 7 ირანული წელიწადის პირველი თვის სახელწოდება, რომელიც 21 მარტიდან 20 აპრილამდე გრძელდება.
- 8 ირანული წელიწადის მესამე თვის სახელწოდება, რომელიც 22 მაისიდან 21 ივნისამდე გრძელდება.
- 9 ესფანდს უკმევენ ადამიანს, რომელიც შორ გზაზე მიდის ან შორი გზიდან ჩამოვიდა, საერთოდ, ყოველთვის, როცა სურთ, ადამიანს თვალი არ ეცეს. ირანელების რწმენით, ესფანდის სურნელი და ბოლი ბაქტერიებსაც კლავს.
- 10 მაკარონის თხელი ფორფიტები, რომელთა შუა ხორცის სოუსია. (აჩმის მსგავსი რამ, მხოლოდ ხორციით)
- 11 ჩრდილოეთ ირანული კერძი, რომელიც ბადრიჯნით, კვერცხითა და ბევრი ნივრით კეთდება.
- 12 ბრინჯი კონახურის ხმელი მარცვლებითა და ქათმის კერძით.
- 13 ანუ შვიდი სინი.ეს არის შვიდი სახეობის ხილი, საკმაო და ასევე მონეტა(სპარსულად-სექე), რომელთა სახელები ს-ზე იწყება და, ტრადიციის მიხედვით, ახალი წლის სუფრაზე შვიდივე სახეობას მაგიდაზე ლამაზად, ყველა თავისი ფანტაზიის მიხედვით აწყობს. (როგორც გოზინაყს საქარ-თველოში)

იყო ვედრება

ბორის პასტერნაკის უფროსი ვაჟი – ევგენი პასტერნაკი თავის წიგნში „ბორის პასტერნაკი. მასალები ბიოგრაფიისათვის“ გვამცნობს, რომ 1940 წლის ივლისში პასტერნაკთან გაჩერებული დაპატიმრებული ქმრის საშველად მოსკოვში ჩასული ნინო ტაბიძე. პასტერნაკი შეძლებისდაგვარად ირჯებოდა, მაგრამ ტიცინის შესახებ ვერაფერი შეიტყვესო.

ევგენი პასტერნაკის მიხედვით, ბორის პასტერნაკს წერილი გაუგზავნია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლავრენტი ბერიას სახელზე.

საფიქრებელია, რომ პასტერნაკის მიერ შედგენილი იყო წერილის ტექსტი, მაგრამ ხელს აწერდა ნინო ტაბიძე.

აი, ამ წერილის ქართული თარგმანი:

„ლავრენტი პავლოვიჩი!

აი, ვედრება ჩემი ცხოვრებისა – გაეცით ბრძანება, რომ გადასინჯონ ჩემი ქმრის ტიცინ ტაბიძის საქმე.

დღეები გადიან, შეუმჩნევლად მეპარება სიბერე და თუმცა უკვე თითქმის სამი წელიწადი ამოგლეჯილია მისი (ტიცინის) არსებობიდან – უსარგებლოდ, რომელიც საბედისწერო შეცდომის გამოისობით, – ჯერ კიდევ არის დრო, რომ რაღაც გამოსწორდეს, ხვალ კი შეიძლება გვიანი იყოს.

ვალი ჩემი, როგორც ცოლისა, მის წინაშე, მისი ჯერ კიდევ შესაძლებელი მომავლის წინაშე, რომელიც ეგებ ებოძოს, მკითხველთა და მისი მრავალრიცხოვანი რუსი მეგობრების წინაშე, ის არის, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონე გავილო ამ საშინელი გამოცანის გასარკვევად, აღვადგინო სიმართლე და მივალნო მის განთავისუფლებას. მაგრამ თქვენ უჩემოდაც იცით, როგორი კედელი აღიმართება ჩემი ძალისხმევის წინაშე, თუკი თავად თქვენ არ ინებებთ, რომ დიდულოვნად გამინიოთ შემწეობა.

მოლოდე მოწყალეობა, დამიშვით თქვენთან მიღებაზე და გაეცით განკარგულება, რომ ეს მაცნობონ.

ნება მომეცით, მთელი თვინიერებით მოგახსენოთ, რომ მე წამითაც არ მივიჩნევ თავს დამნაშავეს ცოლად. ფიქრი

ტიციან ტაბიძის (ვის გვარსაც სიამაყით ვატარებ) რაიმე ნამდვილად სახელგატეხის თაობაზე ვერ თავდება ჩემს სულში.

მაგრამ თუკი ეს ჩემი უმეცრების ბრალია და რომელიღაც სხვა წარმოდგენათა მიხედვით, მას რაღაც დანაშაული ჩაუდენია, მაშინ შეიწყალეთ იგი, მიუტევეთ მას, რითაც აიძულე მშვენიერებისა და ჭეშმარიტების, უიარალო გულისხმიერებისა და ბავშვური უმანკობის ყველა ტრფიალს – დალოცონ თქვენი სახელი ამგვარი საჩუქრისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ წერილი სასონარკვეთილი ადამიანის თხოვნა-ვედრებას წარმოადგენს, მაინც საკუთარი ღირსების შეგნებითა და სიმართლის ურყევი რწმენით არის გამსჭვალული.

ამიტომაც ბოლო აბზაცი, სადაც დაშვებულია სათუო ვარაუდი ტიცინ ტაბიძის შესაძლო დანაშაულის შესახებ და მოხმობილია სათანადო გამოთქმები (შენწყალება, მიტევება), ბორის პასტერნაკს დაწერით კი დაუწერია, მაგრამ, როგორც ჩანს, ფიქრისა და განსჯის შედეგად გადაუხაზავს. მანქანაზე გადაბეჭდილი პირში, ალბათ, აღარ შეიტანდა.

პასტერნაკის ხელწერა და წერის დამახასიათებელი სტილი (რუსულ დედანში გაცილებით თვალში საცემია) ეჭვმიუტანლად ადასტურებს მის ავტორობას.

როგორც ცნობილია, მანამდე პასტერნაკი ორჯერ გამოექომაგა პატიმრებს, 1934 წელს – ოსიპ მანდელშტამს და 1935 წელს – ანა ახმატოვას ქმარს. მისმა შუამდგომლობამ ორჯერვე გასჭრა.

ახლა კი პირადად აღარ ჩარეულა, ვინაიდან წინარე წლებიდან განსხვავებით ხელისუფლება უკვე ალმაცერად უყურებდა სახელოვან პოეტს.

ანკი რაღას გასჭრიდა მისი ვედრება, როდესაც ტიცინ ტაბიძე აღარ იყო ცოცხალთა შორის.

ალ პაჩინო და მისი გმირი

ბავშვობიდანვე ოცნებობდა მსახიობობაზე. როგორც კი ფილმს ნახავდა, მაშინვე შინ ანსახიერებდა ეპიზოდებს იმ ფილმიდან. ფიქრობდა, მსახიობებზე უარესად როდი ვითამაშებო.

როდესაც წამოიზარდა, მაშინლა მიხვდა, რომ მსახიობობა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ცხოვრების ასახვას, რომ თამაშში ჩადებული უნდა იყოს მღელვარების წყარო. ალ პაჩინო იმ მღელვარებას გულისხმობს, რომელიც უჩნდება წარსულისა თუ თანამედროვეობის დიდებულ დრამატურგთა კითხვისას. აი, მათი სახელები: შექსპირი, ჩეხოვი, სტრინდბერგი, იუჟენი ო'ნილი, ტენესი უილიამსი, სრტურ მილერი... ალ პაჩინო ამბობს: „ისინი გახდნენ ჩემი სკოლა და ჩემი ცხოვრება. მე ჩავეყვინეთ მათ შემოქმედებაში და რაც უფრო მეტად ვწვდებოდი იმას, რასაც ისინი წერდნენ, უფრო ნათლად მესმოდა ნებისმიერი პერსონაჟი, რომელიც უნდა მეთამაშა“.

როგორც ცნობილია, ალ პაჩინოს თავდაპირველად სახელი გაუთქვა ფრენსის კოპოლას ფილმმა „ნათლია“, სადაც მაიკლ კორლეონეს როლს ასრულებდა. მსახიობი გულახდილად გვაუწყებს: არც კი ვიყავი მზად იმ მძვინვარე წარმატებისათვის, „ნათლიას“ წილად რომ ხვდაო. მაიკლ! – ხშირად

ასე მიმართავდნენ თაყვანისმცემლები ალ პაჩინოს.

აღფრთოვანებულმა „პარამაუნტის“ კინოკომპანიამ

გადაწყვიტა, მენველ ძროხად გაეხადა „ნათლია“ და გაეგრძელებინა თხრობა კორლეონეთა შესახებ.

ალ პაჩინოს დაჰპირდნენ მილიონ დოლარს. იმხანად (ე.ი. დაახლ. ოცდაათი წლის წინათ) ეს ძალზე დიდი ფული ყოფილა. და მაინც უარი უთქვამს. ბოლოს კოპოლამ დამითანხმაო. მსახიობს ერთობ გასჭირვებია დაბრუნება თავის გმირთან (მეორედ და მერე – მესამედაც).

ალ პაჩინო აღიარებს: „მართალია, ეს ხასიათი გიზიდავს, გაჯადოებს, მაგრამ მაიკლი, უდავოდ, ბინძური პიროვნებაა“.

და ბინძურ გმირს თამაშობდა ასეთი გატაცებით? და მაყურებელს აიძულებდა შეეყვარებინათ ბინძური პიროვნება? მაიკლ კორლეონე რომ გაესამართლებინათ, ნეტავი რას იტყოდა მისი ადვოკატი?

ეგებ ეს ეთქვა: ბატონებო, გაიხსენეთ, რომ დონ ვიტო კორლეონეს ანუ „ნათლიას“ თავს ესხმიან მოსაკლავად, რადგანაც იგი უარს აცხადებს, რომ თავისი გავლენა და მფარველობა უწილადოს ნარკოტიკთა გამსაღებლებს შეერთებულ შტატებში. და მაიკლ კორლეონე, მეორე მსოფლიო

მოზაიკა

ომის მონანილე, უნივერსიტეტის სტუდენტი, უბინო არსება, რომელიც არ ერეოდა მაფიის საქმიანობაში, იძულებულია ხელი მოჰკიდოს იარაღს მშობელი მამის გადასარჩენად.

ხოლო იმ სისხლიან ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, რასაც დონ ვიტოს სიკვდილის შემდეგ დაატრიალებს ახალი „ნათლია“ ანუ ახალგაზრდა მაიკლი, ჩვენს ნავარაუდევ ადვოკატს შეენაცვლება გამოცდილი იურისტი, დონ ვიტოს შვილობილი და მრჩეველი – ტომი ჰეიგენი.

აი, რას ეუბნება იგი მაიკლის მიერ გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტით აღშფოთებულ მის მეუღლეს (პიუზოს რომანის ეს სცენა კადრს მიღმა რჩება): „დონ ვიტო რომ გარდაიცვალა, მაიკლის გასაღება გადაწყვიტეს. და იცი, ვინ გაყიდა მაიკლი? ტესიომ. მაშასადამე, ტესიო უნდა მოეკლათ. უნდა მოეკლათ კარლოც, ვინაიდან ლალატის პატიება არ შეიძლება. მაიკლი შეჩვეული იყო ტესიოს, მაიკლს უყვარს თავისი დაც, რომელიც დააქვრივა, მაგრამ რომ ეპატიებინა, ამით არაფრად ჩააგდებდა თავის ვალს – შენს წინაშე, შვილების წინაშე, ჩემსა და ჩემი ოჯახის წინაშე. თუკი ცოცხლებში დატოვებდა ტესიოს და კარლოს, ისინი მუდამ,



ალ პაჩინო და მარლონ ბრანდო

დღე ცისმარე, სახიფათონი იქნებოდნენ ჩვენთვის“.

დღე ცისმარე, სახიფათონი იქნებოდნენ ჩვენთვის“.

მაიკლის ცოლი გულისტკივილით წარმოთქვამს: მაიკლი ის კაცი არ ყოფილა, ვისაც ცოლად გავყევით.

ჰეიგენს ეცინება: ის კაცი რომ ყოფილიყო, ახლა საფლავში იწვებოდა, შენ კი ქვრივი იქნებოდიო.

მარიო პიუზო, ავტორი რომანისა, რომელიც საფუძვლად დაედო აღნიშნულ ფილმს, დიდად გაისარჯა, რომ გაეთეთრებინა თავისი საყვარელი პერსონაჟები. ცხოვრებაში, ცხადია, ასე არ არის. მაფია არის მაფია, მორჩა და გათავდა. ცნობილი იტალიელი კინოსცენარისტის ტონინო გუერას სიტყვით, კოპოლას ფილმში ვხედავთ რომანტიზებულ მაფიას.

მაგრამ კოპოლა მიჰყვებოდა პიუზოს რომანის კონცეფციას.

არ არის გამორიცხული, რომ ალ პაჩინო, მაიკლ კორლეონეს დახასიათებისას, დაგვიანებით მოექცა საზოგადოების თეთრხელთათმნიან წარმომადგენელთა გავლენის ქვეშ. როგორც ცნობილია, „ნათლიას“ გადაღებაზე, მისი უზნეობის გამო, უარი თქვა რამდენიმე გამოჩენილმა რეჟისორმა და მხოლოდ ახალგაზრდა, ახალბედა კოპოლამ არ იუკადრისა პიუზოს რომანი. გარისკა და შამპანურიც მიირთვა!

ქრონიკა

ახლახან მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში მოეწყო ბადრი ჭოხონელიძის წიგნის პრეზენტაცია, რომლითაც მწერლის საიუბილეო თარიღიც აღინიშნა. ბადრი ე.წ. სამოცდაათიანელთა თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია, რომელსაც ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი, მაგრამ „იუზედავად ამქვეყნიური ცხოვრებიდან ადრე წასვლისა არაერთი მნიშვნელოვანი რამის გაკეთებაც მოასწრო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში. 1989 წლიდან იყო აღმანახ „დრამატურგის“ მთავარი რედაქტორი. გამოცემული აქვს ოთხი პროზაული კრებული: „მოთხრობები“, „ჩემი მეგობარი“, „შენ კი ამბობდი“, „ძმა“. ბადრის სცენარის მიხედვით გადაღებულია 3 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, ათამდე დოკუმენტური და რამდენიმე ნახატი ფილმი. მისი მოთხრობები რამდენიმე უცხო ენაზეა თარგმნილი.

ახალ წიგნში, რომლის სათაურიცაა „ქალბატონები და ბატონები“ თავმოყრილია სხვადასხვა დროს დაბეჭდილი და რამდენიმე სრულიად უცნობი, გამოუქვეყნებელი მოთხრობა. წიგნის შემდგენელია მანანა მდივნიშვილი, რედაქტორები ირაკლი სამსონაძე და კოტე ნაკაშიძე. მხატვარ-დიზაინერი ჯემალ ზენაიშვილი, რომელმაც ამ გაფორმებით აშკარად გვიჩვენა, რომ კარგად იცნობდა ბადრის თბილ და ერთი შეხედვით მყუდრო სამყაროს.

ბადრი ჭოხონელიძე ძალიან ჰგავდა თავის ნაწერებს და ამ მხრივაც გამორჩეული იყო. მისი ფაქიზი ბუნება, თანდაყოლილი ესთეტიზმი, დარღვეული ჰარმონიის აღდგენის გამუდმებული სურვილი, კეთილი, ოდნავმესამჩნევი ირონია, ღირსების მძაფრი

გრძნობა და ადამიანის სიყვარული იყო იმის მიზეზი, რომ ერთგვარი კამერული ინტონაციით შესრულებულ მის ნოველებში მარადიული ღირებულებები სუნთქავდნენ. პერსონაჟების ხატვისას ავტორის ისეთი მზრუნველობა და სიყვარული ჩანდა, როგორც დარდობენ, ფიქრობენ და ზრუნავენ ღირსეული მამები შვილებზე. მისთვის სამშობლოს, ქვეყნის, ქალაქის, დაბისა თუ სოფლის სიყვარული კონკრეტული ადამიანებით იყო ხორცშესხმული.

სწორედ ამ სიყვარულის შუქი კრთოდა ნებისმიერი ადამიანის გამოსვლაში. მთელ საღამოს, რომელიც მანანა დუმბაძეს მიჰყავდა, უმშვენიერეს ფონად გასდევდა ცენტრალური მუსიკალური ათნლედის მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნაწარმოებები. ამ მუსიკის გაგრძელება იყო ბადრის პატარა ნოველები, რომელიც ასე კარგად წაიკითხა მსახიობმა დათო კვიციანიამ.

არც ისაა შემთხვევითი, რომ კეთილი ენერგიით დამუხტული ეს მშვენიერი საღამო იმ სასახლის სარკეებიან დარბაზში მოეწყო, რომელიც ბადრიმაც უამრავ სხვა ბავშვთან ერთად თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარა; სასახლეში, რომელშიდაც თავის დროზე მოღვაწეობდა მისი მამა, დიდებული ქორეოგრაფი რუბენ ჭოხონელიძე.

ნინო ქუთათელაძე, ზურა ინაშვილი, ბლათერ არაბული, მანანა ხელაია, ნუგზარ მაჭაიძე, კობა არაბული, ეშვარ კვიციანიშვილი, მერაბ მეტრეველი, ხათუნა ხუნდაძე, კაკო ფალავა... ბავშვობის მეგობრები, ახლობლები, მკითხველები, უფროსი კოლეგები, თანაკურსელები, ყველანი ერთად იგონებდნენ ბადრის, მის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომელიც ასე ძალიან ჰგავდა მისსავე კეთილ ღიმბლს.